ჰამლეტ ჭიკაშვილი

დიპლომატიის ანბანი

გამომცემლობა „იანუსი“
თბილისი 1993

რედაქტორები
ილია ტაბაღუა,
ჯონდო ქილარჯიანი

© საგამომცემლო ფირმა „იანუსი"

© გარეკანის გაფორმება „სოფმა პრესს"

საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიხედვით საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში დადგენილია შემდეგი დიპლომატიური რანგები: ატაშე, მესამე მდივანი, მეორე მდივანი, მრჩეველი, უმაღლესი დიპლომატიური რანგები — II კლასის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, I კლასის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

დიპლომატიური რანგების მინიჭებისათვის განსაზღვრულია სამსახურის გავლის შემდეგი ვადები: ატაშესთვის — 2 წელი, მდივნებისათვის — 3 წელი, I მდივნისათვის და მრჩევლისათვის — 4 წელი.

სპეციალურ წოდებებს და დიპლომატიურ რანგებს ანიჭებს შესაბამისი სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელობა;

უმაღლეს სპეციალურ წოდებებს და დიპლომატიურ რანგებს ანიჭებს სახელმწიფოს მეთაური.

სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

სახელმწიფო მოსამსახურეს შეიძლება ერთი საფეხურით ჩამოუქვეითოს სპეციალური წოდება ან დიპლომატიური რანგი იმ თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს არსებული წოდების ან რანგის მინიჭების უფლება, მასვე შეუძლია წოდების ან რანგის აღდგენა ჩამოქვეითებიდან მხოლოდ ერთი წლის ვადის გასვლის შემდეგ.

სპეციალური წოდებების და დიპლომატიური რანგების მინიჭების უფლება აქვთ: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრებს, გენერალურ პროკურორს და საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარეს.

შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია დიპლომატიურ „ოქმს“ — „პროტოკოლს“.[1] ეს სიტყვა ბერძნულიდან შევიდა ფრანგულ ენაში, შემდეგ კი დაინერგა მთელი მსოფლიოს დიპლომატიურ საქმიანობაში და ნიშნავს საყოველთაოდ მიღებულ წესებს, ტრადიციებს, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოა მთავრობების დიპლომატიური წარმომადგენლების, დიპლომატიური თანამშრომლების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების დროს. თუ რეტროსპექტულად გადავავლებთ თვალს ისტორიას, ნათლად დავინახავთ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა დიპლომატიური ურთიერთობების ნორმალურად წარმართვის საქმეში ოქმის საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული ცერემონიალის წესების დაცვას, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრინციპების, თანასწორუფლებიანობის, ერთურთის საქმეებში ჩაურევლობის, საერთაშორისო ვალდებულებებისადმი პატივისცემის საკითხებს.

დიპლომატიური ოქმი სახელმწიფოთაშორისი მეგობრული კავშირურთიერთობის გამომხატველი და ხელის შემწყობია; იგი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების ისეთივე ნორმაა, როგორც საყოველთაოდ მიღებული თავაზიანობა. მართალია, დიპლომატიური ოქმი ოფიციალურ დიპლომატიურ თანამშრომელთა ქცევის წესია, მაგრამ ის სულ უფრო მტკიცედ იკავებს ადგილს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ურთიერთობებშიც.

საქართველოს დიპლომატიური ოქმის გარკვეული გამოცდილე-

---

[1] protokollon (ბერძნ.) protos — პირველი, kollon — ვაწებებ; პირველი ფურცელი, თავფურცელი დამწერლის გვარითა და დაწერის თარიღით მიეწებებოდა ხოლმე პაპირუსს.

ბა ჰქონდა 1918—1921 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში, როდესაც მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ ფაქტობრივად და იურიდიულად ცნო საქართველო, რომ აღარაფერი ვთქვათ საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა ისტორიიდან გამომდინარე დიპლომატიის არაერთ საინტერესო და თვალსაჩინო მაგალითზე, თუნდაც ისეთზე, როგორიც იყო სულხან-საბას ელჩობა ევროპაში.

1921 წელს ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ დიპლომატია და დიპლომატიური ოქმი მივიწყებას მიეცა. საქართველოს რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილად იქცა და კავშირში შემავალი რესპუბლიკების საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხების მოგვარება საბჭოთა კავშირის ცენტრმა — მოსკოვმა დაიკისრა. საზღვარგარეთთან ისეთი სისხლსავსე ურთიერთობა, როგორიცაა სხვადასხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობების გახსნა, იქ დიპლომატების მივლინება, საქართველოში საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოების გახსნა და სხვა მრავალი, რომლებიც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში აისახა, ფიქციას წარმოადგენდა.

1944 წლის 15 მარტს გაიხსნა საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია (მეექვსე სესია 1942 წელს გაიმართა). სესიის დღის წესრიგში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს წარდგენით შეტანილ იქნა საკითხი „საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შექმნის შესახებ“. საქართველოს სსრ კონსტიტუციაში ამ ცვლილებების შეტანა გამოიწვია სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა.

1944 წლის 1 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე მოისმინეს საკითხი „თავდაცვის სახალხო კომისარიატისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საერთო-საკავშირო სახალხო კომისარიატებიდან საკავშირო-რესპუბლიკურ სახალხო კომისარიატებად გარდაქმნის შესახებ“. ამ დღესვე უმაღლესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი, რათა დასახელებული სახალხო კომისარიატები საერთო-საკავშირო-

დან საკავშირო-რესპუბლიკურად გარდაქმნილიყო. კანონში აღნიშნულია: „იმ მიზნით, რომ გაფართოვდეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთაშორისო ურთიერთობა და განმტკიცდეს მათი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან, და იმის გამო, რომ გაიზარდა უცხოეთის სახელმწიფოებთან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი ურთიერთობის დამყარების საჭიროება, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაწესდეს, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს შეუძლიათ დაამყარონ უშუალო ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან და დადონ მათთან შეთანხმებანი“.

1946 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის მეორე თავის მე-14 მუხლის „ც“ პუნქტში ვკითხულობთ: „ამყარებს საქართველოს სსრ-ის წარმომადგენლობას საერთაშორისო ურთიერთობაში“. მუხლი 16 ა-ში კი აღნიშნულია: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას უფლება აქვს დაამყაროს უშუალო ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმებანი და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობები“. და ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ საქართველოს მრავალი ათეული წელი დასჭირდებოდა კონსტიტუციის ამ მუხლების განხორციელებისათვის.

1946 წელს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შექმნის შემდეგ, დიპლომატიასა და დიპლომატიურ ოქმს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, ვინაიდან დადგა საკითხი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ ამ საკითხის ნეგატიურად გადაწყვეტამ ერთობ გააფერმკრთალა ყურადღება რესპუბლიკის დიპლომატიისა და დიპლომატიური ოქმისადმი.

იმ მრავალი საკითხიდან, რომელსაც დიპლომატია ითვალისწინებს, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხოლოდ დიპლომატიური ოქმის ზოგიერთი ფუნქცია შემორჩა, რაც საბჭოთა კავშირში ვიზიტად მყოფი საზღვარგარეთის ქვეყნების მაღალი რანგის დელეგაციების საქართველოში სტუმრობის პროგრამების შედგენასა და მათ მიღებაში გამოიხატა.

50-იანი წლებიდან დაწყებული დღემდე საქართველოში მრავალი ქვეყნის მაღალი რანგის დელეგაცია იმყოფებოდა. წლების მი-

ზედვით შედგენილი არასრული ნუსხა ნაწილობრივ წარმოდგენას იძლევა, თუ ვინ ეწვია ამ ხნის მანძილზე საქართველოს:

1955 წელს — ავსტრიის, ალბანეთის, ინდოეთის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, სირიის, შვეიცის, იაპონიის პარლამენტების დელეგაციები.

1956 წელს — ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, პაკისტანის, ჩინეთის პარლამენტების დელეგაციები.

1957 წელს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია.

1958 წელს — ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი, ნეპალის მეფე ბირ ბიკრამი, საფრანგეთის ეროვნული კრების, ირანის, ბირმის, გდრ-ის პარლამენტების დელეგაციები.

1959 წელს — პერუს პარლამენტის დელეგაცია.

1960 წელს — განის, საფრანგეთის პარლამენტების დელეგაციები.

1961 წელს — ეკვადორის ვიცე-პრეზიდენტი, ინდოეთისა და ნორვეგიის პარლამენტების დელეგაციები.

1963 წელს — ბულგარეთისა და კენიის პარლამენტების დელეგაციები.

1964 წელს — იაპონიის პარლამენტის დელეგაცია.

1966 წელს — ლაოსის მეფე შრი სავანგ ვათჰანა, ირანის უფლისწული შამს ფეჰლევი, მალის, ირანის, შვეიცის პარლამენტების დელეგაციები.

1967 წელს — პაკისტანის, საფრანგეთის, ცეილონის პარლამენტების დელეგაციები.

1968 წელს — ურუგვაის გენერალური ასამბლეის დელეგაცია, ირანის შაჰი რეზა ფეჰლევი, ავღანეთის მეფე ზაქირ შაჰი.

1970 წელს — ირანის უფლისწული გოლამ რეზა ფეჰლევი, ინდოეთის პრეზიდენტი ვარაჰაგირი ვენკატა გირი, ბულგარეთის სახალხო კრებისა და სახალხო საბჭოს, ჩეხოსლოვაკიის ფედერალური კრების დელეგაციები.

1972 წელს — შრი-ლანკის ეროვნული სახელმწიფო ასამბლეის, რუმინეთის დიდი ეროვნული კრების, იაპონიის, ლიბა-

ნის პარლამენტების, კუბის მშვიდობის დაცვის დელეგაციები.

1973 წელს — ბელგიის უფლისწული ალბერტი.

1974 წელს — ჩეხოსლოვაკიის ფედერალური კრების დელეგაცია, ნიგერიის მთავრობის მეთაური გენერალი იაკუბ გოვონი, სამხრეთ იემენის პარტიისა და მთავრობის მეთაური აბდელ ფათაჰ ისმაილი, ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი ედუარდ კენედი.

1975 წელს — იტალიის პრეზიდენტი ჯოვანი ლეონე, ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგი ჟანი, დანიის დედოფალი მარგარეტ II, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია.

1976 წელს — პორტუგალიის კრების, გვინეის საკანონმდებლო კრების, ბელგიის პარლამენტის დელეგაციები, მოზამბიკის პრეზიდენტი სამორა მაშელი.

1977 წელს — სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ჰაფეზ ასადი, ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი.

1978 წელს — ნეპალის ეროვნული პანჩაიატის, ლუქსემბურგის პარლამენტის, ავსტრალიის პარლამენტის დელეგაციები. ეთიოპიის სამხედრო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მენგისტუ ჰაილე მარიამი.

1979 წელს — ლათინური ამერიკის ქვეყნების, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლობათა პალატის დელეგაციები.

1980 წელს — რუმინეთის დიდი ეროვნული კრების, ბრაზილიის ეროვნული კონგრესის, შრი-ლანკის პარლამენტის, საფრანგეთის პარლამენტის დელეგაციები, ინდოეთის პრეზიდენტი ნილამ სანჯივა რედი, კამპუჩიის ეროვნული ხსნის ერთიანი ფრონტის დელეგაცია ჰენგ სამრინის მეთაურობით, ავღანეთის დელეგაცია ბაბრაქ ქარმალის მეთაურობით.

1981 წელს — ვენესუელის ეროვნული კონგრესის, ირლანდიის პარლამენტის დელეგაციები, კვიპროსის პრეზიდენტი სპიროს კიპრიანუ, ნიკარაგუის დელეგაცია დანიელ ორტეგას მეთაურობით.

1983 წელს — ამერიკის შეერთებული შტატების სენატორთა, ერა-

ყის ეროვნული საბჭოს, კოლუმბიის ეროვნული კონგრესის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების დელეგაციები.

1984 წელს — ესპანეთის კორტესების, პორტუგალიის კრების, სირიის ქალთა დელეგაციები.

1985 წელს — საფრანგეთის პარლამენტის დელეგაცია, ფილიპინების რესპუბლიკის პროვინციის დიდი მანილის გუბერნატორი იმელდა მარკოსი.

1986 წელს — ბენინის ეროვნული რევოლუციური კრების, კანადის, ინგლისის პარლამენტების, შვეიცის ფედერალური კრების, ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დელეგაციები.

1987 წელს — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის, ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების, საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიის დელეგაციები.

1988 წელს — ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი ბილ ბრედლი, ავსტრიის პარლამენტის, პოლონეთის სეიმის, ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების, სიცილიის პარლამენტის დელეგაციები.

გარდა აღნიშნულისა საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნები ჯორჯ შულცი და ჯეიმს ბეიკერი, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის საკითხების კომისიის დელეგაციები, აზერბაიჯანის პრეზიდენტი აიაზ მუთალიბოვი, სომხეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ლევონ ტერ-პეტროსიანი, გერმანიის ვიცე-კანცლერი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს დიტრიხ გენშერი, თურქეთის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი და სხვები.

საქართველოს სისტემატური სტუმრები იყვნენ აგრეთვე საბ-

ჭოთა კავშირში აკრედიტებული საზღვარგარეთის ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები, საელჩოთა დიპლომატიური თანამშრომლები, საბჭოთა კავშირში აკრედიტებული ჟურნალისტები.

რესპუბლიკაში ჩამოსული მაღალი რანგის დელეგაციებთან საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მუშაობა, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა განყოფილებებთან აქტიური კონტაქტები, საკავშირო საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართულ სემინარებში მონაწილეობა მნიშვნელოვნად დაეხმარა რესპუბლიკის დიპლომატიურ თანამშრომლებს დიპლომატიური ოქმის შესწავლისა და მისი საქართველოში გამოყენების საქმეში.

წიგნის ავტორი სამოციანი წლებიდან მოყოლებული სააქციო საზოგადოება „ინტურისტში", საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში საოქმო განყოფილების გამგედ და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში საქმეთა მმართველის მოადგილედ, საქმეთა მმართველად, სამდივნოს უფროსად მუშაობის პერიოდში უშუალოდ მონაწილეობდა საზღვარგარეთის მაღალი რანგის დელეგაციათა საქართველოში სტუმრად ყოფნის პროგრამების მომზადებაში, ვიზიტების განხორციელებაში. იგი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებით მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის ქალაქებში, მათ შორის თბილისში დანიის დედოფლის, იტალიის პრეზიდენტის ვიზიტების, აგრეთვე სიცილიის პარლამენტის დელეგაციის მოსკოვსა და საქართველოში ვიზიტის მომზადება-განხორციელებაში. დიპლომატიური ოქმის შესწავლაში ავტორის მსოფლმხედველობა ერთობ გააფართოვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიურ თანამშრომლებთან — პროფესორებთან ი. ტაბაღუასა და ო. გიგინეიშვილთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ა. გიგოშვილთან მჭიდრო თანამშრომლობამ, აგრეთვე საბჭოთა დიპლომატებთან ახლო კონტაქტებმა. მას შეხვედრები ჰქონდა საბჭოთა დიპლომატიური ოქმის მამამთავართან თ. მოლოჩკოვთან, რომელიც თითქმის 35 წლის განმავლობაში სათავეში ედგა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილებას, მის მოადგილესთან გ. დულიანთან, საოქმო განყოფილების გამგეებთან ბ. კოლოკოლოვთან, დ. ნიკიფოროვთან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს

საოქმო სამსახურის უფროს ჟ. კუანიაკთან, დიპლომატიურ ცერემონიალში გათვითცნობიერებულ სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატებთან. უცხოეთის ორმოცამდე ქვეყანაში მოგზაურობამ, დიპლომატიური ოქმის წარმოების მრავალწლიანმა გამოცდილებამ, ამავე დროს საქართველოში დიპლომატიური ოქმის კრებულის უქონლობამ, მისმა აუცილებლობამ გააბედვინა ავტორს ამ წიგნის შედგენა.

დიპლომატია და დიპლომატიური ოქმი

დიპლომატია სათავეს იღებს საგარეო ურთიერთობების, საგარეო პოლიტიკის არსებობის დღიდან, მაგრამ მსოფლიოს სახელმწიფოთა ყოველდღიურ საქმიანობაში დიპლომატიას განსაკუთრებული მნიშვნელობა XVI—XVIII საუკუნეებში მიენიჭა; იმ დროიდან, როდესაც მეფეთა კარზე გამოჩნდნენ მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლები, ხოლო სახელმწიფო ორგანოების სისტემაში სპეციალური სამსახური ჩამოყალიბდა, რომელიც დასაქმებული იყო სახელმწიფოთაშორისი მიმოწერით, უცხო ქვეყნების დელეგაციებისა და ელჩების მიღებით, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მოლაპარაკებათა მომზადება-გამართვით და რიგი სხვა საქმეებით.

რუსეთში დიპლომატიური ურთიერთობებისათვის განსაკუთრებული დაწესებულება იქმნება XVI საუკუნის ბოლოს და XVII საუკუნის დასაწყისში, ე. წ. საგარეო საქმეთა უწყება.[1] პირველად აქ მუშაობდნენ დუმის მდივანი,[2] მისი ამხანაგი და 15—17 მდივან-მწერალი, ამ რიცხვში არ შედიოდნენ მთარგმნელები და სხვა პერსონალი. შემდგომში ეს დაწესებულება დიდად გაფართოვდა და მას სათავეში უკვე ბოიარინი ჩაუდგა. საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის გარდა უწყება დაკავებული იყო უცხოელი ვაჭრებისა და საერთოდ ჩამოსულ უცხოელთა (სამხედროთა გარდა) საქმეებით, მართავდა ახლად დაპყრობილ თუ შემოერთებულ ტერიტორიებს.

ამ დროს მუშავდება დიპლომატიური ეტიკეტიც, რომელიც დასავლეთევროპულს ეფუძნება, მაგრამ მასში მაინც სჭარბობდა აზიური ელემენტები.

ყველაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეფის ღირსებას, სა-

---

[1] Посольский приказ.
[2] Посольский думный дъяк.

ხელს, ტიტულს.[3] ამ საკითხში რუსი დიპლომატების დაჟინებულობა აღიზიანებდა უცხოელებს, თუმცა მათაც კარგად ესმოდათ, რომ სწორედ ხელმწიფის ღირსება გამოხატავდა გარკვეულ უფლებებს. „გოსუდარევა ჩესტ“ გამოიხატებოდა მთელ რიგ წვრილმანებში, რომლებსაც უნდა აესახათ იმ ხელმწიფეთა დაბალი თუ მაღალი მდგომარეობა, რომლებსაც ელჩები წარმოადგენდნენ. მოსკოვის ხელისუფლება მოითხოვდა, რომ მეფისადმი მიმართული სიგელები გამორჩეული ყოფილიყო, მის წარმომადგენლებს ყოველთვის პირველი ადგილი უნდა მოეთხოვათ, რუსი ელჩები საზღვარგარეთ უნდა მიეღოთ ისევე, როგორც უცხოელებს იღებდნენ მოსკოვში და ა. შ.

უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა ხორციელდებოდა სხვადასხვა რანგის ელჩების მეშვეობით. ეს დამოკიდებული იყო ელჩების მნიშვნელობაზე. რაც უფრო მაღალი იყო ელჩის რანგი, მით უფრო მეტი უნდა ყოფილიყო მისი ამალა და სხვ.

ელჩები რანგის მიუხედავად იღებდნენ საელჩოს განაწესს დაწვრილებითი ინსტრუქციით — თუ როგორ მოიქცნენ ელჩობისას, რა ილაპარაკონ და ა. შ. მაგრამ ამასთან მითითებული იყო, რომ თუ ისეთ რამეს ჰკითხავდნენ, რაც განაწესში არ იყო, პასუხი გაეცათ საქმის მდგომარეობისდა მიხედვით, მაგრამ ზედმეტი არ ელაპარაკათ. განუსაზღვრელი უფლებამოსილება ელჩებს არ ჰქონდათ და რაიმეს გადაწყვეტა მოსკოვთან შეუთახმებლად მათ არ შეეძლოთ; ისინი იგზავნებოდნენ მხოლოდ წინასწარი მოლაპარაკებისათვის.

განაწესში დიდი ყურადღება ექცეოდა ელჩობის ცერემონიალს. ელჩებს უფლება არ ჰქონდათ ხელმწიფესთან აუდიენციამდე რაიმე მოლაპარაკება ეწარმოებინათ მინისტრებთან ან საერთოდ მისულიყვნენ მათთან. მაგალითად, 1668 წელს, როცა პ. პოტიომკინმა გაიარა ბორდოზე, საფრანგეთის წარმომადგენელმა მარკიზმა დე სენ-ლიუკმა იკითხა, რომ თუ იგი მას მოინახულებს რუსეთის ელჩი საპასუხო ვიზიტით ეწვევა თუ არა; რაზეც პ. პოტიომკინმა უპასუხა, რომ მეფის ბრძანების მიხედვით მას არ შეუძლია ვინმეს ეწვიოს, მაგრამ რათა უარი შეერბილებინა სიასამურის ბეწვეული გაუგზავნა საჩუქრად მარკიზს, რომელიც ამ უკანასკნელმა არ მიიღო.

---

[3] Государева честь.

განსაკუთრებული საელჩო სახლი. ელჩები მკაცრად იყვნენ იზოლირებული მოსახლეობისაგან; შემდგომში ეს რეჟიმი შესუსტდა.

აუდიენციის დღეს ელჩთან მიდიოდნენ კარისკაცები ამალით. ისევ იწყებოდა კამათი, თუ სად შეხვედროდნენ ელჩს — კიბის თავთან თუ შუაში. ელჩი უფრო ხშირად მეფის კარეტით მგზავრობდა. წინ მიუძღოდნენ ე. წ. „სტრელეცები", მათ მისდევდა კარეტა საჩუქრებით მეფისათვის. ელჩების წინ უწყების მდივანს მაღლა აწეული ხელით მიჰქონდა რწმუნების სიგელი. მთელ გზაზე ჩამწკრივებული იყო ჯარი. ქუჩებში ხალხი იყო გამოფენილი. ყოველივე ამით გამოიხატებოდა მეფის ძლიერებისადმი და ელჩებისადმი პატივისცემა. პ. პოტიომკინი, როცა პარიზში მეფესთან აუდენციაზე მიემგზავრებოდა განაწყენდა ქუჩებში ხალხმრავლობა რომ ვერ ნახა.

ელჩის მიახლოებას მეფეს ატყობინებდნენ სასახლეში და იქიდან გაიცემოდა ხოლმე განკარგულება შეენელებინათ თუ დაეჩქარებინათ პროცესიის მსვლელობა.

სასახლეში ელჩს საგანგებოდ ამისთვის გამოწყობილი ბოიარები ხვდებოდნენ. მიღება წარმოებდა სასახლის სხვადასხვა პალატაში. მეფე იჯდა ტახტზე მონომახის ქუდითა და სამეფო კვერთხით ხელში, მის წინ იდგნენ თეთრ სამოსელში გამოწყობილი ჭაბუკები, რომელთაც ვერცხლის პატარა ცულები ეკავათ. კედლების გაყოლებით ისხდნენ მდიდრულად გამოწყობილი ბოიარები.

ელჩი მიუახლოვდებოდა მეფეს, მოიკითხავდა მას და შემდეგ წარმოსთქვამდა მისასალმებელ სიტყვას. საპასუხოდ მეფე ფეხზე დგებოდა და მოიკითხავდა ელჩის ხელმწიფეს. მისალმების შემდეგ ელჩი გადასცემდა რწმუნების სიგელს საგარეო საქმეთა უწყების წარმომადგენელს. შემდეგ მეფე მას ხელს უწვდიდა, რომელსაც ელჩი უნდა მთხვეოდა. ამ ცერემონიის შემდეგ მეფე იბანდა ხელს იქვე მდგომ ვერცხლის ხელსაბანში, რაც დიდად ანაწყენებდა უცხოელებს. მეფეს ხელს უკოცნიდნენ მხოლოდ ქრისტიანები, მუსულმანებს იგი თავზე ადებდა ხელს.

შემდეგ ელჩები მოკლე სიტყვით ამცნობდნენ თავიანთი ვიზიტის მიზანს და მიართმევდნენ საჩუქრებს.

აუდიენციის დღეს ელჩებს უმასპინძლდებოდნენ სამეფო სადილით. საჭმელი ნაჭრებად იყო დაჭრილი და მეფე თავად უგზავნიდა სტუმრებსა და უწყების წევრებს ულუფას. მათ საჭმელი ფეხზე

ადგომით უნდა მიეღოთ; იგი ისე უხვად იყო, რომ სტუმრებს სადილობისას დაახლოებით 60-ჯერ უწევდათ ფეხზე ადგომა. მომდევნო პერიოდში ელჩებს სადილებს საელჩოში უგზავნიდნენ.

საზეიმო აუდიენციდან რამდენიმე დღის შემდეგ ინიშნებოდა მეორე შეხვედრა უფრო სადა ვითარებაში. მეფე ატყობინებდა ელჩებს, რომ გაეცნო რწმუნების სიგელს და გამოყო ბოიარები მოლაპარაკებისათვის. შემდეგ იწყებოდა მოლაპარაკება; მისი დამთავრების შემდეგ ინიშნებოდა გამოსათხოვარი აუდიენცია.

დიპლომატია სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის განმახორციელებელი საშუალებაა. იგი არის სახელმწიფოებს, მთავრობათა მეთაურებს, საგარეო საქმეთა მინისტრებს, საზღვარგარეთ დიპლომატიურ წარმომადგენლებს შორის ურთიერთობათა ხელოვნება, სახელმწიფოს უფლებათა და ინტერესების, უცხოეთში არსებულ დაწესებულებებში მომუშავე მოქალაქეთა ინტერესებისა და უფლებების, საერთაშორისო კონფერენციებზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების დაცვა.

დიპლომატია მოლაპარაკების ხელოვნება, მისი ისე წარმართვაა, რომ თავიდან იქნეს აცილებული საერთაშორისო კონფლიქტები. იგი არის მოლაპარაკების კონსტრუქციული წარმართვის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებისა და გაფართოების გზების ძიება. მისი მიზანია საკუთარი ქვეყნის წინაშე მდგომი საგარეო მიზნებისა და ამოცანების განხორციელება, საერთაშორისო არენაზე მისი ინტერესები დაიცვა.

სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ისტორიულ ეტაპებზე იცვლებოდა დიპლომატიის მეთოდები და ხერხები.

ძველი აღმოსავლეთის დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის საინტერესო და უნიკალურ ძეგლად ითვლება მანუს კანონები, რომელიც ინგლისელებმა XVIII საუკუნეში გამოაქვეყნეს. ისინი დაწერილია კლასიკურ სანსკრიტზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში. ინდური ლეგენდების მიხედვით მანუს კანონები ღვთაებრივი წარმოშობისაა და განეკუთვნება ლეგენდარული მანუს ეპოქას. მანუს არიელთა შთამომავლობის დამფუძნებლად მიიჩნევდნენ. მისი კანონები არის ძველინდურ დადგენილებათა კრებული, რომლებიც ეხება პოლიტიკას, საერთაშორისო სამართალს, ვაჭრობას და სამხედრო საქმეს.

ძველინდური ფილოსოფიის საფუძველია ბრძენი ადამიანის აღზრდა. აქედან გამომდინარე განიხილება დიპლომატიაც. ყურადღება გამახვილებულია დიპლომატის პირად თვისებებზე, სწორედ მასზეა დამოკიდებული დიპლომატიური მისიის წარმატებაც. მანუს მოძღვრების მიხედვით დიპლომატის ხელოვნება იმაში გამოიხატება, თუ როგორ შეძლებს ის ომის აღკვეთას და მშვიდობის განმტკიცებას: „მშვიდობა და მისი საწინააღმდეგო — ომი დამოკიდებულია ელჩების მოღვაწეობაზე, ვინაიდან ისინი ქმნიან მოკავშირეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. მათ ხელშია საქმეები, რომლის მეშვეობითაც მეფეებს შორის შეიძლება მშვიდობის დამყარებაც და ომის დაწყებაც". დიპლომატი აცნობს თავის ხელმწიფეს საზღვარგარეთელი მმართველის გეგმებსა და მიზნებს, იცავს სახელმწიფოს საფრთხისაგან. დიპლომატი უნდა იყოს ყოველმხრივ განვითარებული, გამჭრიახი გონების პატრონი. მას უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ თავის მიმართ განაწყოს ადამიანები; უნდა შეეძლოს საზღვარგარეთის ქვეყნების მმართველთა გეგმების ამოცნობა-განსაზღვრა არა მარტო მოქმედების ან სიტყვების მიხედვით — არამედ სახის გამომეტყველებისა და ჟესტების მიხედვითაც.

სახელმწიფო მეთაურს ეძლევა რეკომენდაცია ფრთხილად და გულისყურით შეარჩიოს დიპლომატი. იგი უნდა იყოს პატივსაცემი ასაკის, საქმისადმი თავდადებული, პატიოსანი, წარმოსადეგი, მშვერმეტყველი, უშიშარი. მან უნდა იცოდეს რა დროს როგორ იმოქმედოს.

საერთოდ, ამ კანონების მიხედვით საერთაშორისო ცხოვრების ყველაზე რთული საკითხები უნდა გადაიჭრას დიპლომატიური გზებით. ძალის პოლიტიკა მეორე პლანზეა.

აი, ასე განმარტავს მანუს მოძღვრება დიპლომატის როლს და დიპლომატიის მნიშვნელობას.

ანტიკური პერიოდის დიპლომატიისათვის დამახასიათებელი იყო მონათმფლობელური საზოგადოების პოლიტიკური წყობის ნიშნები. რესპუბლიკის ელჩებს ღია სახალხო კრებებზე ირჩევდნენ, რომლებიც თავიანთი მისიის დამთავრების შემდეგ ანგარიშს აბარებდნენ მათ. კრების მონაწილე თითოეულ მოქალაქეს, თუკი ის დაეჭვდებოდა ელჩის მოღვაწეობაში, სასამართლოს წესით მისი დასჯა შეეძლო მოეთხოვა. დემოკრატიის ასეთი მეთოდი გამოიყენებოდა რომში, სადაც საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა სენატს ეკის-

რებოდა. მოგვიანებით, ძალაუფლების ცენტრალიზაციის ხანაში, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობა იმპერატორისა და მისი კანცელარიის მეშვეობით ხორციელდებოდა.

საბერძნეთში — ათენში, სპარტაში, კორინთოში ელჩებს სახალხო კრებაზე ირჩევდნენ. არ შეიძლებოდა 50 წელზე უმრწემესის არჩევა. აქედან იღებს სათავეს ტერმინი — „უხუცესი“.

როგორც წესი ელჩს ირჩევდნენ შეძლებულ, ავტორიტეტულ მოქალაქეთა წრიდან. იგი უნდა ყოფილიყო გონებამახვილი, მჭევრმეტყველი. იყო შემთხვევები, როდესაც ელჩად მსახიობებსაც ნიშნავდნენ. მაგალითად, მსახიობი და სახელგანთქმული ორატორი ეჰსენი ათენის სახელმწიფოს წარმოადგენდა მაკედონიის მეფის, ფილიპე II კარზე. საბერძნეთში მსახიობის ელჩად დანიშვნას თავისებური ახსნა ჰქონდა — მხატვრული მჭევრმეტყველება და დეკლამაცია. მსახიობის ხელოვნება ხალხმრავალ მიტინგებზე გამოსვლის დროს დიდ წონას ანიჭებდა წარგზავნილის სიტყვას.

საელჩოს თანამშრომელთა რაოდენობა არ იყო განსაზღვრული, მას ვითარებიდან გამომდინარე ადგენდნენ. ყველა ელჩი თანასწორი უფლების იყო. მათ ელჩობის დროს გარკვეულ თანხასაც გამოუყოფდნენ, ე. წ. „სამგზავრო ფულს“, მოსამსახურეებსაც უნიშნავდნენ. ელჩს გამგზავრების წინ აძლევდნენ სარეკომენდაციო წერილს — სიმბოლას[1] იმ ქვეყნის მმართველთან წარსადგენად, სადაც ის იგზავნებოდა. ელჩის მიზანი იყო უხუცესების მიერ მიცემული ინსტრუქციების შესრულება. ინსტრუქციები ორად მოკეცილ ფურცელზე იწერებოდა, რომელსაც დიპლომი ერქვა. აქედან წარმოიშვა სიტყვა „დიპლომატია“. ინსტრუქციები ელჩის ძირითადი სახელმძღვანელო იყო, მასში აღნიშნული იყო ელჩობის მიზანი, მაგრამ, ამასთანავე, ელჩს შეეძლო ინსტრუქციების ფარგლებში საკუთარი ინიციატივით, თავისუფლად, იმპროვიზაციით ემოქმედა.

მასპინძელ ქვეყანაში ჩამოსვლისას ელჩი ადგილობრივი პირის თანხლებით მიემართებოდა ქვეყნის, ქალაქის იმ პირთან, რომელსაც საგარეო საკითხები ეხებოდა და გადასცემდა მას თავის სიგელს, ამასთანავე იღებდა შესაფერის რჩევებსა და დარიგებებს.

რეგისტრაციის გავლიდან 5 დღის შემდეგ ელჩი გამოდიოდა

---

[1] Symbolon (ბერძ.) ძველ საბერძნეთში პირობითი ნივთიერი საცნობარო ნიშანი საზოგადოებრივი ჯგუფის, ფარული საზოგადოების წევრებისათვის.

სენატში ან სახალხო საბჭოში და უხსნიდა დამსწრეებს თავისი ვიზიტის მიზანს, რის შემდეგაც იმართებოდა დებატები.

როგორც წესი უცხოეთის ელჩს პატივისცემით ეპყრობოდნენ. უწყობდნენ კარგ მიღებას, ასაჩუქრებდნენ, იწვევდნენ თეატრალურ წარმოდგენებზე, სპორტულ თამაშობებსა და დღესასწაულებზე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ელჩი სახალხო კრებას აბარებდა ანგარიშს თავისი მისიის შედეგებთან დაკავშირებით. თუკი სახალხო კრება მოიწონებდა მის მისიას — საპატიო სიგელით აჯილდოებდა. ყველაზე დიდი პატივი იყო ელჩის დაფნის გვირგვინით შემკობა და მეორე დღეს აკროპოლისთან არსებულ სპეციალურ შენობაში სადილზე მიწვევა, რომელსაც სახელმწიფოს საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ. ყველა მოქალაქეს უფლება ჰქონდა საკუთარი აზრი გამოეთქვა ელჩის ანგარიშის თაობაზე და გაეკრიტიკებინა კიდეც იგი.

ანტიკური ხანის ქვეყნების ელჩების ძირითადი მოვალეობა იყო სახელმწიფოებთან კავშირების დამყარება და ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. ძველ რომში ხელშეკრულებას იხილავდნენ როგორც უწმინდეს აქტს. მისი დარღვევა ღვთის რისხვად მიაჩნდათ. საბერძნეთში ხელშეკრულების დადება და დიპლომატიური მოლაპარაკება მკაცრი ფორმალობის ვითარებაში ხორციელდებოდა. ხელშეკრულებას მოჰყვებოდა ხოლმე ფიცის დადებაც. ამ ცერემონიალს ქალაქის ხელმძღვანელობაც ესწრებოდა. ფიცის დროს აღნიშნავდნენ იმასაც, რომ მის დამრღვევს წყევლა-კრულვა მოუღებდა ბოლოს. ხელშეკრულების დადების შემდეგ ორივე მხარეს ხელშეკრულების ტექსტი და ფიცი უნდა ამოეკვეთა სტელაზე და შეენახა იგი ერთ-ერთ მთავარ საყდარში, მაგალითად, ათენის აკროპოლში, პალატის საყდარში, ხოლო ასლები დელფოში, ოლიმპიასა და დელოსზე ინახებოდა. ხელშეკრულება რამდენიმე უცხო ენაზე იწერებოდა. ტექსტის ერთი პირი სახელმწიფო არქივში ინახებოდა. დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის, ომის გამოცხადების შემთხვევაში სტელა, რომელზეც ამოტვიფრული იყო ხელშეკრულება, იმტვრეოდა; ამით ხელშეკრულებაც ირღვეოდა.

ათენში სისხლსავსე დიპლომატიური ურთიერთობები ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში პისისტრატეს მბრძანებლობის დროიდან იწყება. საბერძნეთის დიდი სახელმწიფო მოღვაწეები, როგორც წესი, დიპლომატებიც იყვნენ, მაგალითად, პისისტრატე, არისტიდე, თემისტოკლე, პერიკლე.

ფეოდალური საზოგადოების დიპლომატიიისაგან მკვეთრად განსხვავდება კაპიტალისტური, ბურჟუაზიული პერიოდის დიპლომატია.

რა მოთხოვნებსაც არ უნდა უყენებდეს დიპლომატს ნებისმიერი ეპოქა, მასში ყოველთვის ფასდებოდა ისეთი თვისებები, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღნიშნავდა ფრანგი დიპლომატი კალიერი წიგნში „მონარქებთან მოლაპარაკების წარმოების საშუალებათა შესახებ“ (პარიზი, 1716 წ.). ეს თვისებებია: „დაკვირვებული და ბეჯითი აზროვნება, რაც ნებას არ აძლევს მას გაიტაცოს სიამოვნებებმა, ფრივიალურმა გრძნობებმა, საღი გონება, რაც დაეხმარება საგნები აღიქვას ისე, როგორც სინამდვილეშია, მიზნისაკენ სვლა ყველაზე მოკლე და ბუნებრივი გზით, წვრილმანების გამოდევნებასა და თავის არდაძრომაზე უარის თქმა; გამჭრიახობა, რაც დაეხმარება ადამიანთა გულში ნადების განჭვრეტაში; ნიჭი — ამოიცნოს ყველაზე თავშეკავებულ ადამიანებშიც სახის ოდნავი მოძრაობითაც კი მისი გრძნობები; სწრაფი გააზრების უნარი, რომელიც გააქარწყლებს დაბრკოლებებს და ერთმანეთს შეუთანხმებს მოლაპარაკების მხარეთა ინტერესებს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ მოსწრებულად უპასუხოს გაუთვალისწინებელ შეკითხვებს და ფრთხილი რეპლიკებით გვერდი აუაროს სარისკო გამონათქვამებს; ზომიერი ხასიათი, მშვიდი და მომთმენი ბუნება, მზადყოფნა იმისათვის, რომ ყურადღებით მოუსმინოს იმას, ვისთანაც აქვს საქმე; გულგახსნილი მიდგომა ადამიანისადმი, ხასიათის სირბილე, თავაზიანობა, სასიამოვნო მოპყრობა, თავისუფალი, სიმპათიების აღმძვრელი მანერა, რაც ძალზე დაეხმარება იმათი კეთილგანწყობის მოპოვებაში, ვისთანაც საქმეს იჭერს; ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც ცივი და მედიდური შეხედულება, უხეში და პირქუში მანერა როგორც წესი, უარყოფით რეაქციასა და ზიზღს იწვევს.

განსაკუთრებით საჭიროა, რომ დიპლომატი საკმაოდ კარგად ფლობდეს თავს და არ აჰყვეს დაუოკებელ მოთხოვნას სთქვას რაიმე, ვიდრე საფუძვლიანად არ გაიაზრებს ნათქვამს; არ იჩქაროს, სწრაფად და დაუფიქრებლად არ უპასუხოს წინადადებებს, რომლებსაც სთავაზობენ...“

ამერიკელი და ფრანგი დიპლომატების ჯონ ვუდის და ჟან სერეს წიგნში „დიპლომატიური ცერემონიალი და ოქმი“, დიპლო-

მატიური პროფესიის განმარტებისას აღნიშნულია, რომ ელჩი წარმოადგენს თავის ქვეყანას მასპინძელი ქვეყნის მთავრობასთან. ის აღჭურვილია აუცილებელი უფლებებით საკუთარი მთავრობის მიერ, შეუძლია გამოვიდეს განცხადებით მთავრობის სახელით. მის კომპეტენციაშია იმ კორესპონდენციის მიღებაც და გაგზავნაც, რომელსაც ერთურთს უცვლიან მასპინძელი ქვეყანა და ის სახელმწიფო, რომელსაც ელჩი წარმოადგენს. ელჩი არის ორ სახელმწიფოს შორის მუდმივი შუამავალი. სწორედ ის არის მის ქვეყანასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის ოფიციალური წყარო.

აბსოლუტური მონარქიის პერიოდში ელჩები მონარქების პირად წარმომადგენლებად ითვლებოდნენ და აქედან აღმოცენდა დიპლომატიური წარმომადგენლებისათვის განსაკუთრებული იმუნიტეტის ცნება. მონარქიების პარლამენტური სისტემით შეცვლამ ნაწილობრივი ცვლილება შეიტანა ამ წესში, ვინაიდან მონარქებმა დაკარგეს პოლიტიკური პრეროგატივა. ზოგიერთ სახელმწიფოში, სადაც აღმასრულებელი ძალაუფლება ძლიერ და გავლენიან პიროვნებას უპყრია ხელთ, ასეთ პრაქტიკას დღესაც ვხვდებით.

მასპინძელი ქვეყნის ხალხის თვალში ელჩები თავიანთი სახელმწიფოთა წარმომადგენლები არიან. ამიტომაც ელჩის და საელჩოს თანამშრომელთა ქცევა, როგორც საზოგადოებრივ, ისე პირად ცხოვრებაში, უხინჯო უნდა იყოს. დიპლომატიურ წარმომადგენელთა დანიშვნისას მთავარ კრიტერიუმად ადამიანის მორალური თვისებები უნდა ითვლებოდეს. სახელმწიფო, რომელიც ისეთ პიროვნებას ნიშნავს თავის წარმომადგენლად, რომელიც პატივისცემას არ იმსახურებს, საკუთარ თავს არ სცემს პატივს.

* * *

დავუბრუნდეთ დღევანდელობას.

თანამედროვე დიპლომატია ფართოდ იყენებს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას, იმ ხერხებსა და მეთოდებს, რომლებმაც ჟამთა სვლას გაუძლეს, ასეთებია: ურთერთშეხვედრები, თათბირები, სახელმწიფო მეთაურთა ორმხრივი მოლაპარაკებები და კონფერენციები, მთავრობის მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრთა შეხვედრა-მოლაპარაკებები და სხვა.

პრაქტიკაში ფართოდ არის მიღებული სახელმწიფოთა შორის დიპ-ლომატიური მიმოწერა, განცხადებების, ნოტების, სამახსოვრო ბა-რათების გაცვლა. დიპლომატიური მიმოწერით წყდება საგარეო პო-ლიტიკის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი.

დიპლომატიური მოღვაწეობის ძირითადი სფეროა საელჩოები, მისიები, საზღვარგარეთ არსებული სხვა წარმომადგენლობები. ქვეყნები თავიანთი წარმომადგენლობების მეშვეობით ახორციელე-ბენ ურთიერთკავშირს, ცვლიან ინფორმაციას.

ყველა მთავრობამ საზღვარგარეთის საკუთარი წარმომადგენლო-ბა უნდა უზრუნველყოს აუცილებელი სახსრებით, რათა საუკეთე-სო წარმოდგენა შექმნას თავის სახელმწიფოზე. ელჩს უნდა ჰქონ-დეს იმის შესაძლებლობა, რომ იყოს გულუხვი, სტუმართმოყვარე მასპინძელი, როდესაც ეს აუცილებელია. წვეულებები საჭიროების შემთხვევაში ისევე აუცილებელია, როგორც მათი ხშირი მოწვევა. დიპლომატები უნდა ხვდებოდნენ არა მარტო მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელებს, არამედ საზღვარგარეთის სხვა დიპლომატებს, ქვეყნის არაოფიციალურ პირებს, ყველა იმათ, ვინც გარკვეული გავ-ლენით სარგებლობს. ელჩსა და მის თანამშრომლებს კონტაქტები უნდა ჰქონდეთ არა მარტო მაღალი, არამედ დაბალი თანამდებობის პირებთანაც. მათი პირადი მეგობრული კონტაქტები ყოველთვის სასარგებლო იქნება ურთიერთობათა დამყარების საქმეში. მაგრამ დაუშვებელია მღვრიე წყალში თევზის დაჭერის პოლიტიკა, რაც პოლიტიკურ ავანტიურისტებთან კავშირში გამოიხატება.

ელჩის საქმიანობაში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საინ-ფორმაციო მუშაობას. ეს არის სისტემატური, პირდაპირი და ორ-მხრივი საქმიანობა. ელჩმა უნდა განმარტოს თავისი მთავრობის ზოგადი პოლიტიკა, იღვწოდეს, რათა იგი ყველასათვის გასაგები იყოს, მიაღწიოს მასპინძელი ქვეყნის მთავრობის მხარდაჭერას. ელ-ჩი საკუთარ მთავრობას ინფორმაციას უნდა აწვდიდეს იმ ქვეყა-ნაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, სადაც იმყოფება, თუკი ისი-ნი უშუალოდ მის სახელმწიფოს ეხება. საელჩოს მიერ ინფორმა-ციის მიღება ხდება ლეგალური გზებით, მასპინძელი ქვეყნის პრე-სის მეშვეობით, კოლეგებთან საუბრების გზით, მასპინძელი ქვეყ-ნის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებთან მოლაპარა-კების შედეგად, ქვეყნის არაოფიციალური და საზოგადო მოღვა-წეებთან შეხვედრებისას. მასპინძელი ქვეყანა არ უნდა კრძალავ-

დეს დიპლომატების შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან, არ უნდა უშლიდეს ხელს ადგილობრივი მოსახლეობის მისვლას საელჩოში. დიქტატორული რეჟიმის მქონე ზოგიერთ სახელმწიფოში ეს წესი ირღვევა. ამ შემთხვევაში დიპლომატმა ჩუმი დაკვირვების გზა უნდა აირჩიოს. მას უფრო მეტს მოუტანს ქვეყანაში მოგზაურობა და დაკვირვება, ვიდრე მთავრობის პოლიტიკით დამფრთხალ ხალხთან საუბარი. დიპლომატებს ეკრძალებათ მასპინძელი ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ ან ამ მთავრობის მიმართ შეურაცხმყოფელ ფორმებში გამოსვლა. როგორც წესი, ელჩები და კონსულები არ უნდა ჯაშუშობდნენ, მაგრამ არის ამ წესის დარღვევის შემთხვევებიც. ყოველი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს საიდუმლო ინფორმაციის მიღებას მასპინძელი ქვეყნის მთავრობაზე გავლენის მოხდენის მიზნით, დიპლომატიის სამსახურებრივი მოვალეობის უხეშ დარღვევად ითვლება. მასპინძელ ქვეყანას უფლება აქვს გააწვევინოს ელჩი.

საუბრის დროს ელჩი ვალდებულია წარმოაჩინოს საკუთარი ქვეყნის პოზიცია მასპინძელი ქვეყნის პოზიციის გათვალისწინებით. ამაში გამოიხატება მოლაპარაკების ხელოვნება, მოლაპარაკებას მაშინ მართავენ, როდესაც არის მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთკავშირების ორმხრივი სურვილი. მხარეებმა უნდა გამოხატონ სურვილი შეთანხმებული გადაწყვეტილების მისაღებად, ამის გარეშე ძნელია წარმატების მიღწევა. ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს დათმობის უნარი. მოლაპარაკების წარმართვა ინდივიდუალური და სუბიექტურია. მოლაპარაკების დროს ჩანს მოსაუბრის პირადი თვისებები, ტემპერამენტი; წარმოჩინდება მისი მოხერხებულობა, ვითარების სწორი შეფასების უნარი. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის მიღების საკითხს. საელჩოსათვის ცნობილი უნდა იყოს მისი ქვეყნის შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, რამაც მთავრობას გარკვეული ნაბიჯი გადაადგმევინა. ელჩმა უნდა იცოდეს, თუ რა წარმატების მიღწევა სურს მის მთავრობას მოლაპარაკების დროს, და ისიც, თუ რისი დათმობა შეუძლია. საელჩოს იმის ინფორმაციაც უნდა ჰქონდეს, თუ რამდენადაა მზად მასპინძელი ქვეყანა სასურველ და შესაძლებელ დათმობაზე წავიდეს. მოლაპარაკების დროს ფასდება დიპლომატის პროფესიული დონე და ოსტატობა.

დიპლომატი ყველა შემთხვევაში ვალდებულია იყოს კეთილსინ-

დისიერი, მას ყურს დაუგდებენ, მის რჩევას გაიზიარებენ და სასურველ წარმატებას მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ ისინი, ვისთანაც დიპლომატი საუბარს, მოლაპარაკებას მართავს, დარწმუნდებიან, რომ ის ნამდვილად ლაპარაკობს თავისი მთავრობის სახელით და ნამდვილად არის ის პიროვნება, რომელმაც იცის რას მოელის მოლაპარაკებიდან, რა მიზანს ესწრაფვის. მან გულწრფელად, გონივრულად და ურთიერთმისაღებად უნდა გადაწყვიტოს საკითხი. თუ დიპლომატის პროფესიული ავტორიტეტი და მორალური მხარე ეჭვს იწვევს, მოლაპარაკებისას კონსტრუქციული გადაწყვეტილების ძიებაც გაძნელდება. თუ დიპლომატს ტყუილზე წაასწრეს, მას სამუდამოდ გაუტყდება სახელი. დიპლომატი ყოველთვის უნდა იყოს თავშეკავებული, მოკრძალებული. საკუთარი წარმატებების ხაზგასმამ შეიძლება სხვებში დამცირებისა და შურის გრძნობა გამოიწვიოს. სასურველია, რომ დიპლომატი კეთილგანწყობილი იყოს მასპინძელი ქვეყნის არა მარტო ოფიციალურ პირების, არამედ საზოგადო მოღვაწეების მიმართ.

ელჩი უნდა იყოს ობიექტური და ჰქონდეს მშვიდი და საღი აზროვნების უნარი. მან უნდა შეძლოს ვითარების ზუსტი შეფასება, იყოს საკმაოდ ერუდირებული, რათა შესაბამისად იმოქმედოს ამა თუ იმ სიტუაციაში. უნდა ერკვეოდეს ეკონომიკაში, უნდა საუბრობდეს მარტივი და გასაგები ენით, არ უნდა მიმართოს პოლემიკას (ვინაიდან ხანგრძლივ პოლემიკას არასდროს მიუყვანია საკითხი მშვიდობიან გადაწყვეტამდე), არამედ უნდა ესწრაფოდეს ურთიერთმისაღები და სამშვიდობო გადაწყვეტილების გზების ძიებას.

ელჩმა უნდა იცოდეს ენები. ჰქონდეს ფართო მსოფლმხედველობა. უნდა დაინტერესდეს სხვა ქვეყნებისა და ხალხების ცხოვრებით; არ უნდა გამოიჩინოს არც ზედმეტი ინტერესი და არც გადაჭარბებული სიმპათია, ან ანტიპათია. დიპლომატი და მისი მეუღლე ზომიერი ხასიათისანი უნდა იყვნენ, ჰქონდეთ მოთმინება და გაგებით უნდა ეკიდებოდნენ სხვათა აზრს. დიპლომატი უნდა იყოს გულღია, თავაზიანი, კეთილმოსურნე. მან ისეთი იმიჯი უნდა შეიქმნას, რომ პიროვნებას მასთან გამეორებით შეხვედრის სურვილი გაუჩნდეს.

დიპლომატის ხასიათი ყალიბდება სწავლასა და სამსახურში მი-

ღებული გამოცდილებით. ყოველდღიური სამსახური დიპლომატს ასწავლის, თუ რა უნდა გააკეთოს და რას აარიდოს თავი.

ელჩის საქმიანობაში შედის მასპინძელ ქვეყანაში მომუშავე თანამემამულეების (ვაჭრები, სპეციალისტები, მეზღვაურები, მეთევზეები და სხვანი) ინტერესების დაცვა.

საელჩოს შტატში უნდა იყვნენ სათანადო გამოცდილების მქონე თანამშრომლები, რომლებსაც შეეძლებათ გულახდილად გამოხატონ თავიანთი აზრი მიუხედავად იმისა, ემთხვევა თუ არა იგი ელჩის აზრს. საელჩოს თანამშრომლების სამსახურისადმი თავდადება და ელჩისადმი ლოიალური განწყობა დიპლომატიური წარმომადგენლობის წარმატების ძირითადი საწინდარია.

საზღვარგარეთ საელჩოების, მისიების, წარმომადგენლობების, ე. ი. ქვეყნებს შორის ორმხრივი კავშირების გარდა, თანამედროვე დიპლომატიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციების მოღვაწეობას. მათ შორის პირველობას ვერავინ შეეცილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციას. ეს ის ორგანიზაციაა, სადაც მსოფლიოს ყველა ქვეყანას შეუძლია თანასწორობის პრინციპის დაცვით იმსჯელოს მსოფლიოს ან თავისი ქვეყნისათვის საჭირბოროტო ამა თუ იმ საკითხზე.

დაწესებულებას, რომელიც პრაქტიკულად სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ახორციელებს, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში საგარეო საქმეთა სამინისტრო ჰქვია; მაგრამ არის გამონაკლისიც; მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო დეპარტამენტი ჰქვია, ინგლისში — ფორინ ოფისი, საფრანგეთში, ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, კე დ'ორსე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო აანალიზებს უცხოეთიდან მიღებულ საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, ამზადებს წინადადებებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით. აღნიშნული საქმის განსახორციელებლად მას მჭიდრო კავშირი აქვს საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებულ საკუთარ დაწესებულებებთან, აგრეთვე თავის ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამზადებს და მონაწილეობს სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციების მიღებაში, აგრეთვე საზღვარგარეთ საკუთარი ქვეყნის დელეგაციის ვიზიტის მომზადებაში, მონაწილეობს

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში, ამზადებს ამ ლონისძიებისათვის საჭირო ხელშეკრულებებისა და დოკუმენტების პროექტებს, საზღვარგარეთ საკუთარი წარმომადგენლობების მეშვეობით იცავს თავისი სახელმწიფოსა და მოქალაქეების პირად და ქონებრივ ინტერესებს და სხვ.

სამინისტროს ხელმძღვანელობას შეადგენენ მინისტრი, მინისტრის მოადგილეები, კოლეგიის წევრები. სამინისტრო სტრუქტურაში შედიან საგანგებო დანიშნულების ელჩები, მინისტრის მრჩევლები, გენერალური სამდივნო, ოპერატიულ-დიპლომატიური და ფუნქციონალური განყოფილებები და სამმართველოები, სამეურნეო-ადმინისტრაციული სამსახური. ოპერატიულ-დიპლომატიურ განყოფილებას მთავარი ადგილი უკავია საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობაში. ოპერატიული განყოფილებები, როგორც წესი დაყოფილი არიან გეოგრაფიულ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით, მაგალითად: ევროპის, ლათინური ამერიკის, შორეული აღმოსავლეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის და სხვა ქვეყნების განყოფილებებად. ფუნქციონალურ განყოფილებებად ჩაითვლება საგარეო პოლიტიკის პროგნოზირების, პრესის, საერთაშორისო ორგანიზაციათა, საერთაშორისო ეკონომიკურ საკითხთა, სამართლებრივ საკითხთა და სხვა განყოფილებები, აგრეთვე ისტორიულ-დიპლომატიური განყოფილება, საკონსულო სამმართველო, საოქმო განყოფილება.

გარდა აღნიშნული განყოფილებებისა, საგრეო საქმეთა სამინისტროების სტრუქტურაში შედის განყოფილება, სამმართველო ან სექტორი, რომელიც ერთი შეხედვით უშუალოდ არ მონაწილეობს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, მაგრამ მისი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის საკითხებთან. ეს არის ისტორიულ-დიპლომატიური სამმართველო, რომლის ძირითად საქმიანობას დიპლომატიკური დოკუმენტების გამოცემა წარმოადგენს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაყოფიერ მოღვაწეობას ერთობ უწყობს ხელს ამ უწყებაში სამეცნიერო ბიბლიოთეკის არსებობა. საგარეო საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაობისათვის აუცილებელია დიპლომატიური კურიერების (შიკრიკების) სამსახური.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობების, ე. ი. დიპლომატიური კორ-

პუსის მომსახურების საკითხებს. მაგალითად, საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებული სპეციალური დიპლომატიური კორპუსის მომსახურების სამმართველოს ეხება ყველა მსხვილმანი და წვრილმანი საკითხი, რომელიც კი დიპლომატების, უცხოელი კორესპონდენტების სამეურნეო მომსახურებასთან არის დაკავშირებული (საქართველოში — საგარეო საქმეთა სამინისტროს სამმართველო „დიპსერვისი“). სწორედ ამ სამმართველოს ფუნქციებში შედის საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებისა და დიპლომატიური თანამშრომლებისათვის საცხოვრებლისა და რეზიდენციისათვის შენობების გამოძებნა.

სამმართველო ახორციელებს საელჩოების მშენებლობისა და რემონტის საკითხებს, საელჩოთა თხოვნიდან გამომდინარე არჩევს მათთვის თარჯიმნებს, მძღოლებს, დამლაგებლებს, მზარეულებს, დიპლომატებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის მასპინძელი ქვეყნის ენის მასწავლებლებს, ეხმარება დიპლომატებს ქვეყანაში სამოგზაუროდ თვითმფრინავის, მატარებლის, სხვა ტრანსპორტზე ბილეთის შეძენასა და სასტუმროში ნომრების დაჯავშნაში.

* * *

დიპლომატის პროფესია ერთ-ერთი უძველესი პროფესიაა. დიპლომატი არის საგარეო სამსახურის თანამშრომელი, რომელიც ახორციელებს თავისი ქვეყნის ოფიციალურ კავშირებს სხვა სახელმწიფოებთან.

ბევრს ჰგონია, რომ მთავრობის მიერ დასმული საკითხის გადასაჭრელად დიპლომატი მიზანს აღწევს ეშმაკური მეთოდებით, მალავს საკუთარ ჭეშმარიტ აზრს, შეცდომაში შეჰყავს მოწინააღმდეგე მხარე. ასეთი დახასიათების განმტკიცების მიზნით ბევრი ინგლისელი დიპლომატის ჰენრი უოტონის (1568—1639) სიტყვებს იხსენებს: „დიპლომატი არის პატიოსანი ადამიანი, რომელსაც აგზავნიან უცხოეთში საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ ტყუილის სათქმელად". შესაძლოა ეს მართლაც ასე იყო საუკუნეების წინათ, მაგრამ დღეს დიპლომატის ყველაზე ძვირფას თვისებად ითვლება სიმართლის თქმა, რასაც არანაკლები ფასი აქვს, ვიდრე დიპლომატიურ დოკუმენტს. დიპლომატმა ტყუილი არ უნდა თქვას. მან უნდა შეცვალოს საუბრის მიმართულება, თუკი ის იღებს დელიკატურ ხასიათს. დიპლომატს ყოველთვის შეუძლია თავი აარიდოს თავშეუკავებელ შეკითხვას, მაგრამ მან არასოდეს არ უნდა გააკეთოს ცრუ განცხადებები არც საკუთარი ინიციატივით და არც თავისი მთავრობის დაძალებით, ვინაიდან ცრუ განცხადებისათვის ელჩი უმალ იქნება დისკრედიტებული. თუმცა დიპლომატიაში ადგილი ჰქონდა და მომავალშიც შეიძლება ჰქონდეს საომარი მოქმედების დროს სინამდვილის დაფარვის ფაქტს.

მიუხედავად ამისა, დიპლომატიის ისტორიაში მრავალი მაგალითია, როცა XV—XVIII საუკუნეებში ელჩები ქრთამებს აძ-

ლევდნენ მეფის კარის მსახურებს, აქეზებდნენ და აფინანსებდნენ აჯანყებებს, ხელს უწყობდნენ ოპოზიციურ პარტიებს, ერეოდნენ ქვეყნის საშინაო საქმეებში, ცრუობდნენ, ჯაშუშობდნენ, ქურდობდნენ. ასეთ ფაქტებს აღწერს თავის წიგნში ინგლისელი დიპლომატი გ. ნიკოლსონი.

როგორც ცნობილია XV საუკუნემდე, ზოგიერთ ქვეყანაში კი XVIII საუკუნემდე არ არსებობდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობები. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა მყარდებოდა და მიმდინარეობდა დროდადრო სპეციალური ელჩების მეშვეობით. როგორც წესი, ასეთ ელჩობას თან ახლდა ელჩის დიდი ამალა მდიდარი გარდერობითა და ფასიანი საჩუქრებით. ელჩები თავიანთი სახელმწიფოს სახელით საჩუქრებს გადასცემდნენ მასპინძელ მხარეს. ელჩის და მისი ამალის მდიდრული ტანსაცმელი, ფასიანი საჩუქრები იმ ქვეყნის სიმდიდრის დამახასიათებლად ითვლებოდა, საიდანაც იგი იყო წარგზავნილი. იმ დროს არცთუ უხიფათო იყო შეიარაღებული დაცვის გარეშე მოგზაურობა. მასპინძელი ქვეყანა ელჩს საზღვარზე ახვედრებდა შეიარაღებულ დაცვას, რომელიც დედაქალაქამდე მოაცილებდა. დროთა ვითარებაში მასპინძელი ქვეყნის მხრიდან ელჩის დაცვისათვის გამოყოფილი შეიარაღებული რაზმი გადაიქცა მასპინძელი ქვეყნის სამხედრო ძლიერების გამოხატვის ფორმად. გარდა საპატიო ყარაულისა, რომელიც ელჩს მოგზაურობაში ახლდა, მგზავრობის მარშრუტზე, თითქმის ყველა პატარა თუ დიდ ქალაქში, მას შეიარაღებული რაზმები ხვდებოდნენ, ზარბაზნების სროლითა და სამხედრო მუსიკით ეგებებოდნენ. გარეგნულად ასეთი შეხვედრა პატივისცემად მიიჩნეოდა, მაგრამ მთავარი მიზანი მაინც სამხედრო ძალის დემონსტრირება იყო. ამას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა უცხოელებზე, დაერწმუნებინა ისინი მასპინძელი ქვეყნის სამხედრო ძლიერებაში.

მოგვიანებით, მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების გაჩენის შემდეგ, ამ სახით სამხედრო ძალის დემონსტრირებამ მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ შემორჩა სახეშეცვლილი საპატიო ყარაულის ფუნქცია, თანამედროვე დიპლომატიური ოქმი სახელმწიფო მეთაურთა საზღვარგარეთ ვიზიტების დროს იყენებს საპატიო სამხედრო ყარაულს, სახელმწიფო ჰიმნსა და არტილერიის ზალპს შეხვედრა-გაცილებისას.

საკმაოდ ბევრი დრო დასჭირდა დიპლომატიას იმისათვის, რომ

შეემუშავებინა დიპლომატთა შორის უფროსობის საკითხი. ამ მტკივნეულ საკითხს ხშირად გამოუწვევია კონფლიქტები და ქვეყნებს შორის ურთიერთობათა გაუარესება. დიპლომატთა შორის უფროსობის რეგლამენტაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა გასულ საუკუნეში. 1815 წლის 19 მარტს ვენის კონგრესმა, რომელშიც ევროპის სახელმწიფოები მონაწილეობდნენ, განსაკუთრებული რეგლამენტი მიიღო. მოგვიანებით, 1818 წლის 21 ნოემბერს, ეს რეგლამენტი შეივსო ქ. ააჰენში გამართულ კონფერენციაზე მიღებული ოქმით, რომლის მიხედვითაც შემოღებულ იქნა დიპლომატიური რანგები — ელჩების და ნუნციების კლასი (ნუნციები ვატიკანის დიპლომატიური წარმომადგენლებია, რომლებიც რანგით ელჩებს უტოლდებიან), დესპანები, სრულუფლებიანი მინისტრები, მინისტრი რეზიდენტები, საქმის რწმუნებულები. ასზე მეტი წლის შემდეგ დიპლომატთა კლასიფიკაციამ ნაწილობრივი ცვლილება განიცადა. 1961 წელს ვენაში, მსოფლიოს მრავალი ქვეყნისა და გაეროს წევრი სახელმწიფოების მონაწილეობით, მიღებულ იქნა დიპლომატიურ ურთიერთობათა საკითხების კონვენცია, რომელიც დიპლომატიის ისტორიაში შევიდა ვენის კონვენციის სახელით. ამ კონვენციამ დაამტკიცა დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურთა სამი კლასი: ელჩები და ნუნციები, დესპანები და ინტერნუნციები (ვატიკანის წარმომადგენლები), საქმის რწმუნებულები. ელჩები, ნუნციები, დესპანები და ინტერნუნციები აკრედიტებული არიან სახელმწიფოს მეთაურთან, ხოლო საქმის რწმუნებულები — საგარეო საქმეთა მინისტრებთან. დიპლომატიური სამსახურის სხვა თანამშრომლებსაც ენიჭებათ დიპლომატიური რანგები იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობა უკავიათ მათ საგარეო საქმეთა სამსახურში. მასპინძელი ქვეყნისათვის დიპლომატიური რანგი ითვლება ორიენტირად უცხოელი დიპლომატის მიღების დროს. რანგი განსაზღვრავს დიპლომატის მდგომარეობას დიპლომატიურ კორპუსში და მის შესაძლებლობას მასპინძელ ქვეყანაში კონტაქტების დამყარებისას. ვენის და ააჰენის კონგრესამდე დიპლომატთა შორის უფროსობის საკითხი დიდ კამათს იწვევდა, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი თავის თავს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე მისი კოლეგა იყო სხვა ქვეყნიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიპლომატი უფრო აღმატებულ ადგილს ითხოვდა ოფიციალური ცერემონიების და წვეულებების

დროს. კამათს დიპლომატები ხშირად შეიარაღებულ შეტაკებამდე მიჰყავდა.

თავის წიგნში ფრანგი დიპლომატი ჟიულ კამბონი აღნიშნავს: „ადრე, როდესაც ელჩი მასპინძელ ქვეყანაში თავის საქმიანობას იწყებდა, ქვეყანაში ჩასვლის დროს მას ხვდებოდნენ მასპინძელ ქვეყანაში ადრე ჩასული სხვა ქვეყნების ელჩები, რომლებიც ახალ ელჩს სახლამდე მიაცილებდნენ. ეს ცერემონიალი ხშირად კონფლიქტებით მთავრდებოდა, ვინაიდან ცერემონიალში მონაწილე ელჩები ერთმანეთს ეცილებოდნენ საპატიო ადგილზე მოხვედრაში. მაგალითად, 1661 წელს შვედეთის ელჩის ლონდონში ჩასვლის დროს ესპანეთის ელჩის, გრაფ ვატეევილის მსახურები შელაპარაკდნენ საფრანგეთის ელჩის გრაფ დ'ესტრადას მსახურებთან იმასთან დაკავშირებით, თუ ვისი ეტლი დამდგარიყო წინ. კამათში დაშნებიც ჩაერია და ბევრი ესპანელი, ფრანგი და ინგლისელი შეეწირა ამ კონფლიქტს.

1878 წელს ლონდონში, სასახლეში გამართულ წვეულებაზე, საფრანგეთის ელჩმა დაიგვიანა და როდესაც დაინახა, რომ მისი ადგილი ავსტრიის ელჩის გვერდით დაკავებული იყო რუსეთის ელჩის ჩერნიშევის მიერ, მათ შუა ჩაეჩხირა, რამაც დუელი გამოიწვია. დუელში რუსეთის ელჩი დაიჭრა.

დღეს დიპლომატისათვის აუცილებელი არ არის თავისი უფროსობის დასამტკიცებლად იარაღს მოკიდოს ხელი. დიპლომატიური ოქმი ძალიან სწრაფად და ზუსტად ჭრის ამ საკითხს, მაგრამ მცირე უზუსტობასაც კი არანაკლები უსიამოვნების გამოწვევა შეუძლია. მაგალითად, საფრანგეთის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ალფანმა, ამერიკელი სენატორის წვეულებაზე, რომელზეც სხვა ოფიციალური პირებიც იყვნენ მიწვეულნი, უარი განაცხადა დამჯდარიყო მაგიდასთან, ვინაიდან მას ნაკლებად საპატიო ადგილი ერგო, თუმცა მთავარ სტუმრად ითვლებოდა. ალფანმა თქვა, რომ როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეს მას მაგიდის ქვეშაც შეუძლია ჯდომა, მაგრამ როგორც ქვეყნის წარმომადგენელს, უფრო საპატიო ადგილი შეეფერება. მასპინძელმა ის ყველაზე საპატიო ადგილას — ხელმარჯვნივ, თავის გვერდით დასვა.

საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე, დიპლომატიური წარმომადგენლობის სტრუქტურა შედგება დიპლომატიური მუშაკებისაგან, ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონა-

ლისაგან. უმრავლეს ქვეყნებში მიღებულია შემდეგი დიპლომატიური რანგები: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, საქმეთა მუდმივი რწმუნებული, პირველი კლასის მრჩეველი, მეორე კლასის მრჩეველი, პირველი კლასის პირველი მდივანი, მეორე კლასის პირველი მდივანი, პირველი კლასის მეორე მდივანი, მეორე კლასის მეორე მდივანი, მესამე მდივანი, ატაშე. საბჭოთა კავშირში ელჩისა და დესპანის რანგები ენიჭებოდათ უზენაესი საბჭოს მიერ, სხვა რანგებს კი საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით ანიჭებდნენ.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საგარეო საქმეთა სამინისტროს წარდგინებით ანიჭებს უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს.

რანგების მიხედვით საზღვარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობის სტრუქტურა ასე გამოიყურება: ელჩი, მრჩეველი დესპანი, მრჩეველი, პირველი მდივანი, მეორე მდივანი, მესამე მდივანი, ატაშე. ეს უკანასკნელი ყველაზე დაბალ დიპლომატიურ რანგად ითვლება, მაგრამ დიპლომატიურ წარმომადგენლობაში არის სამხედრო საქმის ატაშე, სამხედრო-საჰაერო ატაშე, სამხედრო-საზღვაო ატაშე და რანგით გაცილებით მაღლა დგანან, ვიდრე დიპლომატიური ატაშე. ისინი უტოლდებიან ელჩის მრჩეველის რანგს. სამხედრო ატაშეები არიან თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მასპინძელი ქვეყნის ანალოგიურ სამსახურში.

გარდა ამისა, საელჩოს შემადგენლობაში არიან ატაშეები მეცნიერებისა და კულტურის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის დარგებში. საელჩოს შემადგენლობაში არიან აგრეთვე პრეს-ატაშეები. პრეს-ატაშეს ფუნქცია შეიძლება ნებისმიერ დიპლომატიურ თანამშრომელს დაევალოს.

დიპლომატიური რანგი განსაზღვრავს დიპლომატთა შორის უმცროს-უფროსობის საკითხს.[1] საელჩო აწვდის მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამსახურს საკუთარი დიპლომატიური თანამშრომლების რანგების მიხედვით უმცროს-უფროსების სიას. თანაბარი რანგის მქონე დიპლომატიდან უფროსად ითვლება ის, ვინც უფრო ადრე დაიწყო მუშაობა საელჩოში; სიაში ჯერ მას წერენ,

---

[1] უფრო დაწვრილებით, იხ. ქვემოთ.

ხოლო შემდეგ იმ დიპლომატს, ვისაც თანაბარი რანგი აქვს, მაგრამ გვიან შეუდგა საელჩოში სამსახურეობრივ საქმიანობას. ზოგიერთი ქვეყანა სიაში ელჩის შემდეგ იხსენიებს იმ დიპლომატს, რომელსაც ელჩი მასპინძელ ქვეყანაში თავისი დროებითი არყოფნის დროს ნიშნავს მისი საქმეების შემსრულებლად. მას დროებითი საქმეთა რწმუნებული ჰქვია. დროებითი საქმეთა რწმუნებული რანგით შეიძლება იყოს ან საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი, ან მრჩეველი. პატარა საელჩოებში ელჩი შეიძლება შეცვალოს რანგით უფროსმა დიპლომატმა, მაგალითად, პირველმა ან მეორე მდივანმა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუ საელჩოს არა ჰყავს სხვა მაღალი რანგის დიპლომატიური თანამშრომელი. გამოუვალ შემთხვევაში, როდესაც ელჩის გარდა საელჩოს არ ჰყავს სხვა რანგის დიპლომატიური თანამშრომელი, ელჩის დროებით შეცვლა შეუძლია საელჩოს ადმინისტრაციულ თანამშრომელსაც, მაგრამ ის არ ასრულებს ისეთ დიპლომატიურ საქმეებს, რომელსაც დროებითი საქმეთა რწმუნებული შეასრულებდა, მას მხოლოდ საელჩოს სამეურნეო საქმეების გადაწყვეტა შეუძლია. რუსეთში დიპლომატიურ სიაში სამხედრო ატაშე მიჰყვება პოლიტიკურ მრჩეველს, ხოლო სამხედრო ატაშეს თანაშემწე — პირველ მდივანს.

დიპლომატიური ოქმის მნიშვნელობა საერთაშორისო ცხოვრებაში

მსოფლიოს არც ერთი ცივილიზაცია არ არსებობდა ცერემონიალის გარეშე. საზოგადოების აღმოცენებასთან ერთად ჩნდებოდა იმის აუცილებლობაც, რომ შემოღებული და დაცული ყოფილიყო წესრიგი და დისციპლინა. საზოგადოებრივი ურთიერთობები ავალდებულებდა მხარეებს გარკვეული წესებისადმი პატივისცემას, რის გარეშეც თვით საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელი იქნებოდა, გამეფდებოდა ქაოსი და ანარქია. წესწყობილებისა და სტაბილიზაციის განსამტკიცებლად ყველა ქვეყნის ხელმძღვანელობა ცდილობდა შეექმნა იერარქია. ამრიგად, იქმნებოდა ყოვლისმომცველ წესთა და კანონთა კრებული, რომელიც ხელს უწყობდა სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებით დაკავებულ პირებს განსხვავებული პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მიღებაში, რაც აუცილებელი იყო სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. სახელმწიფოთა იერარქიული წესი განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

საერთაშორისო ურთიერთობებში სხვა სურათი გვაქვს. ცერემონიალს, რაც საერთაშორისო პრაქტიკითაა მიღებული, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ყველა სახელმწიფოში დიპლომატიური ოქმი ქმნის ნორმალურ და შესაბამის პირობებს იმისათვის, რომ მთავრობათა და თანამდებობის პირთა შორის მიღწეულ იქნეს ყოველგვარი პირობა სამშვიდობო და მეგობრული ვითარების შესაქმნელად. მსოფლიოში აღიარებული დიპლომატიური ოქმის საერთო წესები ხელს არ უშლის ნებისმიერ ქვეყანას, რათა საკუთარი ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარე გაამდიდროს ოქმით გათვალისწინებული ცერემონიალი.

მთავრობები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო შეხვედრა-მოლაპარაკებებისა და ცერემონიალის მომზადებას. ცუდად მოწყობილმა ცერემონიალმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მოლაპარაკებათა შედეგებზე. ყურადღება, რომელსაც მასპინძელი იჩენს სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის თავმჯდომარის, მთავრობის წევრების და სხვა ოფიციალური პირების ვიზიტების დროს, ნიშნავს იმას, თუ რამდენად სასურველია ორ ქვეყანას შორის შემდგომი ურთიერთობების განმტკიცება-განვითარება. წარმატებული საზეიმო ცერემონიალი, ხელგაშლილი სტუმართმოყვარეობა, სიტყვების, საჩუქრებისა და ჯილდოების გაცვლა, ნათელყოფს ორი ქვეყნის ხელისუფალთა ლტოლვას მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ.

საერთაშორისო ურთიერთობებში 170-ზე მეტი სახელმწიფოა ჩაბმული. ყველა მათგანს თავისი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, ისტორია, ტრადიციები, ენა, კულტურა აქვს. რომ არ იყოს ურთიერთობათა საქვეყნოდ აღიარებული საერთო პრინციპები, სუვერენიტეტის, თანაფარდობის, ტერიტორიული მთლიანობის და ერთმანეთის საქმეში ჩაურევლობის პრინციპები, შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოთა შორის ნორმალური კონტაქტები.

რა ფორმით და მეთოდით უნდა გამოხატოს თავისი პატივისცემა ერთმა ქვეყანამ მეორის მიმართ? როგორ უნდა მოეპყრას სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლებს ისე, რომ არ შებღალოს საკუთარი პრესტიჟი? მსგავსი შეკითხვები უამრავი იქნებოდა, რომ არა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წესები, რასაც დიპლომატიური ოქმი ჰქვია.

სახელმწიფოების აღმოცენებისა და მათ შორის ურთიერთობების დაწყებიდან იწყება დიპლომატიური ოქმის არსებობაც. როგორც აღვნიშნეთ ოქმი საზოგადოებრივი სისტემის შეცვლასთან ერთად განიცდიდა ცვლილებას. ყველა სახელმწიფო ცდილობდა დიპლომატიური ოქმი გამოეყენებინა საკუთარი ქვეყნის პრესტიჟის განსამტკიცებლად.

საერთაშორისო ურთიერთობაში დიპლომატიური ოქმის დაცვას აუცილებელი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ოქმის დარღვევა გამოიწვევს სახელმწიფოს პრესტიჟის, ღირსების შებღალვას, მისი ოფიციალური წარმომადგენლის შეურაცხყოფას, ამან კი შეიძლება დაძაბულობა გამოიწვიოს სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

დიპლომატიური ოქმი ასახავს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დონეს, ხასიათს. მაღალი რანგის სტუმრის ან ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლის მიღების დონე (ფართო, სრული ცერემონიალით თუ ამ ცერემონიალის შეზღუდული ფორმით), წარმოაჩენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის დონეს.

შუა საუკუნეებში ოქმი ნიშნავდა დოკუმენტების გაფორმების წესს და არქივის წარმოებას. მოგვიანებით ეს სიტყვა დაუკავშირდა დიპლომატიასა და დიპლომატიურ სამსახურს. გარდა დიპლომატიური დოკუმენტების გაფორმებისა, დიპლომატიურ ოქმს განეკუთვნება ეტიკეტისა და ცერემონიალის საკითხები.

სიტყვა ეტიკეტი ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს იარლიყს, ცერემონიალს. ფეოდალიზმის ხანაში ეტიკეტი გულისხმობდა მეფეების, დედოფლებისა და მათი ოჯახის წევრების, მათ შორის მაღალი ფენების წარმომადგენლების ქცევის წესთა კანონებს.

სიტყვა ეტიკეტი რუსეთში მე-18 საუკუნეში გაჩნდა. მას პეტრე პირველს უნდა უმადლოდნენ. დიპლომატიური სამსახურის ჩამოყალიბებით, ოქმისა და ეტიკეტის ახალი ნორმების შემოღებით, მან გზა გაუხსნა რუსეთს ევროპისაკენ. ოქმისა და ეტიკეტის ახალი ნორმების შემოღებას სხვა, მეტად მნიშვნელოვანი, პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა. პეტრე პირველს სურდა აეწია რუსეთის პრესტიჟი მსოფლიო არენაზე, დაერწმუნებინა საზღვარგარეთი, რომ რუსეთი ბარბაროსთა ქვეყანა არ იყო. ამ დიდი პოლიტიკური მიზნის განსახორციელებლად ცერემონიალს განსაკუთრებული ადგილი ეკავა. პეტრე პირველის ბრძანებებში მითითებული იყო მაღალი წოდების ადამიანის ქცევის წესი, რომლის დარღვევას „მათრახით ცემა“ მოჰყვებოდა ხოლმე. ბევრი ბოიარინი ეწინააღმდეგებოდა ახალ მოდას, არ უნდოდა პარიკის ტარება, წვერის გაპარსვა, ეხამუშებოდა პირტიტველობა. წვერის ტარების გამო დაუმორჩილებლობისათვის მეფემ გადასახადიც კი შემოიღო. პეტრე პირველის დაჟინებული მოთხოვნით სამჯერ გამოიცა ეტიკეტთან დაკავშირებით ევროპაში პოპულარული წიგნი, სადაც ხაზგასმული იყო, რომ მიუღებელია ცხვირის ხმაურით მოწმენდა, აუცილებელია ჭამის წინ ხელის დაბანა, არ შეიძლება საჭმლით სავსე პირით ლაპარაკი, თითების გალოკვა და ა. შ. მაღალი წოდების პირებს ასწავლიდნენ ქვეშევრდომებისადმი ქედმაღლურ დამოკიდებულებას.

უდიდესი პომპეზურობით ჩაიარა პეტრე პირველის მოგზაურობამ ევროპაში (1697—1698 წწ.), რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის პრესტიჟის განსამტკიცებლად. დელეგაციას 250 კაცი ახლდა — ექიმები, მცველები, მღვდლები. რუს დიპლომატებს თან ჰქონდათ ფული, პროდუქტები, სასმელი, სიასამურის ბეწვი. ამ საჩუქრებით რუსეთის წარგზავნილებს გზა ჰქონდათ ხსნილი მონარქთა სასახლეებისაკენ.

ადამიანთა ურთიერთობის დემოკრატიზაციის საქმეში დიდი როლი შეასრულა რევოლუციურად განწყობილი ბურჟუაზიის მიერ არისტოკრატიული ეტიკეტის მწვავე კრიტიკამ. კაპიტალიზმის დამკვიდრებასთან ერთად გაუქმებულ იქნა ტიტულები, გადატვირთული ცერემონიალი. ურთიერთობანი გახდა უფრო თავისუფალი, ძალდაუტანებელი.

დიპლომატიურ ოქმს იცავენ მოლაპარაკებების დროს, ხელშეკრულებათა ხელის მოწერის დროსაც. დიპლომატიური ოქმი მათ საზეიმო, მდიდრულ ელფერს ანიჭებს. პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ოქმი თავის ადგილს მიანიშნებს თანამდებობის პირებს, იცავს მათი თანამდებობრივი უმცროს-უფროსობის წესებს.

ასეული წლები დასჭირდათ სახელმწიფოებს, რათა ხელი აეღოთ კონფლიქტებზე, ურთიერთ პრესტიჟის შებღალვაზე. სწორედ დიპლომატიურმა ოქმმა ააცილა ქვეყნებს ასეთი რამ. გარდა ცერემონიალის მოწყობისა, ოქმი საზღვრავს მეთოდებს, ჩარჩოებს, ქცევის ნორმებს, ეტიკეტს, აწესებს დიპლომატიური მიმოწერის ფორმებს, ყველაფერ იმას, რაც აუცილებელია საყოველთაო პატივისცემისა და პრესტიჟისათვის.

დღეს დიპლომატიური ოქმის დაცვა სავალდებულოა, როდესაც ხდება ახალი სახელმწიფოს ცნობა, დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, რწმუნების სიგელის გადაცემა, დიპლომატიური ვიზიტის განხორციელება, საუბრების, მოლაპარაკებების გამართვა, ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა.

დიპლომატიური ოქმის დაცვა აუცილებელია სახელმწიფოთა მეთაურების, მთავრობათა ხელმძღვანელების, საგარეო საქმეთა მინისტრების, მთავრობის წევრების, ელჩებისა და დიპლომატიური მუშაკების ვიზიტების, საერთაშორისო კონფერენციების დროს, საზეიმო და სამგლოვიარო დღეების აღნიშვნისას.

დიპლომატიური ოქმის წესებიდან გამომდინარე იმართება დიპლომატიური მიღებები, მიმდინარეობს დიპლომატიური მიმოწერა და წარმომადგენლობითი სამუშაოები. შეიძლება ითქვას, რომ დიპლომატიური ოქმის გარეშე წარმოუდგენელია რაიმე საერთაშორისო მნიშვნელობის აქციის მოწყობა.

საერთაშორისო თავაზიანობის წესებს არა აქვს აუცილებლობის ძალა, მაგრამ როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, სახელმწიფოები და დიპლომატები მაინც ცდილობენ დაიცვან ისინი. ჟიულ კამბონი წერდა: „ოქმის წესები დღეს რამდენადმე მოძველებულად ჩანს, მაგრამ მათი შეუსრულებლობა ისეთივე უმეცრებაა, როგორც ეკლესიაში ცილინდრით ან მეჩეთში ფეხსაცმლით შესვლა“.

დიპლომატიური ოქმის საერთაშორისო ხასიათიდან გამომდინარე მისი ნორმების შესრულება სახელმწიფოთა ურთიერთობაში აუცილებელია. ერთ-ერთი მხარის მიერ ამ ნორმებიდან გადახვევა, მათი დარღვევა ან შეცვლა, სერიოზულ გართულებებს გამოიწვევს სახელმწიფოთა შორის. ოქმის უგულებელყოფა ხშირად ქვეყნებს შორის კონფლიქტებს იწვევდა.

დიპლომატიური ოქმი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახელმწიფო დროშასა და ჰიმნთან დაკავშირებული ეტიკეტის მტკიცედ დაცვას.

დიპლომატიური ოქმი არის საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების რეალიზების საშუალება. მაგალითად, სახელმწიფოს სუვერენიტეტი გამოიხატება ისეთ ფორმებში, როგორიცაა პატივის მიგება სახელმწიფო დროშისათვის და სახელმწიფო ჰიმნის შესრულება. სახელმწიფოთა თანაფარდობის პრინციპი აისახება იმ თანამიმდევრობაში, რასაც ადგილი აქვს მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელთან დიპლომატების წარდგენის დროს; საერთაშორისო კონფერენციებზე, დიპლომატიურ მიღებებზე დელეგაციათა განთავსებისას. ამ წესებიდან გადახვევა სახელმწიფოს პრესტიჟის შებღალვად ითვლება. უნებლიე შეცდომაც კი შეიძლება გამიზნულ შეურაცხყოფად იქნეს განხილული.

როგორც ადრე აღვნიშნე, 1961 წელს მიღებულ იქნა ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მკითხველს შესაძლებლობა ჰქონდეს გაეცნოს ამ მეტად მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტს, მას თან ვურთავთ ამ

კრებულს. მსოფლიოს ყველა ქვეყანა, მათ შორის ისიც, რომელსაც ხელი არ მოუწერია ამ კონვენციისათვის, ასრულებს მასში დაფიქსირებულ ნორმებს. ვენის კონვენციიდან გამომდინარე ბევრმა ქვეყანამ მიიღო კანონები, რომლებიც კონვენციაში ასახულ პუნქტებს განამტკიცებენ.

დიპლომატიურ ოქმზე გავლენას ახდენს სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია. ტრანსპორტის განვითარებამ სრულყოფილი გახადა კავშირები, დააჩქარა დიპლომატიური ცხოვრების ტემპი; სწრაფად წარმოებს დიპლომატიური დოკუმენტების შეთანხმება, შეხვედრების ორგანიზება.

ბოლო წლებში შეინიშნება დიპლომატიური ოქმის რაციონალიზაციის ტენდენცია, ზოგიერთ რიტუალზე უარის თქმა, თუმცა იგი არ ცვლის სუვერენული სახელმწიფოების თანაფარდობის პრინციპს. მაგალითად, მასპინძელი ქვეყნის მმართველისათვის რწმუნების სიგელის გადაცემის დროს ელჩი აღარ წარმოთქვამს გრძელ სიტყვას, მოკლე მისალმებით გამოდის. უფრო დემოკრატიული გახდა დიპლომატთა ტანსაცმელიც რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალზე. დიპლომატიური კორპუსი თითქმის არ მონაწილეობს მასპინძელ ქვეყანაში რომელიმე ქვეყნის ელჩის ჩასვლისა და ქვეყნიდან გამგზავრების ცერემონიალში. იშვიათია ქვეყნის მეთაურის მიღების დროს საარტილერიო ზალპი, სტუმრის თვითმფრინავის სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაგამანადგურებლებით ესკორტირება, დიპლომატიური კორპუსის მიერ დელეგაციების დახვედრა-გაცილება.

დიპლომატიური მუშაკი ყურადღებით უნდა იხილავდეს იმ საოქმო საკითხებს, რომლებიც მას და მის ქვეყანას ეხება; განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიპლომატიური ოქმი მის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდაა მიმართული. მიუხედავად ამისა მან ზედმეტად მტკივნეულად არ უნდა განიცადოს მათი დარღვევა; ოქმიდან გადახვევა ხშირად შესაძლოა გამოუცდელობის შედეგი იყოს და მისი გამოსწორება შეიძლება, თუკი ამაზე ტაქტიანად მიუთითებენ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთ დარღვევებს სისტემატური ხასიათი აქვს, დიპლომატიურმა მუშაკმა პროტესტი უნდა განუცხადოს მასპინძელ ხელისუფლებას.

მთავრობამ არ უნდა დაუშვას მოუფიქრებელი გამოხდომები სხვა მთავრობის მიმართ. ნება არ დართოს, რომ მასთან აკრედი-

ტებულ ნებისმიერი ქვეყნის დიპლომატს თავს დაესხან. დღეს ხშირად ხდება, როდესაც მთავრობა ლანძღავს რომელიმე საზღვარგარეთის ქვეყანას, ეს ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს უბიძგებს დემონსტრაცია მოაწყონ იმ ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლობასთან. ასეთი რამ 1961 წელს მიღებული ვენის კონვენციის დარღვევაა.

1949 წელს გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ ყურადღება მიაქცია დიპლომატიური ურთიერთობისა და იმუნიტეტის საკითხებს. მრავალი წელი დასჭირდა ამ საკითხთა შესწავლა-დამუშავებას, ვიდრე ის ასახვას პოვებდა ვენის 1961 წლის კონვენციაში. ამ დოკუმენტის 22-ე მუხლში ეკითხულობთ „სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, სპეციალური მოვალეობა აკისრია ყველა საჭირო ზომა მიიღოს წარმომადგენლობის შენობის დაცვისათვის, ყოველგვარი შეჭრისა და ზიანის მიყენების, წარმომადგენლობის სიმშვიდის დარღვევის ან მისი ღირსების შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით“. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა მიზანშეწონილად ჩათვალა ნდობის სიგელის გადაცემის დროს უცხოელი ელჩისათვის შეეხსენებინა, რომ ელჩის მთავრობა ისეთივე გულისყურით მოეკიდება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მის ქვეყანაში მუშაობის საკითხებს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატები ექცევა ელჩის ქვეყნის საელჩოს მუშაობას. ასეთი განცხადება ელჩს მიანიშნებდა, რათა მის ქვეყანას თავშეკავებით ემოქმედა დიპლომატიურ ურთიერთობებში.

იმუნიტეტი და პრივილეგიები დიპლომატს თავისი დიპლომატიური ფუნქციების განსახორციელებლად ენიჭება. იმუნიტეტი საკუთრივ ენიჭება დიპლომატს და არ შეიძლება შეთანხმებით სხვას გადაეცეს. დიპლომატიური პრივილეგიებით და იმუნიტეტით სარგებლობს დიპლომატიური პერსონალი: ელჩები, საქმეთა რწმუნებულები და დროებითი რწმუნებულები, დესპანები, მრჩევლები, პირველი, მეორე, მესამე მდივნები, ატაშეები, მდივანი-არქივარიუსები, სავაჭრო წარმომადგენლები, მათი მოადგილეები, სავაჭრო ატაშეები, სამხედრო ატაშეები და მათი მოადგილეები, სპეციალური ატაშეები (ხელოვნების, კულტურის, სოფლის მეურნეობის, პრესის დარგებში). დიპლომატიური იმუნიტეტი დიპლომატიური მუშაკის მეუღლეზე და მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრებზეც ვრცელდება.

ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო სამსახური აკრედიტებულ დიპლომატს და მისი ოჯახის წევრებს აძლევს დიპლომატიურ ბარათს, სადაც აღნიშნულია, რომ მისი მფლობელი ყველა პრივილეგიით და იმუნიტეტით სარგებლობს. დიპლომატიური ბარათის გაცემა ხდება იმ დიპლომატიური პასპორტის საფუძველზე, რომელიც ეძლევა ელჩს ან დიპლომატს ამა თუ იმ ქვეყანაში სამუშაოდ მივლინებასთან დაკავშირებით. პასპორტში აღინიშნება დიპლომატიური რანგი. თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში არ არის დიპლომატიური პასპორტის გაცემის ტრადიცია, მაგალითად ინგლისში. აქ დიპლომატის ვინაობის განსაზღვრისათვის ჩვეულებრივ პასპორტში იწერება „მისი უდიდებულესობის დიპლომატიური სამსახურის თანამშრომელი“.

მასპინძელი ქვეყანა უფლებას იტოვებს არ განაცხადოს უცხოეთის ქვეყნის დიპლომატისათვის ვიზის გაცემისაგან თავშეკავების მიზეზი. 1971 წელს ინდოეთმა უარი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ინდოეთის საელჩოს პოლიტიკური მრჩევლის გრიფინისათვის ვიზის მიცემის თაობაზე. პარლამენტში გამოსვლის დროს საგარეო საქმეთა მინისტრმა ნარასიმხა რაომ აღნიშნა, რომ გრიფინი პაკისტანში მუშაობდა და მჭიდროდაა დაკავშირებული ჯაშუშურ საქმიანობასთან. ინდოეთის მთავრობა არ დაეთანხმა ამერიკელი დიპლომატის დელიში ჩასვლას..

დიპლომატიური იმუნიტეტის ძირითადი მცნებაა დიპლომატის ხელშეუხებლობა. დიპლომატი არ შეიძლება დაკავებულ ან დაპატიმრებულ იქნეს. მასპინძელი ქვეყანა ათავისუფლებს რა უცხოელ დიპლომატს თავისი იურისდიქციისაგან, ყოველ ღონეს ხმარობს დაიცვას მისი თავისუფლება. დიპლომატის ხელშეუხებლობა ძალაშია მასპინძელი ქვეყნის ტერიტორიაზე ფეხის დადგმისთანავე და წყდება ქვეყნიდან გამგზავრების შემდეგ. ხელშეუხებლობის პრინციპი მაშინაც გრძელდება, როდესაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა წყდება. თუ უცხოელი დიპლომატი სამუდამოდ რჩება მასპინძელ ქვეყანაში (არადიპლომატიურ სამსახურში), მას ავტომატურად ეკარგება დიპლომატიური იმუნიტეტი. ამ შემთხვევაში მასზე ვრცელდება მასპინძელი ქვეყნის იურისდიქცია. დიპლომატზე თავდასხმა იხილება როგორც სერიოზული ინციდენტი, რასაც ორი ქვეყნის ურთიერთობის დაძაბვა ან გაუარესება შეიძლება მოჰყვეს.

გარდა დიპლომატის პირადი და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელშეუხებლობისა, დიპლომატიურ იმუნიტეტს ექვემდებარება დიპლომატისა და მისი ოჯახის წევრების დოკუმენტები, ტვირთი, სატრანსპორტო საშუალებანი. დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს, დიპლომატიურ თანამშრომლებს, საელჩოს ტექნიკურ პერსონალს ავტოინსპექცია აძლევს სპეციალურ ნომრებს.

დიპლომატიური ხელშეუხებლობით სარგებლობს დიპლომატიური ფოსტა, დაშიფრული მიმოწერა საელჩოებთან. რადიოსადგურების დაყენება საელჩოსა და მის ქვეყანას შორის კავშირებისათვის ხორციელდება მასპინძელი ქვეყნის კანონმდებლობის დაცვით.

ხელშეუხებელია დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე აღმართული დროშები, გერბები.

დიპლომატიური იმუნიტეტი ათავისუფლებს დიპლომატს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან თუ ის ქვეყანა, რომელმაც მიავლინა დიპლომატი, ნებაყოფლობით არ უარყოფს დიპლომატის იმუნიტეტს. დიპლომატის პასუხისმგებლობის საკითხი წყდება დიპლომატიური არხების მეშვეობით. უცხოელი დიპლომატი შეიძლება გამოცხადდეს არასასურველ პირად, პერსონა ნონ გრატად და გაძევებულ იქნეს ქვეყნიდან. დანაშაულის ჩადენისათვის პასუხს დიპლომატი საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით აგებს.

დიპლომატიური პერსონალი თავისუფლდება იმ ქვეყნის გადასახადებისაგან, სადაც ის არის მივლინებული. დიპლომატიური იმუნიტეტი ათავისუფლებს დიპლომატს საბაჟო გადასახადებისაგან, მისი ტვირთის საბაჟო შემოწმებისაგან.

დიპლომატიური თანამშრომლების გარდა საელჩოებში ტექნიკური პერსონალიც მუშაობს. დროთა ვითარებაში თითქმის წაიშალა იმუნიტეტით სარგებლობის ის სხვაობა, რომელიც დიპლომატიურ თანამშრომელსა და ტექნიკურ პერსონალს შორის იყო. ზოგჯერ ეს იმითაც აიხსნება, რომ ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელი ხშირად ხდება დიპლომატიური თანამშრომელი. ვენის კონვენციის მიწედვით საელჩოების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი თითქმის იმავე იმუნიტეტით სარგებლობს, როგორითაც დიპლომატიური პერსონალი. მასპინძელი ქვეყნის იურისდიქციისაგან არ თავისუფლდებიან მხოლოდ დიპლომატთა ოჯახების მოსამსახურეები.

იმუნიტეტით სარგებლობენ სახელმწიფოსა და მთავრობის მე-

თაურები, მთავრობის წევრები, როდესაც ისინი იმყოფებიან საზღვარგარეთის ამა თუ იმ ქვეყანაში. გარდა აღნიშნული კატეგორიისა, იმუნიტეტით სარგებლობენ საერთაშორისო ორგანიზაციების თანამშრომლები.

ვენის კონვენცია შესაძლებლობას აძლევს დიპლომატს შეისწავლოს ის ქვეყანა, სადაც მუშაობს; მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ დიპლომატი ძირგამომთხრელ მუშაობას აწარმოებდეს. ასეთი შემთხვევა დიპლომატის გაძევებით მთავრდება. მრავალ ასეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში; ჯაშუშობისათვის ინგლისიდან საბჭოთა დიპლომატების გაძევებამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია.

ვენის კონვენცია დიპლომატს უკრძალავს მასპინძელ ქვეყანაში გამორჩენის მიზნით კომერციული საქმიანობის წარმოებას, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც დიპლომატი არღვევს ამ კანონს, შეაქვს რა მასპინძელ ქვეყანაში გასაყიდად დიდი რაოდენობით ვალუტა, დეფიციტური საქონელი, ქვეყნიდან გააქვს ხელოვნების ნიმუშები.

კიდევ ერთხელ მოკლედ შევეცდები ჩამოვაყალიბო თუ რას ნიშნავს ხელშეუხებლობა.

პირადი ხელშეუხებლობა — არის იმის გარანტია, რომ დიპლომატს არ დააკავებენ და არ დააპატიმრებენ. დიპლომატის წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ნებისმიერი აქტი იხილება როგორც მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლა. ხელშეუხებლობის პრინციპი მოქმედებს მანამ, ვიდრე დიპლომატი მასპინძელ ქვეყანაში მუშაობს. ხელშეუხებლობის პრინციპი მაშინაც მოქმედებს, როდესაც ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები წყდება.

ვენის კონვენცია ხელშეუხებლობის პრინციპს ავრცელებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც დიპლომატი მესამე ქვეყნის ტერიტორიაზე მგზავრობს.

თუ დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე ხდება თავდასხმა ან შეურაცხყოფენ ქვეყნის დროშას, მასპინძელმა ქვეყანამ ბოდიში უნდა მოიხადოს საელჩოს წინაშე და აანაზღაუროს მიყენებული ზარალი.

მასპინძელი ქვეყანა პასუხისმგებელია ხელშეუხებლობის პრინციპების დაცვისათვის. მან პასუხისგებაში უნდა მისცეს თავისი მოქალაქე დიპლომატიური წარმომადგენლობის დარბევის ან მატერიალურ-მორალური ზიანის მიყენებისათვის.

ვენის კონვენცია გარანტიას იძლევა დიპლომატიური წარმომადგენლობის თავისუფალი და შეუფერხებელი კავშირებისათვის. ხელშეუხებელია დიპლომატიური ფოსტა. ოფიციალურად აღიარებულია დიპლომატიური ვალიზების[1] გადატანა, მისი გახსნა და დაკავება აკრძალულია. მეორე მხრივ ვალიზები უნდა შეიცავდნენ მხოლოდ დიპლომატიურ მიმოწერას. დიპლომატიური კურიერები, რომლებსაც დიპლომატიური ფოსტის ტარება ევალებათ, აგრეთვე სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით. დიპლომატიური იმუნიტეტი ვრცელდება იმ დოკუმენტებზეც, რომლებიც მათ მიაქვთ.

შენობის ხელშეუხებლობა. პოლიციელებს, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს უფლება არა აქვთ შევიდნენ დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში წარმომადგენლობის მეთაურთან შეთანხმების გარეშე. თავის მხრივ საელჩო არ უნდა გადაიქცეს მასპინძელი ქვეყნის მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედების კერად.

დიპლომატიური არქივი — ისევე ხელშეუხებელია, როგორც დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობა. ქვეყნებს შორის დიპლომატიური კავშირების გაწყვეტის შემთხვევაში საელჩოს არქივი (დოკუმენტები) ხელშეუხებელია. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, მასზე ზრუნვა ევალება მესამე ქვეყანას, რომელსაც ამ საქმეს მიანდობენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ არის მესამე ქვეყანა და საომარი მდგომარეობაა, ქვეყნები ვალდებულნი არიან დაიცვან მტრის ყოფილი წარმომადგენლობების შენობები და დოკუმენტები.

თავშესაფრის ძიება. დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობის ხელშეუხებლობას ხშირად გამოუწვევია გაუგებრობაც და უსიამოვნებაც. შენობის ხელშეუხებლობა იმიტომაა საჭირო, რომ ელჩს მასპინძელ ქვეყანაში სრულყოფილი მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს. მის ფუნქციებში სავსებით არ შედის დამნაშავისათვის თავშესაფრის მიცემა, წარმომადგენლობის შენობაში მათი შეფა-

[1] Ualise (ფრანგ.) — ჩემოდანი.

რება. უცხოეთის წარმომადგენლობები არ უნდა გადაიქცეს მასპინძელი სახელმწიფოს დამნაშავეთა თავშესაფრად, და თუკი ასეთს ადგილი აქვს, ამ შემთხვევაში მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს წარმომადგენლობის მეთაურს თხოვნით გადასცეს დამნაშავე, რომელიც მართლმსაჯულებისაგან თავის არიდებას ცდილობს. თუკი უცხო ქვეყნის წარმომადგენლობა სამინისტროს თხოვნას არ გაითვალისწინებს, მასპინძელ ქვეყანას შეუძლია ალყა შემოარტყას საელჩოს, რათა დამნაშავე არ გაიქცეს. გარდა ამისა მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს შეუძლია მიმართოს იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომლის დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაშიც იმყოფება დამნაშავე.

საერთაშორისო სამართლის ზოგიერთი სპეციალისტი იმასაც მოითხოვს, რომ თუკი საგარეო საქმეთა სამინისტრო ნეგატიურად მიუდგება თხოვნას, მასპინძელ ქვეყანას სრული უფლება აქვს შეიჭრას დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობაში დამნაშავის დასაკავებლად.

ვენის კონვენციაში თავშესაფართან დაკავშირებით მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობა არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ მიზნების განსახორციელებლად, რაც შეუთავსებელია წარმომადგენლობის ფუნქციებთან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკური დევნილნი თავს აფარებენ საზღვარგარეთის საელჩოს. ზოგის აზრით მათთვის თავშესაფრის მიცემა არ უნდა იყოს მიუღებელი, ვინაიდან პოლიტიკის გამო დევნილნი თავს იცავენ საკუთარი ქვეყნის რეაქციული ძალების რეპრესიებისაგან. ლათინური ამერიკის ქვეყნების პრაქტიკაში მიღებული იყო დამხობილ მთავრობათა უცხო ქვეყნების საელჩოებში შეფარება.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება

დიპლომატიური ცნობის საკითხს ახლად წარმოქმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოები, რომლებმაც თავი დააღწიეს კოლონიალიზმს, ტოტალიტარიზმს, სხვა ქვეყნის მიერ თავსმოხვეულ დიქტატურას, ცდილობენ კავშირები დაამყარონ ყველა ქვეყანასთან თანაფარდობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების შესაბამისად. საერთაშორისო სამართალს ახალი სახელმწიფოების ცნობის ორი ფორმა აქვს — „დე ფაქტოდ“ და „დე იურედ“ ცნობა.

„დე ფაქტოდ“ ცნობა არასრულ ხასიათს ატარებს. ასეთი ცნობა მაშინ ხდება, როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია უარყოს ახალი სახელმწიფოს არსებობა, მაგრამ მასთან არ ამყარებს დიპლომატიურ ურთიერთობას, თუმცა ცდილობს ჰქონდეს კონტაქტები. ასე მოიქცნენ ზოგიერთი ქვეყნები, როდესაც 1918—1921 წლებში „დე ფაქტოდ“ ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. „დე იურედ“ ცნობა ყველაზე გავრცელებული სახეა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში და ითვალისწინებს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას, საელჩოების გახსნას, ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული კავშირების დამყარებას.

საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პროცესი დღესაც მიმდინარეობს. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება შეიძლება აღინიშნოს სახელმწიფოთა შორის დეპეშათა გაცვლით. ახლადშექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო თავისი დამოუკიდებლობის შესახებ ატყობინებს სხვა სახელმწიფოს და იმედს გამოთქვამს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება

ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კავშირების განვითარებას. ქვეყანა, რომელმაც მიიღო დეპეშა, საპასუხო დეპეშას უგზავნის და ატყობინებს, რომ თანახმაა ცნოს სახელმწიფო და დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს
ე. გეგეჭკორს

ბატონო მინისტრო, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის ცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დე ფაქტო" მანამ, სანამ მშვიდობიანი კონფერენცია არ ცნობს ხალხთა ნებასთან შეთანხმებულ „სტატუსს" საქართველოს მიმართ.

საგარეო საქმეთა მინისტრი
პატერი
1920 წლის 25 მარტი

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა
სამინისტროს

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმართ და აქვს პატივი აცნობოს, რომ უკრაინა გამოთქვამს მზადყოფნას საქართველოს რესპუბლიკასთან დაამყაროს დიპლომატიური ურთიერთობები და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლები საელჩოების დონეზე.

იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები წარიმართება თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, დაემყარება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომლებიც დაფიქსირებულია გაეროს წესდებაში, ჰელსინკის დასკვნით აქტში, პარიზის ქარტიასა და ევროპაში თანამშრომლობისა და უსაფრთხოების თათბირის სხვა დოკუმენტებში.

სამინისტროს მიაჩნია, რომ ეს ნოტა და აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 25 მაისის ნოტა შეადგენენ შეთანხმებას ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის, რომელიც ძალაში შევა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამ ნოტის მიღებისთანავე.

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კვლავ დაუდასტუროს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი ღრმა პატივისცემა.

უკრაინის საგარეო საქმეთა
სამინისტრო
კიევი. 1992 წლის 21 ივლისი.

გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტის
წერილი . . . . . ქვეყნის პრეზიდენტს

მაქვს პატივი გაუწყოთ 1958 წლის 2 ოქტომბერს გვინეის ეროვნული ასამბლეის მიერ გვინეის რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. იმავე დღეს შეიქმნა გვინეის მთავრობა.

დამოუკიდებელ და სუვერენულ გვინეის სახელმწიფოს სურს დაამყაროს . . . . . დიპლომატიური ურთიერთობა საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე.

კონაკრი. 1958 წლის 3 ოქტომბერი.
სეკუ ტურე.

მის აღმატებულებას ბატონ სეკუ ტურეს
გვინეის რესპუბლიკის პრეზიდენტს

კონაკრი.

გთხოვთ თქვენო აღმატებულებავ, მიიღოთ ყველაზე გულწრფელი მილოცვა . . . . . ხალხის, მთავრობის და პირადად ჩემი მხრიდან გვინეის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გვინეის რესპუბლიკის გამოცხადებასთან დაკავშირებით.

გვინეის რესპუბლიკის შექმნა გვინეის ხალხის დიდი გამარჯვებაა, დამოუკიდებლობისათვის მისი გმირული ბრძოლის შედეგია. იცავს რა ხალხთა ბრძოლას თვითგამორკვევისათვის და პატივს სცემს რა გვინეელთა სამართლიან, ეროვნულ სწრაფვას . . . . . .
. . . . . მთავრობა საზეიმოდ აცხადებს დამოუკიდებელი და სუვერენული გვინეის რესპუბლიკის ცნობის შესახებ და გამოთქვამს მზადყოფნას დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლები.

. . . . . მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება . . . . . და გვინეას შორის ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას მსოფლიოს მშვიდობის საქმის საკეთილდღეოდ.

. . . . . ხალხი მხურვალედ უსურვებს გვინეელ ხალხს წარმატებებს სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

ქვეყნის დედაქალაქი
თარიღი.

ქვეყნის პრეზიდენტი.

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებისათვის მოლაპარაკება მთავრობამ შეიძლება დაავალოს ამა თუ იმ ქვეყანაში ეროვნულ დღესასწაულზე გამგზავრებულ დელეგაციას ან საზღვარგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს. ასეთი მოლაპარაკებისათვის კარგი მომზადებაა საჭირო.

მოლაპარაკებათა დროს, როგორც წესი, თანხმდებიან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ფაქტზე, დიპლომატიური წარმომადგენლობების დონეზე; აგრეთვე იმაზე, თუ რა სახის დოკუმენტით გაფორმდება ხელშეკრულება, როდის გამოქვეყნდება პრესაში, მთლიანად გამოქვეყნდება თუ ინფორმაციის სახით და სხვა.

დოკუმენტი, რომლითაც ფორმდება ხელშეკრულება არის ორმხრივი ხელშეკრულება ან იდენტური ნოტები, რომელსაც გაცვლიან მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები.

ზოგჯერ ადგილი აქვს უზუსტობებსაც, რასაც საკმაოდ არასასიამოვნო შედეგები მოჰყვება ხოლმე. მაგალითად, როდესაც მოლაპარაკება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით არ მთავრდება, მხარეები ზეპირი განცხადებებით და აზრთა გაცვლით ყაბულდებიან,

რის შედეგადაც ერთ მხარეს ჰგონია, რომ ხელშეკრულება დადებულია და ურთიერთობა დამყარებული, მეორე კი თვლის, რომ საკითხი პრინციპულად მოლაპარაკებულია, მაგრამ ბოლომდე არა. ზოგიერთ დოკუმენტში არ არის დაზუსტებული დიპლომატიურ წარმომადგენელობათა დონე (საელჩო თუ მისია), ხშირად დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ „მხარეები შეთანხმდნენ გაცვალონ საელჩოს რანგში დიპლომატიური წარმომადგენლობები", რაც არასწორია, ვინაიდან რანგი ენიჭებათ არა დაწესებულებებს, არამედ ადამიანებს. უნდა იკითხებოდეს: „მხარეები შეთანხმდნენ გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლები საელჩოთა დონეზე" ან „გაცვალონ დიპლომატიური წარმომადგენლები ელჩების რანგში".

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება და წარმომადგენლობების გახსნა აღინიშნა სპეციალურ ხელშეკრულებაში, რომელსაც 1942 წლის 12 ივნისს ხელი მოაწერეს საბჭოთა მხრიდან საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ინგლისში მაისკიმ და კანადის მხრიდან კანადის უმაღლესმა რწმუნებულმა ინგლისში მესეიმ:

სსრ კავშირისა და კანადის მთავრობის ხელშეკრულება

სსრ კავშირის და კანადის მთავრობები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ორივე მთავრობა თანახმაა დაამყაროს პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობები და გაცვალოს დესპანები.

2. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის ხელის მოწერისთანავე და რატიფიკაციას არ ექვემდებარება.

3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, თითოეული რუსულ და ინგლისურ ენებზე. ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მაისკი.	კანადის უმაღლესი რწმუნებული ინგლისში მესეი.

ლონდონი, 1942 წლის 12 ივლისი.

პრაქტიკის მიხედვით ქვეყნები ცდილობენ დიპლომატიური ცნობის ხელშეკრულების დოკუმენტურად გაფორმებას განცხადების, შეთანხმების, კომუნიკეს ან ნოტის სახით. ასეთი პრაქტიკა გამორიცხავს გაუგებრობას.

ნოტების გაცვლა სსრ კავშირის სახალხო კომისარს მაქსიმ ლიტვინოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ფრანკლინ დ. რუზველტს შორის სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარების შესახებ:

ამერიკის შეერთებული შტატების ნოტა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს მ. ლიტვინოვს.

ვაშინგტონი, თეთრი სახლი,
1933 წლის 16 ნოემბერი.

პატივცემულო ბატონო ლიტვინოვ, უაღრესად მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩვენი მოლაპარაკების შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გადაწყვიტა ნორმალური დიპლომატიური კავშირები დაამყაროს საბჭოთა კავშირის მთავრობასთან და გაცვალოს მასთან ელჩები.

მე მჯერა, რომ ჩვენს ხალხებს შორის დამყარებული ურთიერთობა სამუადმოდ დარჩება ნორმალური და მეგობრული და ჩვენს ერებს დღეიდან შესაძლებლობა ექნებათ ითანამშრომლონ ურთიერთხელსაყრელ პირობებში და მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ვრჩები, პატივცემულო ბატონო ლიტვინოვ, მუდამ თქვენდამი გულწრფელი.

ფრანკლინ დ. რუზველტი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო
კომისრის ნოტა ამერიკის შეერთებული შტატების
პრეზიდენტ რუზველტისადმი

ვაშინგტონი
1933 წლის 16 ნოემბერი.

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, უზომოდ მოხარული ვარ გამცნოთ თქვენ, რომ სსრ კავშირის მთავრობა მოხარულია დაამყაროს ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან და გაცვალოს მასთან ელჩები.

იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენს ხალხებს შორის დამყარებული ურთიერთობა სამუდამოდ იქნება ნორმალური და მეგობრული და ჩვენი ერები მომავალში შეძლებენ ითანამშრომლონ ურთიერთხელსაყრელ პირობებში და მსოფლიოს მშვიდობის განსამტკიცებლად.

ვრჩები, პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, მუდამ თქვენდამი გულწრფელი.

მაქსიმ ლიტვინოვი,
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა
სახალხო კომისარი.

სსრ კავშირსა და პორტუგალიის რესპუბლიკებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების ერთობლივი კომუნიკე

სსრ კავშირის და პორტუგალიის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა შეთანხმდნენ დაამყარონ 1974 წლის 9 ივლისს დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის.

მიღწეულია შეთანხმება ელჩების დონეზე დიპლომატიური წარმომადგენლობების გაცვლის შესახებ.

ორივე მხარემ მოილაპარაკეს განავითარონ ურთიერთობა მსოფლიო თანამშრომლობის პრინციპებიდან გამომდინარე, გაეროს მიზნებისა და პრინციპების დაცვის გათვალისწინებით. ისინი გამოთქვამენ იმედს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება სსრ კავშირსა და პორტუგალიას შორის ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეს, ევროპასა და მთელს მსოფლიოში თანამშრომლობის განვითარებას.

დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა-გამოწვევა

მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობების დაარსება XVI საუკუნეში დაიწყო, როდესაც ვენეციამ, მაშინ დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, თავისი წარმომადგენლობები გახსნა ვენაში, პარიზში, მადრიდში, რომში. მაგრამ მხოლოდ XVII საუკუნიდან იწყება ელჩებისა და დესპანების დანიშვნა. ინგლისელი დიპლომატი ე. სატოუ (1843—1929) დიპლომატიურ პრაქტიკასთან დაკავშირებით დაწერილ თავის წიგნში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სიტყვა ელჩი (ინგლისურად „ამბასადორი"), წარმოიშვა ისეთი ცნებისაგან, როგორიცაა „ვასალი". XIV საუკუნეში ეს სიტყვა გადავიდა სხვა ენებში და გამოხატავს ქვეყნის მმართველის წარმომადგენელს.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, ელჩის მიმართ გამოხატული უპატივცემლობა ელჩის დამნიშვნელი ქვეყნისადმი უპატივცემლობად ითვლება. ამ საკითხთან დაკავშირებით ისტორია მრავალი კურიოზული ამბის მომსწრეა. 1584 წელს ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა რუსეთის მეფის წარმომადგენელი სასახლეში კი არა, ბაღში მიიღო, რამაც რუსეთის მეფის უზომო აღშფოთება გამოიწვია. ინგლისის დედოფალს ბოდიშის მოხდაც კი დასჭირდა.

თუ ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა პირველად მყარდება, ელჩის ჩასვლამდე ქვეყანაში, სადაც ის არის აკრედიტებული, იგზავნება დიპლომატთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ თანამშრომელთა ჯგუფი საელჩოს მოსაწყობად. დიპლომატთა შორის რანგით უფროსს თან მიაქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის გადასაცემად. წერილში გამოთქმულია თხოვნა მიიღოს ეს დიპლომატი

ელჩის ჩასვლამდე, როგორც საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული.

საელჩოს გახსნის მზადების პერიოდში საქმეთა დროებითი რწმუნებული ეცნობა ძირითად დოკუმენტებს, რომლითაც რეგლამენტირებულია დიპლომატების და ტექნიკური პერსონალის იმუნიტეტი და პრივილეგიები, მასპინძელი ქვეყნის საბაჟო წესები, საგარეო საქმეთა სამინისტროში იღებს კონსულტაციებს მისთვის საინტერესო სხვადასხვა საკითხზე.

საელჩოს ოფიციალური გახსნის შესახებ ნოტით ეცნობება მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობებს. ნოტაში აღნიშნულია საელჩოს ზუსტი მისამართი, საელჩოს თანამშრომლების ტელეფონის ნომრები, მუშაობის დღეები და საათები. მასპინძელ ქვეყანასთან შეთანხმებით საელჩოს შეუძლია წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით მოაწყოს საოქმო ცერემონიალი.

1992 წლის აპრილში საქართველოში სასტუმრო „მეტეხში“ ამერიკის საელჩოს წარმომადგენლობის გახსნასთან დაკავშირებით, სადაც მაშინ დროებით ბინა დაიდო საელჩომ, გაიმართა ოფიციალური ცერემონიალი — ამერიკის შეერთებული შტატების დროშის აღმართვა, ორი ქვეყნის ჰიმნის შესრულება და სხვა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს, დროებითი მთავრობის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზოგადოებრიობის, პრესის წარმომადგენლები.

ანალოგიური ცერემონიალი ტარდება, საელჩოს შენობის შეცვლისას.

მთავრობა, რომელმაც გადაწყვიტა თავისი ელჩი ამა თუ იმ ქვეყანაში გაგზავნოს, წინასწარ ითხოვს მასპინძელი ქვეყნისაგან თანხმობას (აგრემანს). აგრემანი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს მასპინძელი ქვეყნის მთავრობის თანხმობას ამა თუ იმ პირის ელჩად დანიშვნასთან დაკავშირებით. თუ საკითხი ეხება ელჩის შეცვლას, აგრემანს დამნიშნავი ქვეყანა ითხოვს გათავისუფლებული ელჩის ან დიპლომატიური წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს ან მის მოადგილეს ეწვევა და ზეპირად მოახსენებს თავისი მთავრობის სურვილს ელჩის დანიშვნასთან დაკავშირებით. ამასთანავე იგი გადაცემს მომავალი ელჩის მოკლე ავტობიოგრაფიულ ცნობას. ცნობაში აღნიშნული

უნდა იყოს ელჩის გვარი და სახელი, დაბადების წელი, განათლება, სამსახურებრივი მოღვაწეობა, ოჯახური მდგომარეობა, უცხო ენათა ცოდნა. ზოგიერთ შემთხვევაში საგარეო საქმეთა სამინისტროს საელჩო აგრემანს თხოვს ვერბალური[1] ნოტით. მასზე პასუხი იმავე ფორმით წარმოებს (ზეპირად ან წერილობით ნოტის სახით).

თუ ელჩს პირველად უხდება ისეთ ქვეყანაში გამგზავრება, რომელთანაც ეს-ესაა დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა, აგრემანის მოთხოვნა შესაძლებელია მესამე ქვეყნის საელჩოს მიერ.

საერთოდ ცდილობენ საქვეყნოდ არ გაახმაურონ აგრემანის მოთხოვნა, რაც იმით არის გამოწვეული, რომ უარის შემთხვევაში შეიძლება გართულდეს ქვეყნებს შორის ურთიერთობა. ვენის კონვენცია არ აიძულებს სახელმწიფოს მისცეს მოტივაცია, თუ რატომ განაცხადა უარი აგრემანის გაცემაზე.

კანდიდატურის დანიშვნაზე მთავრობის თანხმობა გულისხმობს, რომ ის მისაღები, სასურველი პიროვნებაა — პერსონა გრატა. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნება მთავრობისათვის მიუღებელია, ის არის პერსონა ნონ გრატა — არასასურველი პიროვნება. ეს სიტყვები ლათინურიდან იღებს სათავეს.

მიღებული არ არის აგრემანის მოთხოვნაზე ოფიციალურად უარყოფითი პასუხის გაცემა. აგრემანის მოთხოვნაზე პასუხის დაგვიანება კი განიხილება ისე, რომ მასპინძელ მთავრობას ამ პირის ელჩად მიღების მაინცდამაინც დიდი სურვილი არა აქვს. ასეთ შემთხვევაში ელჩად დასანიშნი კანდიდატურა იხსნება, მთავრობას, რომელიც ელჩს გზავნის და ვერ იღებს აგრემანს მომავალი ელჩის მასპინძელი ქვეყნიდან, შეუძლია საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ გაგზავნოს მეორე კანდიდატურა და დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის შეინარჩუნოს დროებითი რწმუნებულის დონეზე, რაც გულისწყრომის გამომხატველია, მაგრამ თუ მას არ სურს ვითარების გამწვავება, გაჭიანურებულ პასუხს უარად განიხილავს და ცოტა ხნის შემდეგ ახალ კანდიდატურას წარუდგენს მთავრობას.

აგრემანის მიღებაზე უარის თქმის გამოქვეყნებას უდაოდ შეუძლია რეპუტაცია შეურყიოს ელჩობის კანდიდატს და მოსალოდნელია, რომ მას სხვა ქვეყნებმაც უთხრან უარი. ამიტომაც აგრე-

---

[1] Verbalis (ლათინ.) — ზეპირი, სიტყვიერი.

შანის თხოვნა-მიღების პროცედურა არ ექვემდებარება პუბლიკაციას. მხედველობაში იღებენ რა აგრემანის თხოვნის დელიკატურ ხასიათს, მთავრობა, რომელსაც აგრემანს თხოვენ, ცდილობს არ გააჭიანურაოს მისი გაცემა. მხედველობაში იღებენ იმასაც, თუ რამდენად გააჭიანურა ან დროულად გასცა აგრემანი იმ ქვეყანამ, რომელსაც სურს აგრემანის მიღება მასპინძელი ქვეყნის ელჩის თავისთან დანიშვნის დროს.

აგრემანზე პასუხის გაცემა ისევე ხდება, როგორც აგრემანის მიღებაზე თხოვნა. საელჩოს წარმომადგენელს იბარებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ზეპირად აცნობენ მას ელჩის დანიშვნის თანხმობას. თუ თხოვნა წერილობით იყო გაგზავნილი, პასუხი წერილობითვე გაიცემა:

„ . . . . . ქვეეყნის სამინისტრო თავის პატივისცემას გამოხატავს . . . . . ქვეყნის საელჩოსადმი და აქვს პატივი აცნობოს, რომ . . . . . ქვეყნის მთავრობა თანახმაა ელჩის (სახელი, გვარი) დანიშვნაზე. სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა კიდევ ერთხელ დაარწმუნოს საელჩო მისდამი ღრმა პატივისცემაში“.

აგრემანის მიღების შემდეგ ქვეყნდება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს ბრძანებულება თავისი ელჩის ამა თუ იმ ქვეყანაში დანიშვნისა და მისი წინამორბედის გათავისუფლების შესახებ.

აგრემანის მიღების შემდეგ ელჩი იწყებს იმ ქვეყანაში გამგზავრებისათვის მზადებას, სადაც დაინიშნა. უპირველეს ყოვლისა იგი იღებს რწმუნების სიგელს თავისთვის და გამოწვევის სიგელს თავისი წინამორბედისათვის. რწმუნების სიგელი არის დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურად ამტკიცებს ელჩის, როგორც ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლის სტატუსს. ადრინდელთან შედარებით სიგელის ენა დღეს თავშეკავებული და ლაკონურია:

პირობით

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ლიტვის
რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

ძვირფასო მეგობრებო,

გვსურს რა ხელი შევუწყოთ და განვამტკიცოთ მეგობრული

ურთიერთობები, რომლებიც კეთილად ვითარდება საქართველოსა და ლიტვას შორის, მე დავნიშნე . . . . . (სახელი, გვარი) საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

ვაძლევ რა . . . . . (სახელი, გვარი) აკრედიტაციას ამ სიგელით, გთხოვთ მიიღოთ იგი კეთილგანწყობილად და ენდოთ ყველაფერში, რისი მოხსენების პატივიც ექნება მას თავისი სახელმწიფოს — საქართველოს სახელით.

თბილისი	დაამოწმა (ხელმოწერა)
საქართველოს სახელმწიფოს	საქართველოს რესპუბლიკის
მეთაური.	საგარეო საქმეთა მინისტრი.

წელი, თვე და რიცხვი.

თუ ელჩი ცვლის თავის წინამორბედს, მაშინ მას რწმუნების სიგელთან ერთად ატანენ წინამორბედის გამოთხოვის სიგელს. ეს ის დოკუმენტია, რომლითაც დამნიშნავი ქვეყანა უკან ითხოვს, ათავისუფლებს მის მიერ დანიშნულ ელჩს. ისევე, როგორც რწმუნების სიგელი, გამოსათხოვი სიგელიც სახელმწიფოს მეთაურის ხელმოწერით ფორმდება და საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმოწერით დამტკიცდება. რწმუნების და გამოთხოვის სიგელები ორივე სახელმწიფოს მეთაურისათვისაა განკუთვნილი. გამოთხოვის სიგელში აღნიშნულია გამოთხოვის ფაქტი და გამოთქმულია იმედი, რომ ელჩმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში ხელი შეუწყო ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა განვითარების საქმეს:

> საქართველოს სახელმწიფოს მეთაური მის უდიდებულესობას ელისაბედ მეორეს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის, სხვა სამფლობელოების და ტერიტორიების დედოფალს, ერთა თანამეგობრობის ხელმძღვანელს და ა. შ. და ა. შ.

თქვენო უდიდებულესობავ,

გადავწყვიტე სხვა სამსახურში დავნიშნო . . . . . (სახელი, გვარი) და ვიწვევ მას დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩობიდან.

დარწმუნებული ვართ, რომ . . . . . (სახელი, გვარი) განუხრელად უწყობდა ხელს მეგობრული ურთიერთობების განმტკიცებას, რომელიც ასე კეთილად ვითარდება საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის. გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, კეთილგანწყობილად მიიღოთ მისი გაწვევის სიგელი.

თბილისი

საქართველოს სახელმწიფოს
მეთაური.
წელი, თვე, რიცხვი.

დაამოწმა (ხელმოწერა)
საქართველოს რესპუბლიკის
საგარეო საქმეთა მინისტრი.

აგრემანს ითხოვენ მხოლოდ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის აკრედიტაციისათვის. საელჩოს სხვა დიპლომატების დასანიშნად აგრემანის მიღება პრაქტიკაში არ არის. ამ შემთხვევაში საელჩო მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში აგზავნის ვერბალურ ნოტას თხოვნით — გასცენ განკარგულება დიპლომატიური თანამშრომლისათვის ვიზის მიცემის თაობაზე.

ამ აღიარებული პრაქტიკისაგან განსხვავებული მოთხოვნებია სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშეთა დანიშვნისას. ბევრი ქვეყანა მათი დანიშვნისათვის წინასწარ მოითხოვს საქმის კურსში ჩააყენონ მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო და სამხედრო უწყება. აუცილებელია ავტობიოგრაფიული ცნობების მიწოდებაც. იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო უწყებას არაფერი აქვს საწინააღმდეგო, მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატიურ წარმომადგენლობას უგზავნის ვერბალურ ნოტას, რომლითაც ატყობინებს თანხმობას სამხედრო ატაშეს დანიშვნაზე. ერთდროულად იძლევიან განკარგულებას მისთვის ვიზის გაცემის თაობაზე.

პირობით

ნ ო ტ ა
საქართველოს რესპუბლიკის საელჩო

ვაშინგტონი.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩო გამოხატავს თავის პატივისცემას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარ-

ტამენტის მიმართ და აქვს პატივი შეატყობინოს მას I რანგის კაპიტნის . . . . . (სახელი, გვარი) სამხედრო-საზღვაო ატაშედ დანიშვნის შესახებ, ავტობიოგრაფიული მონაცემები თან ერთვის.

საელჩო მადლიერი იქნება სახელმწიფო დეპარტამენტისა, თუ იგი ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენებს საქართველოს კომპეტენტურ ხელისუფალთ.

საელჩო სარგებლობს შემთხვევით, რათა ხელახლა გამოხატოს სახელმწიფო დეპარტამენტის მიმართ ყველაზე მაღალი პატივისცემის გრძნობები.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს. ვაშინგტონი.

ვაშინგტონი (თარიღი)
ბეჭედი.

ს ა პ ა ს უ ხ ო ნ ო ტ ა
ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი გამოხატავს თავის პატივისცემას საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს მიმართ და აქვს პატივი საელჩოს № . . . . (თარიღი) ნოტასთან დაკავშირებით ამცნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტური ხელისუფლება ინფორმირებულია პირველი რანგის კაპიტნის . . . . . (სახელი, გვარი) საქართველოს საელჩოსთან სამხედრო-საზღვაო ატაშედ დანიშვნის თაობაზე.

სახელმწიფო დეპარტამენტი სარგებლობს შემთხვევით, რათა ხელახლა გამოხატოს საელჩოს მიმართ თავისი მაღალი პატივისცემა.

საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს. ვაშინგტონი.

ვაშინგტონი (თარიღი)
ბეჭედი.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საელჩოში საქმეთა დროებითი რწმუნებულის დანიშვნასთან დაკავშირებით აგრემანი საჭირო

არ არის. მასპინძელი ქვეყნიდან გამგზავრების წინ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური საგარეო საქმეთა სამინისტროს უგზავნის პირად ნოტას, რომლითაც ატყობინებს ქვეყნიდან თავისი გამგზავრების შესახებ და აღნიშნავს, რომ მისი არყოფნის დროს მის მოვალეობას დროებით შეასრულებს ესა და ეს პირი.

პირობით

ნ ო ტ ა

თბილისი (თარიღი)

პატივცემულო ბატონო მინისტრო,

მაქვს პატივი შეგატყობინოთ, რომ მე დღეს, 26 მაისს, რამდენიმე დღით მივემგზავრები საქართველოდან. ჩემი არყოფნის დროს საელჩოს უხელმძღვანელებს საელჩოს მრჩეველი . . . . . (სახელი, გვარი), როგორც საქმეთა დროებითი რწმუნებული.

ბატონო მინისტრო, მიიღეთ ჩემი თქვენდამი უაღრესი პატივისცემა. (ხელმოწერა).

მის აღმატებულებას ბატონ . . . . . .
საქართველოს რესპუბლიკის საგარეო
საქმეთა მინისტრს.
ქ. თბილისი.

ს ა პ ა ს უ ხ ო ნ ო ტ ა

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო
საქმეთა სამინისტრო
№ ————

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსადმი და აქვს პატივი დაადასტუროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის . . . . . (სახელი, გვარი) მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის (თარიღი, ნომერი) ნოტის მიღებაზე, რომელიც ატყობინებს

საქართველოდან მის დროებით გამგზავრებას და საელჩოს საქმეების დროებით საელჩოს მრჩევლისათვის გადაცემას.

საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით და მეტად მაღალ პატივისცემას გამოხატავს საელჩოს მიმართ.

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს. თბილისი (თარიღი)
თბილისი. ბეჭედი.

თუ საელჩოს საქმეთა დროებით რწმუნებულიც მიემგზავრება მასპინძელი ქვეყნიდან, ისიც პირადი ან ვერბალური ნოტით მიმართავს საგარეო საქმეთა სამინისტროს. პროცედურა ისეთივეა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული.

დღეს მრავალი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ საკითხთან დაკავშირებით საელჩოს ნოტაზე ნოტითვე არ უპასუხებს. მის მიერ საელჩოდან მიღებული ნოტა მხედველობაში მიიღება.

მასპინძელი ქვეყნის საოქმო წესებიდან გამომდინარე, გათავისუფლებულ ელჩს გამოსათხოვარი ვიზიტები აქვს ქვეყნის მეთაურთან, მთავრობის მეთაურთან, მთავრობის წევრებთან, თავის კოლეგებთან, პოლიტიკური. და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებთან; ესწრება მის საპატივცემულოდ გამართულ წვეულებებს. ასეთი შეხვედრები მას საშუალებას აძლევს აწარმოოს ორი ქვეყნის ურთიერთობებიდან გამომდინარე სასარგებლო საუბრები. ზოგიერთ ქვეყანაში დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს შესაძლებლობა ეძლევა ქვეყნიდან გამგზავრებისას გამოვიდეს ტელევიზიითა და რადიოთი.

ქვეყნიდან გამგზავრების წინ, როგორც წესი, ელჩი აწყობს გამოსათხოვარ წვეულებას, რომელზედაც იწვევს მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ პირებს, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. გამგზავრების წინ ელჩი პირად ნოტას უგზავნის მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს, ატყობინებს თავისი გამგზავრების შესახებ და საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებულის ვინაობას. სადგურსა და აეროპორტში ელჩს აცილებს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე. ზოგჯერ გაცილებაში მონაწილეობენ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც.

საბოლოო გამგზავრებასთან დაკავშირებით მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ან მისი მოადგილე ელჩს უმართავს საუზმეს. ინფორმაცია მინისტრის მიერ ელჩის მიღებისა და მის საპატივცემულოდ საუზმის გამართვის შესახებ ქვეყნდება პრესაში.

ელჩის გამგზავრების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება პრესაში. თუ ელჩი მანქანით მიემგზავრება, მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე მას ელჩის რეზიდენციაშივე ემშვიდობება.

დიპლომატიური წარმომადგენელი შეიძლება დააჯილდოონ მასპინძელი ქვეყნის ორდენით. ორდენის მიღების თაობაზე შეთანხმება უნდა არსებობდეს ელჩის საკუთარ მთავრობასთან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აგრემანის მიღების შემდეგ ელჩი ემზადება ქვეყანაში გასამგზავრებლად. უპირველეს ყოვლისა ის ეცნობა თავის ქვეყანასა და გასამგზავრებელ ქვეყანას შორის დადებულ ყველა ხელშეკრულებას, მის ისტორიას, კულტურას, ეკონომიკას, საკუთარი და მასპინძელი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიას.

ელჩი ეწვევა იმ სამინისტროებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც მჭიდრო კავშირები აქვთ ქვეყანასთან, სადაც ელჩს მოუწევს მუშაობა. გამგზავრებამდე 7-10 დღის განმავლობაში ელჩი საოქმო ვიზიტით ეწვევა მასპინძელი ქვეყნის ელჩს. ამ ვიზიტის დროს მას შესაძლოა გაუმართონ საუზმე ან სადილი.

საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში არცთუ იშვიათია ფაქტი, როდესაც ერთი ქვეყნის ელჩი იმავდროულად არის სხვა ქვეყნების ელჩიც. ამ შემთხვევაში საელჩო ფუძნდება ერთ ქვეყანაში, სადაც ელჩი არის აკრედიტებული, სხვაგან კი იხსნება წარმომადგენლობა მცირე შტატით, დროებითი საქმეთა რწმუნებულის შეთაურობით; ხშირად ასეთი წარმომადგენლობა არც ფუძნდება.

დროდადრო ელჩი მოგზაურობს თავისი აკრედიტაციის ქვეყანაში, მონაწილეობს დიპლომატიური კორპუსისათვის მოწყობილ ღონისძიებაში, ხვდება ოფიციალურ პირებს.

ფინანსების ეკონომიის მიზნით ზოგ ქვეყანაში შემოღებულია „მოგზაური ელჩის“ კატეგორია. ასეთ შემთხვევაში ელჩი იმყოფება თავის ქვეყანაში, ხოლო იმ ქვეყნებში, სადაც ის არის აკრედიტებული, ხანმოკლე ვიზიტებით ჩადის.

ელჩის ჩასვლამდე საელჩოს დროებითი რწმუნებული მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებს ელჩის ჩასვლის დღეს და საათს და საგარეო საქმეთა მინისტრთან აწარმოებს ელჩის მიღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებას. დროებითი რწმუნებული ანალოგიური საქმისათვის ეწვევა დიპლომატიური კორპუსის დუაიენს.[1]

ელჩი ინკოგნიტოდ ითვლება მანამდე, ვიდრე რწმუნების სიგელს არ გადასცემს ქვეყნის ხელმძღვანელს. მაგრამ, დიპლომატიაში დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ელჩს და მის თანმხლებ პირებს მასპინძელი ქვეყანა ჯეროვან ყურადღებას უთმობს.

აეროპორტში ან სადგურში ელჩს ხვდება მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე. ასევე მას ხვდებიან საკუთარი საელჩოს თანამშრომლები დროებითი რწმუნებულის მეთაურობით, ზოგჯერ სხვა ქვეყნების ელჩებიც. თვითონ ფრინავის კიბესთან დროებითი რწმუნებული ელჩს აცნობს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგეს, რომელიც მას იწვევს აეროპორტის მაღალი რანგის სტუმართა მისაღებ სალონში. იქ დროებითი რწმუნებული ელჩს აცნობს საელჩოს თანამშრომლებს და შეხვედრის მონაწილე სხვა ქვეყნების ელჩებს.

იმ შემთხვევაში, თუ ელჩი მანქანით ჩადის ქვეყანაში, ოფიციალური შეხვედრა არ იმართება. საელჩო მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებს ელჩის ჩასვლის ფაქტს.

დიპლომატიური ოქმის სხვა წესებისაგან განსხვავებით რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალი თითქმის უცვლელი დარჩა. ელჩი პირველი ვიზიტით ეწვევა მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგეს. განყოფილების გამგე მას აცნობს რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალის დეტალებს. ელჩი საოქმო განყოფილების გამგეს სთხოვს შეხვედრა მოუწყოს საგარეო საქმეთა მინისტრთან. შეხვედრის დანიშვის შესახებ ელჩს ტელეფონით ატყობინებენ. მინისტრთან საუბრის დროს ელჩი მას გადასცემს რწმუნების სიგელის ასლს და იმ მოკლე სიტყვის ტექსტს, რომელიც მან უნდა წარმოთქვას ქვეყნის მეთაურთან შე-

---

[1] doyen (ფრანგ.) პირი, რომელიც დიპლომატიურ კორპუსს მეთაურობს, უმაღლესი რანგის უფროსი დიპლომატიური წარმომადგენელი.

ხვედრის დროს. მინისტრთან ელჩის შეხვედრის თაობაზე პრესაში მოკლე ცნობას აქვეყნებენ.

რწმუნების სიგელის გადაცემის დღეს ელჩის რეზიდენციაში მიდის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე, რომელიც შემდგომ ელჩთან ერთად მიემგზავრება სასახლეში.

სასახლის შესასვლელთან ელჩს ხვდება სამხედრო კომენდანტი, ესალმება და აცილებს მოსაცდელ დარბაზამდე. მოსაცდელ დარბაზში საოქმო განყოფილების გამგე ელჩს აცნობს ცერემონიალში მონაწილე ოფიციალურ პირებს. დარბაზში არიან აგრეთვე საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლებიც.

დარბაზში, სადაც ცერემონიალი ტარდება, ერთდროულად შედიან: ერთი მხრიდან ელჩი, რომელსაც მარჯვნივ ახლავს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმ ტერიტორიული განყოფილების გამგე, რომელშიც შედის ელჩის სამშობლო, მარცხნივ — საოქმო განყოფილების გამგე, ხოლო საწინააღმდეგო მხრიდან შემოდიან — ქვეყნის ხელმძღვანელი და საგარეო საქმეთა მინისტრი ან მინისტრის მოადგილე. დარბაზის ცენტრამდე ორი ნაბიჯის დაცილებით ელჩი და მთავრობის ხელმძღვანელი ჩერდებიან და თავის დაკვრით ესალმებიან ერთმანეთს. შემდეგ ელჩი წარმოთქვამს მოკლე სიტყვა-მისალმებას და ქვეყნის მეთაურს გადასცემს რწმუნების სიგელს, წინამორბედის გაწვევის სიგელს და თავისი სიტყვის ტექსტს. თავის მხრივ, ქვეყნის მეთაურიც წარმოთქვამს მოკლე მისასალმებელ სიტყვას. ელჩი და ქვეყნის მეთაური ერთმანეთს ხელს ართმევენ. ამის შემდეგ ქვეყნის ხელმძღვანელი ელჩს აცნობს საგარეო საქმეთა მინისტრს, ელჩი კი — მის თანმხლებ პირებს. შემდეგ ქვეყნის მეთაური ელჩს სასაუბროდ იწვევს ოთახში ან დარბაზში. იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარი დარბაზში მიმდინარეობს, დარბაზს ტოვებს ყველა ის პირი, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა ცერემონიალში, გარდა საგარეო საქმეთა მინისტრისა, რომელიც მონაწილეობს საუბარში. საუბრის შემდეგ ფოტოგრაფი იღებს სამახსოვრო სურათს. ამით ცერემონიალი მთავრდება. ელჩს გადასცემენ ქვეყნის მეთაურის გამოსვლის ტექსტს. ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანხლებით საელჩოში ბრუნდება.

ცერემონიალი ტანსაცმლის საზეიმო ფორმასაც ითვალისწინებს (შავი კოსტუმი, ეროვნული ტანსაცმელი):

პრესაში ქვეყნდება ამ მოვლენასთან დაკავშირებული ინფორმაცია ფოტოსურათებთან ერთად. საელჩოში დაბრუნების შემდეგ ელჩი აწყობს წვეულებას, ე. წ. „შამპანურის ბოკალს". წვეულებაში მონაწილეობენ მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, ისინი, ვინც ესწრებოდნენ ცერემონიალს, აგრეთვე საელჩოს თანამშრომლები. იმავე დღეს ელჩი თავის უცხოელ კოლეგებს უგზავნის პირად ნოტებს, ამცნობს მათ რწმუნების სიგელის გადაცემას და იმას, რომ შეუდგა თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.

არის შემთხვევები, როდესაც განმეორებით ხდება რწმუნების სიგელების გადაცემა. ეს მაშინ, როდესაც იცვლება სახელმწიფო წყობა. ახალმა ხელმძღვანელობამ შეიძლება რწმუნების სიგელების ხელახალი გადაცემა მოითხოვოს. ეს ცერემონიალი უფრო მარტივია. ელჩი საკუთარი მანქანით მიემგზავრება ქვეყნის ხელმძღვანელის სასახლეში. მას თან ახლავს საელჩოს რამდენიმე თანამშრომელი. სასახლესთან ელჩს ხვდება საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე და სასახლის სამხედრო კომენდანტი. ცერემონიალის დანარჩენი ნაწილი უცვლელია.

სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვანაირად აწყობს რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალს.

მაგალითად, ინდონეზიაში ცერემონიალის დღეს პრეზიდენტის ავტობაზიდან გამოყოფილი ავტომანქანების კორტეჟით და მოტოციკლეტისტთა ესკორტით საელჩოში მიდის ქვეყნის საოქმო სამსახურის უფროსი. როდესაც ელჩი პირველ ავტომანქანაში ჯდება, მანქანაზე აღიმართება ინდონეზიის პრეზიდენტის შტანდარტი.[1] კორტეჟი პრეზიდენტის სასახლეში „ისტანა მერდეკაში" მიემგზავრება. სასახლის შესასვლელთან გამწკრივდება საპატიო ყარაული. ელჩის პატივსაცემად სრულდება მისი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი. ელჩს სასახლეში ეგებება კომენდანტი და პრეზიდენტის უფროსი ადიუტანტი. სასახლის სასტუმრო დარბაზში ელჩი ჩანაწერს აკეთებს საპატიო სტუმრების წიგნში. შემდეგ ადიუტანტი ელჩს მიიწვევს იმ დარბაზში, სადაც მან რწმუნების სიგელი უნდა გადასცეს პრეზიდენტს; შემდეგ ელჩი წარმოთქვამს მოკლე სიტყვას, საპასუხო სიტყვას წარმოთქვამს პრეზიდენტიც. შემდეგ

---

[1] Standarte (გერმ.) — დროშა.

ელჩი პრეზიდენტთან მიდის და ხელს ართმევს მას. პრეზიდენტი ელჩს აცნობს საგარეო საქმეთა მინისტრს, სხვა ოფიციალურ პირებს ელჩს აცნობს საოქმო განყოფილების გამგე. თავის მხრივ ელჩი პრეზიდენტს იმ პირებს წარუდგენს, რომლებიც მას ახლავან. ცერემონიალი მთავრდება გასაუბრებით. საოქმო განყოფილების გამგის მინიშნებით ელჩი ემშვიდობება პრეზიდენტს და ტოვებს სასახლეს. საპატიო ყარაული ესალმება ელჩს. სრულდება ინდონეზიის სახელმწიფო ჰიმნი. საპატიო ყარაულის უფროსი მოახსენებს ელჩს ცერემონიალის დამთავრების შესახებ. ელჩი ბრუნდება საელჩოში.

შვეიცარიაში ელჩს ავტომანქანების ნაცვლად ცხენშებმულ ეტლებს უგზავნიან. მკაცრად იცავენ ტანსაცმლის ფორმასაც. მეფის სასახლის შიდა ეზოში ელჩს ხვდება ორი ჰოფმაისტერი. მეფის გვარდიელები ესალმებიან მას. ელჩი თავს ხრის სახელმწიფო დროშასთან. საპატიო ყარაული განლაგებულია სასახლის კიბეებზე, რომლის გავლითაც იგი მიემართება დარბაზისაკენ. ყარაულის გავლისას ელჩი და დიპლომატიური კორპუსის მარშალი თავს ხრიან დროშასთან. მოსაცდელ დარბაზში უკრავს სამხედრო ორკესტრი. მთავარი დარბაზის შესასვლელში ელჩს ხვდება ვიცე-ცერემონმაისტერი. ელჩი და ორივე ჰოფმაისტერი მიდიან წინ, მეორე დარბაზისაკენ, სადაც მას ხვდება ცერემონმაისტერი. შემდეგ ელჩი შეჰყავთ მესამე დარბაზში, სადაც მას ესალმება სასახლის მარშალი, ორი ადიუტანტი და ორი ოფიცერი. სასახლის მარშალი მეფეს ატყობინებს ელჩის მოსვლას, რის შემდეგაც სასახლის მარშალს ელჩი შეჰყავს მეფესთან დარბაზში. ელჩი მარტო რჩება მეფესთან, გადასცემს მას რწმუნებისა და თავისი წინამორბედის გაწვევის სიგელებს. შესაძლოა ხანმოკლე საუბარიც. სასახლიდან გამომგზავრების დროს ცერემონიალი იგივეა, იმ განსხვავებით, რომ ელჩი საკუთარი მანქანით ბრუნდება საელჩოში. ცერემონიალში მონაწილე დიპლომატები ფრაკში გამოწყობილნი უნდა იყვნენ. რწმუნების სიგელის გადაცემის შემდეგ ელჩი თავის კოლეგებს უგზავნის პირად ნოტებს, რითაც ამცნობს, რომ შეუდგა საქმიანობას.

პირადი ნოტების ტექსტები წინასწარ მზადდება და ერთ და იმავე დღეს იგზავნება:

პარიზი. (თარიღი)

საქართველოს რესპუბლიკის საელჩო

ბატონო ელჩო,

მაქვს პატივი გამცნოთ, რომ დღეს მე რწმუნების სიგელი გადავეცი მის აღმატებულებას ქვეყნის პრეზიდენტს, რომლითაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად მნიშნავს საფრანგეთის რესპუბლიკაში.

მსურს გამოვთქვა რწმენა, რომ მექნება შესაძლებლობა ვიქონიო თქვენთან როგორც ოფიციალური, ისე პირადი ურთიერთობები, რომელიც იქნება იმ მეგობრობის შესატყვისი, რაც ასე კეთილად ვითარდება ჩვენს ქვეყნებს შორის.

გთხოვთ, ბატონო ელჩო, მიიღოთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემის დასტური.

(ხელმოწერა)

მის აღმატებულებას ავსტრიის საგანგებო
და სრულუფლებიან ელჩს საფრანგეთის
რესპუბლიკაში

ქ. პარიზი.

ელჩი ვიზიტებს იწყებს საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელ პირებთან, შემდეგ თავის უცხოელ კოლეგებთან.

მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილება ელჩს გადასცემს იმ ოფიციალური პირების სიას, რომელთაც უნდა ეწვიოს ან სურვილისამებრ დაუტოვოს თავისი სავიზიტო ბარათები.

სხვა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები, რომელთა რანგიც ახალი ელჩის რანგზე უფრო დაბალია, პირველნი უნდა ეწვიონ ელჩს.

ელჩის მეუღლეც ისეთივე პრივილეგიებით სარგებლობს, როგორც ელჩი. მეუღლე ვიზიტით მიდის საგარეო საქმეთა მინისტ-

რის მეუღლესთან, ქვეყნის მეთაურის მეუღლესთან. ვიზიტებს ორგანიზაციას უკეთებს ადგილობრივი საოქმო სამსახური.

ყველა ვიზიტის დამთავრების შემდეგ ელჩმა წვეულება უნდა გაუმართოს საგარეო საქმეთა მინისტრს და სხვა ოფიციალურ პირებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ელჩი მანამდე არ ჩადის ქვეყანაში, ვიდრე მისი წინამორბედი იქიდან არ გამოემგზავრება.

ზოგიერთი რამ ვიზიტებთან დაკავშირებით

საოქმო მოთხოვნებიდან გამომდინარე აუცილებელია ვიზიტზე ზუსტად მისვლა. ამ წესის დარღვევა განიხილება როგორც მასპინძლის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულება, რამაც ერთობ ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს ამ პირთან შემდგომ ურთიერთობებზე. დაგვიანება ყოვლად დაუშვებელია არა მარტო ასეთ მიღებაზე, არამედ სხვა ოფიციალურ ღონისძიებებზეც. დაგვიანების ობიექტურ მიზეზებსაც არავინ მიიღებს გამამართლებელ საბუთად. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით წინასწარ უნდა გადამოწმდეს მისამართი, სავიზიტო გამგზავრების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნეს საქალაქო ტრანსპორტის სიჭარბე და სხვა. უკეთესი იქნება სავიზიტოდ განკუთვნილ შენობასთან ადრე მისვლა და იქვე დაცდა, ხოლო შემდეგ დანიშნულ დროს შესვლა მიღებაზე. სამწუხაროდ, საქართველოში უცხოელი სტუმრებისათვის გამართულ ბანკეტებზე არაერთხელ ჰქონია ადგილი საქართველოს ოფიციალურ პირთა დაგვიანებით მისვლას, რაც საკმაო უხერხულობას იწვევდა. ასეთ შემთხვევაში სჯობს, საერთოდ, არმისვლა.

მისაღებ ოთახში სტუმარს დასვამენ მასპინძლის ხელმარჯვნივ, ყველაზე საპატივცემულო ადგილას. სტუმარი მას შემდეგ ჯდება, როდესაც მასპინძელი დაიკავებს ადგილს.

სტუმარს არ სთავაზობენ საწერ მაგიდასთან დაჯდომას.

ადგილობრივი პრაქტიკიდან გამომდინარე, ვიზიტის დროს სტუმარს უმასპინძლდებიან ყავით, ღვინით ან ჩაით.

საოქმო მიღება 10-15 წუთს გრძელდება, მაგრამ თუ საუბარი საინტერესოდ წარიმართება, შეიძლება უფრო გახანგრძლივდეს.

ვიზიტის დამთავრების ინიციატივა სტუმრის პრეროგატივაა. გამონაკლისს შეადგენს ქვეყნის მეთაურთან ვიზიტი, სადაც აუდენცია წყდება ქვეყნის მეთაურის მიერ. ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანაში აუდენციის დროს მეფეს შეკითხვებს არ აძლევენ.

დიპლომატიური მიმოწერა

საერთაშორისო კონფერენციებში, მოლაპარაკებებში, ოფიციალურ მიღებსა და წვეულებებში მონაწილეობის მიღების გარდა დიპლომატებს საკმაოდ ფართო მოვალეობანი აკისრიათ, ისეთი, რომელიც გარეშე თვალთათვის დაფარულია და დიპლომატიური სამზარეულოს საიდუმლოებაა. ერთ-ერთ დიპლომატიურ კერძად დიპლომატიური დოკუმენტები ითვლება.

დიპლომატიური დოკუმენტაცია ერთმანეთისაგან ერთობ განსხვავებულია — ერთს მხოლოდ შიდაუწყებრივი, მეორეს კი საგარეო დანიშნულება აქვს. სწორედ ამ უკანასკნელის მეშვეობით ხორციელდება ოფიციალური მიმოწერითი სახელმწიფოთაშორისი კავშირები, გამოიკვეთება ქვეყანათა პოზიციები საერთაშორისო ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებით.

დიპლომატიური დოკუმენტების დიდი რაოდენობა, მათში დასმული უმნიშვნელო საკითხების გამო, გამოქვეყნებას არ ექვემდებარება. მაგალითად, ნოტა ვიზის გაცემის თაობაზე და ა. შ. მაგრამ საკმაოდ ბევრი დიპლომატიური დოკუმენტი ქვეყნდება პრესაში, ვინაიდან მათში საერთაშორისო ცხოვრების მრავალ საკითხზეა საუბარი. სწორედ ასეთი დიპლომატიური დოკუმენტი აძლევს საზოგადოებრიობას შესაძლებლობას გაეცნოს სახელმწიფოს მიზნებსა და მისწრაფებებს საგარეო პოლიტიკაში.

დიპლომატიური მიმოწერა სახელმწიფოს დიპლომატიური მოღვაწეობის უმთავრესი ფორმაა, ის საერთაშორისო კონფერენციებში, მოლაპარაკებების და შეხვედრების რანგშია აყვანილი.

დიპლომატიური პრაქტიკა დიპლომატიური მიმოწერის 5 სახეობას იცნობს: პირადი ნოტა, ვერბალური ნოტა, სამახსოვრო ბარა-

თი (წერილი), მემორანდუმი, ნახევრადოფიციალური პირადი წერილი.

პ ი რ ა დ ი ნ ო ტ ა — მას აქვს წერილის სახე. ის იწერება პირველ პირში იმის სახელით, ვინც ხელს აწერს ამ წერილს. წერილი იწყება შიმართვით და მთავრდება კომპლიმენტით:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
თბილისი.
„———“ მაისი 1992 წ.

პატივცემულო ბატონო . . . . . .

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მადლობა თქვენს მეგობრულ მილოცვაზე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საზეიმო დღესთან დაკავშირებით.

ღრმა პატივისცემით

პირადი ხელმოწერა.

მინისტრისადმი გაგზავნილ წერილში მიმართვა ასეთია: ბატონო მინისტრო, თქვენო აღმატებულებავ; ელჩისადმი — ბატონო ელჩო, თქვენო აღმატებულებავ; დესპანისადმი — ბატონო დესპანო.

პირად ნოტაზე ბეჭედი არ ისმება, გამგზავნის გვარი, სახელი და თანამდებობა არ ფორმულირებს.

მისამართი იბეჭდება ნოტის პირველ გვერდზე მარცხენა ქვედა კუთხეში. მისამართში იწერება იმ პირის რანგი, ვისაც ნოტა ეგზავნება.

ვ ე რ ბ ა ლ უ რ ი ნ ო ტ ა — ყველაზე გავრცელებული დოკუმენტია. ის გამოიყენება საკითხთა ფართო წრის განსახილველად და გადასაწყვეტად. მასში ასახულია პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა საკითხები, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხები. ნოტით ითხოვენ ვიზას და სხვა.

ვერბალური ნოტა იწყება და მთავრება კომპლიმენტით: „საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას ბულ-

გარეთის საელჩოს მიმართ და აქვს პატივი შეატყობინოს....."

ნოტის დასასრულს: „საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით, რათა გამოხატოს საელჩოსადმი თავისი ღრმა პატივისცემა".

პირადი და ვერბალური ნოტები იბეჭდება მაღალი ხარისხის გერბიან ქაღალდზე. გერბის ქვეშ არის წარწერა, მაგალითად, „საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო" ან „საქართველოს რესპუბლიკის საელჩო (ქვეყნის დასახელება)".

ისე, როგორც პირად ნოტაში, ვერბალურში მისამართი მარცხენა ქვედა კუთხეში იბეჭდება:

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო
№ . . . . . .

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოხატავს თავის პატივისცემას გერმანიის საელჩოს მიმართ და საელჩოს ნოტაზე (№, რიცხვი, წელი) პატივი აქვს შეატყობინოს საქართველოს მთავრობის თანხმობის შესახებ გერმანიის თვითმფრინავის ქ. ბათუმში (წელი, რიცხვი) დაფრენაზე.

საგარეო საქმეთა სამინისტრო სარგებლობს შემთხვევით და . . . . . საელჩოს მიმართ გამოხატავს თავის ღრმა პატივისცემას.

თბილისი, ... ნოემბერი, 19 . . . . წ.
გერმანიის საელჩოს
თბილისი.

ვერბალურ ნოტას აქვს ნომერი, კოდი, თარიღი, ესმება საგარეო საქმეთა სამინისტროს ან საელჩოს ბეჭედი. იგი ისმება ნოტის ბოლოს, იქ, სადაც თარიღია დაბეჭდილი. ვერბალურ ნოტას ხელმოწერა არა აქვს.

დიპლომატიურ მიმოწერაში არის ორი სახის დოკუმენტი, რომელიც ტექსტის ბოლოს კომპლიმენტს არ მოითხოვს. ასეთებია — სამახსოვრო ბარათები (წერილები) და მემორანდუმი.[1]

---

[1] Memorandum (ლათ.) — რაც უნდა გახსოვდეს, სამახსოვრო ბარათი.

არსებობს ორი სახის სამახსოვრო ბარათი: სამახსოვრო ბარათი, რომელსაც პირადად გადასცემენ და სამახსოვრო ბარათი, რომელსაც გზავნიან შიკრიკის ხელით. სამახსოვრო ბარათები, როგორც წესი, გადაეცემათ პირადად, იმ მიზნით, რომ მეტი მნიშვნელობა მიენიჭოს საუბრის დროს ნათქვამ განცხადებას. სამახსოვრო ბარათი იბეჭდება უგერბო სუფთა ფურცელზე, მისამართისა და ნომრის გარეშე. აღინიშნება მხოლოდ გაგზავნის ადგილი და თარიღი. ტექსტის ზემოთ ჩაიბეჭდება: „სამახსოვრო ბარათი".

ის სამახსოვრო ბარათი, რომელიც შიკრიკის ხელით იგზავნება, ფორმით ვერბალური ნოტისაგან არ განსხვავდება. ისიც მესამე პირშია შედგენილი, შეიცავს მიმართვას და კომპლიმენტს, იბეჭდება ნოტის ბლანკზე, აქვს ნომერი და თარიღი.

ვერბალური ნოტისაგან განსხვავებით ამ დოკუმენტზე არაა ბეჭედი და არც მისამართია მითითებული. თავში აქვს წარწერა: „სამახსოვრო ბარათი".

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი — არის ის დოკუმენტი, რომელიც დაწვრილებით განიხილავს საკითხის ამა თუ იმ მხარეს, აქვს არგუმენტაცია თავისი პოზიციის დასაცავად. მემორანდუმს პირად ან ვერბალურ ნოტას დაურთავენ.

მემორანდუმი, რომელიც პირად ან ვერბალურ ნოტას ერთვის, ნოტის უგერბო ბლანკზე იბეჭდება. მასზე არ არის აღნიშნული ნომერი, ადგილი, თარიღი. არ აქვს ბეჭედი. მემორანდუმი, რომელიც პირადად გადაეცემა, ასევე ნოტის ბლანკზე იბეჭდება, არ აქვს მიმართვა და კომპლიმენტი, არც ბეჭედი და ნომერი, აქვს მხოლოდ ადგილის მინიშნება და გაგზავნის თარიღი.

პ ი რ ა დ ი წ ე რ ი ლ ი — იბეჭდება ჩვეულებრივ ქაღალდზე. იწყება და მთავრდება კომპლიმენტით. ნომერი არა აქვს. თარიღი და პირადი ხელმოწერა აუცილებელია. მისამართი მხოლოდ კონვერტზეა.

თბილისი.
199 . . . წლის... მაისი

პატივცემულო ბატონო ელჩო,

ვუბრუნდები რა ჩვენს გუშინდელ საუბარს, კიდევ ერთხელ მსურს მადლობა გადაგიხადოთ თეატრის სპექტაკლზე მიწვევისათვის.

ჩემმა მეუღლემ და მე სპექტაკლისაგან დიდი კმაყოფილება მივიღეთ; მსახიობთა თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

თქვენს სახლში გატარებული საღამო კი სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ბატონო ელჩო მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

(ხელმოწერა).

გარდა აღნიშნული დიპლომატიური დოკუმენტებისა არსებობს სხვა, საყოველთაოდ მიღებული დოკუმენტებიც. მაგალითად: დეკლარაცია,[1] სახელმწიფოს მეთაურთა და მთავრობათა განცხადება, საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, დეპეშა და სხვა.

მსოფლიოში დიდ პოლიტიკურ რეზონანს იძენს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ერთობლივი განცხადება.

სატელეფონო კავშირის განვითარების შემდეგ ფართო განვითარება პოვა დეპეშამაც. დეპეშა ყოველთვის საჭიროებს პასუხის გაცემას. ის იგზავნება ეროვნული დღესასწაულის, საიუბილეო თარიღის და სხვა ღონისძიებათა მილოცვის დროს:

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარეს

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე!

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან — 26 მაისთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ გულითადი სურვილები გადავცე ყველა პოლონელისათვის ახლობელ ქართველ ხალხს. პოლონეთის საზოგადოების ცხოვრებაში ღრმად არის გამჯდარი არა მხოლოდ ქართველი და პოლონელი ხალხების კულტურული სიახლოვე, დაფუძნებული საერთო ქრისტიანულ ნიადაგს, არამედ ჩვენი ორი ქვეყნის მსგავსი ბედ-იღბალიც.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საყოველთაო ნდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საქმეში, რაც სხვა ერე-

---

[1] declaratio (ლათ.) — განცხადება, გამოცხადება.

ბისთვისაც ნიმუშად უნდა იქცეს. ეს გამოხატავს გეოგრაფიულად დაშორებული ერების ახლომეგობრული ურთიერთობის შესაძლებლობას.

მჯერა, რომ ჩვენი ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობა არა მარტო ჩვენი ხალხების, არამედ საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებსაც ემსახურება.

გთხოვთ, კიდევ ერთხელ მიიღოთ ჭეშმარიტი მეგობრობის დასტური თქვენი და მთელი ქართველი ხალხის მიმართ.

ბატონო თავმჯდომარეო, გისურვებთ თქვენ და მთელ ქართველ ხალხს დიდ წარმატებას მძლავრი და დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ამ ურთულეს გზაზე.

ლეხ ვალენსა
პოლონეთის რესპუბლიკის
პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარეო!

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ თქვენი სახით, ბატონო თავმჯდომარეო, უაღრესად გულწრფელად კეთილდღეობა ვუსურვო მთელ ქართველ ხალხს.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ გეოგრაფიული მანძილის მიუხედავად, რომელიც ჩვენს ქვეყნებს აშორებს, ჩვენ — პოლონელებსა და ქართველებს ერთი ისტორიული ბედი, ქრისტიანულ საწყისებზე წარმოქმნილი კულტურა და მეგობრობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გვაერთიანებს.

ნება მიბოძეთ თქვენ, დიდად პატივცემულო ბატონო ედუარდ, გისურვოთ მრავალჟამიერი ბედნიერება და ნაყოფიერი მოღვაწეობა დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს აშენების ძნელ საქმეში.

სტანისლავ ჩოსეკი,
პოლონეთის რესპუბლიკის ელჩი.

მის უდიდებულესობას,
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

საქართველოს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით მსურს მოგილოცოთ ეს დღესასწაული და წარმატებები, აყვავება და წინსვლა ვუსურვო ქართველ ხალხს.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ტრადიციული მეგობრობა წარიმართება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განსამტკიცებლად.

იონ ილიესკუ
რუმინეთის პრეზიდენტი.

მის აღმატებულებას ბატონ თენგიზ სიგუას,
საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა უაღრესად გულთბილად მოგილოცოთ თქვენ და მეგობარ ქართველ ხალხს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაული.

გამოვთქვამ იმედს, რომ რუმინელი და ქართველი ხალხების კეთილი ურთიერთობა კიდევ უფრო განვითარდება ყველა დარგში ჩვენი ორივე ქვეყნისათვის კეთილსასურველი შედეგებით.

თეოდორ სტოლოჯანი
რუმინეთის პრემიერ-მინისტრი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ბატონ
ედუარდ შევარდნაძეს

მაქვს პატივი გადმოგცეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა:

„ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით თქვენ და საქართ-

ველოს ხალხს გერმანელი ხალხის სახელით მხურვალე სალამს გიგზავნით.

გისურვებთ თქვენ და თქვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას ძალას და სიბრძნეს, რომ წარმატებამდე მიიყვანოთ როგორც შინაგანი მშვიდობის აღდგენის დაწყებული საქმე, ასევე დემოკრატიის განხორციელება, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თავისუფალი ეკონომიკის შექმნა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გულითადი თანაგრძნობით, რჩევით და საქმით კვლავაც თქვენი და ქართველი ხალხის გვერდით იქნება მის წინ გადაშლილ მძიმე გზაზე."

რიხარდ ფონ ვაიცზეკერი
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის
პრეზიდენტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარეს, მის აღმატებულებას ბატონ
ედუარდ შევარდნაძეს

ვსარგებლობ შემთხვევით, დიდად პატივცემულო ბატონო თავმჯდომარე, რათა გამოვხატო ჩემი უღრმესი პატივისცემა და გადმოგცეთ ჩემი პირადი საუკეთესო სურვილები.

გუნტერ დალჰოფი
გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი
საქართველოში.

გარდა ამისა, დეპეშა იგზავნება აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების დაწყებასთან დაკავშირებით.

დიპლომატიურ დოკუმენტებში გამორჩეული ადგილი უკავია ერთობლივ განცხადებებსა და კომუნიკეებს.[1] კომუნიკე სხვა დოკუმენტებისაგან იმით განსხვავდება, რომ ერთმხრივი კი არა, არამედ ორმხრივი, მრავალმხრივია. როგორც წესი ეს არის ოფიციალურ ვიზიტებთან, მოლაპარაკებებთან დაკავშირებული მხარეთა შორის შეთანხმებული განცხადება.

---

[1] communigno (ფრანგ.) — ოფიციალური ცნობა, განცხადება, შეტყობინება.

დიპლომატიურ დოკუმენტთა რიცხვს განეკუთვნება მიმართვებზე პრესაში გამოქვეყნებული სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პასუხები, აგრეთვე ოფიციალური ბანკეტის დროს წარმოთქმული სიტყვა.

დიპლომატიური დოკუმენტია განცხადება პრესისათვის. მასში ასახულია მთავრობის, ქვეყნის მმართველი წრეების პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან, ან კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

დიპლომატია ხშირად იყენებს ისეთ დოკუმენტსაც, როგორიცაა რუბრიკა: „საგარეო საქმეთა სამინისტროში". მისი მიზანია ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია რეგიონული და გლობალური დიპლომატიური დოკუმენტებიც. მაგალითად, გაერომ თავისი არსებობის განმავლობაში მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომლებმაც გარკვეული გავლენა იქონიეს საერთაშორისო პროცესებზე; მათ რიცხვშია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია და დეკლარაცია კოლონიური სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

ნებისმიერი დიპლომატიური დოკუმენტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფორმასა და შინაარსს. დოკუმენტებზე მუშაობა დიდ პოლიტიკურ პროფესიონალიზმს, დიპლომატიური მუშაობის გამოცდილებას მოითხოვს.

დიპლომატიურ მიმოწერას მდიდარი ისტორია აქვს, ის ისევე ძველია, როგორც თვით დიპლომატია.

ძველაღმოსავლური დიპლომატიის ისტორიიდან ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს ტელ-ამარნის მიმოწერა და ეგვიპტის ფარაონის რამზეს მეორის ხელშეკრულება ხეთების მეფე ხათუსილ მესამესთან, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1278 წელს დაიდო. ამარნა ადგილის სახელწოდებაა და მდებარეობს შუა ეგვიპტეში, ნილოსის ნაპირებთან, იგი იყო ეგვიპტის ფარაონის ამენჰოტეპ მეოთხის რეზიდენცია. 1887—1888 წლებში, ამენჰოტეპის სასახლის არქივების გახსნის დროს, აღმოჩნდა ფარაონთა XIII დინასტიის — ამენჰოტეპ მესამისა და მისი შვილის ამენჰოტეპ მეოთხის დიპლომატიური მიმოწერა. ტელ-ამარნის არქივები ინახება ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში. იგი შეიცავს 360 თიხის დაფას. ეს არის ფარაონების მიმოწერა სხვა

ქვეყნების მეფეებთან; მათგან საინტერესოა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1278 წელს დადებულ იქნა ხელშეკრულება ეგვიპტის XIX დინასტიის ფარაონ რამზესსა და ხეთების მეფე ხათუსილს შორის. ხელშეკრულების ინიციატორი ხეთების მეფე იყო. ხანგრძლივი წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ ხათუსილმა რამზესს გაუგზავნა ხელშეკრულების პროექტი, რომელიც დაწერილი იყო ვერცხლის დაფაზე. ამ დოკუმენტის დამადასტურებელი ნიშანი იყო თვით მეფის და დედოფლის გამოსახულება, ქარის, ელვისა და მზის ღმერთებთან ერთად.

რამზესმა მიიღო სამშვიდობო წინადადებები, რომელსაც ხეთების მეფე სთავაზობდა და თანხმობის ნიშნად ხათუსილს გაუგზავნა საპასუხო ვერცხლის დაფა, რომელზედაც სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტი იყო. ტექსტს ჰქონდა სახელმწიფო ბეჭედი და ხელმოწერა. ხელშეკრულება 3 ეგზემპლარად ინახებოდა — ორი ეგვიპტურ ენაზე კარნაკასა და რამესესში, ერთი ხეთურზე — ბოღაზქოიში.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ უხსოვარი დროიდან ხეთები და ეგვიპტელები ერთმანეთის მტრები იყვნენ. ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ მეფეთა შორის მყარდება სამუდამო მშვიდობა, მეგობრობა და თანხმობა:

„მას შემდეგ, რაც ხეთების მეფე გავხდი, ეგვიპტის უდიდეს მეფე რამზესთან ვიმყოფები მშვიდობასა და ძმობაში. მას ექნება ყველაზე საუკეთესო სამშვიდობო და საძმო ხელშეკრულება, რაც საერთოდ არსებობდა დედამიწაზე. დე, მშვენიერი მშვიდობა და ძმობა იყოს ხეთების მეფისა და რამზესის შვილებს შორის“.

ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის ფორმდება მეგობრობისა და თავდაცვის ხელშეკრულება: „თუ მტერი გაილაშქრებს რამზესის წინააღმდეგ, მაშინ რამზესმა ამის შესახებ შეატყობინოს ხეთების მეფეს: წამოდი შენი ძალებით ჩემს დასაცავად. ხელშეკრულება ითვალისწინებდა არა მარტო გარეშე მტრისაგან თავდაცვას, არამედ ქვეყნის შიგნით აჯანყებისაგან თავდაცვასაც.

განსაკუთრებული მუხლით იყო განსაზღვრული პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებელთა საკითხიც: „თუ ეგვიპტიდან ვინმე გაიქცევა ხეთების სამეფოში, ხეთების მეფე არ დატოვებს მას თავის ქვეყანაში და დაუბრუნებს რამზესს“.

დიპლომატიის ისტორიისათვის ამ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის საერთაშორისო სამართლის ნიმუში, რომელიც საფუძვლად დაედო ძველი აღმოსავლეთის ხელშეკრულებებს. საბერძნეთი და რომი ნიმუშად იღებდნენ ძველაღმოსავლური ხელშეკრულების ამ ტექსტს.

დიპლომატიური მიმოწერის ყველა დოკუმენტი ოფიციალურია, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტის ზუსტად შერჩევის საკითხს. ვერბალურ ნოტაზე ვერბალური ნოტით სცემენ პასუხს, პირად წერილზე — პირადით. პირად წერილზე ვერბალური ნოტით პასუხის გაცემა მიუღებელია, ისევე, როგორც პირადად ხელმოწერილ წერილზე დაბეჭდილი ხელმოწერით პასუხის გაცემა.

თითქმის ყოველი დიპლომატიური დოკუმენტი პასუხს მოითხოვს. მისი უგულებელყოფა მიუღებელია.

საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატიურ მიმოწერას მშობლიურ ენაზე აწარმოებს. დოკუმენტს ახლავს თარგმანი უცხო ენაზე. დიპლომატიური კორესპონდენციის ფოსტით გაგზავნა რეკომენდებული არ არის.

დიპლომატიური დოკუმენტი უნდა იყოს შედგენილი მარტივი, ლაკონური ენით, ნაკლებად გამოიყენება ეპითეტები.

* * *

დიპლომატიურ სამსახურში დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიპლომატიურ საუბარს. დიპლომატი, რომელიც არ აწარმოებს ან ვერ აწარმოებს საუბარს, სათუოა, რომ შეძლებს კონტაქტის დამყარებას იმ ქვეყნების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებთან, სადაც იგი მუშაობს. ასეთი დიპლომატი სრულყოფილ დიპლომატიურ მუშაკად ვერ ჩაითვლება. დიპლომატიური საუბრის დროს მას უნდა ახსოვდეს ფაქტები, საცნობარო მასალები; უნდა იცოდეს მსოფლიო ისტორიის ძირითადი მომენტები, საკუთარი და მასპინძელი ქვეყნის ისტორია, საერთაშორისო ურთიერთობის ისტორია, საერთაშორისო სამართალი, ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებები, მოქმედი ხელშეკრულებები და სხვა. საუბრის დროს ერთობ აუცილებელია მოსაუბრის აზრის გაგება; თუ რაიმე გაუგებარია, შეუძლია შეეკითხოს მოსაუბრეს. თუ დიპლომატს საუბრის დროს გადასცემენ ნოტას ან სამახსოვრო ბარათს, იგი იქვე უნდა გაეცნოს ამ დოკუმენტს, ვინაიდან ზოგიერთ შემთხვევაში მოსალოდნელია ნოტის

დაბრუნება. ნოტის დაბრუნება ხდება მაშინ, თუ ეს დოკუმენტი დიპლომატის ქვეყნის მიმართ უხეშ და შეურაცხმყოფელ გამოხდომებს შეიცავს. ნოტის დაბრუნება არ შეიძლება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ დიპლომატს არ მოეწონა ნოტის შინაარსი. საუბრისას დიპლომატმა უნდა დაიცვას თავისი პოზიცია, აქტიურად ჩაერთოს დისკუსიაში. ცუდია, როდესაც დიპლომატი განაცხადებს: „ამის შესახებ მე მოვახსენებ ჩემს მთავრობას“.

დიპლომატს გაუჭირდება, თუ თავისი ხასიათით უკარებაა, ძუნწი მოლაპარაკეა ან ენაჭარტალა და თანაც უხეში.

დიპლომატიური საუბარი მიმდინარეობს მშვიდად, მიუხედავად იმისა, მძაფრია თუ არა საუბრის თემა.

დიპლომატმა საუბრის დროს არ უნდა გააკრიტიკოს მასპინძელი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ადათ-წესები. ასეთი კრიტიკა განიხილება საშინაო საქმეებში ჩარევად. ხშირად ასეთი კრიტიკის შედეგად დიპლომატს აცხადებენ პერსონა ნონ გრატად.

არ არის რეკომენდებული იმ ქვეყნის უდიერად მოხსენიებაც, რომელთანაც მასპინძელ ქვეყანას დიპლომატიური ურთიერთობა აქვს. როდესაც დიპლომატს შეხვედრები აქვს ქვეყნის ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან, რომლებიც აკრიტიკებენ მთავრობას და ცდილობენ გაიგონ დიპლომატის აზრი, დიპლომატმა თავი უნდა აარიდოს პასუხს.

დიპლომატს სიფრთხილე მართებს ჟურნალისტებთან საუბრის დროს. არაკეთილსინდისიერ ჟურნალისტს დიპლომატთან საუბრის ფაქტიც კი შეუძლია მის წინააღმდეგ გამოიყენოს.

საუბრის დროს უნდა სუფევდეს ურთიერთ ინტერესი. თითოეულის სურვილია მოსაუბრისაგან გაიგოს ის, რაც მან არ იცის; მაგრამ საუბარი არ უნდა გადაიქცეს ვიქტორინად, როდესაც ერთი აძლევს შეკითხვას, ხოლო მეორე უპასუხებს. დიპლომატმა არასოდეს არ უნდა იცრუოს. თუ მან რაიმე არ იცის, ან საიდუმლოების დაცვის გამო არ შეუძლია თქმა, სჯობს თავი აარიდოს კითხვას, ან განაცხადოს, რომ ის ამ საკითხში არ არის გარკვეული.

დიპლომატიური საუბარი საგარეო-პოლიტიკური აქტია. საუბრის საფუძველზე კეთდება ინფორმაცია, რომელიც იგზავნება დიპლომატის საგარეო საქმეთა სამინისტროში. ინფორმაციის შესაბამისად ღებულობენ ოპერატიულ გადაწყვეტილებას როგორც ცენტრში, ისე დიპლომატიურ წარმომადგენლობაში.

დიპლომატიური კორპუსი

დიპლომატიური კორპუსი ეწოდება ქვეყანაში აკრედიტებულ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლებს — ელჩებს, ნუნციებს, დესპანებს, საქმეთა რწმუნებულებს, დროებით რწმუნებულებს, ყველა დიპლომატიურ თანამშრომელს. დიპლომატიურ კორპუსს მიეკუთვნება დიპლომატიური თანამშრომლების ოჯახის წევრებიც — მეუღლეები, გაუთხოვარი ქალიშვილები, არასრულწლოვანი ვაჟიშვილები.

დიპლომატიური თანამშრომლის დიპლომატიურ ხარისხს განსაზღვრავს დიპლომატის ქვეყნის მთავრობა; აქედან გამომდინარე დიპლომატს ეძლევა დიპლომატიური პასპორტი. საგარეო საქმეთა სამინისტრო რეგულარულად გამოსცემს დიპლომატიური კორპუსის ცნობარს, რომელშიც მოცემულია დიპლომატისა და მისი ოჯახის წევრების გვარი, მისამართები, ტელეფონის ნომრები.

საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური განცხადება მხოლოდ საოქმო საკითხებთან დაკავშირებით; მაგალითად, ქვეყნის ახლადარჩეული ხელმძღვანელის მისალმების, ეროვნული დღესასწაულის, ახალი წლისა და სხვა დღესასწაულების მილოცვის დროს:

„ბატონო პრეზიდენტო, გვიღებთ რა ყველას ერთად როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, გამოვხატავთ ჩვენს კოლექტიურ მილოცვას ქვეყნის უმაღლეს თანამდებობაზე თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენი პოლიტიკა წარიმართება ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთკავშირების განმტკიცებისაკენ.

დიპლომატიური კორპუსის სახელით, ბატონო პრეზიდენტო, გისურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და წარმატებას დიდი სახელმწიფო საკითხების გადაწყვეტაში“.

დიპლომატიური კორპუსის დუაიენი არის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომელმაც სხვა ქვეყნის დიპლომატიური

წარმომადგენლობების მეთაურებთან შედარებით მასპინძელი ქვეყნის მეთაურს ყველაზე ადრე გადასცა რწმუნების სიგელი. დუაიენი (მამასახლისი) ყოველთვის არის მაღალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი (ელჩი ან ნუნცია). ზოგიერთ ქვეყანაში დუაიენი არის მხოლოდ ნუნცია, მიუხედავად იმისა, თუ როდის გადასცა მან რწმუნების სიგელი ქვეყნის მეთაურს. თუ ელჩის ქვეყანას არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობა დუაიენის ქვეყანასთან, მაშინ ელჩი დუაიენის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს დუაიენის შემდეგ ყველაზე „უხუცესს“ (რწმუნების სიგელის ჩაბარებიდან გამომდინარე) ელჩს უთანხმებს.

დუაიენი ითვლება უცხოელი კოლეგებისათვის მთავარ კონსულტანტად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ქვეყანაში ახალი ელჩი ჩადის. დუაიენი მას აცნობს ადგილობრივ საოქმო რიტუალს და სხვადასხვა საკითხებს. დუაიენი არის შუამავალი მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილებასა და თავის უცხოელ კოლეგებს შორის.

დიპლომატიური კორპუსის სახელით დუაიენი რეაგირებას ახდენს მასპინძელი ქვეყნის როგორც საზეიმო, ისე სამგლოვიარო ვითარებაზე. გამოდის სხვადასხვა სახის ცერემონიალზე, მიულოცავს, მიუსამძიმრებს, ორგანიზაციას უკეთებს საჩუქრების გადაცემას. ასეთ შემთხვევაში დუაიენის მდგომარეობა ძალზე საპასუხისმგებლო და დელიკატურია. მან უნდა გამოხატოს ყველა თავისი კოლეგის აზრი, ამასთანავე არ უნდა დაივიწყოს, რომ არის თავისი მთავრობის წარმომადგენელი, რაც ავალდებულებს გაითვალისწინოს თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრინციპებიც. დუაიენი თავისი გამოსვლის ტექსტს არ ათანხმებს უცხოელ კოლეგებთან, ასეთი რამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს.

დუაიენი ორგანიზაციას უკეთებს დიპლომატიურ კორპუსს ელჩის გაცილების დროს, მისთვის საჩუქრის გადაცემას.

დუაიენს თავის კოლეგებთან შედარებით მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ ხელისუფლებასთან კონტაქტების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს.

დიპლომატიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დიპლომატთა შორის უფროს-უმცროსობის საკითხს, რომლის დაცვაც სავალდებულოა სხვადასხვა ღონისძიებათა განხორციელების დროს; ასე, მაგალითად, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა

მეთაურებს შორის, დიპლომატიურ კორპუსსა და ადგილობრივ ოფიციალურ პირთა შორის, დიპლომატიურ წარმომადგენლობაში; ოფიციალურ ღონისძიებაზე, რომელზეც დიპლომატიური კორპუსი არის მიპატიჟებული, მის პირველ, საპატიო ადგილს გამოუყოფენ სახელმწიფოს მეთაურთან ახლოს.

დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურთა შორის უფროსობა განისაზღვრება იმით, თუ ვინ ადრე ჩააბარა რწმუნების სიგელი. დროებითი რწმუნებულების უფროსობის საკითხი დამოკიდებულია იმ მეთაურის რანგზე, რომელსაც დროებითი რწმუნებული ცვლის და იმაზე, თუ როდის გაიგზავნა წერილი მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროში მისი დროებით რწმუნებულად დანიშვნის თაობაზე.

თუ ელჩი ხელმეორედ აბარებს რწმუნების სიგელს (რაც ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფო წყობილება იცვლება, ან ქვეყნის ხელმძღვანელი კვდება), მისი ხანდაზმულობა დიპლომატიურ კორპუსში უცვლელი რჩება.

დიპლომატებსა და მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ პირებს შორის უფროს-უმცროსობის საკითხში დადგენილია, რომ ამა თუ იმ ქვეყნის უცხოელ ელჩებს სიაში სახელმწიფო მეთაურის შემდეგ მოიხსენიებენ. თუმცა მოკრძალების ნიშნად უცხოელი ელჩები თავიანთ ადგილს ნებაყოფლობით უთმობენ პრემიერ-მინისტრს ან საგარეო საქმეთა მინისტრს. საფრანგეთის საოქმო პრაქტიკაში ეს ასე გამოიყურება ოფიციალური ბანკეტების დროს პრემიერ-მინისტრის ან საგარეო საქმეთა მინისტრის მეთაურობით:

დიპლომატიური კორპუსის დუაიენი

ელჩები
სენატის თავმჯდომარე
ეროვნული კრების თავმჯდომარე
დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები
ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები
კაბინეტის მინისტრები
გენერალური მდივანი
პოლიტიკური დირექტორი.

უცხოეთის ელჩის რეზიდენციაში ბანკეტის დროს:
პრემიერ-მინისტრი
სენატის თავმჯდომარე
ეროვნული კრების თავმჯდომარე
საგარეო საქმეთა მინისტრი
დიპკორპუსის დუაიენი
უცხოეთის ელჩები
ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები
კაბინეტის მინისტრები
გენერალური მდივანი
პოლიტიკური დირექტორი
დიპლომატიური წარმომადგენლობების მეთაურები
დეპუტატები.

საბჭოთა კავშირში 1956 წელს დამტკიცებული უფროს-უმცროსობის მიხედვით:

ელჩი (დესპანი)
სავაჭრო წარმომადგენელი
მრჩეველი-დესპანი
მრჩეველი
სამხედრო ატაშე
პირველი მდივანი
სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე
სამხედრო ატაშეს თანაშემწე
მეორე მდივანი
მესამე მდივანი
ატაშე (დიპლომატიური)
სავაჭრო ატაშე.
(საზღვარგარეთ უფროს-უმცროსობის შესახებ მასალა იხილეთ კრებულის ბოლოს).

რელიგიური ცერემონიალი

რელიგიური ცერემონიალის დროს ეკლესია ანაწილებს ადგილებს იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ცერემონიალია — ეროვნული დღე, საზეიმო წირვა თუ სამგლოვიარო ცერემონიალი.

ეროვნული ცერემონიალი

ეროვნული ცერემონიალის დროს საპატიო ადგილად ითვლება ცენტრალური გასასვლელიდან საკურთხეველის მარჯვენა მხარე (როდესაც პირდაპირ უყურებთ).

თანამდებობის პირები იკავებენ გასასვლელიდან მარცხენა მხარეს.

გუნდი
მთავარი საკურთხეველი
საეკლესიო ხელმძღვანელობა.

სახელმწიფოს მეთაური, პალატების თავმჯდომარეები, მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, სახელმწიფო აპარატის თანამშრომლები	გასასვლელი	თანამდებობის პირები

სამგლოვიარო ცერემონიალი

სამგლოვიარო ცერემონიალი მაშინ ეწყობა, როდესაც კვდება სახელმწიფოს მეთაური ან სხვა მაღალი თანამდებობის პირი:

გუნდი მთავარი საკურთხეველი საეკლესიო ხელმძღვანელი სახელმწიფოს მეთაური პალატის თავმჯდომარე მთავრობის წევრები დიპლომატიური კორპუსი მთავრობის აპარატის წარმომადგენლები.	გასასვლელი	დიპლომატიური წარმომადგენლობების თანამშრომლები, გარდაცვლილის ახლო ნათესავები და მეგობრები, სხვადასხვა დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები.

დიპლომატიური წარმომადგენლობის მდივნები და ატაშეები აცილებენ მაღალი რანგის უცხოელ სტუმრებს და დიპლომატიური კორპუსის წევრებს მათთვის განკუთვნილ ადგილებზე.

თუ ელჩი გარდაიცვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-

ლებისას, დაკრძალვის ცერემონიალში, გათვალისწინებულა რა ამ შემთხვევის ხასიათი, ჩვეულებრივ შედის სამხედრო პატივის მიგება. ცერემონიალის დეტალებს ამუშავებს ადგილობრივი საოქმო სამსახური.

სამგლოვიარო ცერემონია შემდეგნაირად ტარდება:

ოქმის უფროსი საელჩოს წარმომადგენელთან ერთად ეკლესიის კარებთან ხვდება მაღალი რანგის თანამდებობის პირებს და დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს, უკანასკნელთ მიჩენილ ადგილებამდე მიაცილებენ იმ დიპლომატიური წარმომადგენლობის მდივნები და ატაშეები, რომლის მეთაურიც გარდაიცვალა;

არსებული ტრადიციის მიხედვით, თუ ცერემონია მხოლოდ ეკლესიაში ტარდება, ტანსაცმლის ფორმა, როგორც წესი, საპარადოა, თუმცა ამჟამად ეს წესი ძალას კარგავს;

დამკრძალავი პროცესის ჩატარების შემთხვევაში მონაწილეთა ტანსაცმლის ფორმა სავიზიტოა, შავი ატრიბუტებით გაწყობილი;

ცერემონიალში მონაწილეობს სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენელი, აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრი სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირთა თანხლებით;

სახელმწიფოს მეთაური, მთავრობა, საგარეო საქმეთა მინისტრი, დიპლომატიური კორპუსი და ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები გზავნიან ცოცხალი ყვავილების გვირგვინებს;

თუ ცხედარს მიაცილებს პროცესია, მას მიუძღვება საგარეო საქმეთა მინისტრი, განსვენებულის კოლეგები, საელჩოს საქმეთა რწმუნებული და ადგილობრივი სამოქალაქო და სამხედრო ხელმძღვანელი მოღვაწეები.

ამ საკითხებში საჭიროა დაცულ იქნეს ამა თუ იმ ქალაქისა თუ სახელმწიფოს ტრადიცია.

როგორც საერთო წესი უცხოეთის პორტში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცრის ან მეზღვაურის სიკვდილის შემთხვევაში, წესდებით მიღებულ პატივს განსვენებულს მიაგებენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეთანხმებით. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის, საზღვაო ქვეითი ჯარის ოფიცრის ან მეზღვაურის სიკვდილის შემთხვევაში მიცვალებულის ცხე-

დარს გზავნიან სამშობლოში, უცხოეთის პორტში კი, არავითარი ცერემონიალი არ ტარდება. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებათა განვითარებასთან დაკავშირებით საჭირო აღარ არის ძველი ტრადიციების დაცვა, რომლის თანახმადაც მიცვალებულს დაუყოვნებლივ ასაფლავებდნენ და გემები მას შესაფერ პატივს მიაგებდნენ დაკრძალვის ცერემონიალისას.

უფროს-უმცროსობა დიპლომატიურ კორპუსში

დიპლომატიური კორპუსის კოლექტიური უფროს-უმცროსობა

ცერემონიალზე მთელი დიპლომატიური კორპუსის მოწვევისას მათთვის პირველი ადგილია განკუთვნილი. ამ საერთო წესს გამონაკლისი არა აქვს.

საჭიროა ყოველთვის დიდი პატივისცემით მოპყრობა დიპლომატიური კორპუსის ერთობლიობისადმი. არ შეიძლება ოფიციალურ შეხვედრებზე ელჩების, დესპანებისა და საქმეთა რწმუნებულების გამოყოფა.

ცერემონიალზე დიპლომატიური წარმომადგენლობის სრული შემადგენლობის დასწრებისას წარმომადგენლობის წევრები ადგილს მეთაურთან ერთად იკავებენ.

ვინაიდან დიპლომატიური კორპუსის წევრთა ცოლები ისეთივე იმუნიტეტით სარგებლობენ, როგორითაც მათი მეუღლეები, მათზედაც ვრცელდება ასეთი უფროს-უმცროსობის წესი.

1815 წლამდე სახელმწიფოს წარმომადგენელთა უფროს-უმცროსობის პრობლემა გადაუჭრელი იყო. დიდ სახელმწიფოთა ელჩები მშვენივრად ასაბუთებდნენ მათი სუვერენის უფლებებს საპატიო ადგილზე. 1815 წლის 18 მარტის ვენის რეგლამენტმა გადაჭრა ეს პრობლემა, როდესაც დააწესა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების შესაბამისი კლასი თავიანთი ფუნქციების შესრულების დაწყების თარიღის მიხედვით.

შემდგომ მიღებულმა ვენის ოქმმა წარმომადგენლობების უფროს-უმცროსობის წესი შემდეგნაირად განსაზღვრა:

1. ვატიკანის საელჩო (ნუნციატურა), პირველ ადგილს იკავებს იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია პაპის უზენაესობა;
2. საელჩოები;
3. მისიები.

1961 წლის ვენის კონვენციამ დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ დაადასტურა ეს წესი და დაადგინა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა უფროს-უმცროსობა.

ელჩების უფროს-უმცროსობა ერთის მხრივ და მისიათა მეთაურებისა — მეორე მხრივ, განისაზღვრება წარმომადგენლობის მეთაურების უფროს-უმცროსობით, ე. ი. თარიღით, როდესაც მათ რწმუნების სიგელები გადაეცათ. თუ ერთი კლასის მქონე ორი სხვადასხვა წარმომადგენლობის მეთაურს რწმუნების სიგელი ერთსა და იმავე დღეს აქვს მიღებული, როგორც წესი, მათ იღებენ და მათს უფროს-უმცროსობას განსაზღვრავენ აგრემანის გაცემის თარიღით ან მათი წარმგზავნელი ქვეყნის შესაბამისად ანბანის (ფრანგული ალფაბეტი) მიხედვით.

მისიათა მეთაურებს რანგის მიხედვით მოსდევენ საქმეთა მუდმივი რწმუნებულები, რწმუნების სიგელის მიღების ან საგარეო საქმეთა მინისტრისათვის მათი გადაცემის თარიღის მიხედვით.

დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის დროებით არყოფნის შემთხვევაში წარმომადგენლობა ინარჩუნებს მის რანგს, ხოლო მისი მოვალეობის დროებითი შემსრულებელი რანგით მოსდევს იქ მყოფ ელჩებს.

საქმეთა დროებითი რწმუნებულების უფროს-უმცროსობა განისაზღვრება იმ თარიღით, როდესაც მათ დროებით დაეკისრათ ამ მოვალეობის შესრულება.

თუ საჭირო ხდება რწმუნების ახალი სიგელების გადაცემა (სუვერენის შეცვლის, ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისას), როგორც წესი, წარმომადგენლობის მეთაური იმავე რანგს ინარჩუნებს, რაც ადრე ჰქონდა, თუმცა მთავრობას შეუძლია გადაწყვიტოს საჭიროა თუ არა ცვლილების შეტანა აკრედიტებული დიპლომატების უფროს-უმცროსობის სიაში.

პირადი უფროსობა რანგის შესაბამისად

ინდივიდუალური უფროსობა არ ემთხვევა მთელი დიპლომატიური კორპუსისათვის დადგენილ წესს. დიპლომატიურ წარმომადგენელთა ყოველ კლასში გათვალისწინებულია აგრეთვე მათი

შედარებითი უფროსობა, ხოლო თუ იგი ერთნაირია, მათი ასაკი.

ყველა ეს მონაცემები მოყვანილია დიპლომატიური კორპუსის სიაში, რომელსაც ქვეყანაში ადგენენ საოქმო სამსახურის წარმომადგენლობის მეთაურის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე. სიაში შეტანილია ყველა შტატიანი დიპლომატი უფროს-უმცროსობის მიხედვით. აქვე მითითებულია დიპლომატთა ოჯახის იმ წევრთა სახელები და გვარები, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საოქმო ღონისძიებებში.

ინდივიდუალური უფროს-უმცროსობის წესი ასეთია:

I. პაპის ნუნცია;

II. ელჩები და უზენაესი კომისრები;

III. საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანები; მინისტრები, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სახელმწიფოს მეთაურთან;

IV. საქმეთა მუდმივი რწმუნებულები;

V. მისიების საქმეთა დროებითი რწმუნებულები იმ თარიღის დაცვით, როდესაც ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.

VI. საელჩოების საქმეთა დროებითი რწმუნებულები იმ თარიღის მიხედვით, როდესაც ისინი თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ;

VII. საელჩოთა მრჩევლები;

VIII. საელჩოთა პირველი მდივნები;

IX. საელჩოთა მეორე მდივნები;

X. სხვა მდივნები, ატაშეები და ა. შ.

VII და X კატეგორიებში უფროს-უმცროსობა განისაზღვრება იმ თარიღით, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეგზავნა წერილი დიპლომატის დანიშვნის ან თანამდებობის დაკავების შესახებ.

უკანასკნელ დროს დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან მნიშვნელოვნად გაიზარდა ტექნიკურ ატაშეთა რიცხვი. ეს ატაშეები დიპლომატიური კორპუსის სიებში შედიან და ელჩებს ექვემდებარებიან.

თვით წარმომადგენლობაში და დიპლომატიურ კორპუსში ტექნიკურ ატაშეთა უფროს-უმცროსობა განისაზღვრება თანამდებობის დაკავების თარიღით. თუმცა სამხედრო, საზღვაო და სამხედრო-სა-

ჰაერო ატაშეებს შორის განსაკუთრებული უპირატესობა ენიჭებათ პირებს, რომლებსაც გენერლის წოდება ან მისი თანაბარი რანგი აქვთ.

უფროს-უმცროსობის წესი დიპლომატიურ წარმომადგენლობაში

უფროს-უმცროსობის წესი წარმომადგენლობაში განისაზღვრება ყველა ქვეყანაში აღიარებული წესის შესაბამისად და გამოხატულია დიპლომატიური კორპუსის სიაში, სადაც დაცულია შემდეგი იერარქია:

I. დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური, რომელსაც აქვს მყარი დიპლომატიური სტატუსი, რადგან ოფიციალურად წარმოადგენს თავის ქვეყანას სხვა სახელმწიფოში.

II. საქმეთა დროებითი რწმუნებული, რომელიც დიპლომატიური ავტორიტეტის შენარჩუნების მიზნით ცვლის ელჩს. ეს დიპლომატი უფროს-უმცროსობის მიხედვით უშუალოდ მოსდევს წარმომადგენლობის მეთაურს. ზოგიერთი საელჩო (მაგალითად, საფრანგეთში) გამონაკლისს უშვებს ამ წესიდან; თუ საქმეთა დროებით რწმუნებულს დესპანის რანგი არ გააჩნია, იგი უფროსობას უთმობს სამხედრო ატაშეს, თუ კი ამ უკანასკნელს გენერლის წოდება აქვს.

III. ტექნიკურ ატაშეთა უფროს-უმცროსობა განისაზღვრება წარმომადგენლობებში მათი დანიშვნის თარიღით, მაგრამ, ჩვეულებრივ მიღებულია, რომ უპირატესობა ეძლევათ სამხედრო ატაშეებს (არმია, ფლოტი, ავიაცია); ამ ჯგუფში უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ეროვნული ტრადიციების შესაბამისად ან წოდების მიხედვით.

IV. მრჩევლები, მდივნები და სხვა ატაშეები — მათი საოქმო რანგის მიხედვით.

ოფიციალურ შეხვედრაზე, რომელსაც ტექნიკური ხასიათი აქვს, წარმომადგენლობის მეთაურს ტექნიკურ ატაშეთა ჯგუფში უფროსობა შეუძლია გადასცეს სპეციალისტს, რომელიც უშუალოდ შეხვედრაზე განსახილველ საკითხებზე მუშაობს. წარმომადგენლობის სხვა წევრები ჩვეულებრივ უფროს-უმცროსობას ინარჩუნებენ.

თუ გენერალური კონსული ან კონსული ცერემონიაში მონაწი-

ლეობს როგორც გენერალური საკონსულოს ან საკონსულოს ხელმძღვანელი, მისი უფროსობა უფრო მაღალია, ვიდრე სამხედრო ატაშეს ჯგუფისა.

უფროს-უმცროსობა საკონსულო[1] კორპუსში

1963 წლის ვენის კონვენციამ საკონსულო ურთიერთობათა შესახებ დაადგინა საკონსულო კორპუსის უფროს-უმცროსობა. ამ კონვენციის მიღებამდე უფროს-უმცროსობა ძირითადად ყოველი ცალკეული ქვეყნის მიერ დადგენილ წესზე იყო დამოკიდებული.

კონვენციაში ნათქვამია, რომ, როგორც წესი, ყოველ კატეგორიაში (გენერალური კონსული, კონსული, ვიცე-კონსული და I:ა-კონსულოს აგენტი) საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ეკზეკვატურის გაცემის თარიღით. მაგრამ, თუ საკონსულო დაწესებულების მეთაური ეკზეკვატურის მიღებამდე დროებით დაშვებული იყო თავისი ფუნქციების შესასრულებლად, მისი ადგილი უფროს-უმცროსობის თვალსაზრისით განისაზღვრება დროებითი დანიშვნის თარიღით ან მასზე მოთხოვნილების წარდგენით.

საკონსულო დაწესებულებების მეთაურების მოვალეობის შემსრულებლები უფროს-უმცროსობის მიხედვით მოსდევენ გენერალურ კონსულებს ან კონსულებს იმ წესით, რომელიც შეესაბამება მათ მიერ მოვალეობის შესრულების დაწყების თარიღს.

ყოველი კატეგორიის საპატიო კონსულებს უკავიათ ადგილი საკონსულო დაწესებულებათა შტატიანი კონსულების შემდეგ.

საკონსულოს თანამდებობის პირები, რომლებიც დაწესებულების ხელმძღვანელებს არ წარმოადგენენ, მოსდევენ ამ დაწესებულების მეთაურს. შტატიანი კონსულები უფროს-უმცროსობის მიხედვით ასეთივე თანამდებობის საპატიო პირებზე მაღლა დგანან. დიპლომატიური წარმომადგენლობა აცნობებს იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, საკონსულოში უფროს-უმცროსობასთან დაკავშირებით არსებულ შიდა წესს.

იქ, სადაც არ არსებობს ოფიციალურ ცერემონიებზე პატივის

---

[1] კონსულების შესახებ დაწერილებით იხილეთ ქვემოთ.

მიგებისა და უფროს-უმცროსობის თაობაზე უცხოეთის კონსულების მიმართ შიდა საოქმო წესი, ამ საკითხებს აწესრიგებენ ადგილობრივი წეს-ჩვეულებების დაცვით.

უცხოეთის კონსულებს, რომლებსაც სპეციალური ეკზეკვატურა აქვთ და ამის გამო მათ სპეციალურად იცავს მთავრობა, რომელიც მათ იღებს, ინდივიდუალურად და კოლექტიურად უნდა მიეგოთ უმაღლესი პატივისცემა.

შეცდომით რომ არ იყოს გაგებული ის პატივისცემა, რომელსაც მათ მიაგებენ, ოფიციალური ცერემონიების დროს, ჩვეულებრივ, ისინი ხელისუფლების გვერდით არ იკავებენ ადგილს. თუ კონსულებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ ცერემონიალში, მათი შეკრება ხდება სპეციალურად განკუთვნილ ოთახში (შენობაში) და იქიდან ძიჰყავთ მათთვის გამოყოფილ ადგილებზე. როგორც წესი, ისინი ადგილობრივი ხელმძღვანელი მოღვაწეების შემდეგ თავსდებიან.

უცხოელი კონსულების უდიდესი ნაწილი ადგილობრივ ხელისუფლებას ზოგჯერ აიძულებს განასხვაოს შტატიანი და საპატიო კონსულები. ასეთ შემთხვევაში შტატიან კონსულებს უფრო საპატიო ადგილს მიუჩენენ და მეტ პატივს მიაგებენ.

საკონსულოს რაიონებში კონსულთა უფროს-უმცროსობის წესი განისაზღვრება:

1. საკონსულო დაწესებულებათა კლასის მიხედვით — გენერალური საკონსულოების მეთაურთა შემდეგ მოდიან საკონსულოს, ვიცე-საკონსულოსა და საკონსულოს სააგენტოს მეთაურები;

2. ყოველ კატეგორიაში შტატიანი კონსულები უფროს-უმცროსობის მიხედვით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე საპატიო კონსულები;

3. ამ ორი კატეგორიიდან ყოველ მათგანში უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ქრონოლოგიური წესით, ეკზეკვატურის მიღების და კონსულის ფუნქციების დროებით შესრულების დაწყების თარიღის შესაბამისად.

შეხვედრებზე, რომლებშიც მთელი საკონსულო კორპუსი მონაწილეობს, ყოველი საკონსულოს საშტატო პერსონალი თავის მეთაურთან ერთად იკავებს ადგილს.

იმ შემთხვევაში, თუ კონსულებს შორის უთანხმოება წამოიჭრა საოქმო საკითხებზე, იგი უნდა მოწესრიგდეს იმ წესის საფუძველ-

ზე, რომელიც დადგენილია ადგილობრივი კომპეტენტური ხელისუფლების მიერ მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას.

დედაქალაქებში მცხოვრები უცხოელი კონსულები არ განეკუთვნებიან დიპლომატიურ კორპუსს. მათ არ უნდა ჰქონდეთ პრეტენზია დიპლომატიური კორპუსის წევრებთან ერთად ცერემონიალებში მონაწილეობაზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საკონსულო, როგორც მისი განყოფილება საელჩოს შემადგენლობაში შედის. ასეა ზოგიერთ სახელმწიფოში. ამ შემთხვევაში საკონსულო განყოფილების პერსონალი შეიძლება დიპლომატიური კორპუსის სიაში შევიდეს.

მთელ რიგ ქვეყნებში კონსულები ქმნიან საკონსულო კორპუსებს. ასეთი კორპუსი კერძო ასოციაციის ხასიათს ატარებს და უფლებამოსილი არ არის ოფიციალური აღიარებით სარგებლობდეს ან პრეტენზია ჰქონდეს საერთაშორისო-სამართლებრივ პრივილეგიებზე. ადგილობრივი ხელისუფლება ამ ასოციაციის მიმართ მოქმედებათა სრულ თავისუფლებას იტოვებს. საკონსულო კორპუსი, რომელიც მიზნად ისახავს თავისი წევრების პროფესიული ინტერესების დაცვას, მარტოოდენ ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და პრაქტიკის ახსნა-განმარტებით უნდა შემოიფარგლებოდეს.

საკონსულო კორპუსის მეთაური დუაიენია. ადგილობრივ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში მან:

1. თვალყური უნდა ადევნოს და დააფიქსიროს საკონსულო კორპუსში მომხდარი ყველა ცვლილება;

2. გათვითცნობიერებული იყოს უფროს-უმცროსობასთან, პრივილეგიებსა და იმუნიტეტებთან დაკავშირებით იმ ქვეყნის წესებში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება;

3. თავის კოლეგებს გააცნოს ის ცნობები, რომლებიც გამოდის ადგილობრივი ხელისუფლებისაგან და საინტერესოა მთელი საკონსულო კორპუსისათვის.

საკონსულო კორპუსის დუაიენის საკითხთან დაკავშირებით არავითარი გაუგებრობა არ უნდა წარმოიქმნას, ვინაიდან 1963 წლის ვენის კონვენციამ დაადგინა საკონსულო დაწესებულებათა მეთაურების უფროს-უმცროსობის წესი. დუაიენი არის უმაღლესი რანგის შტატიანი საკონსულო წარმომადგენელი, რომელმაც ყველაზე ადრე მიიღო ეკზეკვატურა. სხვა კატეგორიათა კონსულები მონაწილეობენ ასოციაციის მეთაურის მუშაობაში და აქ წამყვანი როლი

განეკუთვნება შტატიან საკონსულოს აგენტებს, თუ ასოციაციას სურს სარგებლობდეს პატივისცემითა და აუცილებელი ავტორიტეტით, როდესაც საქმე ეხება მისი ყველა წევრის ინტერესების დაცვას.

დუაიენის არქივები შეძლებისდაგვარად უნდა შეიცავდნენ:

1. საკონსულო კორპუსის სიას საპატიო კონსულებისა და საკონსულოს აგენტების ჩათვლით;

2. საკონსულოს საშტატო თანამდებობის პირთა მიმდინარე სიას;

3. უფროს-უმცროსობის ადგილობრივ წესს;

4. იმ ოფიციალური თანამდებობის პირთა სიას, რომლებსაც ჩამოსული კონსულები ვიზიტით უნდა ეწვიონ;

5. იმ სახელმწიფოთა ეროვნული დღესასწაულების სიას, რომელთა წარმომადგენლებიც ქვეყანაში იმყოფებიან, აგრეთვე მასპინძელი ქვეყნის დღესასწაულთა ნუსხას;

6. იმუნიტეტებისა და პრივილეგიების ნუსხას, რომელიც რაიონში აკრედიტებულ კონსულებს ენიჭებათ;

7. შეძლებისამებრ იმ სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების სრულ დოსიეს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება და მთელ აუცილებელ ტექნიკურ დოკუმენტაციას.

დუაიენის არქივი და ბიბლიოთეკა, თუ ასეთი არსებობს, უნდა გადაეცეს ახალ დუაიენს.

უფროს-უმცროსობის წესი ზოგიერთ სახელმწიფოში

შეერთებული სამეფო. ამერიკის შეერთებული შტატები

ზოგადი შენიშვნები

ამ წიგნის ამოცანას არ შეადგენს სხვადასხვა სახელმწიფოში მიღებული უფროს-უმცროსობის წესების დეტალური განხილვა. ყველა ქვეყნის დედაქალაქში უფროს-უმცროსობის საკითხს წყვეტს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საოქმო სამსახური. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასარგებლო იქნებოდა ზოგიერთი რამ გაგვეცნო მკითხველისათვის ამა თუ იმ სახელმწიფოში მიღებული საოქმო პროცედურისა და პრაქტიკის თაობაზე. მაგალითისათვის ავიღოთ დიდი ბრიტანეთი მისი სამეფო კარის ოქმით და ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ფედერალური რესპუბლიკის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს, პრეზიდენტით სათავეში.

შეერთებული სამეფო

უფროს-უმცროსობის სპეციალური სიები ქვეყნდება სხვადასხვა ტერიტორიებისათვის, შეერთებული სამეფოსა და თანამეგობრობაში შემავალი ცალკეული ქვეყნებისათვის. ინგლისში მიღებული სიის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ უფროს-უმცროსობა განისაზღვრება სუვერენთან ნათესაობის დონით, ეკლესიაში, სა-

ხელმწიფოში, სამეფო კარზე დაკავებული მაღალი თანამდებობით, ტიტულებით, მაღალი პოსტებით პოლიტიკურ, სასამართლო და ადმინისტრაციულ ორგანოებში, რაინდთა ორდენებისა და ჯილდოების მიხედვით.

საჭიროებას არ მოითხოვს ანალოგიური სიების შედგენა ქალებისათვის, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მათი უფროს-უმცროსობა განისაზღვრება მათი მეუღლეების უფროს-უმცროსობით.

უმაღლესი არისტოკრატიის ტიტულები უფროს-უმცროსობის წესით შემდეგ ხუთ კატეგორიად იყოფა: ჰერცოგები, მარკიზები, გრაფები, ვიკონტები და ბარონები. პერების (ლორდების) უფროს-უმცროსობა განისაზღვრება მათი კატეგორიის მიხედვით, ხოლო ყოველი კატეგორიის შიგნით — ტიტულის სიძველით. ცნობები ტიტულების სიძველის შესახებ ქვეყნდება სპეციალურ ცნობარებში.

ბარონეტის ტიტული, რომელიც ტიტულოვან არისტოკრატიას არ განეკუთვნება, მემკვიდრეობით გადადის და ბარონეტების უფროსობა განისაზღვრება ტიტულის დაარსების თარიღით. მეორე მხრივ, რაინდის წოდება მემკვიდრეობით კი არ გადადის, არამედ განისაზღვრება რაინდთა ერთ-ერთი ორდენისადმი კუთვნილებით.

ესკვაირის ტიტული ეკუთვნის არისტოკრატიის გარკვეულ კატეგორიას; მაგალითად, პერების უმცროს ვაჟიშვილებს და ამ უკანასკნელთა უფროს ვაჟიშვილებს; ბარონეტების უფროს ვაჟიშვილებს და რაინდთა ორდენის წევრებს; დაბადებით ან თანამდებობით ესკვაირებს დაკავებული თანამდებობის მიხედვით; მაგალითად, მერებს, ჩინოვნიკებს, მოსამართლეებსა და ადვოკატებს. მაგრამ როგორც ზრდილობიანი მიმართვა — „ესკვაირი“ — შეიძლება იხმარონ ნებისმიერი ღირსეული ადამიანის მიმართ.

პოლიტიკური მოღვაწეები

უფროს-უმცროსობის სიაში შეტანილია მხოლოდ იმ პოლიტიკურ მოღვაწეთა გვარები, რომლებიც სათავეში უდგანან ღიდი ხნის წინ დაარსებულ სახელმწიფო ორგანოებს, ასეთებია — ლორდ-კანცლერი, ლორდი — სახელმწიფო ბეჭდის მფლობელი და ახლახანს შეყვანილი პრემიერ-მინისტრი. სახელმწიფო მინისტრებს თუ უფროს-უმცროსობის სიაში მაღალი ადგილის დაკავებისათვის საჭი-

რო ტიტული არ გააჩნიათ, შედარებით დაბალი მდგომარეობა უკავიათ.

ტიტული „აღმატებულება“ ბრიტანეთის შიდასაოქმო პრაქტიკაში გამოიყენება, თუმცა მას ხმარობენ უცხოეთის ელჩებისა და სრულუფლებიანი მინისტრების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა უცხოელი მაღალი თანამდებობის პირების მიმართ.

დიპლომატები

ელჩები და უმაღლესი კომისრები, ზრდილობის უფროს-უმცროსობის წესის თანახმად, ადგილს იკავებენ სამეფო უმაღლესობის ტიტულის მქონე სამეფო ოჯახის წევრების შემდეგ, და ეკლესიისა და სახელმწიფოს ზოგიერთი წარჩინებული პირის შემდეგ.

ელჩებისა და უმაღლესი კომისრების ცოლები ზრდილობის უფროს-უმცროსობის წესით სარგებლობენ ქმრების ანალოგიურად. სრულუფლებიანი მინისტრები და დიპლომატიურ წარმომადგენლობათა სხვა მეთაურები, ზრდილობის უფროს-უმცროსობის წესის თანახმად, ჰერცოგების შემდეგ და მარკიზების წინ არიან. ქალებისათვის განკუთვნილ უფროს-უმცროსობის სიაში ცოლები ისეთივე უფროს-უმცროსობის წესს ემორჩილებიან, როგორსაც მათი ქმრები. საერთაშორისო ორგანიზაციათა მეთაურები უფროს-უმცროსობის სიაში არ შედიან.

ეკლესიის წარმომადგენლები

ინგლისში კენტერბერისა და იორკის არქიეპისკოპოსები უფროს-უმცროსობის მიხედვით ჰერცოგების, სამეფო ოჯახის წევრების, ხოლო ეპისკოპოსები კურთხევის თარიღის მიხედვით მარკიზის უმცროსი ვაჟიშვილების შემდეგ მოიხსენებიან. სხვა ეკლესიების უფროს-უმცროსობა დადგენილი არ არის.

შოტლანდიაში ლორდს — შოტლანდიის ეკლესიის გენერალური ასამბლეის უმაღლეს კომისარს, უფროს-უმცროსობის თვალსაზრისით სუვერენ-დედოფლისა და (ამჟამად) მისი მეუღლის — ედინბურგის ჰერცოგის შემდეგ უკავია ადგილი. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს (მოდერატორს) უფროს-უმცროსობის მიხედვით

ლორდის — დიდი ბრიტანეთის კანცლერის მომდევნო ადგილი უკავია.

ჩრდილოეთ ირლანდიაში ირლანდიის პრიმასები და სხვა არქიეპისკოპოსები, ისევე როგორც ირლანდიის ეკლესიის გენერალური ასამბლეის წარმომადგენელი (მოდერატორი), უფროს-უმცროსობის მიხედვით ჩრდილოეთ ირლანდიის პრემიერ-მინისტრზე მაღლა დგანან.

ეკლესიის უმცროს მსახურებს საოქმო უფროს-უმცროსობა არ გააჩნიათ.

სხვა მაღალი თანამდებობის პირები

არმიის, ფლოტისა და საჰაერო ძალების ოფიცრები, ადვოკატურის, მედიცინისა და უნივერსიტეტების ხელისუფალთა წარმომადგენლები ასევე არ არიან შეტანილი უფროს-უმცროსობის სიაში.

ქალბატონები

ქალთა უფროს-უმცროსობა წყდება მათი მამების ან მეუღლეების რანგის შესაბამისად. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს როდესაც ქალებს საკუთარი პერის ტიტული აქვთ და არა ქმრის. ეს წესი არ ვრცელდება იმ მაღალი თანამდებობის პირთა ცოლებსა და შვილებზე, რომლებიც შეტანილი არიან უფროს-უმცროსობის მამაკაცთა სიაში. არც კაბინეტის წევრების ცოლებს, არც არქიეპისკოპოსის ცოლებს არ გააჩნიათ სიით გათვალისწინებული უფროს-უმცროსობის რანგი და ზრდილობის წესით მათ მიუჩენენ იმ ადგილს, რომელიც მათი მეუღლეების რანგს უფრო შეესაბამება.

პერებისა და ბარონეტების ქვრივები რანგით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ტიტულის ახალ მფლობელთა ცოლები. ამასთან, პერის ან ბარონეტის შვილები უფროს-უმცროსობის რანგით უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ტიტულის ყოფილი მფლობელის შვილები.

პერის ქალიშვილი, რომელიც პერზეა გათხოვილი, ფლობს იმ ტიტულს, რომელიც მის ქმარს ეკუთვნის. პერის ქალიშვილს, რომელიც პერის შვილზეა გათხოვილი, შეუძლია მიიღოს თავისი მეუღ-

ლის ტიტული ან დაიტოვოს თავისი ძველი ტიტული, იმის მიხედვით, თუ რომელი უფრო მაღალია. თუ იგი არატიტულოვან პირს გაჰყვება ცოლად, იმავე ტიტულს ინარჩუნებს, რომელიც გათხოვებამდე ჰქონდა.

უფროს-უმცროსობა საგრაფოებში

საგრაფოთა სამეფო ლეიტენანტები და უმაღლესი შერიფები თავიანთი მოვალეობების შესრულებისას საგრაფოებში არიან უფროსები და პირველებს, მეორეთა წინაშე უპირატესობა ენიჭებათ. მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე ისინი საგრაფოს ქალაქების მერებზე მაღლა დგანან, თუ ორივენი ოფიციალურად ესწრებიან ცერემონიალს, როგორც სტუმრები.

უფროს-უმცროსობა დიდ და მცირე ქალაქებში

ყველა მუნიციპალურ საქმიან თუ გასართობ ღონისძიებაზე ლორდ-მერი ან მერი გამოდის ხელმძღვანელის, ან მასპინძლის როლში.

ყოველ საქალაქო მუნიციპალიტეტს (დიდ ქალაქებში) აქვს თავისი საკუთარი ოქმი საკონსულო კორპუსთან დაკავშირებით. თუმცა არსებობს საერთო კანონი, რომლის თანახმადაც საკონსულო კორპუსის დუაიენი უფროს-უმცროსობის მიხედვით მოსამართლეებისა და ეკლესიის წარმომადგენლების შემდეგ დგას, მაგრამ შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და რაიონის ქალაქთა მერებთან შედარებით უპირატესობა გააჩნია.

თუ საკონსულო კორპუსი მთელი შემადგენლობით ესწრება რაიმე ღონისძიებას, მისთვის გამოიყოფა განსაკუთრებული, ან მთელი რიგი დანარჩენი სტუმრებისაგან განცალკევებული ადგილი.

უფროს-უმცროსობა ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში

ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში გუბერნატორი ადგენს თავის სპეციალურ უფროს-უმცროსობის სიას, რომელიც შემდგომ აზრის გამოსათქმელად სუვერენს ეგზავნება. ამის გამო საოქმო პრაქტიკა სხვადასხვა ქვეყანაში ძირითადად ერთნაირია.

საკონსულო კორპუსის უფროს-უმცროსობა განისაზღვრება ზრდილობის წესით. ჩვეულებრივ, უფროს-უმცროსობის თანახმად, გენერალური კონსული ფიგურირებს აღმასრულებელი საბჭოს წევრების შემდგომ. კონსულები უფროს-უმცროსობით მოსდევენ საკანონმდებელი საბჭოს წევრებს. ყველა კატეგორიაში შტატიანი კონსულები უფროს-უმცროსობის მიხედვით საპატიო კონსულებზე მაღლა დგანან.

ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები ფედერალური ტიპის სახელმწიფოა, რომელსაც პრეზიდენტი უდგას სათავეში. ხელისუფლების გაყოფა ფედერალურ დონეზე მკაცრად არის დაცული. ერთის მხრივ არის აღმასრულებელი ხელისუფლება, რომელსაც პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, მინისტრთა კაბინეტი და მნიშვნელოვანი სამთავრობო აპარატი წარმოადგენს, მეორე მხრივ კი — საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც წარმოდგენილია კონგრესით. კონგრესი შედგება ორი პალატისაგან: სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან. და ბოლოს, სასამართლო ორგანოთა სისტემა, დაწყებული უზენაესი სასამართლოთი, შემდეგ კი მოსდევს უფრო დაბალი ინსტანცია-ფედერალური სასამართლოები, რომლებიც მთელ ქვეყანაშია შექმნილი და თვალყურს ადევნებენ ფედერალური კანონების შესაფერის დაცვას.

ცალკეულ შტატებს აქვთ ხელისუფლების ყველა პრეროგატივა, რომელიც კონსტიტუციით ფედერალური ხელისუფლებისათვის არ გადაუციათ ან რომელიც ფედერალურ ხელისუფლებას თავის თავზე არ აუღია; აგრეთვე მმართველობის ორგანოების ანალოგიური სტრუქტურები და ხელისუფლების გაყოფის მკაცრად დაცული

წესი. შტატის გუბერნატორსა და ვიცე-გუბერნატორს, როგორც წესი, ირჩევენ. არის ასამბლეა, რომელიც შედგება სენატისა და წარმომადგენელთა პალატისაგან, უზენაესი სასამართლო და სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები. ყველა ეს ორგანო ასევე არჩევითია. ადმინისტრაციული აპარატი, რომელსაც გუბერნატორი ნიშნავს და პასუხისმგებელია მის წინაშე, აწარმოებს შტატის მართვასთან დაკავშირებულ ყველა საქმეს.

დიპლომატები

ფედერალური კონსტიტუცია უზრუნველყოფს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და კონსულების ხელშეუხებლობის, აგრეთვე ადგილობრივი სასამართლოების იურისდიქციისაგან მათი იმუნიტეტის ოფიციალურ გარანტიას. ეს დებულებები ვრცელდება დიპლომატიური კორპუსის სიაში შეტანილ ყველა პირზე, ანუ შესაბამისი წესით აკრედიტებულ დიპლომატებზე, მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრებზე (მსახურების ჩათვლით), თუ ისინი რეგისტრირებულნი არიან სახელმწიფო დეპარტამენტში.

საელჩოების ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალი, მათი მოქალაქეობის მიუხედავად, არ ექვემდებარება სასამართლო დევნას და სასამართლოებში გამოძახებას. ეს იმუნიტეტი არ ვრცელდება მათი ოჯახის წევრებზე.

დიპლომატიური წარმომადგენლობის პერსონალი ან შინამოსამსახურეები, რომლებიც ამერიკის მოქალაქეებს წარმოადგენენ, სარგებლობენ იმუნიტეტით მხოლოდ თავიანთი მოვალეობების განხორციელებასთან დაკავშირებული აქტების შესრულებისას და თავიანთი ფუნქციების ფარგლებში.

საერთაშორისო ორგანიზაციათა თანამდებობის პირები და თანამშრომლები არ სარგებლობენ დიპლომატიური პრივილეგიებით, მაგრამ მათ თავაზიანობის მხრივ გარკვეული უპირატესობა და ზოგიერთი შეღავათი ენიჭებათ. ისინი სარგებლობენ იმუნიტეტებით ოფიციალურ აქტებთან დაკავშირებით. ეს შეღავათები მათი ოჯახის წევრებზეც ვრცელდება. პირად მოსამსახურეებზე შეღავათები არ ვრცელდება. საერთაშორისო ორგანიზაციათა დელეგაციების ზოგიერთი წევრი დიპლომატიური პრივილეგიებითა და იმუნიტე-

ტებით სარგებლობს. ეს ორგანიზაციის ხასიათზე და ამ ორგანიზაციასა და მიმღებ სახელმწიფოს შორის შეთანხმებაზე არის დამოკიდებული.

გარანტირებულია აგრეთვე უცხოეთის საელჩოებისა და დიპლომატთა რეზიდენციების ხელშეუხებლობა. იკრძალება დიპლომატიური რეზიდენციების ახლოს დემონსტრაციები მტრული ხასიათის ლოზუნგებითა და წამოძახილებით.

ფედერალური საგადასახადო კანონმდებლობა ფართო იმუნიტეტს ანიჭებს დიპლომატიური თანამდებობის პირებს. პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, არა აქვთ ამერიკის მოქალაქეობა და მუშაობენ უცხოეთის წარმომადგენლობებში, არ სარგებლობენ პირადი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მიუხედავად იმისა, ითხოვეს თუ არა ამერიკის მოქალაქეობა, იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რომლებიც ძალაში შევიდა მოქალაქეობისა და ემიგრაციის შესახებ 1952 წლის კანონის მიღებამდე. დიპლომატები სარგებლობენ აგრეთვე საბაჟო შეღავათებით ფედერალური კანონმდებლობის შესაბამისად.

ვინაიდან საოქმო საკითხებში განსხვავებანი მრავალრიცხოვანი და არეულ-დარეულია, აქ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საერთოდ მიღებული პრაქტიკა. შეერთებულ შტატებში არ არსებობს ოფიციალურად დადგენილი უფროს-უმცროსობის საოქმო წესი. სახელმწიფოს შექმნიდან ტრადიციულად ისეთი დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა ოქმის ფორმალურ მხარეს, როგორც ევროპაში. ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაზრისით ოქმისა და ეტიკეტის საკითხებში დიდი ხნის წინათ ჩამოყალიბებული ჩვეულებები თეორიული შრომების ავტორთა გამოგონება არ გახლავთ. ესენი მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთობაზე დაკვირვების შედეგად მიღებული ჩვეულებები და ნორმებია, რომლებიც საზოგადოების მიერ აღიარებულია როგორც საჭირო და სასარგებლო. ევროპაში მიღებული პრაქტიკისაგან განსხვავებით ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება უფრო თავისუფლად უდგება ოქმის საკითხებს, მაგალითად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფროს-უმცროსობის წესს. ისინი თავიანთ სტუმრებს იღებენ განსაკუთრებული გულისხმიერებით და მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების მიღებისას ამერიკელების გულღია ხასიათისა და კეთილგანწყობილების იმედი აქვთ. როგორც ამერიკის შეერთებული შტატების საოქმო სამსა-

ხურის ყოფილი უფროსი სტენლი ვუდვორდი წერს: „დიპლომატიის არც ერთი საკითხი არ იწვევდა იმდენ განსხვავებულ აზრს, როგორც დიპლომატიური ოქმის შესრულებასთან დაკავშირებული საკითხები. ოქმი არის წესების კრებული, რომლითაც ხელმძღვანელობენ საერთაშორისო ურთიერთობათა პრაქტიკაში. ნებისმიერი ორგანიზაცია, ნებისმიერი საზოგადოება, თუ სურს რომ აყვავებას მიაღწიოს, თავის საქმიანობაში უნდა იცავდეს გარკვეულ წესებს, თუნდაც იმიტომ, რომ არ დაუშვას არეულ-დარეულობა და უწესრიგობა. იგივე პრინციპები ვრცელდება მთავრობათა შორის ურთიერთობებზე. საჭიროა, რომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ეფუძნებოდეს სამართალს, წეს-ჩვეულებებს და გარკვეულ ორგანიზაციულ ფორმებს პასუხობდეს. ამ პრინციპების დაცვა საერთაშორისო კავშირურთიერთობებში დაინტერესებული მხარეების სამართლისა და ჩვეულებებისადმი პატივისცემის აღიარებად ჩაითვლება. ისინი განსაზღვრავენ მთავრობათა შორის ურთიერთობათა არხებს. ასეთია საერთაშორისო ურთიერთობათა პრინციპები, რომლებიც შეადგენენ იმ ოქმის საგანს, რომლის საშუალებითაც მყარდება კონტაქტი მთავრობათა შორის. საქმიან ურთიერთობათა ეს შეთანხმებული მეთოდი—თანაარსებობის მეთოდია.

ოქმის მთავარი მიზანია შექმნას კეთილგანწყობის ატმოსფერო, რომელშიც უნდა წარიმართოს საქმიანი დიპლომატიური ურთიერთობა. ეს მიზანი თუ ყველა სახელმწიფოსი არა, უმრავლესობის აზრს ემყარება. ქვეყნები, რომლებიც სხვადასხვა პოზიციაზე დგანან, უფრო უკეთესად უნდა აღწევდნენ შეთანხმებას მეგობრული კეთილგანწყობის ვითარებაში, ვიდრე მტრულ ატმოსფეროში. ერთი სიტყვით, დიპლომატიური ურთიერთობის წესები ყველა ქვეყანაში ურთიერთსავალდებულო უნდა იყოს.

დროთა განმავლობაში ოქმიდან გაქრა ცერემონიალების პომპეზურობისა და მდიდრულობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ უწინდებურად რჩება აუცილებლობა, რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობათა დროს დაცული იყოს თავაზიანობა. ჩვენს დროში, როდესაც ზოგიერთ ქვეყნებს შორის ურთიერთობა მტრულ ატმოსფეროში ვითარდება, თავაზიანობის აუცილებლობა არანაკლებ მნიშვნელოვანია. ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოები, რომლებიც თავისი ოფიციალური მოქმედებებით ერთმანეთს შეურაცხყოფდნენ,

ფარულ პატივისცემას ამჟღავნებდნენ კარგი მანერებისადმი და ამ მიდგომამ დროის გამოცდას გაუძლო.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს დახვეწილი და ლამაზი ცერემონიალების დიდი ისტორიული გამოცდილება და ტრადიცია აქვთ. ამერიკის შეერთებულ შტატებს ასეთი წარსული არ გააჩნია. ქვეყნის ისტორია, თუ მისი სახელმწიფო მოღვაწეების საქმეების და ქცევის მიხედვით ვიმსჯელებთ, განსაკუთრებული უბრალოების მაგალითს წარმოადგენს.

თუმცა ოქმის ზოგიერთი საერთო ამოცანა განსაზღვრულია კონსტიტუციითა და საკანონმდებლო აქტებით, ოქმის კონკრეტული ფუნქციები რეგლამენტირებული არ არის. ისინი შეიცავენ ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც საშუალებას იძლევა უკეთ გავიგოთ და შევაფასოთ ამერიკის შეერთებული შტატები. ოქმის მოქმედების არე ადამიანთა ურთიერთობის მრავალრიცხოვან და რთულ პრინციპებსა და ზრდილობის წესებს მოიცავს, რომლებიც სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებობს.

ძნელი არ არის იმის შემჩნევა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ოქმი მეტად ცვალებადია და შეიძლება კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად შეიცვალოს. ამიტომ ძნელია საკმარისი სიზუსტით დადგინდეს საოქმო წესი და უფროს-უმცროსობა არაოფიციალურ საფუძველზეც კი. მიუხედავად ამისა ფედერალური ხელისუფლება, რომლის მოვალეობასაც სახელმწიფოთა მეთაურებისა და სხვა პირების მიღება შეადგენს, საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულ პროცედურას იცავს.

კონსულები

ამერიკის შეერთებულ შტატებში საკონსულოს თანამდებობის პირები არ სარგებლობენ იმ იმუნიტეტებითა და პრივილეგიებით, რომლებითაც სპეციალური შეთანხმებით გათვალისწინებული ჩვევების გარდა დიპლომატები სარგებლობენ. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დადებული ორმხრივი საკონსულო კონვენციები ბევრად უფრო ფართოა, ვიდრე 1963 წლის ვენის კონვენცია, მაგრამ ისინი, მაგალითად, არ შეიცავენ იმ სახელმწიფოს

ტერიტორიის დატოვების უფლებას, სადაც წარმომადგენლობა იმ-ყოფება. საკონსულოს თანამდებობის პირებს ყოველთვის განსაკუთ-რებული პატივისცემით ეპყრობიან, არ შეიძლება მათი დაპატიმ-რება და სასამართლო დევნა წვრილმან დარღვევათა გამო.

თუმცა ფედერალური კონსტიტუციის თანახმად უცხოეთის კონსულების მიმართ იურისდიქციას ახორციელებს ამერიკის შეერ-თებული შტატების უზენაესი სასამართლო, კონგრესი იმავდროუ-ლად უფლებას აძლევს ფედერალურ საოლქო სასამართლოებს იურისდიქცია განახორციელონ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომ-ლებშიც უცხოეთის კონსულები არიან გარეულნი. საკონსულოს არქივები ყოველთვის ხელშეუხებელია. საკონსულოს შენობა და კონსულის რეზიდენცია არ არის ხელშეუხებელი. კონსულის ოჯა-ხის წევრები არ სარგებლობენ იმუნიტეტით ადგილობრივი იურის-დიქციისაგან.

ოფიციალურ ცერემონიებზე, როგორც წესი, ერთი და იგივე რანგის შტატიანი და საპატიო კონსულები თანაბარი მიდგომით სარ-გებლობენ; მათი უფროს-უმცროსობა განისაზღვრება კლასის მი-ხედვით, ყოველ კლასში კი — ეკზეკვატურის მიღების თარიღით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულია, რომ კონსულთა ოფიციალურ მიმოწერაში გამოიყენონ მიმართვა — „ღრმად პატივ-ცემულო". ეს მათ უტოლებს სამინისტროების სამმართველოთა უფროსებს, კონგრესის წევრებსა და დიდი ქალაქების მერებს.

საპატიო კონსულები ჩვეულებრივ არ სარგებლობენ შტატიანი კონსულების პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით. ამრიგად ტერ-მინი „შტატიანი" საშუალებას იძლევა განასხვაოთ ეს თანამდე-ბობის პირნი საკონსულოს საპატიო მოხელეებისაგან.

შეიარაღებული ძალები

ფედერალური შეიარაღებული ძალები ემორჩილებიან თავდაც-ვის მინისტრს, რომელიც უფროს-უმცროსობის მიხედვით მესამე პირია კაბინეტის შემადგენლობაში. თავდაცვის მინისტრის მოადგი-ლეს თავის კოლეგათა შორის, გამონაკლისის სახით, მეორე ადგი-ლი უჭირავს. მას მოსდევენ თავდაცვის მინისტრის თანაშემწეები, რომლებსაც მესამე ადგილი უკავიათ კოლეგებს (სამინისტროს ცალ-კეული დეპარტამენტების მეთაურთა) შორის.

არმია, ფლოტი და ავიაცია ჯარის შესაბამისი სახეობის მინისტრებს ემორჩილება. ისინი მდგომარეობით სარდლებზე მაღლა დგანან.

უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება ეკუთვნის შტაბის უფროსების კომიტეტის თავმჯდომარეს, რომელსაც ოქმის თანახმად, მოსდევენ არმიის გენერლები და ფლოტის ადმირალები (ხუთი ვარსკვლავი). შემდეგ სამხედრო იერარქიაში მოდიან სამხედრო-სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები; არმიის, ფლოტისა და ავიაციის მინისტრების მოადგილეები (ყოველი სახის ჯარისა); საზღვაო ქვეითი ჯარის მეთაურთა კორპუსი; გენერლები და ადმირალები (ოთხი ვარსკვლავი); არმიის, საზღვაო ფლოტისა და ავიაციის მინისტრთა თანაშემწეები; გენერალ-ლეიტენანტები და ვიცე-ადმირალები (სამი ვარსკვლავი); გენერალ-მაიორები და კონტრ-ადმირალები (ორი ვარსკვლავი); ბრიგადის გენერლები და კომოდორები[1] (ერთი ვარსკვლავი).

არაოფიციალური უფროს-უმცროსობის პრაქტიკა შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს. ამიტომ მაგიდასთან დასხდომისას უფროს-უმცროსობის არაოფიციალური სია საჭირო არ არის. დაცული უნდა იქნეს ადგილობრივი ტრადიციები, რაც უნდა არალოგიკურად მოგვეჩვენოს ისინი. ოქმის მიზანია წესრიგი შეიტანოს უწესრიგობაში და არ დაარღვიოს წესი, რომელიც საერთო შეთანხმებით არის მიღებული.

სასულიერო პირთა წოდებები და ტიტულები

ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ეკლესიებში, დაცულია წოდების მქონე პირთა იერარქია, რომელიც ყველა ეკლესიისათვის ძირითადად ერთნაირია. გასაგებია, რომ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით შეიძლება განვსაზღვროთ უფროს-უმცროსობის წესი, რომელიც დაცული უნდა იყოს სხვადასხვა თემის ერთი და იგივე წოდების წარმომადგენლებს შორის. საყოველთაოდ მიღებულ საოქმო ნორმებს თუ მივმართავთ, პირველი ადგილი უნდა გაიყოს რომაულ-კათოლიკური და ანგლიკანური ეკლესიების

[1] კომოდორი — I რანგის კაპიტანი, რომელიც გემების შენაერთებს მეთაურობს.

წარჩინებულ პირთა შორის. ამ ეკლესიების მრევლია მოსახლეობის უმეტესობა. მათ მოსდევენ სხვა ეკლესიების წარჩინებული პირები, მაგრამ მტკიცე წესი ამის თაობაზე არ არსებობს.

შეერთებულ შტატებში, სადაც მრავალრიცხოვანი პროტესტანტული ეკლესიებია და მოსახლეობის უმეტესობა პროტესტანტია, ყოველი თემი იცავს თავის ჩვეულებებს ეკლესიის მსახურთა მიმართ. ოფიციალურ ღონისძიებებზე, რომლებშიც კათოლიკე არქიეპისკოპოსი მონაწილეობს, მას უნდა მიმართონ წოდებით — „აღმატებულებავ". ნაკლებად ოფიციალურ გარემოში მას უწოდებენ „უწმინდესობას". ანგლიკანური ეკლესიის ეპისკოპოსს უნდა მიმართონ „ბატონო ეპისკოპოსო". ამერიკის შეერთებულ შტატებში ეპისკოპალური ეკლესიის ეპისკოპოსს მიმართავენ: „სერ", მეთოდური ეკლესიის მინისტრებს — „უწმინდესობავ", მონისტური ეკლესიის ეპისკოპოსებს — „სერ", პროტესტანტული ეკლესიის მინისტრებსა და კათოლიკე მღვდლებს მიმართავენ: „უწმინდესობავ", ხოლო რაბინებს — „სერ".

სავიზიტო ბარათი

სავიზიტო ბარათი ფართოდ გამოიყენება დიპლომატიაში. მას ხმარობენ მთავრობის წარმომადგენლებთან, დიპლომატებთან, საქმიან წრეებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან კონტაქტის დასამყარებლად.

სავიზიტო ბარათის გამოყენება შეიძლება დაუსწრებლად გაცნობისთვისაც. სავიზიტო ბარათებით ულოცავენ ეროვნულ და სხვა დღესასწაულებს, დაბადების დღეს, თანამდებობრივ დაწინაურებას და სხვა. აგრეთვე მას უგზავნიან მადლობის ნიშნად. სავიზიტო ბარათთან ერთად იგზავნება საჩუქარი, ყვავილები. სავიზიტო ბარათს აგზავნიან ვიზიტის საპასუხოდ.

საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს შემდეგი მოკლე სიმბოლოები, რომლებიც გამოხატავენ სავიზიტო ბარათის მფლობელის დამოკიდებულებას იმ პირის მიმართ, ვისაც იგი ეგზავნება, შედგენილია ლათინური ანბანით და იწერება სავიზიტო ბარათის მარცხენა ქვედა მხარეს:

P. F. — მილოცვა (pour feliciter).

P. r. — მადლობის გადახდა (pour remercier).

P. c. — სამძიმრის გამოთქმა (pour condoleance).

P. f. N. A. — ახალი წლის მილოცვა (pour feliciter Nouvel An).

P. P. — დაუსწრებლად გაცნობა (pour presenter).

PPC — გამოთხოვება გამგზავრების წინ, თუ პირისპირ გამოთხოვება არ ხერხდება (pour prendre conde).

სავიზიტო ბარათებზე, ოფიციალურ შემთხვევაში, სხვადასხვა საბაბიდან გამომდინარე, მესამე პირში ქვემოთ იწერება: „გილოცავს ეროვნულ დღესასწაულს“, „გილოცავს ახალ წელს“, „მადლო-

ბას გიხდის ყურადღებისათვის“ (გამოგზავნილ საჩუქარზე საპასუხოდ), „მადლობას გიხდის მილოცვისათვის“, „საუკეთესო სურვილებით“ (სუვენირის გაგზავნის დროს). შეიძლება იყოს სხვა წარწერაც კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

თუ სავიზიტო ბარათის პატრონი თავად ტოვებს მას, მაშინ გადაიკეცება სავიზიტო ბარათის მარჯვენა მხარე მთლიანად, ზოგიერთ ქვეყანაში კი ბარათის მარჯვენა ან მარცხენა კუთხე. ეტიკეტის უხეშ დარღვევად ითვლება, თუ გადაკეცილ ბარათს შიკრიკს ან მძღოლს გაატანენ. მათი ხელით უნდა გაიგზავნოს გადაუკეცავი სავიზიტო ბარათი.

სავიზიტო ბარათზე პასუხი იგზავნება სავიზიტო ბარათითვე მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში.

სავიზიტო ბარათებისათვის გამოიყენება მაღალი ხარისხის სქელი ქაღალდი. არ არსებობს სავიზიტო ბარათის საყოველთაოდ დადგენილი ზომა, მაგრამ ყველაზე უფრო გავრცელებულია მამაკაცების სავიზიტო ბარათისათვის 90 × 50 მმ., ხოლო ქალებისათვის 80 × 40 მმ.

დიპლომატისა და ოფიციალური პირის სავიზიტო ბარათზე იბეჭდება: სახელი, გვარი, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ბინის ან სამსახურის მისამართი არ იბეჭდება.

„სახელი, გვარი
საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო
და სრულუფლებიანი ელჩი ინდოეთში
დელი“.

მეუღლის სავიზიტო ბარათზე იწერება მხოლოდ სახელი და გვარი, აგრეთვე ქალაქის დასახელება. სავიზიტო ბარათებით სარგებლობენ არა მარტო დიპლომატები, არამედ ბიზნესმენები, პოლიტიკური მოღვაწეები, ჟურნალისტები; ამ შემთხვევაში სავიზიტო ბარათებზე მისამართი და ტელეფონის ნომრებიც ჩაიწერება.

სავიზიტო ბარათები უცხო ენაზეც იბეჭდება.

საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში ფართოდაა დანერგილი სამგლოვიარო, საზეიმო ან სხვა მოვლენებზე რეაგირება. დიპლომატიური წარმომადგენლობა ასეთ დროს განზე ვერ გადგება. გარდა ზემოაღნიშნულისა, ის აუცილებლად უნდა გამოეხმა-

ურეს სახელმწიფოს ახალი მეთაურის არჩევას, მთავრობის თავმჯ-
დომარისა და საგარეო საქმეთა მინისტრის დანიშვნას, მიულოცოს
ახალი წელი და სხვა.

კარგი პირადი ურთიერთობის დამყარებისათვის საჭიროა მას-
პინძელი ქვეყნის ოფიციალური და საზოგადო მოღვაწეების დაბა-
დების დღის, დაწინაურებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენის
დროული მილოცვა, აგრეთვე სამძიმრის გამოცხადება.

მ ი ღ ე ბ ა

დიპლომატიურ მიღებას (ბანკეტს) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საერთაშორისო ცხოვრებაში. მიღება ტარდება ეროვნულ დღესასწაულთან, საიუბილეო თარიღებთან, ხელშეკრულების ხელის მოწერასთან დაკავშირებით, აგრეთვე ქვეყნის ხელმძღვანელის და სხვათა ვიზიტის დროს.

მიღება, რომელსაც საელჩო მართავს, ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ პირებთან და სხვა წარმომადგენლებთან კონტაქტების გაღრმავებას. ნებისმიერ დიპლომატიურ მიღებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მიღებას, რომელიც ქვეყანაში სტუმრად მყოფი სახელმწიფოს მეთაურის ან მაღალი რანგის დელეგაციის პატივსაცემად იმართება.

საერთაშორისო პრაქტიკამ დააფუძნა დიპლომატიური მიღების სხვადასხვა სახეები.

დღის განმავლობაში გამართულ მიღებას ჰქვია:

„შამპანურის ბოკალი“, „ღვინის ბოკალი“, საუზმე.

„შამპანურის ბოკალი“, როგორც წესი, ცხრა საათზე იწყება და ერთი საათი გრძელდება. ამ მიღების საბაბი შეიძლება იყოს ეროვნული დღესასწაულის წლისთავი, ელჩის გამგზავრება, დელეგაციის ქვეყანაში ჩასვლა, ფესტივალი, გამოფენის გახსნა. მიღებაზე სტუმრებს, გარდა შამპანურისა, სხვა სასმელებითაც (ღვინით, წვენებით, მინერალური წყლით) უმასპინძლდებიან. სასმელს ჩამოატარებენ ოფიციანტები.

ეს მიღება, ორგანიზაციის თვალსაზრისით, ყველაზე მარტივ მიღებად ითვლება, მას არ სჭირდება დიდი მომზადება.

ანალოგიურია „ღვინის ბოკალიც“.

ს ა უ ზ მ ე — ეწყობა 12-დან 15.00 საათამდე. უმეტესად იწყება

12 საათსა და 30 წუთზე ან 13.00 საათზე. მენიუ შედგება ეროვნული კერძებისაგან: ერთი ან ორი თავი ცივი საუზმე, ერთი თევზის ან ხორცის კერძი და დესერტი. არ არის გამორიცხული პირველი კერძის მიტანა ან ცხელი საუზმე.

საუზმის დასაწყისში სტუმრებს სთავაზობენ წვენებს. საუზმის დროს მიღებულია მშრალი თეთრი ღვინო, დასასრულს კი შამპანური, ჩაი და ყავა.

საუზმის განმავლობაში უმასპინძლდებიან მინერალური წყლებით და წვენებით.

საუზმე გრძელდება 1—1.5 საათს; აქედან ერთი საათი მაგიდასთან და 30 წუთი ჩაითა და ყავით გამასპინძლების დროს (ჩაით და ყავით გამასპინძლება შეიძლება ან იმ დარბაზში, სადაც საუზმე გაიმართა ან სხვა დარბაზში).

თუ მოსაწვევ ბარათში ტანსაცმლის ფორმა მინიშნებული არ არის, სტუმრები საუზმეზე ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოწყობილნი მიდიან.

საერთაშორისო ოქმით დღის მიღება ნაკლებ საზეიმოა, ვიდრე საღამოსი.

საღამოს იმართება შემდეგი სახის მიღებები:

„კ ო ქ ტ ე ი ლ ი“, რომელიც იწყება 17-18 საათს შუა და ორი საათი გრძელდება. ოფიციანტებს დააქვთ სასმელები და ცივი საუზმე (პატარა ბუტერბროდები). შეიძლება ცხელი კერძით გამასპინძლებაც. ხშირად ეწყობა ბუფეტიც, სადაც ოფიციანტები მსურველებს სასმელებს სთავაზობენ.

„ ა ლ ა ფ უ რ შ ე ტ ი“ იმავე საათებში ეწყობა, რომელზეც „კოქტეილი“, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაგიდები შეიძლება გაიწყოს საუზმითა და ცხელი კერძებით. სტუმრები თვითონ მიდიან მაგიდასთან და იღებენ საჭმელს.

„კოქტეილი“ და „ ა ლ ა ფურშეტი“ მიმდინარეობს ფეხზე დგომით. ორივე შემთხვევაში, საზეიმო ელფერის გასაძლიერებლად, სტუმრებს მიღების ბოლოს შამპანურით, აგრეთვე ნაყინითა და ყავით უმასპინძლდებიან.

თუ მიღება ეროვნული დღის აღსანიშნავად ან მაღალი სტუმრის პატივსაცემად ეწყობა, მიღების ბოლოს შეიძლება მცირე კონცერტი გაიმართოს. მიღების საზეიმო მნიშვნელობას განსაზღვრავს მოსაწვევ ბარათში აღნიშნული ტანსაცმლის ფორმაც.

ს ა დ ი ლ ი არის ყველაზე უფრო საპატიო მიღების ფორმა. ის იწყება 20.00 საათზე ან 20 საათსა და 30 წუთზე, მაგრამ არა უგვიანეს 21.00 საათისა.

მენიუ შეიცავს ცივ საუზმეს, რომელიც ორი-სამი კერძისაგან შედგება. სთავაზობენ პირველ კერძს, მოხარშულ ან შემწვარ თევზს, შემწვარ ხორცს და დესერტს. ღვინო იგივეა, რაც საუზმის დროს. სადილი 2 საათი გრძელდება. სადილის დაწყებიდან ერთი საათის შემდეგ სტუმრები მეორე დარბაზში გადიან სასაუბროდ, სადაც ყავითა და ჩაით უმასპინძლდებიან. ზოგიერთ შემთხვევაში ყავასა და ჩაის იმავე დარბაზში მიირთმევენ, სადაც სადილი გაიმართა.

სადილობის დროს ტანსაცმლის ფორმაა სმოკინგი, ფრაკი; ქალებისათვის — საღამოს კაბა.

ვ ა ხ შ ა მ ი 21 საათზე ან უფრო გვიან იწყება და სადილისაგან მხოლოდ მიღების დაწყების დროით განსხვავდება.

ზოგიერთ ქვეყანაში განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგალითად, სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის დროს შეიძლება ორი მიღება გაიმართოს. სადილის დამთავრებისთანავე მეორე დარბაზში ეწყობა მიღება „კოქტეილი“ ან „ა ლა ფურშეტი“, რომელზეც სხვა პირებიც არიან მიწვეულნი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მიღებისა, გავრცელებულია აგრეთვე მიღება — „ს ა დ ი ლ ი-ბ უ ფ ე ტ ი“, რომლის დროს სტუმრები სხდებიან 4 ან 6-კაციან მაგიდებთან (ადგილები არ არის მინიშნებული). ცალკე მაგიდაზე გაწყობილია საუზმე, ხოლო სასმელებისათვის არის ბუფეტი. სტუმრები იღებენ საუზმეს და სასმელს და სხდებიან თავიანთი სურვილისამებრ. ტროპიკულ ქვეყნებში ასეთი სახის მიღებები ხშირად ღია ცის ქვეშ, ვერანდაზე ან ბაღში ეწყობა. სადილი-ბუფეტი ნაკლებად ოფიციალურია, ვიდრე სადილი.

საღამოს მიღებებს განეკუთვნება „ჩ ა ი“, რომელიც 16-დან 18 საათამდე ქალებისათვის ეწყობა. მაგალითად, საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლე „ჩაიზე“ იწვევს ელჩების მეუღლეებს და სხვა მანდილოსნებს. ჩაიზე უმასპინძლდებიან ნამცხვრებით, ხილით, სადესერტო ღვინით.

„ჟ უ რ ფ ი ქ ს ი“[1] ის მიღებაა, რომლის დღესა და საათს საგარეო საქმეთა მინისტრის ან ელჩის მეუღლენი მთელი სეზონის განმავლობაში აცხადებენ (ეწყობა კვირაში ერთხელ).

---

[1] jour fixe (ფრანგ.) — განსაზღვრულია დღე. კვირის განსაზღვრული დღე სტუმრების მისაღებად.

მოსაწვევი მხოლოდ ერთხელ, სეზონის დასაწყისში გაიგზავნება. თავისი ფორმით იგი „ჩაის“ მსგავსია.

აღნიშნული მიღებიდან საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულია „სადილი“, რომელიც მაღალი რანგის უცხოეთის დელეგაციების პატივსაცემად იმართება. წლების განმავლობაში ასეთი მიღებები ეწყობოდა მთაწმინდის პლატოზე, რესტორნის დიდ დარბაზში. აქ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის სახელით, გაიმართა დანიის დედოფლის, იტალიის პრეზიდენტის, ირანის შაჰის, თურქეთის პრეზიდენტის, ამერიკის შეერთებული შტატების სენატორთა დელეგაციის, მრავალი ქვეყნის პარლამენტართა და სხვათა მიღებები. ამ ღონისძიებებისათვის წესრიგში მოჰყავდათ შენობა, ხშირად რემონტიც კეთდებოდა. სტუმრები და მასპინძლები ერთმანეთს ეცნობოდნენ მცირე დარბაზში. ხანმოკლე საუბრის შემდეგ სტუმარ-მასპინძელს იწვევდნენ დიდ დარბაზში, სადაც იმართებოდა სადილი. მაგიდაზე ეწყო კუვერტული[1] ბარათები სტუმარ-მასპინძლის გვარებით. სტუმრებს ადგილის მოძებნაში ეხმარებოდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები. სადილის დროს წარმოთქვამდნენ სიტყვას; იმართებოდა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც საოპერო თეატრის მომღერლები, ისე საესტრადო, ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

საჭმელ-სასმელის სიუხვე, გულღია სტუმართმოყვარეობა და კარგი კონცერტი ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა სტუმრებზე, მაგრამ ამასთანავე ზოგიერთში გაკვირვებასაც იწვევდა. განსაკუთრებით აკვირვებდათ კერძებით გადატვირთული მაგიდა, მოჭარბებული სმა-ჭამა, ღვინის დაძალება, გრძელი სადღეგრძელოები, ოფიციანტთა ტლანქი, მოუქნელი მომსახურება, სადილის დროის გაჭიანურება 2 საათზე მეტი ხნით.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მაღალი რანგის დელეგაციების მისაღებად ერთობ გამოუსადეგარი იყო მთაწმინდის რესტორანი (მხედველობაში რომ არ მივიღოთ მისი შესანიშნავი მდებარეობა), ვინაიდან ის ჩვეულებრივი, ყველასათვის მისაწვდომი რესტორანია და საკმაოდ შეულამაზებელიც. როგორც აღვნიშნე, რესტორანში მაღალი დონის მიღების მოსაწყობად სპეციალურად კეთ-

---

[1] couvert (ფრანგ.) — მაგიდის მოწყობილობა.

დებოდა რემონტი. საქართველოს დედაქალაქს მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად სხვა საბანკეტო დარბაზი არ გააჩნია.

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო არენაზე დამკვიდრება აუცილებლად მოითხოვს სპეციალური დარბაზების მოწყობას, სადაც გაიმართება მაღალი რანგის სტუმრების მიღება. ზოგს მიაჩნია, რომ ასეთი მიღების გამართვა შეიძლება სახელმწიფო რეზიდენცია „კრწანისში" მოეწყოს, რაც ყოვლად დაუშვებელია, ვინაიდან რეზიდენციაში სტუმარი ცხოვრობს, ხოლო სტუმრის რეზიდენციაში მასპინძლის მიერ ბანკეტის გამართვა საერთაშორისო ოქმით მიუღებელია.

ყურადღება უნდა მიექცეს ოფიციანტების ჩაცმისა და მომსახურების ხელოვნებას. სწორედ მათი მოუქნელი მუშაობის შედეგად ჰქონდა ადგილი მიღებათა გაჭიანურებას. სადილის დროს ირღვეოდა კერძების მიტანის ეტიკეტი.

ყოველი მიღება სერიოზულ მომზადებას საჭიროებს, რისთვისაც აუცილებელია მიღების სახის განსაზღვრა, მოწვეულ პირთა სიის შედგენა, მოსაწვევი ბარათების დაბეჭდვა-დაგზავნა, მენიუს შედგენა-დაბეჭდვა, მაგიდასთან განლაგების გეგმის შედგენა (საუზმის, სადილისა და ვახშმის დროს).

* * *

ქვეყნის ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური აწყობს ისეთ მიღებას, როგორიცაა „კოქტეილი", „ა ლა ფურშეტი", „შამპანურის ბოკალი" ან „ღვინის ბოკალი", საუზმეს, სადილს, ვახშამს.

დასვენების დღეებში მიღების მოწყობა მიზანშეწონილი არ არის. მუსლიმანურ ქვეყნებში რელიგიური დღესასწაულის „რამადანის" დროს მიღება არ ეწყობა. მიღება არ ეწყობა აგრეთვე ეროვნული გლოვის დღეს.

ქვეყნის მეთაურის ვიზიტის დროს მის საპატივცემულოდ მოწყობილ მიღებაზე მასპინძელი ქვეყანა იწვევს მასთან აკრედიტებული სტუმრის ელჩს, საელჩოს მაღალი რანგის დიპლომატებს.

თუ სტუმარი მეუღლესთან ერთად არის ჩამოსული, მიღებაში მთავარი მასპინძლის მეუღლეც იღებს მონაწილეობას.

თანამედროვე საერთაშორისო საოქმო ცერემონიალის პრაქტიკა თავდაპერილ დიპლომატიურ მიღებაზე მიგვანიშნებს.

კარგად მომზადებული მიღება გაფერმკრთალდება არაკვალი-

ფიციური მომსახურებით. მიღების მომსახურებისათვის იწვევენ გამოცდილ მეტრდოტელებს და მიმტანებს, რომლებმაც კარნახის გარეშე უნდა იცოდნენ როდის რა მოიტანონ, ვისგან დაიწყონ კერძის მიტანა, თვითონ როგორ მოიქცნენ. სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ მიღების მაღალ დონეზე ჩატარება. ამას ჩვენ დაწვრილებით მოგვიანებით დავუბრუნდებით. მიღების მომსახურებაში ჩვენთან მართლაც იგრძნობა ნაკლოვანებანი: არ არის საკმაო რაოდენობის მიმტანები, სუსტია მეტრდოტელთა კვალიფიკაცია, მათი საქმიანობა დახვეწას მოითხოვს. მომსახურე პერსონალის დაოსტატებისათვის კვალიფიცირებული სასწავლებელია საჭირო, სადაც ვაჟები დაეუფლებიან მიმტანის, მეტრდოტელის და სხვათა საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს. კარგი მიმტანები არა მარტო სახელმწიფო მიღებისთვის, არამედ ბარების, რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტებისათვისაც არის საჭირო.

სამწუხაროდ, ეტიკეტი ირღვეოდა მასპინძელთა მხრიდანაც: ზოგი მათგანი იგვიანებდა ან საერთოდ არ მიდიოდა მიღებაზე და მაგიდასთან ცარიელი ადგილი რჩებოდა, რაც სტუმრის მიმართ უპატივცემულობის ნიშანია. ჩვეულებრივ, მიღების მონაწილეთ ეგზავნებათ მოსაწვევი ბარათები და თუ მოწვეულს არ შეუძლია დასწრება, მან ამის შესახებ წინასწარ უნდა შეატყობინოს მიღების ორგანიზატორებს. ყოვლად დაუშვებელია მოსაწვევი ბარათის სხვისთვის გადაცემა. სამწუხაროდ ასეთ ფაქტებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, რესპუბლიკის ერთ-ერთმა მინისტრმა, რომელმაც ბანკეტზე დასწრება ვერ მოახერხა, თავისი მოადგილე გამოგზავნა.

არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მასპინძელთა ტანსაცმლის ფორმასაც. ხშირია შემთხვევები, როდესაც სადილზე ღია ფერის კოსტუმით მიდიან და თანაც ჰალსტუხის გარეშე. ყოვლად დაუშვებელია მიღებაზე დაუპატიჟებელი სტუმრის მისვლაც, რასაც აგრეთვე ადგილი ჰქონდა ჩვენს პრაქტიკაში. ოფიციალური სადილი ითვალისწინებს გათვლილ ადგილებს და დაუპატიჟებელი სტუმრის გამოჩენა დიდ უხერხულობას იწვევს. ჩვენს პრაქტიკაში იმასაც ჰქონდა ადგილი, როდესაც მასპინძლები გამოსასაუბრებლად ერთმანეთის გვერდით ჯდებოდნენ და ამით არღვევდნენ სადილის ოქმს, რაც ასევე დაუშვებელია.

საერთაშორისო ფერხულში საქართველოს აქტიური ჩაბმა უდავოდ გამოიწვევს აღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორებას, მაგ-

რამ მათი სწრაფი აღმოფხვრისათვის სერიოზული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემატურად მოგვიწევს საქვეყნოდ აღიარებული საოქმო ცერემონიალის დარღვევა.

დიპლომატიურ ეტიკეტს, როგორც დიპლომატის ქცევის ნორმას, განსაკუთრებული, სპეციფიკური ნიშნები აქვს. დიპლომატის ქცევის მიხედვით მსჯელობენ მის ქვეყანაზე. არასწორი ქმედებით დიპლომატს შეუძლია ჩრდილი მიაყენოს სამშობლოს.

დიპლომატმა საკუთარი წესები და მანერები სხვას არ უნდა მოახვიოს. პირიქით, ის ყოველთვის მოწიწებით უნდა ეექცეოდეს მასპინძელი ქვეყნის ადათ-წესებს. დაუშვებელია მასპინძელი ქვეყნის წეს-ჩვეულებათა კრიტიკა.

დიპლომატისათვის აუცილებელია უპირველესი ცნების — სიზუსტის დაცვა; დიპლომატი დროულად მიდის მიღებაზე და რჩება იქ, ვიდრე ამას ქცევის ნორმა უკარნახებს. მიღებიდან სტუმრის 15-20 წუთის შემდეგ წასვლა განიხილება როგორც არამეგობრული ურთიერთობის გამოვლინება.

დაგვიანება გამართლებული არ იქნება, თუ მიღება წარმოებს დანიშნული ადგილებით. გამონაკლის შემთხვევებში დაგვიანებისას სტუმარი მიდის მასპინძელთან და მოკლედ უხსნის დაგვიანების მიზეზს.

მიღებაზე პირველნი დაბალი რანგის, შემდეგ კი მაღალი რანგის თანამშრომლები მიდიან. მიღებიდან წასვლა კი შებრუნებით ხდება — ჯერ უფროსის, შემდეგ კი უმცროსისა. სტუმრები ცალ-ცალკე ტოვებენ მიღებას. ყოფნის დაყოვნება არ არის რეკომენდებული, ვინაიდან ეს ზედმეტად დატვირთავს მასპინძელს.

მიღებაზე მისვლისა და მიღებიდან წამოსვლის დროს არ არის აუცილებელი ყველა დამსწრისათვის ხელის ჩამორთმევა. ხელს არომევენ მასპინძელს.

მიღების დროს არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტანსაცმლის ფორმას. ხშირად მოსაწვევ ბარათში მარჯვენა ქვეითა მხარეს იწერება: blak tic — „შავი ყელსახვევი“, რაც ითვალისწინებს კოსტუმს, სმოკინგს; white tic — „თეთრი ყელსახვევი“ — ფრაკს.

სტუმრის გარეგნული იერი, მისი ქცევა, მანერები, ეტიკეტის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომლის უგულებელყოფაც ყოვლად დაუშვებელია.

იმისათვის, რომ ჯეროვნად მოიქცე მაგიდასთან, უპირველეს ყოველისა აუცილებელია სუფრის გასაწყობი ატრიბუტების ცოდნა. მაგიდაზე იდება ფაიფურის ჭურჭელი, თეფშები ცივი და ცხელი საუზმისათვის, ღრმა თეფშები სხვადასხვა წვნიანი კერძისათვის, ფინჯნები ბულიონისათვის და ზოგიერთი წვნიანი კერძისათვის, პატარა თეფშები მეორე ცხელი კერძისათვის, ასეთივე პატარა თეფშები პურის, ღვეზელის, ხაჭაპურის, მჭადის და სხვა პურ-ფუნთუშეულისათვის, დესერტის თეფშები — ამ თეფშებით ხდება ტკბილეულით, ნამცხვარით, ხილით გამასპინძლება. თეფშებთან ერთად მაგიდაზე აწყობენ დანებს, ჩანგლებსა და კოვზებს. ყველა დანას თავისი შესაფერი ჩანგალი აქვს. დანა-ჩანგლით მიირთმევენ ხორცს და ხორცისაგან დამზადებულ კერძებს, აგრეთვე ბლინებს, ღვეზელს (გარდა ტკბილეულისა) და გარნირს. დანა თავისი ზომით შეესატყვისება პატარა სუფრის თეფშის ზომას, შესაძლოა რომ ჩანგალი დანაზე ოდნავ პატარა იყოს.

თევზეულის საჭმელად გამოიყენება სპეციალური დანა-ჩანგალი. თევზის კერძისათვის განკუთვნილი ხელსაწყოს უქონლობის შემთხვევაში 2 ჩანგალს ხმარობენ. თევზეულისათვის განკუთვნილი დანა-ჩანგალი სუფრის დანა-ჩანგალთან შედარებით მოკლეა, დანა ბლაგვია და ბრტყელთავიან ნიჩაბს წააგავს, ჩანგალს კი აქვს ოთხი მოკლე და ბრტყელი კბილი.

საუზმის დანა-ჩანგლით მიირთმევენ სხვადასხვა სახის ხორცს, თევზის, ბოსტნეულის კერძებს.

დესერტის დანა-ჩანგლით მიირთმევენ ნამცხვრებს, საზამთროს, ნესვს და სხვა.

გარდა ამისა, მაგიდაზე აწყობენ კოვზებსაც. კოვზს ხმარობენ წვნიანი საჭმლისათვის, რომელსაც ღრმა თეფშიდან მიირთმევენ. დესერტის კოვზი განკუთვნილია ტკბილი კერძებისათვის, აგრეთვე ფინჯანში ჩასხმული წვნიანი საჭმლისათვის. ჩაის კოვზს ხმარობენ ჩაის, ყავის, კაკაოს მირთმევისას. ჩაის კოვზს ხშირად დესერტის კოვზადაც იყენებენ. ფინჯნით შემოტანილ ყავას თავისი კოვზი ახლავს.

სასმელებისათვის ტრადიციულად გამოიყენება მინის ან ბროლის ჭურჭელი.

ყველა სასმელს თავისი ჭიქა აქვს.

არყის ჭიქა გამოიყენება არყის, სპირტიანი სასმელების, ნაყე-

ნისათვის. ამ სასმელებით უმასპინძლდებიან ცივი და ცხელი საუზმეულის დროს.

მადერის ჭიქა — სპირტნარევი (პორტვეინის ტიპის) ღვინოებისათვისაა, მას სვამენ პირველ კერძთან.

რეინვეინის ჭიქა — მაღალფეხიანი ფერადი ჭიქა, იხმარება თეთრი ღვინისათვის; თეთრ ღვინოს თევზეულთან, ცხელ კერძთან სვამენ.

ღვინის ჭიქა — ნატურალური ყურძნის წითელი ღვინისათვისაა. მას სვამენ ხორცის ცხელ კერძთან.

შამპანურის ბოკალი — შამპანურისათვისაა, რომელიც დესერტის დროს გამოაქვთ.

გარდა აღნიშნულისა, მაგიდაზე არის ჭიქები მინერალური და ტკბილი წყლის, აგრეთვე სხვა არაალკოჰოლური სასმელებისათვის. კონიაკის ჭიქას ხმარობენ რომისა და კონიაკისათვის. რომი და კონიაკი ყავის დროს მოაქვთ. თუ სუფრაზე მარტო კონიაკია, მას არყის ჭიქითაც სვამენ.

ლუდის ჭიქით მხოლოდ ლუდს სვამენ.

ჭიქების სიდიდე უშუალოდ სასმელზეა დამოკიდებული — რაც უფრო მაგარია სასმელი, მით უფრო პატარაა ჭიქა. სტუმარი ვალდებული არ არის შესვას სასმელი, ეს მის სურვილზეა დამოკიდებული.

ქართული სუფრისათვის დამახასიათებელი — ღვინის დაძალება, დიპლომატიური ეტიკეტისათვის მიუღებელია.

თუ გათვალისწინებული არ არის ალკოჰოლური სასმელები, მაშინ მაგიდაზე არ აწყობენ ჭიქებს მაგარი სასმელებისათვის. უალკოჰოლო სასმელების ტემპერატურა 8-12 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს.

მაგიდას თეთრ ან ფერად გადასაფარებელს აფარებენ. საზეიმო მიღების დროს ტრადიციულად მიღებულია ქათქათა, ოდნავ გაკრახმალებული სუფრა, ხოლო ჩაის დროს — ფერადი სუფრა.

სუფრა 25-30 სანტიმეტრით უნდა იყოს გადმოშვებული მაგიდიდან.

სუფრის გაწყობისათვის უმნიშვნელოვანესი დეტალია ხელსახოცი. არის მაგიდისა და ჩაის ხელსახოცები. ისინი ზომით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგიდის ხელსახოცის ზომა ოდნავ დიდია. სამკუთხედად ან მართკუთხედად დაკეცილ ხელსახოცს პურის თეფშის ქვეშ დებენ.

მაგიდის გაწყობა უნდა შეესატყვისებოდეს მიღების სახეს — საუზმეს, სადილსა თუ ვახშამს.

მაგიდას ჯერ სუფრას აფარებენ, შემდეგ ალაგებენ თეფშებს, დანა-ჩანგალს, დებენ მინის ჭურჭელს, ხელსახოცებს, სპეციებს და ვაზებს ყვავილებით.

ყოველი ადგილის წინ დებენ საუზმის თეფშს იმ ვარაუდით, რომ მანძილი მაგიდის კიდიდან თეფშის კიდემდე 2 სანტიმეტრი იყოს, შემდეგ მისგან 10 სანტიმეტრის დაშორებით მარცხნივ დებენ თეფშს პურისათვის. საუზმის თეფშის მარჯვენა მხარეს დებენ დანებს ასეთი თანამიმდევრობით: თეფშთან ახლოს — სუფრის დანა, მის მარჯვნივ თევზის დანა, შემდეგ საუზმის დანა. დანის პირები თეფშისაკენ უნდა იყოს მიმართული. წვნიანი კერძის დროს საუზმის დანასა და თევზის დანას შორის დებენ სუფრის ან დესერტის კოვზს. თუ კერძი არაა გათვალისწინებული, მაშინ კოვზი იდება საუზმისა და სუფრის დანებს შუა. თეფშის მარცხნივ დებენ დანების შესაფერ ჩანგლებს, კბილებით მაღლა — სადილის, თევზისა და საუზმისათვის.

დანა-ჩანგლები თავსდება ერთმანეთის პარალელურად, სუფრის კიდის პერპენდიკულარულად.

დესერტის დანა-ჩანგალი თეფშის წინ იწყობა — თეფშის ზევით სუფრის ცენტრისაკენ ჯერ დანა, მერე ჩანგალი და კოვზი. დანასა და კოვზს თეფშიდან ტარი აქვს მარჯვნივ, ხოლო ჩანგალს — მარცხნივ.

თუ მიღების დროს მხოლოდ წყალია გათვალისწინებული, მაშინ თეფშის წინ ან ოდნავ მარჯვნივ იდება წყლის ჭიქა. თუ არაყი ან ღვინოც იქნება, მაშინ წყლის ჭიქის მარჯვნივ სხვა ჭიქებიც დაიწყობა. ერთ რიგში სამ ჭიქაზე მეტის დაწყობა მიღებული არ არის, დანარჩენი ჭიქები მეორე რიგში დალაგდება.

ხანდახან ხელსახოცებს საუზმის თეფშებზე დებენ.

მიწვეული ცოლ-ქმრიდან მასპინძლებს პირველად ცოლი ესალმება — ჯერ მასპინძელ მამაკაცს, შემდეგ ქალს; ქმარი ცოლის მისალმების შემდეგ ესალმება ჯერ ქალს, შემდეგ მამაკაცს.

იმ შემთხვევაში, თუ ბევრი სტუმარია დაპატიჟებული, არ არის აუცილებელი ყველას ერთმანეთთან გაცნობა. საკმარისია მოსული სტუმრის გვარისა და სახელის წარმოთქმა. სტუმარი ყველას თავის დაკვრით ესალმება. როდესაც მოსალოდნელ სტუმართა ნახევარია შეკრებილი, აუცილებელია მათი გამაგრილებელი წყლებით გამას-

პინძლება. სტუმრები ერთმანეთს თავისუფლად ესაუბრებიან. როდესაც ყველა სტუმარი თავშეყრილია, მასპინძლები მათ მაგიდასთან იწვევენ.

ოთახში, სადაც სუფრაა გაწყობილი, პირველი შედის ოჯახის დიასახლისი, რომელიც სკამის საზურგესთან დგება და სტუმრებს სთხოვს დაიკავონ ადგილები იმ ვარაუდით, რომ ქალის გვერდით მამაკაცი აღმოჩნდეს. სულაც არ არის აუცილებელი ცოლ-ქმრის გვერდი-გვერდ დასმა.

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სენატორთა დელეგაციის პატივსაცემად გამართული მიღების დროს, რომელიც რესტორან „არაგვში" გაიმართა, მიღებაზე მეუღლესთან ერთად მყოფი ამერიკელი სენატორი, დიპლომატიური ოქმის მიხედვით სუფრის სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდნენ. მიღების მთავარმა მასპინძელმა ეს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა უყურადღებობად მიიჩნია და მოითხოვა ცოლ-ქმრის ერთად დასმა. რა გაეწყობა, დიპლომატიური ოქმი გაცნობას მოითხოვს.

ქალები მიდიან თავიანთ სკამებთან და ელოდებიან, როდის შესთავაზებენ მათ სკამებს დასაჯდომად. მამაკაცი მას შემდეგ ჯდება, როდესაც ქალს დასვამს მაგიდასთან. მამაკაცი მაგიდასთან ჯდომის დროს განსკუთრებულ ყურადღებას უთმობს მის მარჯვნივ მჯდომ ქალს: აწვდის კერძებს, უსხამს სასმელს, ართობს საუბრით. ვინაიდან საუზმის, სადილის, ვახშმის დროს მაგიდასთან ჯდომის ხანგრძლივობა ერთ საათს აჭარბებს, საჭიროა სკამზე მოხერხებულად ჯდომა, სკამის საზურგეზე ოდნავ მიყრდნობა. ჭამამდე ან შესვენების დროს ხელები უნდა ეწყოს მუხლებზე ან სკამის სახელურზე, ჭამის დროს კი ხელები ტანს არ უნდა შორდებოდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებთ მეზობლებს. ეტიკეტით მიუღებელია მაგიდაზე იდაყვით და ნიკაპით ხელზე დაყრდნობა, რაც სხვა სტუმართა მიმართ უპატივცემულობად ითვლება. სკამზე არ შეიძლება მოშვებით ჯდომა, მეზობლის სკამის საზურგეზე ხელის გადადება.

მაგიდაზე დადებული ხელსახოცის გვერდზე გადადება არ შეიძლება. კარგად გარეცხილი და გაკრახმალებული ხელსახოცი საზეიმო ელფერს მატებს სუფრას, მაგრამ მისი დანიშნულებაა დაიცვას ტანსაცმელი კერძის შემთხვევითი შხეფებისაგან. ჭამის დაწყების წინ ხელსახოცი იხსნება და მუხლებზე იფინება. ხელსახოცის ყელ-

თან მიმაგრება არ არის რეკომენდებული. მას ცხვირის საწმენდად არ იყენებენ. მიუღებელია ხელსახოცით თეფშების ან დანა-ჩანგლის გაწმენდა. თუ ხელსახოცი დაგივარდათ იატაკზე, მოითხოვეთ ახალი. იატაკიდან აღებული ხელსახოცის ხმარება რეკომენდებული არ არის.

სუფრასთან ყოფნის დროს უმჯობესია არ გაიმართოს სერიოზულ თემებზე საუბარი. ეტიკეტის მიხედვით საუბარი მიუღებელია ცხელი კერძის მირთმევის დროს, ვინაიდან კერძი გაცივდება. როგორც წესი, სტუმრები საუბრობენ ცივი საუზმეულის, დესერტისა და ჩაის დროს. არ საუბრობენ ისეთ თემებზე, რომელთაც მადის გაფუჭება შეუძლიათ, ასეთებს განეკუთვნება სხვადასხვა დაავადებებზე, სამსახურებრივ პრობლემებზე საუბარი. სუფრაზე არ კამათობენ და თუ ასეთს მაინც აქვს ადგილი, მასპინძლებმა კამათის განმუხტვის მიზნით სხვა თემაზე უნდა გადართონ ყურადღება. სტუმრებმა სუფრასთან თავი უხერხულად რომ არ იგრძნონ, უწმაწურ ანეგდოტებს არ ყვებიან. მიუღებელია ერთმანეთთან ჩურჩული, ქირქილი და სხვა. ასევე მიუღებელია მთელი ტანით შემობრუნება და მეზობლისათვის ზურგის შექცევა. საუბარი დაბალ ხმაზე უნდა წარმოებდეს, რომ არ შეწუხდნენ სუფრის სხვა მონაწილენი. თითოეულმა მოსაუბრემ უნდა იცოდეს, რომ სხვასაც უნდა მიეცეს აზრის გამოთქმის შესაძლებლობა.

ქართული სუფრის ტრადიციაა თამადის რიტუალი. მასში გამოხატულია არა მარტო ქართველი კაცის ბუნება, არამედ მდიდარი ტრადიციებიც. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად თამადის მომაბეზრებელი და ნაკლებად გონივრული სადღეგრძელოები, თანაც ღვინის დაძალებით, სუფრის წევრებისათვის მეტად მძიმე ასატანია.

საჭიროა სადღეგრძელოს ყურადღებით მოსმენა. მიღების დროს სადღეგრძელოს მამაკაცები ფეხზე მდგარი, ქალები კი დამსხდარნი უსმენენ. თუ თამადა სადღეგრძელოს ჭიქით ხელში წარმოთქვამს, მამაკაცებიც ჭიქით ხელში უსმენენ თამადას.

მიუღებელია წვნიანის წკლაპუნით, საჭმლის ხრამუნით მირთმევა, სავსე პირით საუბარი, ორივე ყბით ჭამა ან დაუღეჭავი ლუკმის ინდაურივით ყლაპვა, აჩქარებით ჭამა.

მიუღებელია და არაჰიგიენურია საერთო კერძის თეფშიდან საკუთარი დანა-ჩანგლით გადაღება. მამაკაცი მარჯვნივ მჯდომ ქალს

ეკითხება, თუ რომელი კერძის გადაღებას ისურვებდა, შემდეგ მარცხენა ხელით იღებს კერძიან თეფშს და მარჯვენა ხელით გადააქვს ქალისათვის. მას შემდეგ, რაც მამაკაცი ქალს გადაუღებს, შემდეგ თავს უფლებას აძლევს თვითონ გადაიღოს საჭმელი. ქალს თვითონაც შეუძლია გადაიღოს კერძი. ამ შემთხვევაში ის თხოვს მამაკაცს მიაწოდოს კერძი. თუ გსურთ ბუტერბროდის გაკეთება, ამისათვის საჭირო კარაქი, ხიზილალა ან სხვა რამ ჯერ თეფშზე უნდა გადაიტანოთ და შემდეგ გაიმზადოთ ბუტერბროდი.

ყველა საჭმელი არ გადაიღება დანა-ჩანგლით ან კოვზით. მაგალითად პურს, ღვეზელს, ნამცხვარს, ხილს, პამიდორსა და კიტრს, აგრეთვე შაქარს (თუკი არ არის შაქრის ასაღები) ხელით იღებენ.

და ბოლოს, რა რაოდენობით უნდა გადავიღოთ საჭმელი თეფშზე? ყოველთვის უნდა გაითვალისწინოთ შეხვდება თუ არა იგი დანარჩენებს. კარგ ტონად არ ითვლება თეფშზე საჭმლის დატოვება. გადმოღებული ნებისმიერი კერძი ბოლომდე უნდა შეიჭამოს. მიუღებელია თეფშის პურით მოპრიალება. თუ არ მოგწონთ კერძი, შეგიძლიათ უარი თქვათ მასზე, მაგრამ კერძის მიმართ ეჭვის გამოთქმა ან კრიტიკა არ შეიძლება, რამეთუ ამან შეიძლება მასპინძლის განაწყენება გამოიწვიოს.

მიუღებელია აგრეთვე დანით ჭამა. ჭამის შემდეგ დანა-ჩანგალი უნდა დადოთ თეფშზე ერთმანეთის პარალელურად ტარით მარცხნივ.

პური დევს მარცხნივ თეფშზე ან სალფეთქზე. მარჯვნივ დალაგებული პური მეზობელს ეკუთვნის. არ შეიძლება პურის მარჯვენა ხელით აღება, ასევე დაუშვებელია მთლიანი პურის ნაჭრის პირში ჩადება.

ცივ საუზმეულს, მათ შორის თევზს, ხორცს ან ბოსტნეულს მიირთმევენ დანა-ჩანგლით. თევზს, ხორცს და ბოსტნეულს ჭრიან პატარა ნაჭრებად, შემდეგ დანის დახმარებით ნაჭრებს ჩანგალზე დებენ და ისე მიირთმევენ.

ხიზილალას კარაქთან ერთად ჭამენ. ამიტომ ხიზილალაც და კარაქიც საკუთარ თეფშზე გადააქვთ.

ბულიონს ფინჯანიდან სვამენ. ფინჯანი დევს თეფშზე, ფინჯნის სახელური მარჯვენა მხარეს არის მიქცეული. ბულიონს დასაწყისში კოვზით სვამენ, ხოლო შემდეგ კოვზს დებენ და ბულიონს ჩაისავით სვამენ. თუ ფინჯანს ორი სახელური აქვს, მაშინ ბულიონი კოვზით

უნდა ძიირთვათ. წვნიანი კერძის ჭამის დროს თეფში იხრება მაგიდის ცენტრისაკენ და არა თქვენსკენ. ისე კი, უკეთესია თეფშზე დარჩეს წვენი.

თართის სახეების თევზს დანა-ჩანგლით ჭამენ. თუ თევზის საჭმელი დანა-ჩანგალი არ მოუტანიათ, ამ შემთხვევაში, როგორც ადრე ითქვა, შეიძლება ორი ჩანგლის გამოყენება.

მოხარშულ ან შემწვარ თევზს, რომელიც ძვლებთან ერთადაა მომზადებული, ასე მიირთმევენ: ჯერ ზევითა რბილ ნაწილს ააცლიან და ჭამენ, შემდეგ აცლიან ძვლებს და ხერხემალს, მათ გვერდზე დებენ და დარჩენილ ნაწილს მიირთმევენ.

ხორცის პატარ-პატარა ნაჭრებად ერთბაშად დაჭრა და შემდეგ ჭამა არ არის რეკომენდებული. დაკეპილ ხორცს, კატლეტს, შნიცელს, ბიფშტექსს ჩანგლით ჭამენ. ჩანგალი მარჯვენა ხელში უჭირავთ.

ფრინველის ხორცის ჭამის დროსაც დანა-ჩანგალს ხმარობენ, ძვალს რბილ ხორცს ააცლიან. არის შემთხვევები, როდესაც თეფშიდან მარჯვენა მხარეს წყლიან ჯამს დებენ, რომელსაც ხელსახოცი აქვს დაფარებული, წყალში ლიმონის ნაჭერი დევს. ამ შემთხვევაში ქათმის ძვალს დანა-ჩანგლით აშორებენ ხორცის ნაჭრებს, ხოლო შემდეგ ძვალზე შემორჩენილ ხორცს ხელით მიირთმევენ. ჭამის შემდეგ დარჩენილ ძვალს თეფშის კიდეზე დებენ. თითებს კი იბანენ თბილი წყლით, რომელიც ჯამშია და იწმენდენ ხელსახოცით. წიწილის ტაბაკას მხოლოდ დანა-ჩანგლით ჭამენ.

დესერტის ჭამის დროს კურკებს ლამბაქზე კოვზით დებენ. თუ ნაყინს თავზე აქვს ნამცხვარი, მაშინ მას იღებენ მარცხენა ხელით. საზამთრო მოაქვთ დაჭრილი კანთან ერთად და ჭამენ დანა-ჩანგლით. უკეთესია თუ საზამთროს კანის გარეშე მოიტანენ. დაუშვებელია საზამთროს ნაჭრებად დაჭრა კანთან ერთად და ხელით აღება, თესლის თეფშზე გადმოფურთხება. ვაშლს საერთო ჯამიდან იღებენ მარცხენა ხელით, დანით შუაზე ჭრიან, შემდეგ გათლიან ან ჭრიან ოთხ ნაწილად და დანა-ჩანგლით მიირთმევენ. ატამსაც ხელით იღებენ საერთო ვაზიდან, დანით აცლიან კანს, შემდეგ კი დანა-ჩანგლით ჭრიან ნაწილებად. კანი თეფშის კუთხეში გროვდება. ყუნწიანი ბალის ჭამის დროს კურკას ხელში აგროვებენ და თეფშზე დებენ. თუ ბალი ყუნწის გარეშეა შემოტანილი, მას კოვზით ჭამენ. კურკები იყრება კოვზზე, შემდეგ კი თეფშზე. ყურძენი ხელით იჭმება. ფორთოხალს დანით აცლიან კანს სპირალურად, შემ-

დეგ დანითვე ჭრიან ნაწილებად. ანანასი მოაქვთ დაჭრილი, კანის გარეშე, მას დანა-ჩანგლით მიირთმევენ.

ტორტი და ნამცხვრები მაგიდაზე მოაქვთ ლანგარით. ტორტი შეიძლება წინასწარ იყოს დაჭრილი.

ჭიქის ან პურის აღებისას დანა-ჩანგალი თეფშზე ჯვარედინად უნდა დაიდოს. ჩანგალს ამოზნექილი მხარე ზევით უნდა ჰქონდეს, ხოლო დანას პირი მარცხნივ. დანა-ჩანგლის ისე დადებაც შეიძლება, როდესაც დანა-ჩანგალის ტარი მაგიდაზეა, პირი კი თეფშზე. ჭამის დამთავრების შემდეგ დანა-ჩანგალი თეფშზე უნდა დაიდოს ერთმანეთის პარალელურად ტარით მარცხნივ.

ჩაი მოაქვთ ფინჯანით ან ჭიქით, რომელიც სპეციალურ ჩასადგამშია ჩადებული. ჩაის ჭიქა ისე დაიდება სტუმართან, რომ ჩასადგამის სახელური სტუმრის მარცხნივ არის. შაქრის კოვზით მორევა უხმაუროდ ხდება. შემდეგ კოვზით ისინჯება გემო, რის შემდეგაც ჩაის ჭიქას აბრუნებენ მარჯვნივ, მარჯვენა ხელის მოსაკიდებლად. თხლად დაჭრილი ლიმონი ცალკე ლამბაქზე დევს. ლიმონის ნაჭერს ჩანგლით დებენ ჩაიში. ჩაის დალევის შემდეგ ლიმონის დაღეჭვა მიუღებელია.

საუზმის დროს სვამენ არაყს, წვნიან საჭმელთან — მადერას, პორტვეინს, თევზის ცხელ კერძთან — თეთრ ნატურალურ ღვინოს, ხორცის კერძთან — წითელ ღვინოს, დესერტთან — შამპანურს ან დესერტის ღვინოს, ჩაისთან — ლიქიორს, ყავასთან — კონიაკს. ყველა სასმელს შესაფერისი ჭიქა ახლავს. სუფრის გაწყობის დროს ჭიქები ეწყობა მენიუში აღნიშნული კერძების რიგის მიხედვით. მაგალითად, პირველ რიგში მარჯვნიდან მარცხნივ დაიდგმება არყის, მადერის და მინერალური წყლის ჭიქები, მეორე რიგში, რეინვეინის, ღვინის და შამპანურის ჭიქები. თეთრი და ნახევრად თეთრი ღვინოები მაგიდაზე შემოაქვთ ოდნავ ჩაცივებული — ზამთარში 12-14 გრადუსით, ზაფხულში 8-10 გრადუსით. წითელი მშრალი ღვინოები ზამთარში უნდა შეთბეს 20 გრადუსამდე. ზაფხულში 18 გრადუსამდე. ხერესი და მადერაც თბება. შამპანური აუცილებლად ჩაცივებული უნდა იყოს. არაყს სვამენ მადისათვის. თუ არყის დალევა არ გსურთ, მიუღებელია ჭიქისათვის ხელის დაფარება, უნდა თქვათ, რომ არაყი არ გინდათ. სადღეგრძელოს შესმის დროს ხშირად ჭიქებს უპასუხებენ. ამ შემთხვევაში ქალთან და ასაკით უფროს მა-

მაკაცთან შედარებით ახალგაზრდა ვაჟს ჭიქა უფრო დაბლა აქვს დაწეული პატივისცემის ნიშნად.

ოფიციალური სამთავრობო და დიპლომატიური მიღების გარდა გავრცელებულია აგრეთვე საქმიანი მიღება. ასეთი მიღება განსაკუთრებით სასარგებლოა ბიზნესმენთა დაახლოების, აზრთა გაზიარების მიზნით. მიღებაზე იწვევენ ამა თუ იმ ფირმის წარმომადგენელს სხვადასხვა საკითხებში კონსულტაციის მისაღებად. მიღებაზე მიწვევა ხდება ტელეფონით ან წერილობით. მიღება ტარდება კაბინეტში. მაგიდის ერთ მხარეზე სხდებიან მიწვეული სტუმრები, ხოლო მეორე მხარეს — მიღების მომწყობნი და მიღების სხვა მონაწილენი. მიღების მომწყობი მხარის წარმომადგენელი სტუმრებს ხვდება შენობის შესასვლელში და მიაცილებს იმ ოთახამდე, სადაც მიღება არის დაგეგმილი. მიღების ორგანიზატორი ესალმება სტუმრებს. სტუმრებიდან უფროსი მანპინძელს აცნობს მათ. მთავარი მასპინძელი მაგიდის შუაში იკავებს ადგილს და საპირისპირო მხარეს სვამს სტუმრების მხრიდან მეთაურს. მთავარი მასპინძლის მარჯვნივ და მარცხნივ ადგილებს იკავებენ მისი თანამშრომლები. შემდეგ მასპინძელი სტუმრებს აცნობს მიღების მონაწილეებს.

საქმიანი საუბრის დროს მაგიდაზე აწყვია ქაღალდი, ბლოკნოტები და ფანქრები; აგრეთვე მინერალური და ტკბილი წყალი, ასანთი და სიგარეტები. მაგიდაზე უნდა ეწყოს ბოთლის გასახსნელი და საფერფლეები .ასეთ მიღებაზე შეიძლება შემოტანილ იქნეს ყავა, ჩაი, კონიაკი. სასმელი შემოაქვთ მიღების ორგანიზატორის მითითებით.

ასეთი საქმიანი შეხვედრა საათზე მეტ ხანს არ გრძელდება.

ოფიციალური მიღებები ეწყობა უცხო სახელმწიფოს მეთაურის, მინისტრების, დიპლომატების ვიზიტების დროს.

არაოფიციალური მიღება იმართება მეგობრული შეხვედრების, საოჯახო ზეიმების დროს.

ოფიციალური ბანკეტების დროს აუცილებელია ორი დარბაზი. ერთში თავს იყრიან სტუმრები, ხოლო მეორეში იმართება ბანკეტი. პირველში — ავანდარბაზში დგას სავარძლები, პატარა მაგიდები სიგარეტებით, ასანთით, საფერფლეებით. ოთახის შუაგულში არის პატარა მაგიდა, რომელზეც საბანკეტო დარბაზის მაკეტია, მასში მონაწილე სტუმართა გვარებით. ოთახი მორთულია ყვავი-

ლებით. საბანკეტო დარბაზში შესვლამდე ავანდარბაზში სტუმრებს უმასპინძლდებიან აპერიტივით, პირის გასასველებლად და მადის მოსაგვრელად.

ცნობილია სამი სახის აპერიტივი — ორდინარული, კომბინირებული და შერეული. ორდინარული აპერიტივი შეიცავს მხოლოდ ერთ სასმელს — ღვინოს, შამპანურს, ვერმუტს. კომბინირებული აპერიტივი რამდენიმე სასმელისაგან შედგება, მინერალური წყალი ჭიქებში, სხვადასხვა წვენები, ღვინო, კონიაკი, არაყი, ასევე ჭიქებში. შერეული აპერიტივი ძირითადად კოქტეილებია.

აპერიტივს სტუმრებს მიართმევენ ლანგრებით, რომელზეც ხელსახოცია დაფარებული. ხშირად აპერიტივთან ერთად სტუმრებს უმასპინძლდებიან ლიმონის ნაჭრებით, ზეთისხილით, ნუშით და სხვა. ბანკეტი ხშირად აპერიტივით თავდება, შემდეგ კი სტუმრებს უმასპინძლდებიან ყავით.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ავანდარბაზში შუა ადგილას მოთავსებულია საბანკეტო დარბაზის მაგიდის მაკეტი. მაგიდაზე დალაგებულია ბანკეტში მონაწილე სტუმრების კუვერტულ ბარათები გვარებით იმ გეგმის მიხედვით, რა გეგმითაც არის გაწყობილი სუფრა. სტუმრები აპერიტივისა და საუბრის შემდეგ შედიან საბანკეტო დარბაზში, სადაც გაწყობილია მაგიდა.

კუვერტული ბარათი უადვილებს სტუმარს სუფრაზე ადგილის მოძებნას. ხშირ შემთხვევაში, პიროვნებას არა მარტო მოსაწვევ ბარათს უგზავნიან, არამედ პატარა მუყაოს ბარათსაც საბანკეტო მაგიდის ნახაზით და ისრით მინიშნებული ადგილით.

ვენესუელის ეროვნული კონგრესის დელეგაციის
პატივსაცემად —
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
პრეზიდიუმი

გთხოვთ _____

მობრძანდეთ სადილზე ორშაბათს, 1982 წლის 27 სექტემბერს, 20.00 საათზე.

რესტორანი „მთაწმინდა“.



თქვენი ადგილი მაგიდასთან.

კუვერტული ბარათის გარდა სტუმრის თეფშთან არის მენიუც. კუვერტულ ბარათს დებენ ჭიქის წინ ან ჭიქაზე.

ოფიციალურ ბანკეტზე სასმელს, საუზმეს და კერძებს მიმტანები ჩამოატარებენ. ისინი გადაუღებენ სტუმრებს კერძებს და დაუსხამენ სასმელებს. ასეთი მიღების დროს მენიუ მდიდარი არ არის. როგორც წესი, მაგიდაზე ოთხი ცივი და ერთი ცხელი საუზმის კერძი, ერთი ან ორი ცხელი კერძი და ერთი დესერტი შემოაქვთ.

ასეთი ბანკეტის დროს სუფრის მონაწილეები მთლიანად თავისუფლდებიან თვითმომსახურებისაგან. ცივი საუზმის, ცხელი კერძების და ზოგიერთი დესერტის (ნაყინი) მირთმევის დროს ოფიციანტი ემსახურებათ მარცხენა მხრიდან, ხოლო საუზმის, ცხელი კერძების, წვნიანის და დესერტის მირთმევა ხდება მარჯვენა მხრიდან. არ არის მიღებული მიმტანისათვის ხელის შეწყობა მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრით.

* * *

ოფიციალურ საუზმეზე ან სადილზე მისაწვევი სტუმრების სიის შედგენისას ელჩს უპირველეს ყოვლისა უნდა ახსოვდეს ის სტუმრები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ. მათ შესაბამისი ადგილები უნდა მიუჩინონ მაგიდასთან. მზადდება ორი სია საოქმო უფროს-უმცროსობის მიხედვით: ერთი მამაკაცებისა და მეორე ქალებისათვის.

ჩვეულებრივ სადილზე ან განსაკუთრებით საპატიო სტუმრები', მონაწილეობით გამართულ სადილზე მოსაწვევი ბარათები სტუმრებს უნდა გაეგზავნოთ, როგორც მინიმუმი, მიღების გამართვამდე სამი დღით ადრე.

ვინაიდან საუზმეზე ან სადილზე მოსაწვევი ბარათები ყველას პერსონალურად ეგზავნება და სტუმართა უფროს-უმცროსობა განისაზღვრება თითოეული მათგანის რანგით, როგორც უკვე ითქვა, არ შეიძლება მიწვეულმა სტუმარმა ოფიციალურ საუზმეზე ან სადილზე თავის მაგივრად სხვა პირი გაგზავნოს. საუზმეზე ან სადილზე მიწვეულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა უპასუხოს იღებს მიწვევას, თუ არ შეუძლია დასწრება. მიწვევაზე პასუხის დაყოვნება უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მასპინძელს, რადგანაც ეს უკანასკნელი ვერ იღებს გადაწყვეტილებას სადილის მომზადებისა და მაგიდაზე სტუმრების განაწილების თაობაზე, აგრეთვე ამით ეკარგება შესაძლებლობა ისარგებლოს გარემოებით და სხვა პირი მოიწვიოს. ეს მას აიძულებს აგრეთვე საპასუხო ბარათი გაგზავნოს. საერთოდ მიწვევაზე უარის თქმა სერიოზული შეცდომაა.

იმ ქვეყნებში, სადაც ფართოდ არის გავრცელებული ფეხზე დგომით გამასპინძლების წესი, მოსაწვევ ბარათში სასურველია აღინიშნოს, რომ სადილი იქნება „სუფრასთან დასხდომით", რათა სტუმრებმა იცოდნენ, რომ საჭიროა დანიშნულ დროზე მისვლა.

ქვეყნებში, სადაც პოლიგამიაა გავრცელებული, საუზმეზე, სადილზე ან ოფიციალურ მიღებაზე იწვევენ მხოლოდ ერთ ცოლს. ქმარი თვითონ წყვეტს, თუ რომელი ცოლი ახლდება თან.

უფრო სწორი იქნება მიწვევის პასუხად წერილის ან ღია ბარათის გაგზავნა, ვიდრე სავიზიტო ბარათისა. ზოგიერთ ქვეყანაში სავიზიტო ბარათის გაგზავნა უტაქტობად ითვლება. არსებობს აგრეთვე ჩვეულება, რომ მიწვევა დიასახლისს გაეგზავნოს.

ზოგჯერ მოსაწვევ ბარათზე არის ტელეფონის ნომერი, ასეთ შემთხვევაში პასუხის გაცემა შეიძლება ტელეფონით. მაგრამ თუ ეს მიწვევა ოფიციალურ საუზმეს ან სადილს ეხება, უფრო სწორი იქნება პასუხი წერილობით გაეცეს.

რეკომენდებულია მოსაწვევ ბარათში აღინიშნოს ტანსაცმლის ფორმა.

ოფიციალური საუზმე და სადილი

ოფიციალურ საუზმეზე ან სადილზე სუფრასთან სტუმრების დასხდომა ხდება მათი რანგის შესაბამისად, რომელიც საოქმო უფროს-უმცროსობით არის განსაზღვრული. გარემოებამ შეიძლება შეცვალოს უფროს-უმცროსობის წესი. მაგალითად, უცხოელი დიპლომატის სახლში იმ ქვეყნის მეთაურს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პარლამენტის პალატების თავმჯდომარეებსა და საგარეო საქმეთა მინისტრს უფროს-უმცროსობის წესით ენიჭებათ უპირატესობა უცხოელ ელჩებთან, კაბინეტის მინისტრებთან და სრულუფლებიან მინისტრებთან შედარებით. პირიქით, პრემიერ-მინისტრის სახლში ან საგარეო საქმეთა მინისტრის სახლში ელჩებს უფრო საპატიო ადგილი უჭირავთ, ვიდრე პალატის ხელმძღვანელებს, ხოლო უცხოელ სრულუფლებიან მინისტრებს — უფრო საპატიო ადგილი, ვიდრე მთავრობის წევრებს.

საკუთარ ქვეყანაში, კერძო სახლში საგარეო საქმეთა მინისტრი უფროსობას ელჩს უთმობს.

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებს, რომლებსაც ელჩის ან სრულუფლებიანი მინისტრის რანგი აქვთ ქვეყნებში, სადაც აკრედიტებულნი არიან, უფროს-უმცროსობით უპირატესობა ენიჭებათ დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურების წინაშე, რომლებიც აკრედიტებულნი არიან სხვა ქვეყანაში, მიუხედავად მათი რანგისა და წოდებისა. საელჩოთა ფუნქციების წარმომადგენლობითი ხასიათი მათ ყველაზე მაღალ მდგომარეობას აძლევთ ქვეყანაში, სადაც აკრედიტებულნი არიან.

ოფიციალური თანამდებობის პირები, რომლებსაც რანგი ან საპატიო ტიტული აქვთ და შვებულებაში იმყოფებიან, ან დანიშნულებით არ მუშაობენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ ასრულებენ მათი რანგის შესაფერის ფუნქციებს, უფროსობას უთმობენ ამავე რანგის სტუმრებს, რომლებიც აქტიურ მუშაობას ეწევიან. თუ სტუმარი უფრო მაღალ მოვალეობას ასრულებს, ვიდრე რანგით ეკუთვნის, იგი იკავებს მისთვის განკუთვნილ ყველაზე საპატიო ადგილს.

ქალთა ემანსიპაციამ გამოიწვია ის, რომ ქალებს სულ უფრო ხშირად უჭირავთ მაღალი პოსტები სამთავრობო და არჩევით ორგანო-

ებში, აგრეთვე ადმინისტრაციაში. ოფიციალურ საუზმეზე და სადილზე ქალები სხდებიან მამაკაცთა შორის თავიანთი რანგის მიხედვით.

ჩვეულებრივ საუზმეზე და სადილზე, სადაც ქალებიც და მამაკაცებიც იმყოფებიან, ისინი შეძლებისდაგვარად გვერდი-გვერდ არ უნდა ისხდნენ. ასეთ შემთხვევაში, თუ ქალები დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურები არ არიან, ისინი სხდებიან თავიანთი ქმრების უფროს-უმცროსობის მიხედვით.

ქვრივები ინარჩუნებენ ქმრის რანგს. ქალები, რომლებსაც მამაკაცები არ ახლავთ, სხდებიან თავიანთი ასაკის, მდგომარეობისა და საპატიო წოდების შესაბამისად. გათხოვილ ქალებს, უფროს-უმცროსობის წესით, ქმარგაცილებულებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ. ამავე წესით ყველა ქალი უფრო საპატიო ადგილს იკავებს, ვიდრე ახალგაზრდა ქალიშვილი, თუ ის რანგი და მოვალეობა, რომელსაც ასრულებს ან საპატიო წოდება, რომელიმე მათგანს რაიმე უპირატესობას არ ანიჭებს.

წესი, რომელიც წარმომადგენლობის სხვა ქალებთან შედარებით, ელჩის ცოლს პრივილეგირებულ მდგომარეობას ანიჭებს, ელჩი ქალის ქმარზე მთლიანად არ ვრცელდება. მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ელჩი ქალის ქმარს ადგილი უკავია იმ დიპლომატის შემდეგ, რომელიც (მდგომარეობით) ელჩის არყოფნის შემთხვევაში დროებითი რწმუნებულის მოვალეობას შეასრულებდა.

საელჩოს ქალი-მდივნის ქმარს იგივე მდგომარეობა უკავია უფროს-უმცროსობის წესით, რაც მის ცოლს, თუ პირადად მას უფრო მაღალი რანგი არა აქვს. თუ მისი ცოლი საქმეთა დროებით რწმუნებულად ინიშნება, იგი დაიკავებს ადგილს იმ დიპლომატის შემდეგ, რომელიც შეცვლის მის ცოლს.

შერეული მიღებები

შეხვედრებზე, სადაც იმყოფებიან როგორც ოფიციალური თანამდებობის პირები, ასევე გამოჩენილი მოღვაწეები, გარდაუვალია წინააღმდეგობა უფლებით მინიჭებულ უფროსობასა და თავაზიანობის ეტიკეტით განპირობებულ უფროსობას შორის. ამ საკითხების გადაწყვეტა დამოკიდებულია გარემოებებზე, დროზე და ადგილ-

ზე. წინასწარ რაიმე რჩევის მიცემა შეუძლებელია, მაგრამ საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი წესები:

1. ყოველთვის უნდა იყოს დაცული ოფიციალური მდგომარეობის მქონე პირების შედარებითი უფროს-უმცროსობა;

2. როდესაც უკვე გარკვეულია უფლებით მინიჭებული უფროსობა, საპატიო სტუმრები შეიძლება განლაგდნენ ოფიციალურ თანამდებობის პირთა შორის. მათი ადგილის განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა:

ა) უპირატესი პატივი, თავაზიანობის ეტიკეტის თანახმად და შეხვედრის ხასიათის მიხედვით უნდა მიენიჭოთ იმ პირებს, რომლებსაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაღალი მდგომარეობა უკავიათ და დიდი გავლენა აქვთ;

ბ) გათვალისწინებული უნდა იქნეს მაღალი მდგომარეობა საზოგადოებაში (მაღალი ტიტულები, საპატიო წოდებები და სხვა).

გ) უცხოელი სტუმრებისათვის უპირატესობის მინიჭება საყოველთაოდ არის მიღებული. თანაბარი რანგის მქონე საკუთარი ქვეყნის მოქალაქეთა წინაშე უცხოელი სტუმრები ყოველთვის უპირატესობით სარგებლობენ. მოქალაქეები, რომლებიც საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მუშაობენ, უფროს-უმცროსობის მიხედვით თავის ქვეყანაში მცხოვრებ იგივე რანგის თანამოქალაქეებზე მაღლა დგანან;

დ) თუ ოფიციალური შეხვედრის ხასიათი გამორიცხავს უფროს-უმცროსობის გარჩევის საშუალებას, თავაზიანობის ეტიკეტიდან გამომდინარე, ჯობია საერთოდ თავი შევიკავოთ მაღალი რანგის პირთა მოწვევისაგან; ასეთმა მოპყრობამ შესაძლოა შეურაცხყოფა მიაყენოს მათ.

არაოფიციალური მიღებები

მიღებებზე, რომლებსაც მეტნაკლებად არაოფიციალური ხასიათი აქვთ, მასპინძლებს (ბატონსა და ქალბატონს) ყოველთვის სუფრის თავში უჭირავთ ადგილი, როგორც ეს ნაჩვენებია 1 და 2 ნახაზებზე.

უფროს-უმცროსობის საკითხებში საჭიროა საერთო წესების დაცვა (რომლებიც ქვემოთ მოგვყავს). შეიძლება ერთ ან რამდენი-

მე საპატიო სტუმარს სუფრასთან მიეცეს ადგილი უფროს-უმცროსობის მიხედვით მსხდომ ოფიციალურ თანამდებობის პირებს შორის და ამ უკანასკნელთ წყენის არავითარი საფუძველი არ გააჩნიათ ასეთი პრაქტიკის გამო.

გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მარტო ოფიციალური მდგომარეობა, არამედ ტრადიციული ან ოჯახური უფროს-უმცროსობაც და, თუ საჭიროა, შეტანილ იქნეს ცვლილებები და გადაადგილება, რომლებიც კონკრეტული გარემოებებით არის განპირობებული; გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე ასაკი, საზოგადოებრივი მდგომარეობა და სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთდამოკიდებულება.

მაგალითად:

1. ჩვეულებრივ, ახალგაზრდები უფროსობის პატივს უთმობენ ასაკით უფროსებს. ეს ძირითადი წესი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში;

2. გათვალისწინებულ უნდა იქნეს სტუმრების საპატიო რანგები;

3. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი პრაქტიკა;

4. ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სტუმარს, რომელიც პირველად არის მოსული და სტუმარს, რომელსაც უცხოელების თანაბარი რანგი აქვს;

5. ბოლოს, მასპინძლის ოჯახის წევრები უფროსობის უპირატესობას სტუმრებს ანიჭებენ.

საპატიო ადგილები

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საპატიო ადგილების განაწილებას, რადგან ასეთ ადგილებზე პრეტენზიას გამოთქვამს ბევრი, ვინც ძალზე მგრძნობიარედ ეკიდება ადგილების განაწილების საკითხს.

საპატიო ადგილად ითვლება შემოსასვლელი კარის მოპირდაპირე მხარე. თუ კარი გვერდით არის, საპატიო ადგილი მდებარეობს იმ ფანჯრის პირდაპირ, რომელიც ქუჩაში გადის.

ხუვერენი ან მემკვიდრე უფლისწული, რომელიც მიწვეულია დიპლომატიურ რეზიდენციაში, ოქმის თვალსაზრისით განიხილება სა-

კუთარ სახლში მყოფად. იგი ადგილს იკავებს სუფრის თავში და იგულისხმება, რომ ის ხვდება სტუმრებს. სუფრასთან დასხდომა უნდა განახორციელოს ადგილობრივმა საოქმო სამსახურმა.

საუზმეზე, სადაც მხოლოდ მამაკაცები არიან, ყველაზე საპატიო ადგილია მასპინძლის მარჯვნივ (იხ. ნახ. 1). თუ მასპინძელს სურს განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინოს ძალიან მაღალი რანგის სტუმრის მიმართ, შეუძლია მას თავის პირდაპირ სუფრის თავში მეორე ადგილი შესთავაზოს. მიუხედავად ამისა პირველ საპატიო ადგილად ითვლება ადგილი მასპინძლის გვერდით, მის ხელმარჯვნივ (იხ. ნახ. 2).

როდესაც საუზმეს ან სადილს მასპინძლის მეუღლე ესწრება, საპატიოდ ითვლება ადგილი მის ხელმარჯვნივ. ასეთ შემთხვევაში სტუმრებს ცოლებითურთ იწვევენ.

თუ მასპინძელი უცოლოა ან მისი მეუღლე იქ არ იმყოფება, მას შეუძლია, საუზმეზე ან სადილზე, რომელსაც ქალებიც ესწრებიან, თუ სურს, თავის პირდაპირ ადგილი მიუჩინოს ყველაზე მაღალი რანგის თანამდებობის პირს, ან ერთ-ერთ დამსწრე ქალს. ქალებისა და მამაკაცების სუფრასთან დასხდომა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი გადაწყვეტილებაა მიღებული.

ასეთი წესი ძალაში რჩება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სუფრასთან დასხდომის სიძნელეები შეიძლება ორი მაგიდის დადგმით გადაილახოს, როდესაც ერთის თავში მასპინძელი ზის, მეორის თავში კი — მისი მეუღლე. ასეთ შემთხვევაში ცოლები და ქმრები სხვადასხვა მაგიდებთან სხდებიან.

როდესაც ბევრი წარჩინებული პირია მოწვეული, და მათი სუფრასთან დასხდომა სიძნელეებს იწვევს, ზოგჯერ მიზანშეწონილია ისინი რამდენიმე მაგიდასთან გაანაწილონ. ამ დროს, შესაძლებლობა იქმნება მასპინძელი, დიასახლისი და წარჩინებული სტუმრები სხვადასხვა მაგიდების თავში დასხდნენ. ყოველ მაგიდასთან სტუმრების დასხდომის გეგმა წინასწარ უნდა იყოს შედგენილი.

საპატიო სტუმრების სუფრასთან დასხდომასთან დაკავშირებული სიძნელეები ოფიციალურ თანამდებობის პირებს შორის წარმოიშობა თავაზიანობის თვალსაზრისით.

1. საუზმესა და სადილზე — მხოლოდ მამაკაცების მონაწილეობით, მასპინძელით სუფრის თავში



ნახ. 1



ნახ. 2.

2. საუზმეზე ან სადილზე მხოლოდ მამაკაცების მონაწილეობით, რომელზეც განსაკუთრებული პატივისცემის სახით მასპინძელს შეუძლია ერთ-ერთ სტუმარს სუფრის თავში მეორე ადგილი შესთავაზოს.

3. საუზმეზე ან სადილზე მამაკაცთა და ქალთა მონაწილეობით, მასპინძელი და დიასახლისი საუბრის ადვილად წარმართვის მიზნით ადგილებს იკავებენ მართკუთხედის ფორმის მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ.

4. ოფიციალურ მიღებებზე მართკუთხედის ფორმის მაგიდასთან მასპინძელი და დიასახლისი ადგილებს იკავებენ ერთმანეთის პირდაპირ, მაგიდის ბოლოებში (ასეთი დასხდომა მიღებულია ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებში და მოხერხებულია იმ მხრივ, რომ სტუმრები, რომლებიც სუფრის ბოლოში სხდებან, თავს იზოლირებულად არ გრძნობენ, რადგანაც მაგიდასთან საუბრის ორი ცენტრი იქმნება).



ნახ. 3.



ნახ. 4.

5. ზოგიერთ მიღებაზე რომელსაც უცხოელი ან საპატიო სტუმრები ესწრებიან, მასპინძელს შეუძლია სუფრის თავში ადგილი დაუთმოს განსაკუთრებით პატივსაცემ სტუმარს. ასეთ შემთხვევაში მასპინძელი სტუმარს ადგილს უთმობს თავისი მეუღლის პირდაპირ, თვითონ კი ადგილს ან უფროს-უმცროსობის წესით პირველი ქალბატონის (დიასახლისის შემდეგ) ხელმარჯვნივ იკავებს, ან, რაც უფრო მეტი თავაზიანობის მაჩვენებელია, უკანასკნელ ადგილზე ჯდება.

6. როდესაც კონსული თავისი საელჩოს მეთაურს იღებს, ეს უკანასკნელი ადგილს იკავებს სუფრის თავში — კონსულის მეუღლის პირდაპირ. მაგრამ, როდესაც მიღებას ელჩის მეუღლე ესწრება, იგი, ისევე როგორც მისი ქმარი, სუფრის თავში ჯდება. ასეთ შემთხვევაში კონსულის ცოლი პირველ ადგილს იკავებს დამსწრე ქალებს შორის. მასპინძელი იკავებს (3) ან (4) ადგილს. (იხ. ნახ. 6.).



ნახ. 5.

7. არაოფიციალურ (შერეულ) საუზმეზე ან სადილზე ფორმის მაგიდასთან მასპინძელი და დიასახლისი ადგილებს იკავებენ ერთმანეთის პირდაპირ.

8. არაოფიციალურ შერეულ მიღებებზე ფორმის მაგიდასთან მასპინძელსა და დიასახლისს შეუძლიათ დაიკავონ ადგილები ერთმანეთის გვერდით (ცერემონიალურ სადილზე, რომელზეც სახელმწიფოს მეთაური სუფრის თავში მარტო ზის, ეს წესი სავალდებულოა, ვინაიდან არავისა აქვს უფლება მის წინ იჯდეს).



ნახ. 6.

როდესაც დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაური ოფიციალურ საუზმეს ან სადილს მართავს, წარმომადგენლობის ერთ-ერთ მდივანს იწვევენ სტუმრების მიღებაში დახმარების გასაწევად.

თუ გარდერობი სტუმრების მისაღები სალონიდან დაცილებულია, რეკომენდებულია, რომ მდივანი გარდერობის შესასვლელთან იდგეს და სტუმრებს დასხდომის გეგმას აცნობდეს. როდესაც მამაკაცი ქალს მაგიდამდე აცილებს, მსახური ყოველ მამაკაცს შესვლისას აძლევს პატარა ბარათს, სადაც მითითებულია ამ მამაკაცისა და იმ ქალბატონის სახელი, რომელსაც იგი უნდა ახლდეს. ბარათი სინით უნდა მიერთვას.



ნახ. 7.

მასპინძელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ყოველი სტუმარი წარუდგინონ ქალბატონს, რომელიც მან მაგიდამდე უნდა მიაცილოს.

სასურველია მაგიდაზე, თითოეულ ადგილზე დაიდოს ბარათი სტუმრის სახელით.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ (თუ დასხდომა ამის საშუალებას იძლევა) ქმარსა და ცოლს სუფრის ერთ მხარეს მიუჩინონ ადგილები, ხოლო თუ სუფრის სხვადასხვა მხარეს მიუჩენენ — ერთმანეთის პირდაპირ მოხვდნენ.

ზოგჯერ არ ხერხდება საპატიო სტუმარს მისთვის ოქმით განკუთვნილი ადგილი მიუჩინონ. ასეთ შემთხვევაში მასპინძელმა სტუ-

განაწესი ითხოვდა, რომ რუსეთის ელჩი არ უნდა წარსდგომოდა ხელმწიფეს სხვა ელჩებთან ერთად. იყო მითითება იმის თაობაზეც, თუ როგორ უნდა წარსდგომოდა ელჩი უცხო ხელმწიფეს: მაგალითად, სულთანთან მუხლი არ უნდა მოედრიკა, შაჰს ფეხზე არ უნდა მოხვეოდა და ა. შ. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მეფის სახელის პატივისცემის, სიგელის გადაცემა-მიღების ცერემონიალს და სხვ.

დაბრუნებისას ელჩები უწყებას წარუდგენდნენ ხოლმე დაწვრილებით ანგარიშს დღიურის სახით.

რთული იყო უცხოეთის ელჩების მიღების რიტუალი თვით მოსკოვშიც. საზღარზე ელჩებს ხვდებოდნენ პრისტავები, რომლებსაც სასაზღვრო ქალაქის ვოევოდა გზავნიდა. ორივე მხარე ფხიზლად ადევნებდა თვალს, თუ ვინ მოიხდიდა თავსაბურავს ადრე, ვინ გადადგამდა ზედმეტ ნაბიჯს მიახლოებისას და სხვ.

რუსეთის მიწაზე ფეხის დადგმისთანავე უცხოეთის ელჩები იღებდნენ სურსათს. ელჩების სურსათით მომარაგება, და თანაც ასეთი დიდი რაოდენობით, რაც ევროპაში მიღებული არ იყო, მათ გაკვირვებას იწვევდა; თუმცა სურსათის ხარისხი ხშირად უსიამოვნების მიზეზიც ხდებოდა.

მოსკოვში ჩასვლამდე ელჩებს დიდი პატივით ხვდებოდნენ, ისინი განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდნენ. მოსკოვამდე რამოდენიმე ვერსტის დაშორებით ელჩი უნდა შეჩერებულიყო და დედაქალაქში შესვლის ნებართვა მიეღო. მიღების დღეს მას მეფის საჯინიბოდან ეგზავნებოდა კარეტა და ცხენები. მოსკოვთან ელჩს ხვდებოდნენ პრისტავები. იწყებოდა კამათი იმასთან დაკავშირებით, თუ პირველი ვინ გადმოვიდოდა კარეტიდან ან ჩამოხტებოდა ცხენიდან.

მოსკოვში ელჩის შესვლა დიდად პომპეზური სანახაობა იყო. მთელი გზის გაყოლებით ჩამწკრივებულნი იყვნენ იარაღასხმული და მდიდრულად მორთული მხედრები, იდგნენ ქვეითები დროშებითა და ზარბაზნებით. ყოველივე ამით ელჩს უნდა გაეთვითცნობიერებინა მოსკოველი მეფის სიმდიდრე და ძლიერება.

XVI საუკუნეში ხშირად ჩამომსვლელი ელჩებისათვის იყო სპეციალური სადგომები, სხვები კერძო სახლებში ბინადრობდნენ. ხოლო XVII საუკუნეში ილინკაზე, ე. წ. „კიტაი-გოროდში“ მოეწყო

მარს მოსვლისთანავე ბოდიში უნდა მოუხადოს და აუხსნას მიზეზი, რომლის გამოც არ შესრულდა ოქმით დადგენილი წესი.

თუ არ მოხერხდა ერთ-ერთი მეუღლისათვის ოქმით განკუთვნილი ადგილის მიჩენა, მასპინძელი უნდა შეეცადოს უზრუნველყოს რანგით დაწესებული ადგილი თუნდაც მხოლოდ ცოლისათვის, ქმარს კი ბოდიში მოუხადოს. მამაკაცები დაეთანხმებიან ასეთი შეუსაბამობის მიზეზის გონივრულ ახსნას, ქალები კი — არასოდეს.

როდესაც მიღებას მმართველი ან განდევნილი სუვერენი, სახელმწიფოს მეთაური, მემკვიდრე უფლისწული ან კარდინალი ესწრება, მეტრდოტელი მაგიდასთან მიწვევას აცნობებს მიმართვით: „თქვენო უდიდებულესობავ (უმაღლესობავ და ა. შ.), გთხოვთ სუფრასთან“.

როგორც კი მეტრდოტელი სუფრასთან მიპატიჟებას გამოაცხადებს, მასპინძელი ხელს სთავაზობს პირველ ქალბატონს და მასთან ერთად პირველი შედის სასადილოში. საპატიო სტუმარი ხელს სთავაზობს დიასახლისს და ისინი უკანასკნელნი შედიან. ეკლესიის მაღალი რანგის მსახურნი ხელს არ სთავაზობენ ქალბატონებს, რომლებსაც თან ახლავან.

თუ მიღებას ესწრება სუვერენი, სახელმწიფოს მეთაური, მემკვიდრე უფლისწული ან კარდინალი, დიასახლისი წინ მუძღვის სტუმართა ჯგუფს მაღალი რანგის სტუმართან ერთად. მასპინძელი უკანასკნელი შედის.

მეტრდოტელი დიასახლისს და საპატიო სტუმარს სასადილოს შესასვლელთან ელის, შემდეგ მიჰყვება მათ მაგიდისაკენ და გამოსწევს მათ სავარძლებს. სტუმრები მას შემდეგ იკავებენ ადგილებს, როდესაც დიასახლისი დაჯდება.

საუზმის ან სადილის დამთავრების შემდეგ დიასახლისი პირველი დგება სუფრიდან.

თუ მიღებას, განსაკუთრებით საუზმეს, ცერემონიული ხასიათი არა აქვს, მიღებული არ არის ქალებისათვის ხელის შეთავაზება. ასეთ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც მეტრდოტელი გამოაცხადებს: „გთხოვთ სუფრასთან“, დიასახლისი ქალბატონებს აცილებს სასადილოსკენ, მასპინძელი კი — მამაკაცებს. სუფრიდან დიასახლისი ყოველთვის პირველი დგება.

საუბარი სუფრაზე

მასპინძელი და მასპინძლის მეუღლე თვალყურს ადევნებენ, რომ სუფრაზე საუბარი საერთო იყოს და გამორიცხავდეს კრიტიკულ შენიშვნებს იმ ქვეყნის მიმართ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, მისი ხელისუფლებისა და იქ არმყოფი პირების მიმართ. დიპლომატებისათვის არა მარტო უწესობაა, არამედ გაუფრთხილებლობაც არის სხვადასხვა ჭორების გავრცელება. ეს შეიძლება არასწორად იქნეს გაგებული. უადგილო არ იქნება გავიხსენოთ სატოუს სიტყვები იმის შესახებ, რომ მსახურნი ყოველთვის უყურადებენ და ხშირად ნათქვამის აზრს დამახინჯებულად გადასცემენ.

ოფიციალური სიტყვები

თუ გათვალისწინებულია სიტყვების ან სადღეგრძელოების წარმოთქმა ორივე მხრიდან, მასპინძელმა საპატიო სტუმარს თავისი სიტყვის ასლი უნდა გაუგზავნოს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს პასუხის მომზადება. მნიშვნელოვან პოლიტიკურ შეხვედრაზე პასუხიც ასევე წინასწარ იგზავნება.

სადღეგრძელო და მასზე პასუხი ერთსა და იმავე ენაზე უნდა წარმოითქვას. თუ საშუალება არ არის, რომ საპატიო სტუმრის მშობლიური ენა იქნეს გამოყენებული, ირჩევენ ენას, რომელიც ორივე გამომსვლელისთვის გასაგებია.

სადღეგრძელო უნდა შეიცავდეს:

1. მისალმებას საპატიო სტუმრის მიმართ;
2. საერთო დებულებებს, რომლებიც შეხვედრის მიზეზი გახდა;
3. საყოველთაოდ მიღებულ ფორმას მთავრობის მეთაურისა და საპატიო სტუმრებისადმი გამოთქმული სურვილებისა, ქვეყნის აყვავებისა და მისი ხალხის ბედნიერების თაობაზე.

პასუხი თავის მხრივ უნდა შეიცავდეს:

1. მადლობას გაწეული მასპინძლობისათვის;
2. კმაყოფილებას შეხვედრით ორმხრივი დაინტერესების გამო და დარწმუნებას, რომ მეგობრული გრძნობები ორივე მხარისათვის საერთოა;
3. კეთილ სურვილებს სახელმწიფოს მეთაურისადმი, სტუმრებისადმი, იმ ქვეყნის აყვავებისა და ხალხის ბედნიერებისათვის, სადაც ვიზიტით იმყოფება.

თამბაქოს მოწევა

მწეველები ჩვენს დროში სადილზე სულ უფრო ნაკლებ ანგარიშს უწევენ არამწეველებს, ხშირად დიასახლისის ნებართვის გარეშე ეწევიან და არც აინტერესებთ მათი ეს ქცევა უხერხულობას გამოიწვევს თუ არა. ბევრს გააჩნია ცუდი ჩვევა მოსწიოს პირველი თავი კერძის შემდეგ. თითქმის ყოველთვის ეწევიან დესერტის წინ. ასეთი ჩვევები ცუდი ტონის მაჩვენებელია და შეიძლება არასწორი აღზრდისა და დაბალი კულტურის ნიშნად ჩაითვალოს.

თამბაქოს ბოლი გაცილებით უფრო მეტად აწუხებთ არამწეველებს, ვიდრე ამას მწეველები ფიქრობენ. უფრო მეტიც, თამბაქოს ბოლი მოქმედებს გემოს შეგრძნებაზე და სპეციალისტების აზრით, თამბაქოს სუნი შლის ღვინისა და საკვების ჰარმონიულ შეხამებას. სადილზე მოწევა დიასახლისისადმი უპატივცემულობად ითვლება, თუ გავითვალისწინებთ გაწეულ შრომას და გამომგონებლობას დახვეწილი გემოვნების კერძების დასამზადებლად. მიუხედავად ამისა ზოგიერთი დიასახლისი ისეა დახელოვნებული, რომ სტუმრებს უმასპინძლდება სიგარეტებით, რომლებიც, მისი აზრით, უხდება მირთმეულ კერძებს. ამასთან ივიწყებენ, ან გულგრილნი არიან იმის მიმართ, რომ ზოგიერთ სტუმარს თამბაქოს ბოლი ზიზღს აღუძრავს და დიდ უხერხულობას უქმნის.

ჩვენი აზრით, მოწევა შეიძლება, როდესაც შემოიტანენ ყავას და კონიაკს. ყოველ შემთხვევაში, სადილზე მოწევა შეიძლება დიასახლისისა და იქ დამსწრეთა ნებართვით.

დიდ ბრიტანეთში, განსაკუთრებით ოფიციალურ ბანკეტებზე, მოწევა ნებადართულია მხოლოდ დედოფლის სადღეგრძელოს შემდეგ. ქალების წასვლის შემდეგ მამაკაცები, ჩვეულებრივ, რჩებიან მაგიდასთან, შეუძლიათ მოსწიონ და თითო ჭიქა პორტვეინი დალიონ.

უცხო სახელმწიფოს მეთაურის მიღება საელჩოში

თუ იმ სახელმწიფოს მეთაური, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ოფიციალური ვიზიტით ეწვევა საელჩოს, მისი მიღების დეტალები წინასწარ უნდა შემუშავდეს ადგილობრივ საოქმო სამ-

სახურთან ერთად. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა საყოველთაოდ მიღებული იმ წესების დაცვა, რომლებიც ქვემოთ მოგვყავს.

მეთაურის მოსვლის დროისათვის ყველა სტუმარი სალონში იმყოფება.

ელჩი დიპლომატიური წარმომადგენლობის ყველა წევრის თანხლებით სტუმრად მოსულ სახელმწიფოს მეთაურს საელჩოს კარებთან ხვდება. როდესაც სახელმწიფოს მეთაური მანქანიდან გადმოდის, ელჩი მიდის მის შესაგებებლად, ესალმება მას და წარუდგენს თავის კოლეგებს. დგება პროცესია. შემდეგ შეიძლება სახელმწიფოს მეთაურის პირადი დროშა აღიმართოს. სალონის შესასვლელთან მას ხვდებიან და ესალმებიან ელჩის ცოლი და წარმომადგენლობის წევრთა ცოლები. უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონები რევერანსით ხვდებიან მხოლოდ სუვერენს და მემკვიდრე უფლისწულს. წარდგენის შემდეგ სახელმწიფოს მეთაური შედის სალონში. თუ იგი თავისი არჩევანით ვინმესთან კონფიდენციალურ საუბარს მოისურვებს, ამისათვის გამოყოფილი უნდა იყოს სპეციალური ოთახი. აუცილებელი არ არის, რომ ელჩი გამუდმებით მას ახლდეს, მაგრამ თვალყური უნდა ადევნოს, რომ სახელმწიფოს მეთაური მარტო არ დარჩეს. თუ სახელმწიფოს მეთაური მეუღლესთან ერთად მოვიდა, ელჩის ცოლმა მასაც ასეთივე ყურადღება უნდა დაუთმოს.

დამშვიდობების ცერემონია ისეთივეა, როგორც შეხვედრისა. ელჩის ცოლი და დიპლომატიური წარმომადგენლობის წევრთა ცოლები აცილებენ სახელმწიფოს მეთაურს და, თუ ახლავს, მის მეუღლეს ვესტიბიულამდე, დანარჩენი გამცილებლები კი — საელჩოს კარებამდე მიჰყვებიან. ელჩი ადგილზე რჩება სახელმწიფოს მეთაურის გამგზავრებამდე. სახელმწიფოს მეთაურის გამგზავრების შემდეგ მისი პირადი დროშა ძირს ეშვება.

წინათ დასავლეთის სახელმწიფოების დიდ საელჩოებში პროცესიას, რომელიც სუვერენს აცილებდა, ტრადიციულად ლივრეებში გამოწყობილი მსახურები მისდევდნენ ანთებული შანდლებით ხელში.

პუნქტუალობის მნიშვნელობა ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ შეაფასეს. ლუდოვიკო XVIII ეკუთვნის გამოთქმა „სიზუსტე მეფეთა თავაზიანობაა და ყველა კეთილი ადამიანის ვალია“. მიუხედავად იმისა, მიღება ოფიციალურია თუ არაოფიციალური, დროზე მისვლაა საჭირო.

სიზუსტე — ეს არის ყურადღების ნიშანი, რომელსაც მასპინძლისა და მისი მეუღლის მიმართ იჩენთ. ისინი ხომ სტუმრებს მოსაწვევ ბარათში აღნიშნული დროისათვის ელიან. მათთვის არასასიამოვნოა ცარიელ სალონში ლოდინი. მასპინძლები ყოველთვის სიხარულით ხვდებიან მათ, ვინც დროზე მოდის. ასევე გაუმართლებელია სტუმრობის გაგრძელება იმაზე მეტ ხანს, რაც მოსაწვევშია აღნიშნული, მაშინაც კი, როდესაც მაგიდა ჯერ კიდევ სავსეა სანოვაგით.

პუნქტუალობას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სუფრაზე მიწვევის დროს. ზოგიერთს დაგვიანებით მოსვლის ცუდი ჩვევა ახასიათებს, ასეთი საქციელი, განსაკუთრებით ოფიციალურ სადილებზე დაგვიანება, დიდი უწესობაა, რადგანაც იშვიათი კერძები შეიძლება გაფუჭდეს. ეს უპატივცემულობაც არის სხვა სტუმრების მიმართ.

არის ქვეყნები, სადაც მიღებულია, რომ სტუმრები მოსაწვევ ბარათში აღნიშნულ დროზე რამდენადმე გვიან მიდიან და მიღება მკაცრად განსაზღვრული წესით ტარდება. დიპლომატებმა უნდა დაიცვან იმ ქვეყნების საზოგადოებაში მიღებული წესები, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება და რომელთა შეცვლა მათ ამოცანაში არ შედის; მაგრამ ეს წესები არ უნდა შემოიღონ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი მიუღებელია.

ყოველ შემთხვევაში, მასპინძელი არ უნდა ელოდოს სტუმარს აღნიშნულ დროზე ნახევარი საათით მეტ ხანს.

რადგან ბანკეტზე, წვეულებასა და სხვა მიღებებზე ქცევის წესებს ვეხებით, ალბათ ურიგო არ იქნება იმის შეხსენებაც, თუ რას ნიშნავს ადამიანის კულტურა, კულტურული ადამიანი.

სიტყვა „კულტურა"[1] ლათინურიდან იღებს სათავეს. თავდაპირველად მას სულ სხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ, თუმცა ეს მნიშვნელობა სიტყვას დღემდე შემორჩა — „სოფლის მეურნეობის კულტურა", „მცენარეული კულტურა" და ა. შ. გარდა აღნიშნულისა, ხშირად ხმარობენ აგრეთვე „სულიერი კულტურა", „მეტყველების კულტურა", „კულტურული ადამიანი" და სხვა.

ვინ არის კულტურული ადამიანი? ის, ვინც განვითარებულია? მაგრამ განვითარება ხომ პირობითი ცნებაა, ერთი ადამიანი მეორესთან შედარებით შეიძლება განვითარებული იყოს, მაგრამ სხვასთან შეიძლება განუვითარებელი ჩანდეს.

საზოგადოების სხვადასხვა ფენებს კულტურაც განსხვავებული აქვთ. არის კლასობრივი, ისტორიული, ზოგადსაკაცობრიო კულტურა. მაგრამ ამჯერად ინდივიდის კულტურას გამოვყოფთ.

ადამიანის კულტურა სხეულისა და სულის ერთიანობიდან იწყება. ადამიანის სხეული ფიზიკურად ხელშესახებია, იგი თვალით დაინახება და შეიგრძნობა. ადამიანის სული კი მხოლოდ გონების თვალით აღიქმება. ფიზიკურ და სულიერ კულტურას შესაბამისად გარეგანი და შინაგანი კულტურა ეწოდება. ადამიანისათვის ორივეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ შინაგანი კულტურა უფრო არსებითი და მნიშვნელოვანია; მისი დაუფლება საკმაოდ რთული საქმეა. არც გარეგანი კულტურის დაუფლებაა იოლი საქმე, მაგრამ შინაგანთან შედარებით მისი ათვისება უფრო იოლია. გარეგანი კულტურის ძირითადი ნიშნებია: სხეულის, ჩაცმის, მოძრაობის, ქცევის მანერებისა და სხვათა კულტურა. ადამიანის სხეულის ნორმალური არსებობისა და ცხოველმოქმედების პირობაა მასზე ზრუნვა, მოვლა-პატრონობა. გარეგანი კულტურის ნიშნებად უნდა გამოიყოს სისუფთავე, ჰიგიენურობა, ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. სისუფთავე ჯანმრთელობის ერთ-ერთი პირობაა.

ყოვლად შეუძლებელია კულტურული ეწოდოს ადამიანს, რო-

---

[1] cultura — მოვლა, დამუშავება; ფართო გაგებით ყველაფერი, რაც ადამიანთა ფიზიკური და გონებრივი შრომის შედეგად შექმნა საზოგადოებრიობამ.

მელიც ფეთხუმი, უსუფთაო, ბინძურია; არ იწმენდს კბილებს, ყურებს, იშვიათად იბანს ხელებს, ფეხებს, ტანს; არ იცვლის თეთრეულს, არ წმენდს ტანსაცმელს, არ ასუფთავებს ბინას და ა. შ. ბინძურ ადამიანს თავმოყვარეობის და ღირსების გრძნობაც არ გააჩნია. პიროვნების უსუფთაობა არა მარტო მისთვისაა საზიანო, არამედ საზოგადოებისათვისაც; იგი ხელს უწყობს დაავადებათა გავრცელებას.

სისუფთავე ნორმალური ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. სხეულის სისუფთავე სულის სისუფთავის საწინდარია. სისუფთავე აკეთილშობილებს ადამიანს. სუფთა სხეული თითქოს გამჭვირვალეა, მასში ადამიანურობა მოჩანს. თუ კაცს თავი უყვარს, უნდა მოუაროს კიდეც. მაგრამ, ხშირად ზოგიერთი უფრო მეტად კუჭისათვის ზრუნავს, ვიდრე სისუფთავისათვის; შიმშილი უფრო აწუხებს, ვიდრე ჭუჭყი. სისუფთავისათვის, სამწუხაროდ, ყველა არ იწუხებს თავს; სიზარმაცე უფრო ძლიერია, ვიდრე სისუფთავის სურვილი. არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც მხოლოდ სხვის საჩვენებლად იბანენ ხელ-პირს, სხეულის მხოლოდ იმ ნაწილს ისუფთავებენ, რომელიც ჩანს. ზოგი პერანგებსა და კაბებს უფრო ხშირად იცვლის, ვიდრე საცვლებს, თეთრეულს. ჭუჭყი რომ სხვასაც აწუხებს, ამიტომაც ითვლება უსუფთაობა უკულტურობად. ზოგიერთები მოჩვენებითი სისუფთავის მიზნით ცდილობენ ჭუჭყი დაფარონ პუდრით, ხოლო ჭუჭყის სუნი სუნამოთი ჩაახშონ. სისუფთავისათვის ზრუნვას დროც სჭირდება და პირობებიც, მაგრამ სისუფთავისათვის დახარჯული დრო დაკარგული არ არის. სისუფთავე სიამოვნების წყაროა, მაშასადამე თვითმიზანი და უაზრობაა წუწუნი მისთვის დახარჯული დროის გამო. არავითარი განსაკუთრებული პირობები არ არის აუცილებელი იმისათვის, რომ ადამიანი სუფთა იყოს. სისუფთავის მთავარი პირობა მონდომება, სიზარმაცის დაძლევაა.

ადამიანში ბავშვობიდანვე უნდა აღიზარდოს ზიზღი სიბინძურისადმი და სიყვარული სისუფთავისადმი.

როგორც აღვნიშნეთ, სისუფთავე სიამოვნებას გვრის ადამიანს, უსუფთაობა კი პირიქით, უსიამოვნებას. ამ სიამოვნება-უსიამოვნების გრძნობას მხოლოდ ის კი არ განიცდის, ვინც სუფთა ან ბინძურია, არამედ ისიც, ვინც მათთან ურთიერთობაშია. საკუთარი

სისუფთავით მარტო ერთი ადამიანი ტკბება, მაგრამ უსუფთაობით სხვაც შეწუხდება.

უკულტუროდ უნდა მივიჩნიოთ ადამიანი, ვინც არ ზრუნავს საკუთარი ჯანმრთელობისათვის. ადამიანი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს დაავადებას და დროულად არ უვლის თავს ზარმაცი, უნებისყოფო და უგუნური უფროა, ვიდრე უკულტურო, მაგრამ სიზარმაცე, უნებისყოფობა და უგუნურება ხომ უკულტურობაა!

შეიძლება ჯანმრთელობისათვის ზრუნვამ არავითარი შედეგი არ გამოიღოს, მაგრამ ზრუნვის ფაქტი კულტურულობის ნიშანია. ჯანმრთელობისათვის ზრუნვის ერთ-ერთი საშუალებაა ფიზკულტურა.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის სიკოხტავეს. ამ ცნებაში იგულისხმება წესიერი ჩაცმა-დახურვა. მოდისა და სტილისადმი გარკვეული დამოკიდებულება.

როგორია სიკოხტავის კრიტერიუმი? ადამიანს ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანთან, გარემომცველი გარემო მისი არსებობის პირობაა. ადამიანის ხასიათი, მისწრაფება და ინტერესები სწორედ იმ გარემოთი განისაზღვრება, რომელშიც მას უხდება ყოფნა. ადამიანის ურთიერთობა მის გარემომცველ სისტემასთან გარკვეული დროის შემდეგ ჩვევაში გადადის. ადამიანი ეჩვევა სხვა ადამიანებს, ბუნებას, საგნებს, მოვლენებს, შეჩვევის ფაქტორი ათავისუფლებს ნერვულ სისტემას ზედმეტი დაძაბულობისაგან. აქედან წარმოიშობა ადამიანის ბუნებასა და ხასიათში კონსერვატულობისადმი მიდრეკილება. ადამიანი ეჩვევა რა გარემომცველ სისტემას, მშვიდდება მისი ნერვული სისტემა, იგი თავისუფალი ხდება. მაგრამ ასეთი თავისუფლება თუ გარკვეულ დრომდე სიამოვნების წყაროდ აღიქმება, დროთა განმავლობაში დგება მომენტი, როცა მას უჩლუნგდება გარემომცველი სისტემისადმი ემოციური დამოკიდებულების უნარი, ბეზრდება ძველი, შეჩვეული. მობეზრების ფაქტორი არ არის მხოლოდ ნეგატიური მოვლენა. მის საფუძველზე ადამიანში წარმოიშობა გარემომცველი სისტემის განახლებისადმი მიდრეკილება. ახლის გრძნობა ისეთივე შინაგანი ორგანული სპეციფიკაცია, როგორც ძველისადმი შეჩვევა. ახალში იგი უფრო მეტ სიამოვნებას ხედავს, ვიდრე ძველში. ახლის გრძნობა ადამიანის ბუნების და ხასიათის ისეთი უმნიშვნელოვანესი პირობაა, რაც საფუძვლად ედება კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის დაუსრულებელ, პროგრესულ განვითარებას. კონსერვატულობა და ნო-

ვატორობა ორგანულად არის ჩანერგილი ადამიანის ფსიქიკაში და იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი ჭარბობს ან იმარჯვებს, განისაზღვრება მათი თანაფარდობის საზომი. უკიდურესობამდე მისული როგორც ერთი, ისე მეორე — უკულტურობაა.

საჭიროა დავიცვათ ის, რაც ახალს შეესაბამება, მაგრამ ძველის ხელაღებით უარყოფაც მიუღებელია. საჭიროა ისეთი სიახლის დაცვა, რომელიც ძველის დადებითი მხარეების განვითარების ტენდენციებიდან გამომდინარეობს. კარგი ძველი და უკეთესი ახალი — ასეთია იმ ზომიერების მოთხოვნა, რაც კულტურულობის კრიტერიუმად ჩაითვლება. უკულტურობაა როგორც ცუდი ძველის დაცვა, ისე უარესი ახლის შემოღება. უკულტურობაა როგორც მოდისაგან ჩამორჩენა, ისე გასწრება.

კარგი ჩაცმა-დახურვა გემოვნების სიფაქიზესა და კულტურულობაზე მეტყველებს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ რა არის კარგი და რა — გადაჭარბებული.

ვინც სიკოხტავისათვის არ ზრუნავს, ის დიდ შეცდომას უშვებს. სიკოხტავისათვის ზრუნვა ადამიანის კულტურულობის ნიშანია. თუ ადამიანი არ ზრუნავს სიკოხტავისათვის, ხელჩაქნეული და მოშვებულია, — მალე დაკარგავს ბუნებრივ სილამაზეს, უინტერესო და მომბეზრებელი გახდება. ხშირ შემთხვევაში ცოლ-ქმარს შორის უსიამოვნებას ესთეტიკურ-ემოციური სიცარიელე იწვევს. ორივე მხარეს ეხება ეს, მაგრამ, განსაკუთრებით, ქალს. ქალი უნდა იყოს სილამაზის, სიცოცხლისა და მშვენიერების განსახიერება.

სინაზე და სიფაქიზე, რაც ქალს ახასიათებს, ყველაზე მეტად სწორედ უსუფთაობასთან არის შეუთავსებელი. სიტყვა „ქალი“ სისუფთავის, სიფაქიზის, სიწმინდის სინონიმი უნდა იყოს.

სიკოხტავე, მშვენიერება ფართო ცნებაა და მხოლოდ ჩაცმა-დახურვით არ შემოიფარგლება; იგი მოიცავს დისტანციის, ტაქტის, კეთილშობილური მანერების, თავაზიანობისა და სხვა ცნებებს. წესიერი ჩაცმა-დახურვისა და სიკოხტავის მნიშვნელობა არა მარტო ესთეტიკურ, არამედ ეთიკურ ღირებულებაშიც გამოიხატება. წესიერი ჩაცმა-დახურვა, კულტურული გარეგნობა ერთგვარ კალაპოტში აყენებს ადამიანის მოქმედებასა და ქცევას, მის მანერებს. იგი აიძულებს ადამიანს მანერებიც ისეთივე კულტურული ჰქონდეს, როგორც ტანსაცმელი. ცუდი, უკულტურო გარეგნობა ერთგვარად ათავისუფლებს და ზოგჯერ ხელსაც უწყობს იმას, რომ ადამიანს

უკონტროლოდ, უწესოდ ეჭიროს თავი საზოგადოებაში. ჯანსაღი ესთეტიკური გემოვნება და გარეგანი კულტურა ბევრად შეუწყობს ხელს თავაზიანობის, ტაქტის, კეთილშობილური მანერებისა და საერთოდ ზრდილობიანობის განმტკიცებასა და განვითარებას.

ზრდილობიანობა ადამიანის გარეგანი კულტურის ყველაზე არსებითი ნიშანია. თუ სისუფთავე და სიკოხტავე ადამიანის კულტურულობის ნიშნებად არის მიჩნეული, მითუმეტეს ნიშანდობლივია ზრდილობიანობა. იგი ადამიანის გარეგანი კულტურის ისეთი ნიშანია, რომელიც სხვისთვის ზრუნვის, მისი უფლებებისა და ინტერესების პატივისცემის გარკვეულ ელემენტებს შეიცავს. ზრდილობა ზნეობის მინიმუმის გამოხატულებაა. ეს ზნეობის ისეთი მინიმუმია, რომელიც მხოლოდ გარეგნულ, თვალით დასანახ მოქმედებებში მჟღავნდება.

შეიძლება ადამიანი ზრდილობიანი იყოს და მას ზნეობა არ გააჩნდეს, ამიტომ ზრდილობა ადამიანის გარეგანი კულტურის ნიშნად მიიჩნევა. ზრდილობიანობის ცნებაში იგულისხმება თავაზიანობა, ტაქტი და კეთილშობილური მანერები. მათ შორის რაიმე პრინციპული სხვაობა არ არსებობს. ის, ვინც თავაზიანია — ტაქტსაც ფლობს და, მაშასადამე მას კეთილშობილური ანუ კარგი მანერები ახასიათებს. თავაზიანობის ცნება მოქმედების შინაარსს გამოხატავს, ტაქტი — მოქმედების ფორმას, მანერა შინაარსისა და ფორმის ერთიანობაა; საერთო წესრიგის დაცვა თავაზიანობის პირველი ნიშანია.

თავაზიანი ადამიანის თვისებებიდან თვალში საცემია თავმდაბლობა. თავაზიანი ადამიანის სხვა თვისებებიდან ყურადღებას იპყრობს მოკრძალება და მორიდებულობა. ეს ფსიქოლოგიურად სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი კეთილშობილური შიშის გრძნობა რაიმე კუთვნილისა და კანონიერისადმი. ამ გრძნობას მორცხვობა ეწოდება. რამდენადაც პატარა ბავშვის მორცხვობა სათნოებაა, იმდენადვე მანკიერებაა ხნიერი, ასაკოვანი ხალხის მორცხვობა. ასეთებზე ამბობენ: გლახაკია, საწყალია, უენოა. სიგლახაკე არ არის სათნოება. მორცხვი, მორიდებული ადამიანი თმობს თავის უფლებებს, ინტერესებს, ზიანს აყენებს საკუთარ თავს; თავხედი კი ლახავს სხვის უფლებებს, ინტერესებს, ზიანს აყენებს სხვებს. თავხედობა თუკი ვინმეს გაუდის, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაც ითმენს დამცირებას.

საზოგადოებაში ყოფნის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ უნებური პოზიორობა, მეტიჩრობა არ გამოვიჩინოთ. არავის არ უნდა დაავიწყდეს რომ, რაც უნდა ჭკვიანი, გამოცდილი, ფრთხილი და დაკვირვებული იყოს — ხალხი მაინც მასზე უფრო ჭკვიანი, გამოცდილი და მკაცრი შემფასებელია. საზოგადოება ცალკეულ ინდივიდთა უბრალო მექანიკური ჯამი როდია!

ცუდია, როცა ზოგიერთს კარგი და მოსაწონი ჰგონია, თუ იგი ინდაურივით გაიფხორება და ამპარტავნული, ქედმაღლური მანერებით მოიწონებს თავს. ასეთი ადამიანები მხოლოდ საკუთარ ჭკუამოკლეობას და ყალბ თავმოყვარეობას ამჟღავნებენ. ნორმალური ჭკუისა და ზომიერი თავმოყვარეობის ადამიანი ყოველთვის გულწრფელი და ბუნებრივია. საკუთარ თავთან არ შეიძლება იყო პოზიორი. ასეთივე გულწრფელი და თავმდაბალი უნდა იყო საზოგადოებაშიც.

ადამიანის გამომეტყველებას მთელი მისი ცხოვრება, გამოცდილება, განვლილი ძნელბედობა თუ სიამტკბილობა განაპირობებს. ეთიკურ ნორმას ვერ დააწესებთ, თუ რამდენად მოღუშული ან მომღიმარე უნდა იყოს იგი. მაგრამ ყოველმა ადამიანმა გარკვეული კონტროლი უნდა გაუწიოს საკუთარ თავს.

ადამიანის სახის ნაკვთებისა და მთელი სხეულის მოძრაობის მანერები მის არა მარტო სულიერ წარსულს, არამედ იმწუთიერ სულიერ განწყობილებასაც გამოხატავს.

როგორ შეიძლება განახორციელოს თვითკონტროლი და თავმდაბლობა გაჯავრებულმა კაცმა? თუ მას ნებისყოფა ეყოფა, უნდა აღკვეთოს, ან ყოველ შემთხვევაში შეამციროს სახის ბუნებრივი რეაქცია და გადაიტანოს იგი მხოლოდ შიდა ცნობიერებაში. საზოგადოებაში შეძლებისდაგვარად ყოველთვის ნორმალურად უნდა ეჭიროს თავი. ამას მოითხოვს ტაქტი, თავაზიანობა. აფექტები და მომენტური განწყობილებები მხოლოდ ნაწილობრივ ასუსტებენ გონებისა და ნებისყოფის არსებული დონის გამოხატვის ხარისხს, მაგრამ ისინი არარსებულ დონეს არსებულად ვერ მოგვაჩვენებენ. პირიქით, უგუნური და უნებისყოფო უფრო უარეს, სულელურ მდგომარეობაში ჩაიყენებს თავს, როცა არაბუნებრივ ჟესტებსა და მიმიკას მიმართავს თავისი გონებრივი სისუსტისა და უნებისყოფობის დასაფარავად. რაც უფრო მაღალია ადამიანის შეგნება, ინტელექტი, კულტურა და ნებისყოფა, მით უფრო ნაკლებია მასში არა-

გულწრფელობის გამოხატულება, რაც უფრო დიდია ადამიანში არაგულწრფელობისადმი მიდრეკილება და მისი გამოხატულება, მით უფრო დაბალია მისი შეგნება, კულტურა და ნებისყოფა. კეთილშობილური მანერების ცნებაში ჟესტისა და მიმიკის კულტურაც იგულისხმება. უწესო, ქედმაღლური მანჭვა-გრეხა, ხელების ზედმეტი მოძრაობა, გაუთავებელი ლაპარაკი, სხვისთვის სიტყვის ჩამორთმევა, უყურადღებობა, ადამიანთან საუბრისას განზე გახედვა, საათზე დახედვა — ყოველივე ეს ცუდი ტონის მიმანიშნებელია.

ტაქტი ზომიერების გრძნობაა, ტაქტი ნიშნავს „არაფერს ზედმეტს", — არც დაყოვნებას, არც აჩქარებას, არც დუმილს, არც ზედმეტ ლაპარაკს და ა. შ.

ტაქტის საიდუმლოება მოქმედების გონივრულობისა და გულწრფელობის შეთავსებაშია. ტაქტიანი ადამიანი არა მარტო ცდილობს თავი დაიჭიროს საზოგადოებაში ან ცალკეულ პიროვნებასთან, არამედ თავისუფლად და ბუნებრივად ახერხებს ასეთ თავდაჭერას.

ვისაც ტაქტის გრძნობა აქვს განვითარებული, იგი ზუსტად არჩევს შესაფერის დისტანციას ადამიანებთან ურთიერთობაში. ადამიანებთან დამოკიდებულების თვისობრივი გამოხატვაა — ნაცნობობა, ამხანაგობა, მეგობრობა, ნათესაობა. მათდამი სიმპათია თუ ანტიპათია განაპირობებს ურთიერთობის გარკვეულ მანძილს, დისტანციას, რაც უფრო ღრმაა კავშირი, მით უფრო ნაკლებია დისტანცია. მაგრამ ვინც დისტანციის ხელოვნური შემცირების გზით ცდილობს კავშირის გაღრმავებას, ის შეცდომას უშვებს. დაახლოებისაკენ დისტანციის არაბუნებრივი შეცვლა უტაქტობაა, რაც ზოგჯერ საპირისპირო შედეგს იწვევს. ზედმეტი გაშინაურება, შენობით ლაპარაკი, მხარზე ხელის დარტყმა — თავის მობეზრებაა. გარკვეული დისტანცია საჭიროა ყველაზე ახლობელ და საყვარელ ადამიანებთანაც კი. სიყვარული აახლოებს ქალ-ვაჟს, მაგრამ ამ დაახლოებასაც თავისი ზღვარი აქვს.

ზრდილობა აღზრდის ფუნქციაა. იგი ადამიანში გამომუშავდება თანდათანობით, ბავშვობიდან. ზრდილობის გამომუშავებაზე დიდ გავლენას ახდენს გარემო, წრე. მართალია ბავშვს ასწავლიან ზრდილობის წესებს, ჰამის, ლაპარაკის კულტურას, მაგრამ მხოლოდ სწავლით ზრდილობიანობა ვერ მიიღწევა. ერთია ახსოვდეთ ზრდილობის წესები და სხვაა ჰქონდეთ მათი განხორციელების შინაგანი მიდრეკილება.

ზრდილობის ჩვევების გამომუშავებას სჭირდება ზრდილობიანობის მაგალითი, ზრდილობიან ადამიანთა წრე, კულტურული გარემო. შეიძლება ასჯერ უთხრა ბავშვს რომ, მაგალითად, ხალხში დამთქნარება, დახველება პირზე ხელის აუფარებლად, სხეულის მოფხანა, ცხვირის მოწმენდა უცხვირსახოცოდ, ცხვირში თითის შეყოფა უკულტურობაა, მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც შეგისწროს ასეთ ფაქტზე, რომ მთელი შრომა წყალში ჩაიყრება.

გარეგანი კულტურის ნიშნებიდან განსაკუთრებული შრომა სჭირდება მეტყველების კულტურის დაუფლებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანი კარგად ლაპარაკობს, მაგრამ ცუდად აზროვნებს. მეტყველების კულტურაში იგულისხმება არა იმდენად ორატორული ხელოვნება, რამდენადაც გამართული, ლიტერატურული ენისა და მკაფიო, დინჯი მეტყველების უნარის დაუფლება. მეტყველების კულტურა დიდ ეფექტს ახდენს ადამიანზე. ნათლად, გასაგებად გამოთქმული აზრი, გამოთქმის საშუალებათა ლაკონურობა, ზომიერი ტონი და ტემპი, შეზავებული ტაქტის გრძნობით და კეთილშობილური მანერებით — ის ელემენტებია, რომლისაგან შედგება მეტყველების კულტურა.

ადამიანის შინაგანი კულტურა — სულიერი კულტურაა. მისი ნიშნებია ინტელექტუალური განვითარება, ესთეტიკური აღზრდა და ზნეობრივი სისპეტაკე.

საშუალო განსწავლულობა და ნორმალური აზროვნების უნარი აკმაყოფილებს კულტურულობის ცნების მოთხოვნებს, მაგრამ რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს ადამიანს და რაც უფრო გონიერია, მით უფრო კულტურულია. კულტურისათვის აუცილებელი ცოდნის მინიმუმი შეიძლება შემოიფარგლოს საშუალო განათლებით ცოდნის ყველა დარგში და მიმდინარე ცხოვრების საქმის კურსში ყოფნით.

არსებობს „ზოგადი განათლების“ ცნება, რომელშიც იგულისხმება ცოდნის ის მარაგი, რაც ერთნაირად აუცილებელია ყოველი დარგის მუშაკისათვის. ასეთ ზოგად განათლებაში პირველ რიგში იგულისხმება გარკვეული მსოფლმხედველობა, ფილოსოფიის ძირითადი საკითხების, საერთაშორისო ურთიერთობათა და ქვეყნის საშინაო პოლიტიკური ცხოვრების ცოდნა და სხვა, რასაც პერიოდული პრესა იძლევა. რაც არ უნდა კულტურული, ნაკითხი და განსწავლული იყოს ადამიანი, თუ არ კითხულობს ჟურნალ-გაზეთებს და არ არის მიმდინარე ცხოვრების საქმის კურსში, იგი კულ-

ტურულად არ ჩაითვლება. კულტურულობისათვის ენის ცოდნაც აუცილებელია. რაც უფრო მეტი ენა იცის კაცმა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს იყოს განათლებული.

კულტურულ ადამიანს უნდა გააჩნდეს პროფესიული განათლება ცოდნის ან საქმიანობის რომელიმე დარგში.

ცოდნა მთლიანად შეძენილია, ნიჭი კი სხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ვინც ნიჭიერია, ის ადვილად შეიძენს ცოდნას, მაგრამ ვინც მცოდნეა, შეიძლება არ იყოს ნიჭიერი. თუ ნიჭი გაქვს, ცოდნის შეძენა ადვილია. უნიჭობა შეიძლება თანდაყოლილი ნაკლი იყოს, ხოლო უვიცობა უნებისყოფობის, სიზარმაცის, უქნარობის შედეგი. განათლებულობა უფრო სანაქებოა, ვიდრე ნიჭიერება. ადამიანის კულტურულობა განათლების დონეზე უფრო მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე აზროვნების სიღრმესა და ნიჭზე. ყველა ვინც ნიჭიერია, კულტურული არ არის და ყველა უნიჭო უკულტურო როდია. გაუნათლებელი და უვიცი ადამიანი არ შეიძლება იყოს კულტურული. ნორმალურად აზროვნებს ყველა, ვისაც არ აქვს პათოლოგიური აზროვნება, მაგრამ ნორმალური განათლება არ აქვს იმას, ვინც არაფერი იცის.

ცოდნა-განათლება მიზანია, ხოლო ჭკუა-გონება — საშუალება. ინტელექტუალური განვითარების ცნება აუცილებლად გულისხმობს აზროვნების შინაარსის ორივე ამ ელემენტს.

ინტელექტუალური განვითარების გარეშე შეუძლებელია ლაპარაკი ადამიანის შინაგან კულტურაზე; ამასთან, მასზე ბევრად არის დამოკიდებული შინაგანი კულტურის სხვა ნიშნები, ესთეტიკური აღზრდა და ზნეობრივი სისპეტაკე.

რაც არ უნდა განათლებული და ფაქიზი მხატვრული გემოვნების მქონე იყოს ადამიანი, ის მაინც არ ჩაითვლება კულტურულად, თუ მას სინდისი და პატიოსნება არ გააჩნია. ზნეობრივი სისპეტაკე ადამიანის შინაგანი კულტურის ყველაზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

ადამიანის კულტურულობის შეფასებისათვის მარტო ის არ კმარა სუფთად აცვია და მოგესალმება თუ არა; მთავარია რა იმალება მისი სუფთა ტანსაცმლის ქვეშ, როგორ იყენებს პიროვნება თავის განათლებასა და ნიჭს. ხომ შეიძლება, რომ განათლებული და ნიჭიერი ადამიანი ვერაგი და ბოროტი იყოს, მუდამ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდეს და სხვის ინტერესებს აბუჩად იგდებდეს?!

შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება ადამიანის შინაგანი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

კულტურულ ადამიანს ყველაფერი სუფთა და სპეტაკი უნდა ჰქონდეს — სხეულით დაწყებული და სინდისით დამთავრებული. ეს კი დიდი შრომისა და მონდომების შედეგად მიიღწევა.

ადამიანის სტილი უპირველეს ყოვლისა თავს იჩენს მოქმედებაში. ადამიანის მოქმედება თანმიმდევრულ ქცევათა ნაკრებია, რომელიც შეიცავს პიროვნების დამოკიდებულებას ადამიანებთან და საკუთარ თავთან. ქცევა არის მოღვაწეობა, ჩაცმის, ლაპარაკის, სიარულის მანერა, საკუთარი გრძნობის გამოხატვის მანერა. ქცევა არის არა მარტო მორალურ-ეთიკური შეხედულებების შერწყმა, არამედ ცხოვრების მატერიალურ-ეკონომიკური პირობების, პოლიტიკური შეხედულებების, პროფესიული განსაკუთრებულობის შერწყმაც. ზოგიერთები, რომლებიც ოპოზიციურად არიან განწყობილნი საზოგადოებაში გაბატონებული ურთიერთობების მიმართ, ხაზს უსვამენ თავიანთ ოპოზიციონერობას გარეგნული იერითაც, ქცევის სპეციფიკური ფორმებით, მოპყრობით, სიტყვით, თმის სიგრძით, წვერის ტარებით და სხვა, ე. ი. თავისი სტილით უპირისპირდებიან ტრადიციულ, უმრავლესობის მიერ შეთვისებულ ქცევის სტილს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგში დეპუტატები „მწვანეთა პარტიიდან“ სესიებს ყელსახვევის გარეშე, ჯინსებსა და ჯემპრებში ჩაცმულნი ესწრებოდნენ, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება იქ დამკვიდრებულ ტრადიციებს. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია პარლამენტის ეტიკეტის დარღვევად მიიჩნევს პარლამენტში უყელსახვევოდ გამოცხადებას. ეტიკეტის დარღვევა თავისებური პროტესტია. „მწვანეები“ პარლამენტში მიღებული მიმართვის წესის — „ქალბატონებო და ბატონებო“ წინააღმდეგაც გამოდიოდნენ, შეცვალეს რა ეს გამოთქმა „მოქალაქენო და კოლეგებოთი“.

1558 წელს იტალიაში გამოვიდა წიგნი „კარგი მანერების შესახებ“, რომლის ავტორი იყო ჯოვანი დე ლა კაზა. წიგნმა დიდი მოწონება პოვა სამეფო კარზე. ის შეიცავდა რეკომენდაციებს ჩაცმის კულტურასთან დაკავშირებით, აგრეთვე იმას, თუ როგორ უნდა ელაპარაკა ადამიანს, როგორ მოქცეულიყო სუფრასთან ან საზოგადოებაში. მასში აღნიშნული იყო, თუ როგორ უნდა ჩაეცვა პიროვნებას თავის ასაკთან და საზოგადოებაში მდგომარეობასთან

შეფარდებით. „თუკი ამას არ გაითვალისწინებს პიროვნება, მან შეიძლება საზოგადოების არასასიამოვნო მზერა მიიპყროს. თავი შეიკავეთ ისეთი ფრაზების წარმოთქმისაგან, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს ადამიანის სმენას, თავი აარიდეთ კბილების ხრჭიალს ან პირის წკლაპუნს. მაგიდასთან ჯდომის დროს არ გაიწმინდოთ ჭუჭყიანი თითები ხელსახოცით, რათა არ გაუფუჭოთ მადა სხვებს. არც პურით შეიძლება თითების გაწმენდა. ადამიანი არ უნდა ბაქიბუქობდეს საკუთარი წარმოშობით, სიმდიდრით, განსწავლულობით, საპატიო წოდებით და ჭკუით. თქვენ არ უნდა ილაპარაკოთ ძალიან ნელა, წინადადებების გაწელვით, ან ძალიან სწრაფად, სიტყვების ყლაპვით. უნდა ილაპარაკოთ მშვიდად, ისე, რომ მსმენელმა გაიგოს. ადამიანმა ყველაფერი ლამაზად უნდა გააკეთოს და იყოს თავაზიანი“ — აღნიშნულია წიგნში. წიგნის მიზანი იყო, რათა ადამიანს კარგი მანერები ჰქონოდა, რაც იმისათვის იყო საჭირო, რომ პიროვნება მოწონებოდა ხალხს, რომ მას არ შეებღალა საზოგადოების ესთეტიკური გრძნობები, არ გამოეწვია მათი გაღიზიანება ან დაცინვა.

აღორძინების ეპოქიდან დაწყებული, კარგი მანერების საკითხები და ადამიანის ქცევის ნორმები ფილოსოფოსების, განმანათლებლების, პედაგოგების ყურადღების საგანი იყო. ჟან ჟაკ რუსოს ფილოსოფიურ-პედაგოგიურ ნაშრომებში ხაზგასმულია ადამიანის გარეგნული ქცევის ნორმები, აღნიშნულია, რომ ისეთი სტილი და მანერები უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც შეეფერება ადამიანის ბუნებას.

კარგი მანერები, ქცევის სტილი, დელიკატურობა, ტაქტიანობა თავისთავად არ ყალიბდება, აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სოციალურ მიკროგარემოს, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და ბავშვობაში მიღებულ აღზრდას. თუ ადამიანი არ ჩაუფიქრდება თავისი მოქმედების ფორმებს, მაშინ ვერც ერთი კოდექსი, ვერც ერთი დარიგება ვერ შეარხევს მისი სულის სიმებს და გავლენას ვერ მოახდენს მისი მოქმედების ეფექტიან შეცვლაზე.

კეთილგანწყობის საყოველთაოდ მიღებული გამოხატულებაა მისალმება. აქ მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ ესალმება პირველი. სამსახურებრივი საქმიანობისას ქალი მამაკაცის თანაბარი უფლებებით სარგებლობს, შეუძლია არ დაუცადოს მამაკაცის მისალმებას და პირველი მიესალმოს. ეტიკეტის მიხედვით ქალი პირვე-

ლი უწვდის ხელს მამაკაცს, წლოვანებით უფროსი — უმცროსს, მაღალი თანამდებობის პირი — დაბალს. ოთახში სხვებზე გვიან შესული ყველას პირველი ესალმება. ხელმძღვანელს შეუძლია თვითონ მიესალმოს პირველი და არ დაელოდოს თანამშრომელთა მისალმებას.

კარგად აღზრდილი ყველა თანამშრომელი ესალმება ერთმანეთს სამსახურში. თავაზიანობის ერთ-ერთ ნიშნად ითვლება თანამშრომელთა სახელების ცოდნა. ოფიციალურ ატმოსფეროში ნაცნობებიც კი ერთმანეთს თქვენობით მიმართავენ. შრომით კოლექტივში ურთიერთობა უნდა იყოს საქმიანი, პირადი ემოციებისა და განცდებისაგან თავისუფალი, გამორიცხული უნდა იყოს ურთიერთ შეურაცხყოფა, ექსცესები, ჭორები. კარგი ტონის მაჩვენებელია როდესაც ოჯახურ უსიამოვნებას ადამიანი სამსახურის შესასვლელთან ტოვებს. მიუღებელია როდესაც ოჯახური ატმოსფერო მოქმედებს სამსახურზე. თავშეუკავებლობა, ისტერიულობა, უხეშობა ხელს უშლის საქმიანი კონტაქტების დამყარებას, შლის შრომისათვის აუცილებელ მშვიდ ატმოსფეროს. სამსახურებრივი თავაზიანობის უმთავრესი ასპექტია დისციპლინა. ეს არა მარტო ადმინისტრაციული მოთხოვნილებაა, არამედ კეთილშობილურიც, ვინაიდან ადამიანებისადმი და მათი ინტერესებისადმი მოწიწებით დამოკიდებულებას გამოხატავს. დისციპლინიანობა შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებაა, პროფესიული კულტურის დამახასიათებელი ნიშანია. ის დაფუძნებულია არჩეული პროფესიისადმი სიყვარულზე.

სამსახურებრივი ეტიკეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ტელეფონით სარგებლობა. ტელეფონით სარგებლობის არცოდნა, მისი ცუდად გამოყენება სამუშაო დისციპლინის დარღვევაა. სამწუხაროდ, ჩვენში ფართოდაა გავრცელებული შემთხვევები, როდესაც სამსახურებრივი ტელეფონით არკვევენ პირად საქმეებს, რაც თავის მხრივ, სამუშაო დროს ართმევს მუშაკს, იპყრობს სხვა მუშაკთა ყურადღებას, ქმნის არასამუშაო ატმოსფეროს. ტელეფონით საუბარი უნდა იყოს ხანმოკლე და საქმიანი.

თავაზიანობისა და ეთიკის წესები მოითხოვს მოსმენის კულტურას, მოსაუბრის ბოლომდე მოსმენას. თუკი ობიექტური მიზეზით ხდება საუბრის შეწყვეტა, ამ შემთხვევაში ბოდიშის მოხდაა საჭირო. თუ მოსაუბრე ბევრს ლაპარაკობს და თანაც ეს საქმეს არ

ეხება, შეიძლება მისი ყურადღების მიპყრობა კონკრეტულ თემაზე. კეთილი ხუმრობა და იუმორი ყოველთვის დადებითად ფასდება. იუმორი ადამიანის სულიერი ფასეულობის უდიდესი შემადგენელი ნაწილია.

გარეგნული იერია არა მარტო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, თმის ვარცხნილობა, არამედ საუბრის, ქცევის მანერაც. სამუშაო ტანსაცმელი განსხვავდება სპორტულისაგან, სახლის ან საზეიმო ტანსაცმლისაგან, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის მოკლებული უნდა იყოს სილამაზეს, მომხიბვლელობას. ტანსაცმლის ესთეტური მომხიბვლელობა არა მარტო მოდაზე ან ქსოვილზეა დამოკიდებული, არამედ სისუფთავესა და იმაზეც, თუ რამდენად უხდება პიროვნებას. სამუშაო ტანსაცმელი, როგორც წესი, გადატვირთული არ უნდა იყოს სამკაულებით, მოდის ბრმა მიმდევრობა ხშირად უარყოფით ემოციებს იწვევს საზოგადოებაში.

არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ყოველდღიურ საქმიანობაში ადამიანის ქცევის კულტურას. კაცს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ტრანსპორტში, კიბეზე ჯერ ქალი ადის, შემდეგ მამაკაცი, ტრანსპორტიდან, კიბიდან ჯერ მამაკაცი ჩამოდის, შემდეგ ქალი. ჩამოსვლის დროს მამაკაცი ხელს აშველებს ქალს.

ცნობილია, რომ გუნება-განწყობილებას დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერებაზე, ხოლო კარგი განწყობილების შექმნა დამოკიდებულია ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ყოფასა და იმაზე, თუ რამდენად შეგვიძლია ვმართოთ ჩვენი ხასიათი. ღიმილი და დილის სალამი მძლავრი სტიმულია კარგი გუნება-განწყობის შესაქმნელად. საქალაქო ტრანსპორტში ჭედვა გაღიზიანებისა და ხასიათის გაფუჭების საბაბია. შეიძლება შევინარჩუნოთ კარგი გუნება-განწყობილება ასეთ დროს? შეიძლება, თუკი თავს კონტროლს გავუწევთ. ნებისმიერი კინკლაობა შეიძლება დასაწყისშივე აღიკვეთოს ხუმრობით, ღიმილით.

ურთიერთობის პროცესი არ ამოიწურება მხოლოდ ზეპირი ან წერილობითი ინფორმაციით. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ემოციები, მანერა. ზოგჯერ ხდება რომ ინფორმაციას ისე ვერ აღიქვამენ, როგორც საჭიროა, ვინაიდან მას საწინააღმდეგო მანერა ახლდა. თითოეულ ჟესტს სიტყვის მნიშვნელობა აქვს. იმისათვის, რომ ადამიანმა გაიგოს სიტყვები, ისინი წინადადებად უნდა ჩამოაყალიბოს, ცხადია აზრიდან გამომდინარე. ივივე შეიძ-

ლება ითქვას ჟესტზეც. არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ჟესტის ამოცნობასაც. მაგალითად, ყველასათვის ცნობილია ხელებგაშლილი ჟესტი, რაც გულწრფელობის მიმანიშნებელია. ადამიანი, როშელიც კარგ დამოკიდებულებაშია მეორესთან, ხშირად იხსნის პიჯაკის ღილს ან იხდის პიჯაკს. სპეციალისტთა აზრით შეთანხმების დიდი ნაწილი იმ ადამიანებზე მოდის, რომლებსაც პიჯაკები გახსნილი ჰქონდათ და მართლაც, უამრავი მაგალითებია იმისა, რომ მოლაპარაკება მაშინ წარიმართებოდა ხოლმე პოზიტიურად, როდესაც მასში მონაწილენი პიჯაკებგახსნილები საუბრობდნენ.

მკერდზე ხელების გადაჯვარედინება თავდაცვითი პოზიციის გამომხატველია. ლოყაზე მიდებული ხელი — დაფიქსირების ნიშანი. რაიმე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანი ხშირად ხელს იდებს ნიკაპზე, წვერზე, საჩვენებელ თითს ზედა ტუჩზე. საკმაოდ გავრცელებული ჟესტია, როდესაც სათვალეებს იხსნიან და მინების წმენდას იწყებენ, ეს ჟესტი მიჩნეულია, როგორ პაუზა ფიქრისათვის; დროს გაყვანისათვისაც ხშირად მიმართავენ ამგვარ ჟესტს. ზოგი ადამიანი რთული საკითხის გადაჭრისას მიჩვეულია ბოლთის ცემას. ამ შემთხვევაში მას ხელი არ უნდა შეეშალოს სხვისი ლაპარაკით. ხშირად ხელით ცხვირის შეხება ეჭვის გამომხატველია.

აუდიტორიის წინაშე გამოსვლის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გარეგნულ ქცევებს, მანერებს, ჟესტებს. ხშირად დავობენ ტექსტის წაკითხვის თუ ზეპირად წარმოთქმის აუცილებლობაზე. საქმე იმაში კი არ არის, გამომსვლელი ბოლომდე კითხულობს თავის ტექსტს, თუ თეზისებით გამოდის, მთავარია აუდიტორიასთან კავშირი. თეზისებით გამოსვლა იმიტომაა ძნელი, რომ გამომსვლელს მცირე დრო აქვს აზრისა და წინადადებების დაწყობისათვის, მაგრამ თუკი ადამიანი ტექსტს კითხულობს, ის მაინც შიგადაშიგ უნდა საუბრობდეს. ზეპირი გამოსვლის დროს უკეთესია, თუ გამომსვლელი ციფრების დასახელებისას ტექსტში ჩაიხედავს. ასეთ დროს მისი გამოსვლა უფრო საიმედოა. აუდიტორიაში გამოსვლის დროს მიუღებელია ტრიბუნასთან სეირნობა და ისე საუბარი, ვინაიდან ასეთ დროს მსმენელის ყურადღება იფანტება. მსმენელი ყოველთვის კრიტიკულად უდგება გამომსვლელის გარეგნულ იერს — რა აცვია მას, როგორ იქცევა ტრიბუნაზე და სხვა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიკროფონის ხმარების

წესს. მიკროფონი ხაზს უსვამს მეტყველების დეფექტს, რაც შეუმჩნეველია ჩვეულებრივი საუბრის დროს. ხშირად მიკროფონში იკარგება სიტყვები, ან ზოგიერთი ხმამაღლა ეღერს, აუდიტორია კი ამ შემთხვევაში ცალკეულ ფრაზებს იჭერს.

მიუღებელია გამოსვლის დროს აუდიტორიაში ვინმეზე მზერის შეჩერება. გამოსვლის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად ან ნელა ლაპარაკობს გამომსვლელი. სწრაფი და ხმამაღალი მეტყველების დროს აზრი მსმენელისათვის გაუგებარი ხდება. გამოსვლის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ლექსიკონსაც. ხშირად შეცდომით ნათქვამი ერთი-ორი სიტყვით მსმენელმა უარყოფითად შეიძლება შეაფასოს გამოსვლა. განსაკუთრებულად ცუდად აღიქმება ტრაფარეტული კანცელარიული სიტყვებისა და ფრაზების ხშირი ხმარება. მიუღებელია ისეთი გამოთქმის გამოყენება, რომელიც წერის დროს იხმარება მაგალითად, „როგორც ზემოთ აღვნიშნე“ ან „ქვემოთ მოგახსენებთ“. ფსიქოლოგთა მიხედვით ბავშვი ლაპარაკისას იყენებს 3600 სიტყვას, მოზარდი — 9000, საშუალო ასაკის —11.700 სიტყვას, ინტელექტუალი — 13.500 სიტყვას.

აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად საჭიროა ლოგიკური, ფაქტებზე დაფუძნებული მოხსენებით გამოსვლა. სიტყვები ადამიანის გრძნობებს უნდა შეეხოს. კარგი იქნება თუ გამოსვლის დასაწყის ან შუა ნაწილში აღინიშნება, რომ ყველაზე საინტერესო რამ სიტყვის დასასრულს ითქმება. მსმენელის ყურადღება შეიძლება მხოლოდ მაშინ გამახვილდეს, როცა ტექსტიდან საინტერესო გადახვევებია ან საინტერესო მაგალითებით მდიდრდება სიტყვა. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იუმორს, ხუმრობას, მახვილსიტყვაობას. მოხსენების დროს მნიშვნელობა ენიჭება მოქნილ პაუზასაც, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს 5-6 წამს. ფსიქოლოგთა აზრით გამომსვლელის ჟესტს ინფორმაციის 40 პროცენტი მიაქვს. გაწელილი გამოსვლა აზრის შებოჭილობის მიმანიშნებელია. გამოსვლის დროს არანაკლებ მნიშვნელოვანია ლაპარაკის ტემპის შეცვლა, ზოგიერთი წინადადების გამეორება. დამტკიცებულია, რომ მსმენელი წუთში 60-70 სიტყვას ითვისებს, მაგრამ გამოსვლის დროს მას შეუძლია მხოლოდ 60 სიტყვის აღქმა.

ყოველი გამოსვლის 15 წუთის შემდეგ მსმენელს უნდა მიეცეს შესვენების, პაუზის შესაძლებლობა, ვინაიდან მეცნიერულად დასაბუთებულია რომ, რაც არ უნდა საინტერესო იყოს მოხსენება,

მსმენელი აქტიურად ისმენს 15 წუთის განმავლობაში. 15 წუთის შემდეგ გამომსვლელმა რაიმე საინტერესო ფაქტზე უნდა შეაჩეროს მათი ყურადღება. მიუღებელია საკუთარ თავზე ლაპარაკი — ეს აღიზიანებს მსმენელს. ნაკლებად უნდა შეაწუხონ მსმენელი ციფრებითაც.

კარგი მეტყველება, ხმა, ადამიანის შინაგანი კულტურის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. კარგად მკღერი ხმა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ქმნის განწყობას. თუ მსმენელი გამომსვლელის გარეგნობას ყურადღებას არ აქცევს, ხმას, ტემბრს გაცილებით კრიტიკულად უდგება. კარგი ხმით ხშირად იფარება ადამიანის გარეგნული ნაკლოვანება. პაუზა, ინტონაცია ორატორს ეხმარება ყურადღების მიპყრობაში. ყურადღება უნდა მიექცეს აუდიტორიის რეაქციასაც. ლაპარაკის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს სუნთქვას. მოწესრიგებული სუნთქვის დროს ხმა ისმის რბილად, თავისუფლად; ხმა ფორმირდება არა მარტო სუნთქვით, არამედ, რიტმითაც.

დავუბრუნდეთ დიპლომატიური ოქმის საკითხებს.

სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი

საზეიმო დღეებში სახელმწიფო დროშა მუდამ აღიმართება პარლამენტის, მთავრობის შენობათა, ავტონომიური რესპუბლიკების პარლამენტებისა და მთავრობების შენობათა თავზე, გამოიფინება სახელმწიფო დაწესებულებების, საცხოვრებელი სახლების ფასადზე.

სახელმწიფო დროშა აღიმართება ქვეყნის საზღვარგარეთის წარმომადგენლობათა შენობებზე, აგრეთვე წარმომადგენლობათა მეთაურების ავტომანქანებზე. სახელმწიფო დროშა არის საზღვაო გემებზე. სახელმწიფო დროშას აღმართავენ ქვეყანაში მაღალი რანგის უცხოეთის დელეგაციის ვიზიტის დროს (აეროპორტის შენობა, სახელმწიფო რეზიდენცია, ავტომანქანა, სასტუმრო, სადაც სტუმარი იცხოვრებს).

სახელმწიფო ჰიმნი სრულდება ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიებების დროს, ზეიმებზე, უცხოეთის მაღალი რანგის დელეგაციების ოფიციალური ვიზიტის, აგრეთვე მასობრივი საზოგადოებრივი და სპორტული ღონისძიებების დროს.

დროშისა და გერბის აღწერილობას, სიმბოლიკას, ჰიმნის მუსიკასა და ტექსტს ამტკიცებს პარლამენტი.

დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ მათზე სახელმწიფო ბეჭედია დასმული.

სახელმწიფო დროშის მიმართ განსაკუთრებული პატივის მიგება საერთაშორისო ნორმად ითვლება. მაგალითად, როდესაც აღმართავენ ან ჩაატარებენ დროშას, სამხედროები ქუდთან ხელის მიტანით ესალმებიან მას, ხოლო სამოქალაქო პირები ქუდს იხდიან. თუ სახელმწიფო დროშა შემოაქვთ დარბაზში, იქ მყოფნი ფეხზე დგებიან. სახელმწიფო გერბსაც ასეთივე პატივისცემით ეპყრობიან.

თუ სხვადასხვა ქვეყნის რამდენიმე სახელმწიფო დროშა ერთდროულად აღიმართება, ისინი ცალ-ცალკე უნდა დამაგრდეს. ყველა მათგანი ერთი ზომისა უნდა იყოს და ერთ დონეზე განლაგდეს. დაუშვებელია ერთის მეორეზე მაღლა აწევა. დროშები განლაგდება ანბანზე, ქვეყნების დასახელების მიხედვით.

უცხოეთის მაღალი რანგის სტუმრის მიღების დროს სტუმრის ქვეყნის დროშა მასპინძელი ქვეყნის დროშის მარჯვნივაა აღმართული.

წესის მიხედვით დროშას აღმართავენ გამთენიისას და ჩამოუშვებენ დაბნელებამდე. თუ დროშა 24 საათის განმავლობაშია გამოკიდული, მაშინ ის ხელოვნურად უნდა იყოს განათებული.

სახელმწიფო დროშა სამგლოვიარო ცერემონიალის დროსაც გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში იგი აღიმართება ბოლომდე, ხოლო შემდეგ ნელა ჩამოიშვება ტარის ნახევრამდე.

დროშის, გერბისა და ჰიმნის შეურაცხყოფა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

ეროვნული დღესასწაული

ეროვნული დღესასწაული ყველა ქვეყანაში მთავარი დღესასწაულია. ისე როგორც დროშა, გერბი და ჰიმნი, ეროვნული დღესასწაულიც ქვეყნის სიმბოლოა. საერთაშორისო საოქმო პრაქტიკით მიღებულია უცხოეთის სახელმწიფოების ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნაც.

ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, როგორც წესი, მთავრობის სახელზე მოდის სხვა სახელმწიფოთა მეთაურების მისალოცი დეპეშები. ბევრ შემთხვევაში დეპეშებს მთავრობას უგზავნიან ელჩის ხელით, რომელიც მასპინძელი ქვეყნის მეთაურს ეწვევა და თავისი ქვეყნის მთავრობის სახელით ოფიციალურად გადასცემს მას.

საკუთარი ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად ბევრ ქვეყანაში ელჩს შესაძლებლობა ეძლევა გამოვიდეს მასპინძელი ქვეყნის ტელევიზიით, ან რადიოთი. ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად მარტო ქვეყანაში კი არ იმართება საზეიმო წვეულება, არამედ მის საზღვარგარეთის წარმომადგენლობებშიც. საელჩოში გამართულ წვეულებას ესწრებიან მასპინძელი ქვეყნის ოფიციალური პირები და ამ ქვეყანაში აკრედიტებული სხვა ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

სახელმწიფოს მეთაურის არჩევასთან დაკავშირებით რეაგირების შესახებ

სახელმწიფოს მეთაურის არჩევა შეუმჩნეველი არ უნდა დარჩეს. საერთაშორისო ოქმის მიხედვით ახლადარჩეულ მეთაურს ეგზავნება მისალოცი დეპეშა ან წერილი. საოქმო სამსახური აწარმოებს წერილებისა და დეპეშების აღრიცხვას და ამზადებს პასუხებს. ზოგიერთ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაურის არჩევასთან დაკავშირებულ ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად პატიჟებენ სხვა სახელმწიფოების დელეგაციებს. საერთაშორისო ოქმით მიღებულია, რომ თუ ქვეყნის დელეგაცია არ მიემგზავრება ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად, მაშინ ეს მისია ევალება იმ ქვეყანაში აკრედიტებულ ელჩს. დელეგაციებს ცერემონიალში მონაწილეობის გარდა შეხვედრა-საუბარი აქვთ ახლადარჩეულ ქვეყნის ხელმძღვანელთან.

სახელმწიფოს ოფიციალურ ტრაურთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ

სახელმწიფოს ხელმძღვანელის გარდაცვალებასთან დაკავშირებით იგზავნება მისასამძიმრებელი დეპეშები. სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობას ღებულობს ქვეყნის მიერ წარგზავნილი დელეგაცია.

ხშირად სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოდიან უცხოეთის ქვეყნების მეთაურები, დელეგაციები.

ასეთ შემთხვევაში მგლოვიარე ქვეყანა მოსაწვევს არ უგზავნის საზღვარგარეთის ქვეყანას. სამგლოვიარო ცერემონიალში მონაწილეობის ინიციატივა ეკუთვნის უცხოეთის სახელმწიფოს. მასპინძელი ქვეყანა ჯეროვან ყურადღებას აქცევს სტუმარს — ხვდება და აცილებს აეროპორტში (სადგურში). შეხვედრა-გაცილების დროს დროშები არ აღიმართება, არ სრულდება სახელმწიფო ჰიმნებიც. სტუმარს უზრუნველყოფენ ავტოტრანსპორტით, სასტუმროთი, სხვა მომსახურებით. სტუმრები გვირგვინს დებენ გარდაცვლილის კუბოსთან, მონაწილეობენ დაკრძალვის ცერემონიალში. მასპინძელი ქვეყანა ორგანიზაციას უკეთებს ცერემონიალში მონაწილე უცხოეთის დელეგაციების წარდგენას ქვეყნის ხელმძღვანელობასთან. სამგლოვიარო ცერემონიალში, რომელსაც მგლოვიარე ქვეყნის საზღვარგარეთის საელჩო აწყობს, მონაწილეობას იღებენ დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, სხვა ქვეყნების ელჩები, მასპინძელი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები. საელჩოს შენობის თავზე დროშა ტარის ნახევრამდე ჩამოეშვება.

მაღალი რანგის სტუმრების მიღების შესახებ

მაღალი რანგის სტუმრების მიღებას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურის, პარლამენტის დელეგაციის, საგარეო საქმეთა მინისტრის, სხვა ოფიციალური პირების ვიზიტები ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთგაცნობის, დაახლოების საქმეს. მაღალი რანგის სტუმრების ვიზიტის დროს ხშირად ხდება მნიშვნელოვან ორმხრივ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა. მაგალითად, ოფიციალური მაღალი რანგის სტუმრების საქართველოში ვიზიტის ხანგრძლივობა ორ დღეს არ აღემატება. შედარებით ხანგრძლივია პარლამენტის დელეგაციათა ვიზიტი. ამ კატეგორიის დელეგაციები არა მარტო თბილისში იმყოფებიან, არამედ საქართველოს სხვა მხარეშიც მოგზაურობენ. გთავაზობთ საქართველოს რესპუბლიკაში სხვადასხვა დროს მყოფი მაღალი რანგის დელეგაციების ვიზიტების პროგრამებს.

მისი უდიდებულესობის დანიის დედოფლის მარგარეტ II-ის და მისი სამეფო უმაღლესობის პრინც ჰენრიკის საქართველოს სს რესპუბლიკაში სტუმრობის

პ რ ო გ რ ა მ ა

1975 წლის 30 მაისი — 1 ივნისი
(თბილისის დრო)

30 მაისი, პარსკევი

21.00 — მოსკოვიდან ჩამოსვლა.
21.30—23.30 — დაბინავება და ვახშამი რეზიდენციაში.

31 მაისი, შაბათი

9.00—10.00 — საუზმე რეზიდენციაში.
10.00—11.00 — ვიზიტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან გ. ს. ძოწენიძესთან.
11.00—13.00 — ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.
13.00—14.00 — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერება.
14.00—17.00 — საქართველოს სამხატვრო აკადემიის დათვალიერება.
17.00—18.00 — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დათვალიერება.

18.00—19.30 — დასვენება რეზიდენციაში.
20.00—22.00 — სადილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით.

1 ივნისი, კვირა

9.00—10.00 — საუზმე რეზიდენციაში.
10.00—11.00 — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერება.
11.00—13.00 — ქ. მცხეთაში კულტურის ძეგლების ჯვრისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება.
13.00—14.00 — სადილი რესტორან „არაგვში".
14.30—15.30 — დასვენება რეზიდენციაში.
15.30 — აეროპორტში გამგზავრება.
16.00 — მოსკოვში გამგზავრება.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ეროვნებათა საქმეების კომისიის დელეგაციის საქართველოს სს რესპუბლიკაში სტუმრობის

პ რ ო გ რ ა მ ა

1987 წლის 21-24 აგვისტო
(თბილისის დრო)

21 აგვისტო, პარასკევი

16.40 — თვითმფრინავით ჩამოსვლა მინსკიდან (რეისი № 7759).
17.00—18.30 — რეზიდენციაში დაბინავება და სადილი.
19.00—20.30 — საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
21.00—22.30 — ვახშამი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით რესტორან „მთაწმინდის" საბანკეტო დარბაზში.

22 აგვისტო, შაბათი

08.00—08.30. — საუზმე რეზდენციაში.
09.00—12.30 — ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება (მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, მეტეხის პლატო, რიტუალების სასახლე).

13.00—14.30 — სადილი რეზიდენციაში.
14.30. — ქ. მცხეთაში გამგზავრება.
15.00—16.00 — ქ. მცხეთაში კულტურის ძეგლების — ჯვრისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება.
16.00 — ქ. ცხინვალში გამგზავრება.
18.00—19.00 — საუბარი საოლქო საბჭოს აღმასკომში.
19.00—20.00 — ქ. ცხინვალის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.
20.00—21.00 — სადილი ქ. ცხინვალში.
21.30 — ქ. თბილისში დაბრუნება.

23 აგვისტო, კვირა

07.30—08.00 — საუზმე რეზიდენციაში.
08.15 — აეროპორტში გამგზავრება.
08.50 — ქ. სოხუმში გამგზავრება (რეისი № გ-509).
09.30—10.30 — დასასვენებელ სახლ „სინოპში“ დაბინავება (აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ყოფნის პირველ დღეს სტუმრები დაათვალიერებენ ბიჭვინთას, ახალი ათონის გამოქვაბულს, ს. დურიფშის კოლმეურნეობას).

24 აგვისტო, ორშაბათი

08.00—08.30 — საუზმე დასასვენებელ სახლ „სინოპში“.
09.00—10.30 — საუბარი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
11.00—13.00 — ქ. სოხუმის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება.
13.30—15.00 — სადილი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით.
15.15 — აეროპორტში გამგზავრება.
16.00 — მოსკოვში გაფრენა (რეისი № 978).

სიცილიის პარლამენტის დელეგაციის
საბჭოთა კავშირში სტუმრად ყოფნის
პ რ ო გ ა რ მ ა
1988 წლის 17-24 ოქტომბერი
(მოსკოვის დრო)

17 ოქტომბერი, ორშაბათი

17.40 — რომიდან მოსკოვში ჩამოსვლა (აეროპორტი „შერემეტიევო-2“, რეისი — 548).

18.30—19.30 — სასტუმრო „როსიაში“ დაბინავება.

20.00—21.10 — არბატზე საქართველოს კულტურის ცენტრ „მზიურის“ დათვალიერება.

21.30 — ვახშამი სასტუმროში.

18 ოქტომბერი, სამშაბათი

8.30—9.00 — საუზმე სასტუმრო „როსიაში“.

9.10 — აეროპორტ „ვნუკოვოში“ გამგზავრება.

10.20 — თბილისში გაფრენა (რეისი 923, თბილისის დრო).

13.40 — თბილისში ჩამოსვლა.

14.00—15.30 — დაბინავება და სადილი რეზიდენცია „კრწანისში“ (სახლი № 2).

15.40 — რეზიდენციიდან გამგზავრება.

16.00—17.30 — საუბარი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან პ. გილაშვილთან.

17.45—18.30 — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დათვალიერება (სეიფი და ფიროსმანის გამოფენა).

18.30—19.30 — ღვინის სადეგუსტაციო დარბაზ „საჭაშნიკეს“ დათვალიერება.

19.30—20.30 — რეზიდენციაში დასვენება.

21.00 — ვახშამი რესტორან „მუხამბაზში“.

19 ოქტომბერი, ოთხშაბათი

9.00— 9.30 — საუზმე რეზიდენციაში.

9.45 — რეზიდენციიდან გამგზავრება.

10.00—11.00 — საუბარი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. ანდრიაძესთან.

11.30—12.30 — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დათვალიერება.

13.00—14.00 — სადილი რეზიდენციაში.

14.30 — რეზიდენციიდან გამგზავრება.

14.40—17.30 — ქალაქის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება (აბანოთუბანი, თონე, მეტეხის პლატო, სიონის ტაძარი, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი „ქარვასლა“, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფი, მთაწმინდის პლატო).

18.00—19.00 — ფოლკლორული მუსიკის კონცერტზე დასწრება წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში.

19.15—20.00 — რეზიდენციაში დასვენება.

20.15 — რეზიდენციიდან გამგზავრება.

20.30 — სადილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სადღესასწაულო რიტუალების სასახლეში.

20 ოქტომბერი, ხუთშაბათი

9.00— 9.30 — საუზმე რეზიდენციაში.

9.40 — რეზიდენციიდან გამგზავრება.

10.00—11.30 — საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში.

11.30 — ქ. მცხეთაში გამგზავრება.

12.00—13.00 — ქ. მცხეთაში კულტურის ძეგლების — ჯვრისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება.

13.00—14.00 — სამეცნიერო-საწარმოო სასოფლო-სამეურნეო გაერთიანება „თავთავის“ დათვალიერება.

14.15—16.00 — სადილი ქ. მცხეთის რესტორან „მარანში“.

18.00—19.15 — რეზიდენციაში დასვენება.

19.30 — სპექტაკლზე დასწრება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

22.00 — ვახშამი რეზიდენციაში.

21 ოქტომბერი, პარასკევი

8.30— 9.30 — საუზმე რეზიდენციაში.

9.00 — რეზიდენციიდან გამგზავრება.

9.15—10.00 — ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის დათვალიერება.

10.30—14.00 — საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დათვალიერება, სადილი.

14.30—15.30 — რუსთაველის პროსპექტზე გასეირნება.
15.30—16.30 — რეზიდენციაში დასვენება.
17.00—19.00 — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის მ. ბერძენიშვილის სახელოსნოს დათვალიერება.
19.30—20.30 — რეზიდენციაში დასვენება.
20.40 — რეზიდენციიდან გამგზავრება.
21.40 — მოსკოვში გაფრენა (რეისი 932, მოსკოვის დრო).
23.00 — მოსკოვში ჩასვლა (აეროპორტი „ვნუკოვო").
24.00 — სასტუმრო „როსიაში" დაბინავება.

22 ოქტომბერი, შაბათი

8.45— 9.20 — საუზმე სასტუმროში.
9.30 — სასტუმროდან გამგზავრება.
10.00 — ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის დათვალიერება.
10.15 — უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინით შემკობა.
10.30—13.00 — კრემლის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება: საჭურველთსაცავი, ალმასის ფონდი.
13.30—15.00 — ოსტანკინოს ტელეანძის დათვალიერება და სადილი რესტორან „სედმოე ნებოში".
15.00—17.00 — სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერება.
17.30 — სასტუმროში დაბრუნება.
18.15 — სასტუმროდან გამგზავრება.
19.00 — სსრ კავშირის დიდი თეატრის სპექტაკლზე დასწრება.
21.30 — ვახშამი სასტუმროში.

23 ოქტომბერი, კვირა

8.30— 9.00 — საუზმე სასტუმროში.
10.00—11.30 — ა. ს. პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმის დათვალიერება.
13.30—15.00 — სადილი სასტუმროში.
15.30—17.00 — ბოროდინოს ბრძოლის პანორამის დათვალიერება.
17.30 — სასტუმროში დაბრუნება.
18.00 — სასტუმროდან გამგზავრება.

18.30—20.00 — სსრ კავშირის სახალხო მხატვრის ზ. წერეთლის სახელოსნოს დათვალიერება.
20.00—21.00 — გასეირნება მოსკოვში.
21.30 — ვახშამი სასტუმროში.

24 ოქტომბერი, ორშაბათი

8.30— 9.00 — საუზმე რესტორანში.
10.00—11.30 — საუბარი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
11.30—12.30 — კრემლის დიდი სასახლის დათვალიერება.
13.30—15.00 — სადილი რესტორან „სოვინცენტრში“.
15.30 — სასტუმროში დაბრუნება.
16.30 — აეროპორტ „შერემეტიევო-2“-ში გამგზავრება.
18.30 — რომში გაფრენა (რეისი — 549).

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის დელეგაციის საქართველოს რესპუბლიკაში სტუმრობის

პ რ ო გ რ ა მ ა

1991 წლის 31 აგვისტო, 3 სექტემბერი
(თბილისის დრო)

31 აგვისტო, შაბათი

13.30 — თბილისში ჩამოსვლა (აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავით).
14.00—16.00 — დაბინავება და სადილი სასტუმრო „მეტეხში“.
16.00 — სასტუმროდან გამგზავრება.
16.15—16.30 — მეტეხის პლატოს დათვალიერება.
16.30—19.00 — ანტიკვარული და სუვენირების მაღაზიების დათვალიერება.
19.00—19.30 — დასვენება სასტუმროში.
19.30 — სასტუმროდან გამგზავრება.
20.00 — ვახშამი რესტორან „მუხამბაზში“.

1 სექტემბერი, კვირა

9.00 — 10.00 — საუზმე სასტუმრო „მეტეხში“.
10.00 — სასტუმროდან გამგზავრება.
10.15—10.45 — სიონის ტაძარში სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის საკვირაო წირვაზე დასწრება.
11.00—11.45 — საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის დათვალიერება.
12.00—13.00 — ქართული ღვინოების გასინჯვა სადეგუსტაციო დარბაზ „საჭაშნიკოში“.
14.00—16.00 — სადილი და დასვენება სასტუმრო „მეტეხში“.
16.30 — სასტუმროდან გამგზავრება.
17.00—18.30 — ქ. მცხეთის კულტურის ძეგლების — ჯვრისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება.
19.00—20.00 — ბავშვთა თვითშემოქმედების კონცერტზე დასწრება მოსწავლეთა სასახლეში.
20.30 — ვახშამი სასტუმროში.

2 სექტემბერი, ორშაბათი

9.00— 9.45 — საუზმე სასტუმროში.
9.45 — სასტუმროდან გამგზავრება.
10.00—11.00 — საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტთან (სახელმწიფო რეზიდენციის № 2 სახლის III სართულზე, კონფერენციის დარბაზში).
11.00—13.00 — საუბარი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგარეო ურთიერთობათა, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკური რეფორმის კომისიების თავმჯდომარეებთან და წევრებთან. საუბარში მონაწილეობენ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი სამმართველოს წარმომადგენლები (სახელმწიფო რეზიდენციის № 2 სახლის III სართულზე, კონფერენციის დარბაზში).
13.15—15.15 — სადილი სასტუმროში.
15.15 — სასტუმროდან გამგზავრება.
15.30—16.30 — საუბარი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მი-

ნისტრთან.

16.30—17.30 — შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან (რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მცირე დარბაზში).

18.00—19.30 — სასტუმროში დასვენება.

19.30 — სასტუმროდან გამგზავრება.

20.00 — სადილი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელით (სახელმწიფო რეზიდენციის № 2 სახლში, III სართულზე).

მაღალი რანგის სტუმრების მიღების საქმეში წესრიგის დამყარების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნომ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავეს დებულება საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ოქმის შესახებ. დებულება დამტკიცდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით 1991 წლის 22 ივლისს. იმ დროისათვის საქართველოს არ ჰქონდა პირდაპირი კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან. თბილისში არ იყო გახსნილი საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოები, ამიტომ დებულებაში არ არის აღნიშნული საქართველოს რესპუბლიკაში აკრედიტებული უცხოეთის ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების, მაღალი რანგის დელეგაციების საქართველოში სტუმრობის დროს მოწყობილ ცერემონიალში მონაწილეობის საკითხი (დელეგაციის დახვედრა-გაცილება, ოფიციალურ სადილზე დასწრება და სხვა).

დებულებაში არ არის აღნიშნული აგრეთვე ქვეყნის მეთაურისათვის საზღვარგარეთის ელჩის მიერ რწმუნების სიგელის გადაცემის ცერემონიალი. აღნიშნული საოქმო საკითხები მოითხოვს ღრმა შესწავლას და პრაქტიკაში დანერგვას.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ოქმის შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს რესპუბლიკაში ჩამოსული მაღალი რანგის სტუმრების მიღება ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური ოქმის დებულების შესაბამისად, რომლის წესების დაცვა სავალდებულოა რესპუბლიკის ყველა სამინისტროს, უწყების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს, წარმოება-დაწესებულებისა და ოფიციალური პირებისათვის.

საზღვარგარეთის ქვეყნების მაღალი რანგის სტუმრებისა და დელეგაციების მიღებასთან დაკავშირებული საოქმო ღონისძიებები

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის მეთაურის (ან მათი ხელმძღვანელობით სახელმწიფო ან სამთავრობო დელეგაციები), საპარლამენტო დელეგაციის სტუმრობა

საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობის მეთაურის (ან მათი ხელმძღვანელობით სახელმწიფო ან სამთავრობო დელეგაციების), საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი შეიძლება იყოს ოფიციალური, საქმიანი, არაოფიციალური ან გავლით

(ტრანზიტით). საზღვარგარეთის ქვეყნის სტუმრის ან დელეგაციის ვიზიტის ხასიათის შესახებ მხარეები წინასწარ თანხმდებიან.

ოფიციალური ვიზიტი

ოფიციალური ვიზიტი წარმოადგენს ყველაზე მაღალი დონის ვიზიტს. ასეთი სახის ვიზიტის დროს მაღალი რანგის სტუმრების დახვედრა, გაცილება და პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა ღონისძიება საოქმო ცერემონიალის სრული დაცვით ტარდება.

დახვედრა

საქართველოში სტუმრად ჩამოსულ საზღვარგარეთის ქვეყნის სახელმწიფო მეთაურს (ან დელეგაციას მისი ხელმძღვანელობით), აგრეთვე სხვა მაღალი რანგის სტუმრებს და დელეგაციებს, როგორც წესი, ხვდება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით).

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ხვდება მთავრობის მეთაურს (ან დელეგაციას მისი ხელმძღვანელობით), აგრეთვე სხვა მაღალი რანგის სტუმრებსა და დელეგაციებს (თუ ეს განპირობებულია პოლიტიკური მოსაზრებით).

სხვა დამხვედრ ოფიციალურ პირთა შემადგენლობა განისაზღვრება დელეგაციის წევრთა და თანმხლებ პირთა შემადგენლობისა და პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით.

თბილისის აეროპორტში (ვაგზალში) გამოიკიდება სტუმრის ქვეყნის (მარცხნივ) და საქართველოს რესპუბლიკის (მარჯვნივ, თუ მათ საფრენი მინდვრიდან შევხედავთ), სახელმწიფო დროშები და მისასალმებელი ტრანსპარანტები უცხო და ქართულ ენებზე. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ორკესტრი ასრულებს სტუმრის ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნებს. საოქმო ცერემონიალით გათვალისწინებულია დახვედრაში შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის საპატიო ყარაულის მონაწილეობა. დახვედრისას მისასალმებელი სიტყვები არ წარმოითქმება.

ქალაქის ქუჩებში (დახვედრის ადგილიდან რეზიდენციამდე), რომლებსაც სტუმრების ავტოკოლონა გაივლის, გამოიკიდება შესაბამისი ქვეყნის და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები და მისასალმებელი ტრანსპარანტები უცხო და ქართულ ენებზე.

მთავარი სტუმრის ავტომანქანაზე დამაგრებულია შესაბამისი ქვეყნის დროშა ან სახელმწიფოს მეთაურის შტანდარტი (ავტომანქანის სალონიდან მარჯვნივ) და საქართველოს რესპუბლიკის დროშა (მარცხნივ). ქალაქში მოძრაობისას მთავარი სტუმრის ავტომანქანას დაჰყვება მოტოციკლისტთა ესკორტი (სახელმწიფოს მეთაურს — 15 მოტოციკლი, მთავრობის მეთაურს — 11).

დახვედრის ადგილიდან რეზიდენციამდე მთავარ სტუმარს აცილებს (ერთ მანქანაში) საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან მთავარი დამხვედრი პირი.

თუ მთავარი სტუმარი ჩამოდის მეუღლითურთ, მთავარი დამხვედრი პირი და მისი მეუღლე სტუმრებს ხვდებიან და აცილებენ მათ რეზიდენციამდე.

დროის იმ მონაკვეთისათვის, როდესაც სტუმრობის პროგრამით გათვალისწინებულია ოფიციალური შეხვედრები (საუბრები, მოლაპარაკებები), მთავარი სტუმრის მეუღლისა და მისი თანამხლები პირებისათვის სტუმრებთან შეთანხმებით დგება ცალკე პროგრამა.

რესპუბლიკაში სტუმრობის მთელი დროის მანძილზე მთავარ სტუმარს და დელეგაციას მუდმივად თან დაჰყვებიან ოფიციალური პირები საქართველოს მხრიდან, რომლებსაც, როგორც წესი, მეთაურობს მთავარი დამხვედრი პირის მოადგილე. ამ პირთა სია განისაზღვრება დელეგაციისა და თანმხლები პირების პერსონალური შემადგენლობისა და რანგის გათვალისწინებით.

გაცილების ცერემონიალი ძირითადად ისეთივეა, როგორიც დახვედრისა. თუ მთავარი სტუმარი (და მისი მეუღლე) რეზიდენციიდან აეროპორტში (ვაგზალში) მიემგზავრება, მთავარი გამცილებელი პირი (და მისი მეუღლე) გამოუვლის მათ და თან ახლავს გამგზავრებამდე.

რეზიდენციაში დაბინავება

მთავარი სტუმრის, დელეგაციის წევრებისა და თანმხლები პირების დაბინავება ხდება სახელმწიფო რეზიდენციაში. საჭიროების შემთხვევაში დელეგაციის წევრებისა და თანმხლები პირების ნაწილი შეიძლება დაბინავდეს სასტუმროში.

სახლზე, სადაც მთავარი სტუმარი დაბინავდება, აღიმართება მისი ქვეყნის სახელმწიფო დროშა ან სახელმწიფოს მეთაურის შტანდარტი.

საუბრები, მოლაპარაკებები

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე და მთავრობის თავმჯდომარე ღებულობენ, საუბრობენ და მოლაპარაკებას აწარმოებენ დელეგაციებთან, რომლებსაც ხელმძღვანელობენ სახელმწიფოს მეთაურები, მთავრობის მეთაურები, პარლამენტის თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, საგარეო საქმეთა მინისტრები, აგრეთვე სხვა მაღალი რანგის სტუმრები (პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით).

საქართველოს მხრიდან საუბრის (მოლაპარაკების) მონაწილეთა შემადგენლობა შეზღუდულია და განისაზღვრება იმ სიით, რომელიც წინასწარ მტკიცდება სტუმართა დელეგაციის შემადგენლობისა და პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით.

ოფიციალური სადილი (საუზმე)

მაღალი რანგის სტუმრის პატივსაცემად (რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მისი თავმჯდომარე, მთავრობა, მისი თავმჯდომარე) მართავს ოფიციალურ სადილს (საუზმეს). საკითხი, თუ ვისი სახელით იმართება წვეულება, ვინ იქნება მასპინძელი, წყდება იმისდა მიხედვით, თუ ვინ არის მთავარი სტუმარი, და პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით. სადილის (საუზმის) დროს მასპინძელი და მთავარი სტუმარი წარმოთქვამენ მისასალმებელ სიტყვებს. გარდა ამ საყოველთაოდ მიღებული სიტყვებისა მასპინძელი, ქართული სუფრის ტრადიციების შესაბამისად, კიდევ რამდენიმე სადღეგრძელოთი მიმართავს დამსწრე საზოგადოებას.

სტუმრების პატივისცემის ნიშნად სადილს (საუზმეს) ესწრება აგრეთვე უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე. სადილს (საუზმეს) ესწრებიან სხვა ოფიციალური პირები: დეპუტატები, მინისტრები, პოლიტიკური ორგანიზაციების, უწყებების ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები, ქალაქის ხელისუფლების ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ბიზნესმენები, ისინი ვინც მონაწილეობენ სტუმრების მიღების პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებში. სადილზე (საუზმეზე) სასურველია დაპატიჟებულ იქნენ ის პირებიც, რომლებიც ამა თუ იმ სფეროში მონაწილეობენ საქართველოსა და შესაბამის ქვეყანას შორის თანამშრომლობაში. სადილზე (საუზმეზე) მოწვეულ პირთა სია განისაზღვრება სტუმართა პერსონალური შემადგენლობის გათვალისწინებით. მასპინძელთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სტუმართა რიცხვს.

იმ შემთხვევაში, თუ მთავარი სტუმარი მეუღლესთან ერთად არის ჩამოსული, სადილს (საუზმეს) ესწრებიან მასპინძლისა და 2-3 მთავარ ოფიციალურ პირთა მეუღლეები.

არ არის აუცილებელი სადილზე (საუზმეზე) მოწვეულ იქნეს სტუმართა მხარის ყველა თანმხლები პირი, კერძოდ — მომსახურე პერსონალი. სტუმრებთან ერთად ჩამოსული ჟურნალისტებისათვის, საჭიროების შემთხვევაში (მათ შორის — მთავარი სტუმრის აზრის გათვალისწინებით), იმავე საათებში შეიძლება მოეწყოს ცალკე წვეულება ქართველი ჟურნალისტების სახელით.

დანართი I

ქ. თბილისის აეროპორტში უცხოეთის ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურებისა და მთავრობის მეთაურების, მათი ხელმძღვანელობით სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციების დახვედრისა და გაცილების ცერემონიალი

მაღალი რანგის უცხოელ სტუმრებს ხვდებიან და აცილებენ მხოლოდ ის ოფიციალური პირები, რომელთა მონაწილეობა დახვედრა-გაცილებაში გათვალისწინებულია სტუმრობის პროგრამით და რომლებიც წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი ამის შესახებ.

დადგენილია აეროპორტში მისვლის შემდეგი წესი:

დაცვა მიდის თვითმფრინავის ჩამოსვლის დადგენილ დრომდე 2 საათით ადრე; ავტომანქანები, რომლებიც ემსახურებიან დელეგაციას — 1.5 საათით ადრე; პრესის, რადიოსა და ტელევიზიის, ტურიზმის და სპორტის სამინისტროს (თუ სტუმართა ნაწილის დაბინავება ხდება სასტუმროში) წარმომადგენლები — 1 საათით ადრე. მინისტრები, უწყებების ხელმძღვანელები, დეპუტატები, პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ბიზნესმენები, ქალაქის ხელისუფლების ხელმძღვანელები — 30 წუთით ადრე; უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები და რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეები — 20 წუთით ადრე, მთავარი დამხვედრი პირები — 10-15 წუთით ადრე.

თვითმფრინავის სრული გაჩერების შემდეგ, სანამ მას ტრაპს მიადგამენ, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (ან მათი მოადგილეები), საგარეო საქმეთა მინისტრი (მეუღლითურთ) უახლოვდებიან თვითმფრინავს. მინისტრები, უწყებების ხელმძღვანელები, დეპუტატები, პოლიტიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ბიზნესმენები, ქალაქის ხელისუფლების ხელმძღვანელები დგანან საფრენ მინდორზე აღნიშნული (აეროპორტის შენობის მიმართ პარალელურად) ხაზის გასწვრივ.

თვითმფრინავიდან ჩამოდიან — მთავარი სტუმარი, მისი ოჯახის წევრები და მთავარი ოფიციალური პირები. დანარჩენი სტუმრები თვითმფრინავიდან ჩამოდიან მას შემდეგ, როდესაც მთავარი სტუმარი გაემართება საპატიო ყარაულისაკენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე მთავარ სტუმარს წარუდგენს მთავარ დამხვედრ პირს და ტრაპთან მისულ დანარჩენ ოფიციალურ პირებს. მთავარი სტუმრის მეუღლეს დამხვედრებს წარუდგენს საოქმო განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი. მას შემდეგ, რაც მთავარ სტუმარს წარუდგენენ ტრაპთან მისულ დამხვედრ ოფიციალურ პირებს, მთავარი სტუმრის მეუღლეს და დანარჩენ ქალბატონებს ეროვნულ ტანსაცმელში ჩაცმული ვაჟები მიართმევენ ყვავილებს.

ამის შემდეგ მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი მიემართებიან იმ ადგილისკენ, სადაც განლაგებულია ორკესტრი და საპატიო ყარაული. ისინი ჩერდებიან ორკესტრის წინ. საპატიო

ყარაულის უფროსი მთავარ სტუმარს პატაკს აბარებს. პატაკის შემდეგ სრულდება სტუმრის ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. დანარჩენი სტუმრები და მთავარი დამხვედრი პირები დგანან თვითმფრინავის ტრაპთან.

ჰიმნების შემდეგ მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი უახლოვდებიან საპატიო ყარაულს. დროშის წინ სტუმარი ჩერდება და თავის დაკვრით ესალმება მას. სტუმარი და მასპინძელი ჩაუვლიან ყარაულს დროშიდან მარცხენა ფლანგამდე. სტუმარი მოძრაობს ყარაულის მწყობრთან უფრო ახლო, ვიდრე მასპინძელი.

ჩამოსული სტუმრები და ძირითადი დამხვედრი პირები მიემართებიან მათთვის განკუთვნილი სექტორისაკენ.

ამის შემდეგ მთავარი სტუმარი, მთავარი დამხვედრი პირი და საოქმო განყოფილების გამგე უახლოვდებიან იმ ადგილს, სადაც დგანან სხვა დამხვედრი ოფიციალური პირები. მთავარი სტუმარი ჩამოუვლის მათ მწკრივს. საოქმო განყოფილების გამგე სტუმარს აცნობს დამხვედრ ოფიციალურ პირებს.

ორკესტრი და საპატიო ყარაული დროის ამ მონაკვეთში ემზადებიან საზეიმო მარშისათვის.

დამხვედრ ოფიციალურ პირთა წარდგენის შემდეგ მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი დგებიან იქ, სადაც გაფენილია ნოხი. საზეიმო მარშით ჩაივლის სამხედრო ყარაული. სამხედრო ყარაულთან უფრო ახლოს დგას მთავარი სტუმარი და ამდენად, იგი პირველი ესალმება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშას, რომელიც ყარაულის მედროშეს მოაქვს. მთავარი სტუმრისაგან მარჯვნივ დგას მთავარი დამხვედრი პირი.

დახვედრის ზემოხსენებული ცერემონიალის დამთავრებისთანავე მთავარი სტუმრისაკენ მიემართება ავტომანქანა. მთავარი სტუმარი ჯდება მძღოლის უკან, ყველაზე საპატიო მარჯვენა განაპირა ადგილზე. მის გვერდით ჯდება მთავარი დამხვედრი პირი. ასაკეც სკამზე და მძღოლის გვერდით — თარჯიმანი და მცველი. მთავარი სტუმრის ავტომანქანის უკან ჩამწკრივებებულია სტუმრების მომსახურებისათვის განკუთვნილი დანომრილი ავტომანქანები. მეორე ავტომანქანაში სხდებიან მთავარი სტუმრის მეუღლე და მთავარი დამხვედრი პირის მეუღლე. მათთან ერთად ჯდება მცველი და თარჯიმანი. სტუმრები საოქმო სამსახურის მიერ მომზადებული სქემის შესაბამისად (რომელიც წინასწარ ეცნობება სტუმართა მხარის სა-

ოქმო სამსახურს) სხდებიან დანარჩენ ავტომანქანებში. მათთან ერთად ავტომანქანებში სხდებიან მხოლოდ ის დამხვედრი ოფიციალური პირები, რომლებიც დამტკიცებული პროგრამის თანახმად მუდმივად თან ახლავან სტუმრებს. მთავარი დამხვედრი პირი და მისი მეუღლე მთავარ სტუმარს და მის მეუღლეს რეზიდენციამდე აცილებენ.

თუ რომელიმე დანომრილ ავტომანქანაში არ ჩასხდნენ სტუმრები, კოლონის წასვლის შემდეგ ეს ავტომანქანა 10 წუთი კიდევ ელოდება თავის მგზავრებს. თუ სტუმრები ამის შემდეგაც არ გამოჩნდნენ, ავტომანქანა მიემართება რეზიდენციაში (ან სასტუმროში, იმისდა მიხედვით, თუ სად უნდა დაბინავდნენ სტუმრები, რომლებსაც ეს ავტომანქანა უნდა ემსახურებოდეს).

თუ დელეგაცია რამდენიმე თვითმფრინავით ჩამოდის (ხოლო მთავარი სტუმარი პირველ თვითმფრინავში არ იმყოფება), სტუმრებს, რომლებიც პირველი თვითმფრინავით ჩამოვიდნენ, საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები სთავაზობენ დახვედრის ცერემონიალის დროს მათთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავონ და მთავარი სტუმრის თვითმფრინავის ჩამოსვლას დაელოდონ.

მთელი ზემომოყვანილი ცერემონიალი ტარდება საზეიმო ატმოსფეროში.

გაცილების ცერემონიალის ორგანიზაცია ძირითადად დახვედრის წესითვე ხორციელდება. გამცილებლები აეროპორტში მიდიან დროის ისეთივე ინტერვალით, როგორც დახვედრისას. როგორც კი ავტომანქანების კოლონა რეზიდენციიდან გამოემგზავრება, რეზიდენციაში იმ სახლის მორიგე, რომელშიც მთავარი სტუმარი ცხოვრობს, ტელეფონით უკავშირდება აეროპორტის მაღალი რანგის სტუმრების მისაღებს, სადაც ამ დროს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იმყოფება. ეს უკანასკნელი ატყობინებს დელეგაციის რეზიდენციიდან გამომგზავრების შესახებ გასაცილებლად მოსულ ოფიციალურ პირებს, რომლებიც გადიან საფრენ მინდორზე და დგებიან იმავე სქემით, როგორც დახვედრისას.

აეროპორტში მოსვლისთანავე მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი მიემართებიან იმ ადგილისაკენ, სადაც ორკესტრი და საპატიო ყარაულია (მთავარი სტუმრის თანმხლები პირები იმავე დროს მიემართებიან გაცილების ცერემონიალის დროს მათთვის განკუთვნილი ადგილისაკენ) განლაგებული. ისინი ჩერდებიან ორ-

კესტრის წინ. საპატიო ყარაულის უფროსი პატაკს აბარებს მთავარ სტუმარს. პატაკის შემდეგ სრულდება სტუმრის ქვეყნის და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი უახლოვდებიან საპატიო ყარაულს. დროშის წინ სტუმარი ჩერდება და თავის დაკვრით ესალმება მას. სტუმარი და მასპინძელი ჩაუვლიან ყარაულს დროშიდან მარცხენა ფლანგამდე. სტუმარი მოძრაობს ყარაულის მწყობრთან უფრო ახლო, ვიდრე მასპინძელი.

ამის შემდეგ მთავარი სტუმარი, მთავარი დამხვედრი პირი და საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე უახლოვდებიან იმ ადგილს, სადაც გამცილებელი ოფიციალური პირები დგანან. მთავარი სტუმარი ჩამოუვლის მათ მწკრივს, საოქმო განყოფილების გამგე წარუდგენს სტუმარს გამცილებელ ოფიციალურ პირებს. დროის ამ მონაკვეთში დანარჩენი სტუმრები მიემართებიან თვითმფრინავისკენ და გარდა დელეგაციის რამდენიმე მთავარი წევრისა, სხდებიან თვითმფრინავში. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მთავრობის თავმჯდომარე, ან მათი მოადგილეები (თუ ისინი არ არიან მთავარი დამხვედრი და გამცილებელი პირები), საგარეო საქმეთა მინისტრი (მეუღლეებითურთ) მიემართებიან თვითმფრინავისაკენ და ტრაპთან უცდიან მთავარ სტუმარს.

მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი დგებიან იქ, სადაც გაფენილია ნოხი. საზეიმო მარშით ჩაივლის საპატიო ყარაული. ყარაულთან უფრო ახლო დგას მთავარი სტუმარი. მთავარი სტუმრისაგან მარჯვნივ დგას მთავარი დამხვედრი პირი. ამის შემდეგ მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი მიემართებიან ტრაპისკენ. მთავარი სტუმარი, მთავარი დამხვედრი პირი, დელეგაციის მთავარი წევრები, მთავრობის თავმჯდომარე (ან მისი მოადგილეები) საგარეო საქმეთა მინისტრი (მეუღლეებითურთ) ემშვიდობებიან ერთმანეთს. მთავარი სტუმრის მეუღლეს და დანარჩენ ქალბატონებს ეროვნულ ტანსაცმელში ჩაცმული ვაჟები მიართმევენ ყვავილებს.

დახვედრისა და გაცილების ცერემონიალი, მათი დეტალები წინასწარ შეთანხმებულია სტუმრების დელეგაციის საოქმო სამსახურთან.

ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებენ სამინისტროები და უწყებები საქართველოს რესპუბლიკაში მაღალი რანგის სტუმრების (სახელმწიფო მეთაურებისა და მთავრობის მეთაურების, სახელმწიფო, სამთავრობო და საპარლამენტო დელეგაციების, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრების) მიღების დროს

1. პრესის და ტელევიზიის წარმომადგენელთა მუშაობის ორგანიზაცია

როგორც დამხვედრ, ისე სტუმართან ერთად ჩამოსულ ფოტო, ტელე და კინორეპორტიორებს, დახვედრის და გაცილების ცერემონიალის გადაღება შეუძლიათ მხოლოდ მათთვის სპეციალურად გამოყოფილი 3 სექტორიდან (რომელთა ზომაა 5 × 5 მ. მ.). აქვე შეიძლება დაიდგას საფეხურებიანი ბაქანი ან კინოგადამღები ამწე, საიდანაც რეპორტიორები შეძლებენ ცერემონიალის გადაღებას. ამ სექტორებშივე არიან დანარჩენი ჟურნალისტები.

პრესის და ტელევიზიის წარმომადგენლები წინასწარ ეცნობიან მუშაობის ზემოხსენებულ პირობებს, რათა დროულად განსაზღვრონ თავიანთი ადგილი.

გაცილებისას ჟურნალისტები აეროპორტში მიდიან წინასწარ, მთავარი ავტოკოლონის მისვლამდე და იკავებენ თავიანთ ადგილებს.

ზემოთმოყვანილი განაწესის განხორციელებაზე ზრუნავს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საინფორმაციო სააგენტო, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დახვედრის და გაცილების ორგანიზაციაში მონაწილეობს.

2. აეროპორტის ადმინისტრაციას ევალება:

— საფრენ მინდორზე აღნიშნოს და პერიოდულად განაახლოს ხაზი, რომლის გასწვრივაც მწკრივდებიან დამხვედრი ოფიციალური პირები. მაღალი რანგის სტუმრის ჩამოსვლამდე და გამგზავრებამდე 3 საათით ადრე საფრენ მოედანზე ზონრების საშუალებით შემოღობოს 3 სექტორი, სადაც განლაგდებიან პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

— სახელმწიფოს მეთაურის ან მთავრობის მეთაურის ჩამოსვლის შემთხვევაში მოამზადოს ნოხი (2.5 × 2.5 მ. მ.), რომელზეც დგებიან მთავარი სტუმარი და მთავარი დამხვედრი პირი საპატიო ყარაულის მარშის დროს;

— ჩამოსვლის და გამგზავრების დროს თვითმფრინავი, რომლითაც მგზავრობს მთავარი სტუმარი, შეაჩეროს ერთსა და იმავე, წინასწარ განსაზღვრულ ადგილზე;

— სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის, აგრეთვე საგარეო საქმეთა, ან თავდაცვის მინისტრის ჩამოსვლის შემთხვევაში მოამზადოს ნოხით დაფარული ტრაპი;

— უზრუნველყოს წესრიგი და სისუფთავე აეროპორტის მთელ ტერიტორიაზე. სტუმრის დახვედრის და გაცილების დროს მინიმუმამდე შეამციროს საფრენ მინდორზე აეროპორტის თანამშრომელთა რაოდენობა;

— მიიღოს ზომები, რათა გამორიცხოს მაღალი რანგის სტუმრის თვითმფრინავის გამგზავრების დაგვიანების ყოველგვარი მიზეზი.

3. ქალაქ თბილისის მერიას ევალება უზრუნველყოს:

— მაღალი რანგის სტუმრების დახვედრისა და გაცილებისას აეროვაგზლის შენობის სახურავზე (რკინიგზის ვაგზალში) და ქუჩებში, სადაც გაივლის ავტომანქანების კორტეჟი, აეროპორტიდან (ვაგზლიდან) რეზიდენციამდე სტუმრის ქვეყნის და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშების, აგრეთვე მისასალმებელი ტრანსპარანტების (უცხო და ქართულ ენებზე) გამოკიდვა. დროშების და ტრანსპარანტების გამოკიდვა უნდა დამთავრდეს სტუმრის ჩამოსვლამდე და გამგზავრებამდე არა უგვიანეს 3 საათით ადრე.

— სტუმრობის პროგრამით გათვალისწინებული ყველა ობიექტის მზადყოფნა; მათი გათბობით (ცივ ამინდში), ელექტროენერგიით, ცივი და ცხელი წყლით შეუფერხებელი მომარაგება.

4. კავშირგაბმულობის სამინისტროს ევალება:

— მაღალი რანგის სტუმრები და ჟურნალისტები უზრუნველყოს საზღვარგარეთთან საიმედო კავშირით (ტელეფონი, ტელექსი, ფაქსი, ტელეტაიპი), ადგილობრივი და უცხოური პრესით.

5. ჯანმრთელობის დაცვის და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს ევალება:

— საჭიროების შემთხვევაში, მთავარ სტუმარს, დელეგაციის წევრებსა და თანმხლებ პირებს აღმოუჩინოს სამედიცინო დახმარება.

6. სახელმწიფო რეზიდენციაში („კრწანისი") უცხოელი სტუმრებისა და დელეგაციების მიღება

სახელმწიფო რეზიდენციაში („კრწანისი") ხდება მხოლოდ მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების დაბინავება, კერძოდ:

— სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურების და მათი მოადგილეების (ოჯახის წევრებისა და თანმხლები პირების);

— სახელმწიფო დელეგაციების წევრების;

— სამთავრობო დელეგაციების წევრების;

— საპარლამენტო დელეგაციების წევრების;

— საგარეო საქმეთა მინისტრების, მათი მოადგილეებისა და თანმხლები პირების;

— თავდაცვის მინისტრების, მათი მოადგილეებისა და თანმხლები პირების;

— ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული უცხოეთის ქვეყნების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩებისა და თანმხლები პირების;

— გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების (უზენაესი საბჭოს სამდივნოს, მთავრობის სახელმწიფო კანცელარიისა და მთავრობის მთავარი სამეურნეო სამმართველოს გადაწყვეტილებით).

საჭიროების შემთხვევაში დელეგაციის წევრების და თანმხლები პირების ნაწილი შეიძლება დაბინავდეს სასტუმროში.

თეატრის წარმოდგენაზე (კონცერტზე) დასწრება

თეატრის წარმოდგენაზე (კონცერტზე) ოფიციალური დასწრების შემთხვევაში მთავარ სტუმართან ერთად ცენტრალურ ლოჟაში იმყოფება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, მთავრობის თავმჯდომარე.

წარმოდგენაზე (კონცერტზე) დელეგაციის წევრებისა და თანმხლები პირების გარდა უცხოელ კორესპონდენტებსაც იწვევენ.

სცენის თავზე გამოკიდულია შესაბამისი ქვეყნის (მარცხნივ, თუ ლოჟიდან ვუყურებთ) და საქართველოს რესპუბლიკის (მარჯვნივ) სახელმწიფო დროშები.

თუ ოფიციალური ვიზიტის მსვლელობისას წარმოდგენას (კონცერტს) სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაური ესწრება, წარმოდგენის (კონცერტის) დაწყების წინ სრულდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები (თითო კუპლეტი).

წარმოდგენის (კონცერტის) დამთავრების შემდეგ მსახიობებს მთავარი სტუმრის სახელით (მთავარი სტუმრის საკუთარი ბარათით) ყვავილების კალათას ან თაიგულს მიართმევენ.

მოგზაურობა რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში

საქართველოს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში მოგზაურობისას მაღალი რანგის სტუმარს თან დაჰყვებიან (იმის მიხედვით, თუ ვინ არის მთავარი სტუმარი, და პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით);

სახელმწიფოს მეთაურს — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე;

მთავრობის მეთაურს — მთავრობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე;

საპარლამენტო დელეგაციას — უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე;

საგარეო საქმეთა მინისტრს — საგარეო საქმეთა მინისტრი ან მისი მოადგილე.

ზემოთჩამოთვლილ დელეგაციებს და სტუმრებს თან დაჰყვებიან უზენაესი საბჭოს დეპუტატები, მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები (ან მათი მოადგილეები), რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (მთავრობის) აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

საქმიანი ვიზიტი

საქმიანი ვიზიტების რიცხვს განეკუთვნება ისეთი ვიზიტები, რომელთა დროს სახელმწიფოს მეთაურები, მთავრობის მეთაურები, სხვა სახელმწიფო მოღვაწეები, პარლამენტებისა და მთავრობათა დელეგაციები ეწვევიან რესპუბლიკას პოლიტიკური კონსულტაციების მიზნით, გამოფენების ან რაიმე სხვა ობიექტის გასახსნელად, საერთაშორისო თათბირებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად, ხელშეკრულებების ხელმოსაწერად, საიუბილეო თარიღების აღსანიშნავად და ა. შ.

საქმიანი ვიზიტის დროს, ოფიციალურ ვიზიტთან შედარებით, საოქმო ცერემონიალი გამარტივებულია. ამ დროს ტარდება მხოლოდ ერთი საოქმო ღონისძიება — სადილი ან საუზმე. ძირითადი ყურადღება ეთმობა საქმიან მოლაპარაკებებს. საქმიანი ვიზიტის დროს აეროპორტში (ვაგზალში) გამოიკიდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები. საოქმო ცერემონიალი არ ითვალისწინებს სახელმწიფო ჰიმნების შესრულებას და საპატიო ყარაულის მონაწილეობას. ქუჩებში სახელმწიფო დროშები და მისასალმებელი ტრანსპარანტები არ გამოიკიდება. მთავარ სტუმარს არ დაჰყვება მოტოციკლისტთა ესკორტი. მის ავტომანქანაზე მაგრდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები და მიაცილებენ მხოლოდ სახელმწიფო ავტოინსპექციის მანქანები.

არაოფიციალური ვიზიტი

არაოფიციალური ვიზიტების რიცხვს განეკუთვნება საზღვარგარეთის ქვეყნების მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეთა ვი-

ზიტები დასვენების, მკურნალობის, ტურიზმის მიზნით ან პირად საქმეებთან დაკავშირებით.

არაოფიციალური ვიზიტის დროს ოფიციალური საოქმო ღონისძიებები, როგორც წესი, არ ტარდება. სტუმრების მიღების პროგრამა დგება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით.

ვიზიტი გავლით (ტრანზიტით)

ასეთი სახის ვიზიტებს განეკუთვნება სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა (ან მათი ხელმძღვანელობით სახელმწიფო და სამთავრობო დელეგაციების), საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ასეთი ვიზიტების დროს თბილისის აეროპორტში (ვაგზალში) სტუმრებს ხვდებიან და აცილებენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, მთავრობის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ან მისი მოადგილე, უზენაესი საბჭოს, მთავრობის და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

თუ მაღალი რანგის სტუმრები ასეთი ვიზიტით ჩადიან რესპუბლიკის რომელიმე სხვა ქალაქში, მათ რესპუბლიკის ზემოხსენებულ ხელმძღვანელებთა და ოფიციალურ პირთა გარდა ხვდებიან და აცილებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები.

დახვედრის ადგილზე გამოიკიდება სახელმწიფო დროშები. თუ დრო ამის საშუალებას იძლევა, სტუმრების პატივსაცემად გაიმართება არაოფიციალური სადილი (საუზმე), რომელსაც დამხვედრი ოფიციალური პირები დაესწრებიან. სხვა საოქმო ღონისძიებები არ ტარდება.

საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტები

საპარლამენტო დელეგაციის დახვედრისას აეროპორტში (ვაგზალში) გამოიკიდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები.

დელეგაციას ხვდებიან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (ან მი-

სი მოადგილე), საგარეო ურთიერთობათა კომისიის თავმჯდომარე (ან მისი მოადგილე), დეპუტატები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, უზენაესი საბჭოს აპარატისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები.

დელეგაციის ხელმძღვანელის ავტომანქანაზე მაგრდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები, სტუმრების მანქანებს დაჰყვებიან სახელმწიფო ავტოინსპექციის ავტომანქანები. სახლზე, რომელშიც დაბინავებულია დელეგაციის ხელმძღვანელი, აღიმართება შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო დროშა.

თუ დელეგაციის ხელმძღვანელი მეუღლით ეწვევა საქართველოს, მთავარი დამხვედრი პირი მეუღლესთან ერთად ხვდება და აცილებს სტუმრებს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი

უცხოეთის ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტის დროს დახვედრის ადგილზე გამოიკიდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები. დროშები მაგრდება აგრეთვე მთავარი სტუმრის ავტომანქანაზე. ქალაქის ქუჩებში დროშები არ გამოიკიდება. სახლზე, რომელშიც დაბინავებულია მთავარი სტუმარი, აღიმართება შესაბამისი ქვეყნის დროშა. მთავარი სტუმრის ავტომანქანას დაჰყვება საქართველოს ავტოინსპექციის მანქანები. თეატრის წარმოდგენაზე (კონცერტზე) დასწრებისას სცენის თავზე გამოიკიდება შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშები, მაგრამ სახელმწიფო ჰიმნები არ სრულდება.

აეროპორტში (ვაგზალში) საგარეო საქმეთა მინისტრს ხვდება და აცილებს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ან მისი მოადგილე (პოლიტიკური მოსაზრებების გათვალისწინებით), სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები. თუ სტუმარი მეუღლითურთ ჩამოდის, მთავარი დამხვედრი პირი მეუღლესთან ერთად ხვდება და აცილებს მათ.

უცხოეთის ქვეყნის თავდაცვის მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ტარდება იმავე საოქმო ცერემონიალის დაცვით, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი.

* * *

სახელმწიფო მეთაურებისა და მათი მოადგილეების, მათი ხელმძღვანელობით სახელმწიფო დელეგაციების, საპარლამენტო დელეგაციების ვიზიტების ორგანიზაციას ახორციელებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნო, მთავარი სამეურნეო სამმართველო და საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილება.

მთავრობის მეთაურების, მოადგილეების, მათი ხელმძღვანელობით სამთავრობო დელეგაციების, საგარეო საქმეთა მინისტრების ვიზიტების ორგანიზაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარია, სამეურნეო სამმართველო და საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილება.

უცხოეთის ქვეყნების სხვა დანარჩენ დელეგაციებსა და სახელმწიფო მოღვაწეებს ხვდებიან და აცილებენ შესაბამისი სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები, რომლებსაც სტუმართა ვიზიტის ორგანიზაცია ევალებათ.

განურჩევლად იმისა, თუ რა არხით ჩამოდის მაღალი რანგის სტუმარი, თითოეული სამინისტროს, უწყებისა თუ დაწესებულების ხელმძღვანელმა, რომელსაც ვიზიტის ორგანიზაცია დაევალა, უნდა შეადგინოს სტუმრების მიღებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოების გეგმა. წინასწარ უნდა განისაზღვროს საკითხები და დეტალები და, შესაბამისად, განისაზღვრონ თანამდებობის პირები, რომლებსაც დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კონკრეტული დავალების შესრულებისათვის, რათა ვიზიტი შეუფერხებლად, მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარდეს. კერძოდ, ასეთი გეგმა უნდა წყვეტდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა:

— აეროპორტის (ვაგზლის) სათავსოების, საფრენი ბილიკის, ტრაპის მომზადება. სტუმრებისათვის თბილისიდან გასამგზავრებელი ბილეთების დაჯავშნა;

— სახელმწიფო რეზიდენციაში სახლების მომზადება;

— სასტუმროში ოთახების მომზადება;

— სახელმწიფო რეზიდენციასა და სასტუმროში თანამშრომელთა მორიგეობის დაწესება;

— რეზიდენციასა და სასტუმროში მორიგე თარჯიმნის გამოყოფა. ავტომანქანებში სტუმრების და მასპინძლების განაწილების

სქემის შედგენა, ავტომანქანების მომზადება, მანქანებზე (სქემის თანახმად) რიგითი ნომრების დაყენება;

— სტუმრების სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა;

— საქართველოს ტელევიზიით, რადიოთი და პრესით საქართველოში დელეგაციის სტუმრობის გაშუქება;

— საქართველოში სტუმართა მოგზაურობის ამსახველი ფოტოსურათების კომპლექტების მომზადება;

— სტუმრობის პროგრამის, ავტომანქანებში, რეზიდენციაში, სასტუმროში სტუმართა განაწილების სიის (ტელეფონის ნომრების მითითებით), წვეულებაზე მოსაწვევი ბარათების და კონვერტების, ხელოვნების ოსტატთა კონცერტის პროგრამის, კუვერტული ბარათების, წვეულების მენიუს დაბეჭდვა;

— ყვავილების თაიგულებისა და კალათების მომზადება;

— დახვედრისას სტუმრების ბარგის აეროპორტიდან (ვაგზლიდან) რეზიდენციასა და სასტუმროში, ხოლო გაცილებისას აეროპორტში (ვაგზალში) გადატანის უზრუნველყოფა;

— კვების ორგანიზაცია სტუმართა კვების თავისებურების გათვალისწინებით; რეზიდენციასა და სასტუმროში კვების მენიუს შედგენა;

— ოფიციალური და არაოფიციალური წვეულებების მენიუს შედგენა;

— ოფიციალურ წვეულებაზე ხელოვნების ოსტატთა კონცერტის პროგრამის შედგენა;

— რეზიდენციაში, სასტუმროში, რესტორანში, აეროპორტში (ვაგზალში), თეატრში საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფა;

— სტუმრების უზრუნველყოფა რესპუბლიკური და საზღვარგარეთის პრესით, ღია საფოსტო ბარათებით (საქართველოსა და თბილისის ამსახველი ხედებით);

— სამახსოვრო სუვენირების მომზადება;

— პროგრამით გათვალისწინებულ ობიექტებზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

— აეროპორტის, რეზიდენციის, სასტუმროს, პროგრამით გათვალისწინებული ყველა ობიექტის უზრუნველყოფა ცივი და ცხელი წყლით, ელექტროენერგიით, კონდიციონერებით, გათბობით (ცივ ამინდში);

— სტუმრების მიღების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვის შედგენა, ხარჯების დაფინანსების წყაროების დადგენა;

— შესაბამისი ქვეყნისა და საქართველოსა და შესაბამის ქვეყანას შორის ურთიერთობების შესახებ ცნობების მომზადება;

— პროგრამით გათვალისწინებული ყველა დასათვალიერებელი ობიექტის მზადყოფნის უზრუნველყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში უცხოელი სტუმრებისა და დელეგაციების მიღებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ჩატარების გ ა ნ ა წ ე ს ი

1. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები და სხვა იურიდიული პირები უცხოელი სტუმრებისა და დელეგაციების უზენაეს საბჭოში მიღების მიზანშეწონილობის შესახებ წინასწარ, მიღებამდე არა უგვიანეს 5 დღით ადრე, აცნობებენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შესაბამის დარგობრივ კომისიას.

2. სამინისტროები, უწყებები და სხვა იურიდიული პირები, რომლებიც საკითხს აყენებენ უცხოელი სტუმრების მიღების აუცილებლობის შესახებ, უზენაესი საბჭოს შესაბამის კომისიასთან მოლაპარაკებისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 3 დღისა სტუმრების მიღებამდე, უზენაესი საბჭოს სამდივნოს წარუდგენენ (2 ეგზემპლარად) შემდეგ მასალებს:

— შეხვედრის ჩატარების მიზანშეწონილობის დასაბუთებას და სასურველ დროს;

— უცხოელ სტუმართა საქართველოში ყოფნის პროგრამას;

— იმ უცხოელი სტუმრების სიას, რომლებიც უნდა დაესწრონ საუბარს;

— ცნობას დელეგაციის წევრებისა და საქართველოში მათი ჩამოსვლის მიზნების შესახებ;

— საკითხების ნუსხას, რომლებიც შეიძლება სტუმრებმა დააყენონ შეხვედრის დროს, როგორი პასუხები (სათანადო დასაბუთებითურთ) უნდა გაეცეს ამ საკითხებს. სტუმრების წინაშე დასაყენებელი საკითხების ნუსხას (სათანადო დასაბუთებითურთ);

— საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან საუბრის მონაწილეთა სავარაუდო სიას.

გარდა ზემოაღნიშნული მასალებისა უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი, საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან, სხვა სამინისტროებისა და უწყებებისაგან გამოითხოვს დამატებით საცნობარო მასალებს.

3. თუ საქმე ეხება უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ კომისიაში უცხოელ სტუმრებთან (ან დელეგაციასთან) საუბარს, სტუმართა მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისიის ხელმძღვანელობა, რომელიც უზენაესი საბჭოს სამდივნოს ატყობინებს მიღების დღესა და საათს, აგრეთვე დამსწრეთა რაოდენობას.

თუ საქმე ეხება უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის (მისი მოადგილის) მიერ უცხოელი სტუმრის (ან დელეგაციის) მიღებას, უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსი, შესაბამისი დარგობრივი და საგარეო ურთიერთობათა კომისიების ხელმძღვანელობის შეხედულებათა გათვალისწინებით, უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობას უთანხმებს უცხოელი სტუმრის (დელეგაციის) მიღების (ან უარის თქმის) საკითხს, ასევე იმას, თუ კონკრეტულად რა დონეზე, ვინ და როდის (დღე, საათი) უნდა მიიღოს სტუმრები.

მაღალი რანგის წარმომადგენელთა (სახელმწიფოს, მთავრობის, პარლამენტის ხელმძღვანელების, მათი მოადგილეების, სახელმწიფო, სამთავრობო, საპარლამენტო დელეგაციების, მინისტრების, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების) მიღება ხდება მისაღებ თეთრ დარბაზში, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

თუ სტუმრებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი იღებს, სამდივნოს უფროსის მოადგილე მათ ხვდება შენობის პირველ სართულზე, ასევე აცილებს მათ მანქანამდე.

თუ სტუმრებს იღებენ ერთ-ერთ კომისიაში, კომისიის კონსულტანტი მათ ხვდება შენობის პირველ სართულზე, ასევე აცილებს მათ მანქანამდე.

სამინისტრომ, უწყებამ, ორგანიზაციამ, რომელიც სტუმრებს მასპინძლობს, უზენაეს საბჭოში უნდა მიიყვანოს ისინი შეხვედრის დაწყებამდე 5 წუთით ადრე.

4. უზენაესი საბჭოს შესაბამის დარგობრივ კომისიას ევალება:

ა) დასაბუთებული წინადადებები და მოსაზრებები მოამზადოს იმის თაობაზე, თუ რა საკითხები უნდა დასვას საქართველოს მხარემ საუბრის პროცესში, რა წინადადებები ან პრობლემები შეიძლება წამოჭრან სტუმრებმა საუბრისას, როგორი პასუხები უნდა გაეცეს ამ საკითხებს, საუბრის შედეგად რა მიზნების მიღწევაა სასურველი და შესაძლებელი საგარეო პოლიტიკაში, კერძოდ, შესაბამის ქვეყანასთან ურთიერთობებში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ინტერესებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით;

ბ) უზრუნველყოს უცხოელ სტუმრებთან ჩატარებული უკლებლივ ყველა საუბრის ჩაწერა და თითოეული შეხვედრის შესახებ გაანალიზებული ცნობის მომზადება. ცნობაში უნდა აისახოს მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები, წინადადებები და მიღწეული შეთანხმებები;

გ) მოამზადოს სათანადო დოკუმენტები (ხელშეკრულებების, შეთანხმებების, ხელისუფლების ორგანოების გადაწყვეტილებების, წერილების პროექტები და ა. შ.) შეხვედრის დროს მიღწეული შეთანხმებების განხორციელების მიზნით. ამ დოკუმენტების მომზადებისას გაითვალისწინოს საგარეო საქმეთა, იუსტიციის, აგრეთვე სხვა დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების წინადადებები. სისტემატური კონტროლი დააწესოს ცხოვრებაში მათი პრაქტიკული გატარების უზრუნველსაყოფად. მოამზადოს ანგარიში შეხვედრის დროს მიღწეეული შეთანხმებების განხორციელების საბოლოო შედეგების შესახებ.

5. უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს ევალება:

ა) უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს, საგარეო ურთიერთობათა, თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის შესაბამის დარგობრივ კომისიებს გადასცეს საცნობარო მასალები; შეუთანხმოს ხელმძღვანელობას იმ ოფიციალურ პირთა სია (როგორც სტუმრების, ისე საქართველოს მხრიდან), რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საუბარში. მოიწვიოს ის პირები;

ბ) შეხვედრის შესახებ აცნობოს პრესის სამსახურს, მოიწვიოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები;

უცხოელ სტუმრებთან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრის შედეგების შესახებ ოფიციალურ ცნობას რესპუბლიკის მა-

სობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ამზადებს უზენაესი საბჭოს სამდივნო საგარეო ურთიერთობათა და შესაბამის დარგობრივ კომისიათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით;

გ) იზრუნოს (საჭიროების შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო სამსახურის მონაწილეობით) სტუმრების მიღებისას დიპლომატიური ოქმის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვაზე. უზრუნველყოს საუბრის თარგმნის ორგანიზაცია;

დ) აწარმოოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ხელმძღვანელობისა და კომისიების მიერ მიღებული ყველა უცხოელი სტუმრის აღრიცხვა;

ე) ყოველი წლის ბოლოს, საგარეო ურთიერთობათა კომისიასთან ერთად, შეაჯამოს წლის განმავლობაში უცხოელ სტუმრებთან შეხვედრების შედეგები და გაანალიზებული ცნობა წარუდგინოს ხელმძღვანელობას.

ყოველი წლის ბოლოს მოამზადოს კრებული, რომელშიც უცხოელ სტუმრებთან თითოეული შეხვედრის შესახებ შევა შემდეგი მასალები:

შეხვედრის მონაწილეთა სია;

შეხვედრასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საცნობარო მასალების ასლები;

შეხვედრის შესახებ გაანალიზებული ცნობის ასლი;

შეხვედრის შედეგად მომზადებული დოკუმენტების ასლები;

შესაბამისი კომისიის ანგარიში შეხვედრის დროს მიღწეული შეთანხმების განხორციელების საბოლოო შედეგების შესახებ;

(ზემოაღნიშნული ინფორმაციის შენახვის მიზნით, შეიქმნას კომპიუტერული ბანკი, რათა მომავალში, საჭიროების შემთხვევაში, იმავე სტუმართან ან იმავე ქვეყნის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრისას შესაძლებელი იყოს ამ ინფორმაციის ოპერატიული და სრულფასოვანი გამოყენება);

ვ) სტუმრების მიღების შესახებ ერთი დღით ადრე შეატყობინოს მთავარ სამეურნეო სამმართველოს, რომელიც ვალდებულია:

იზრუნოს დარბაზის (კაბინეტის) მომზადებისათვის (განათება, გათბობა, კონდიციონირება და ა. შ.).

უზრუნველყოს სტუმრების ჩაით, ყავით, ლიმონათით, ბორჯომით, ხილით გამასპინძლება;

მოამზადოს სამახსოვრო საჩუქრები სტუმრებისათვის.

6. ამ განაწესის თანამიმდევრული შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამდივნოს უფროსს.

უზენაესი საბჭოს სამდივნო (მთავრობის სახელმწიფო კანცელარია და მთავარი სამეურნეო სამმართველო, საგარეო საქმეთა სამინისტრო ან სხვა შესაბამისი უწყება, რომელიც მასპინძლობს სტუმრებს) წინასწარ ადგენს მაღალი რანგის სტუმრებისა და დელეგაციების საქართველოში მიღებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვას და წყვეტს ამ ხარჯების ანაზღაურების წყაროების საკითხს.

სახელმწიფო დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტებთან დაკავშირებით

სახელმწიფო მეთაურის ან მაღალი რანგის დელეგაციის საზღვარგარეთ გამგზავრების საკითხს აგვარებენ ან სახელმწიფოს საზღვარგარეთის ქვეყანაში არსებული დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საგარეო საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული და საოქმო განყოფილებები.

მოსამზადებელი ღონისძიების უმთავრესი საკითხია დელეგაციის სტუმრობის პროგრამის შედგენა და მისი მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელებთან შეთანხმება. მხარეთა შეთანხმების შედეგად ოფიციალური ვიზიტისათვის შერჩეულ ქვეყანაში ჩადის ვიზიტის მოსამზადებელი ჯგუფი, რომელშიც შედიან საგარეო საქმეთა სამინისტროს, უშიშროების და სამედიცინო სამსახურების თანამშრომლები. მოსამზადებელი ჯგუფი ეცნობა მასპინძელი ქვეყნის მიერ შემუშავებულ სტუმრობის გეგმას, იმ ადგილებს, სადაც გათვალისწინებულია სტუმრის მისვლა, აზუსტებს საოქმო ცერემონიალის დეტალებს, ტრანსპორტით მომსახურების, კავშირგაბმულობის, კვების, საერთოდ მომსახურების საკითხებს. ყველა ეს ღონისძიება ტარდება მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო სამსახურთან ერთად.

საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყნის მეთაურის ყოფილ საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს, როდესაც პროგრამაში საქართველოში ჩამოსვლაც იყო გათვალისწინებული, წინასწარ ჩამოდიოდნენ მოსამზადებელი ჯგუფები. საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით, ვიზიტამდე ერთი თვით ადრე საქართველოს ეწვია მოსამზადებელი ჯგუფი

30 კაცის შემადგენლობით. ჯგუფში შედიოდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო სამსახურის, პრეზიდენტის დაცვის, სამედიცინო სამსახურის მუშაკები. ისინი დეტალურად გაეცნენ მიტერანის საქართველოში ვიზიტის სავარაუდო გეგმას, შეიტანეს მასში ორივე მხარისათვის მისაღები ცვლილებები, ეწვივნენ იმ ობიექტებს, რომელიც უნდა მოენახულებინა პრეზიდენტს. სხვადასხვა მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ეს ვიზიტი არ განხორციელდა.

მოსამზადებელი ჯგუფების საზღვარგარეთ გამგზავრება ეწყობა მხოლოდ ქვეყნის მეთაურის ვიზიტის დროს.

დიპლომატიურ პრაქტიკაში მიღებულია ორი ქვეყნის ხელმძღვანელის მესამე ქვეყანაში შეხვედრა, ამ შემთხვევაში ორივე ქვეყნის საოქმო სამსახური თანხმდება საოქმო ცერემონიალების მოწყობის პარიტეტულობის თაობაზე. ორივე ქვეეყნის საოქმო სამსახური მასპინძელი ქვეყნის საოქმო სამსახურთან მჭიდრო კონტაქტში ახორციელებს დიპლომატიური ცერემონიალით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. როგორც წესი, მოლაპარაკებები მიმდინარეობს ხან ერთი და ხან მეორე ქვეყნის საელჩოებში. ხელშეკრულებაზე ხელს აწერენ მასპინძელი ქვეყნის მიერ გამოყოფილ შენობაში. მასპინძელი ქვეყნის ხელმძღვანელი იღებს მოლაპარაკებაში მონაწილე ორივე ქვეყნის ხელმძღვანელს.

საერთაშორისო კონფერენციაზე დიპლომატიური ოქმის დაცვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად ითვლება დიპლომატიურ პრაქტიკაში.

დიდი ადგილი ეთმობა კონფერენციის ადგილის განსაზღვრას, ტექნიკური პირობების გათვალისწინებას (შენობა, ტექნიკური აღჭურვილობა, სასტუმროები, ტრანსპორტი, კლიმატი). დიდი მნიშვნელობა აქვს უსაფრთხოების საკითხსაც.

სწორედ ამიტომ კონფერენციისათვის ხშირად არჩევენ ნეიტრალურ ქვეყნებს — შვეიცარიას, ავსტრიას.

1942 წელს, როდესაც სამი მოკავშირე სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის და სსრ კავშირის მეთაურთა შეხვედრის ადგილის საკითხი წყდებოდა, სისტემატური მიმოწერა გაიმართა მოსკოვს, ლონდონსა და ვაშინგტონს შორის. 1942 წლის 2 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა — რუზველტმა მხარეებს შეხვედრის აფრიკაში მოწყო-

ბა შესთავაზა, ვინაიდან იქ სამი სახელმწიფოს ლიდერის შეხვედრა ყველაზე უსაფრთხო იყო. ამაზე სტალინმა უპასუხა, რომ სტალინგრადთან სერიოზულ სამხედრო ოპერაციებთან დაკავშირებით მას არ შეეძლო დიდი ხნით დაეტოვებინა მოსკოვი. 1943 წლის მაისში რუზველტმა მხარეებს შესთავაზა ასეთი შეხვედრის გამართვა იმავე წლის ზაფხულში ბერინგის სრუტის საბჭოეთის ან ამერიკის მხარეს. თავის პასუხში 1943 წლის 26 მაისს სტალინმა შეხვედრის ადგილად ფერბენქსი (ალიასკა) დაასახელა, თავის მხრივ ჩერჩილმა შოტლანდიის სამხედრო-საზღვაო პორტ სკაპაფლოუში მოინდომა შეხვედრა, მაგრამ სამხედრო მდგომარეობიდან გამომდინარე, სტალინმა უარყო ეს წინადადება და შეხვედრის ადგილად ირანი წამოაყენა. 1943 წლის ნოემბერში თეირანში გაიმართა კონფერენცია.

როგორც წესი, დელეგაციას ხვდებიან მასპინძელი ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები. აღიმართება მასპინძელი და სტუმარი ქვეყნის დროშები. ჰიმნები არ სრულდება.

სახელმწიფოს მეთაური მასპინძელ ქვეყანაში ჩასვლისას მიდის ამ ქვეყანაში არსებულ თავის წარმომადგენლობაში, შემდეგ ეწვევა მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ პირებს.

კონფერენციის დაწყებამდე განისაზღვრება საკონფერენციო დარბაზში დელეგაციების განთავსების საკითხი. საერთაშორისო წესებიდან გამომდინარე დელეგაციები განლაგდებიან ანბანის (ინგლისური ან ფრანგული) მიხედვით.

კონფერენციის გახსნისას დროებით თავმჯდომარედ ითვლება მასპინძელი ქვეყნის მეთაური. პირველი სხდომა საზეიმო ვითარებაში ტარდება. კონფერენციის მომდევნო დღეებში თავმჯდომარეობა წრიული სისტემით, ანბანის მიხედვით მიმდინარეობს.

კონფერენციამდე კარგა ხნით ადრე წყდება საკითხი, თუ რომელ ენაზე იმუშავებს კონფერენცია და რომელ ენაზე დაიბეჭდება მისი მასალები. შუა საუკუნეებში მოლაპარაკება მიმდინარეობდა ლათინურ ენაზე, რომელიც ცივილიზებული ქრისტიანების ენად ითვლებოდა. XVIII და XIX საუკუნეებში სამუშაო ენად იქცა ფრანგული. დღეს გამოიყენება ინგლისური. გაეროში ოფიციალურ ენებად ითვლება ინგლისური, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული. ამ ხუთ ენას ყველა საერთაშორისო კონფერენციაზე არაბულიც ემატება. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი ქვეყ-

ნის წარმომადგენელი გამოდის თავის მშობლიურ ენაზე, რომელიც არ ითვლება კონფერენციის სამუშაო ენად. ასეთ შემთხვევაში დელეგაციამ უნდა იზრუნოს და გამოსვლა ერთ-ერთ სამუშაო ენაზე თარგმნოს.

კონფერენციაზე ყველა დელეგატს თანაბარი რანგი აქვს, სარგებლობს თანაბარი უფლებებით და მის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულებაა. დელეგაციათა მეთაურების უმცროს-უფროსობა ანბანის მიხედვით ხდება.

დელეგაციათა წევრები სარგებლობენ დიპლომატიური იმუნიტეტით.

კონფერენციის დასასრულს მასპინძელი ქვეყანა მართავს მიღებას. მაგალითად, ჰელსინკის 1975 წლის დასკვნითი აქტის დროს პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა წვეულება. სადილზე ყველა დელეგაციიდან ოთხ-ოთხი წევრი იყო მიწვეული. თუ ვინ უნდა ყოფილიყო წვეულებაზე, ამას დელეგაციების მეთაურები წყვეტდნენ. ტანსაცმლის ფორმა იყო შავი კოსტუმი. სასახლის შესასვლელში სტუმრებს ხვდებოდა ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე, რომელიც მათ მიაცილებდა სასახლის ყვითელ დარბაზში, სადაც ხვდებოდათ პრეზიდენტი კეკონენი. შემდეგ ისინი მეორე, სარკეებიან დარბაზში შედიოდნენ, სადაც აცნობდნენ ფინეთის მხრიდან მიღებაში მონაწილეებს.

მაგიდასთან დასხდომის პრინციპი ფრანგული ანბანის მიხედვით იყო გადაწყვეტილი — საათის სვლის საწინააღმდეგო მიმართულებით.

პრეზიდიუმის მაგიდასთან ისხდნენ: ცენტრში — კეკონენი, მის მარჯვნივ გაეროს გენერალური მდივანი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციების მეთაურები; მარცხნივ — იუგოსლავიის, სსრ კავშირის, თურქეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციათა მეთაურები. თარჯიმნები სტუმრების უკან იყვნენ განთავსებულნი.

საოქმო სამსახურის ფუნქცია

დიპლომატიური ოქმის მრავალმხრივი ფუნქციების განხორციელების მიზნით ყველა ქვეყანაში იქმნება სპეციალური სამსახური. ზოგიერთ ქვეყანაში საოქმო სამსახური შექმნილია სახელმწიფო მეთაურთან, მთავრობასთან, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, ზოგან კი მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საოქმო განყოფილების ძირითადი ფუნქცია არის ხელი შეუწყოს ქვეყანაში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისათვის პირობების შექმნას, ამ საკითხებში 1961 წლის ვენის კონვენციის დაცვას. ეს ის სამსახურია, რომელსაც მიმართავენ ქვეყანაში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატები, თუ ირღვევა მათი იმუნიტეტი და პრივილეგიები.

ვენის 1961 წლის კონვენციიდან გამომდინარე, დიპლომატიური წარმომადგენლობა ყოველდღიურ კავშირს ახორციელებს მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ დაწესებულებებთან, პარლამენტთან, საზოგადო ორგანიზაციებთან, ბიზნესმენებთან, მეცნიერებთან და ა. შ. მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიებებში, დიპლომატიურ ცერემონიალსა და სხვა. ამ ღონისძიებათა პრაქტიკულად შესრულების მიზნით საელჩოში გამოყოფილია ერთი ან ორი თანამშრომელი, რომლებიც დიპლომატიური ოქმის მოთხოვნებს ასრულებს. ეს თანამშრომელი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული საკუთარი ქვეყნის დიპლომატიურ ოქმში, საერთაშორისო საოქმო საკითხებსა და მასპინძელი ქვეყნის საოქმო ტრადიციებში.

მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან დიპლომატიური თანამშრომლების ურთიერთობა ქვეყანაში დიპლომატის ჩასვლისთანავე იწყება. ზოგიერთ ქვეყანაში

ტრადიციულად არის მიღებული ელჩის განცხადება პრესისათვის; საელჩოს საოქმო სამსახურის თანამშრომელი ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ აცნობოს ელჩს. საოქმო სამსახურის თანამშრომელი ასევე ვალდებულია ელჩის ჩასვლის შესახებ აცნობოს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სხვა ქვეყნების საელჩოებს.

ელჩის ვიზიტს მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ქვეყნის მეთაურთან და სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ ვიზიტებს ორგანიზაციას უკეთებს საოქმო სამსახურის თანამშრომელი. იგი უძღვება აგრეთვე დიპლომატიურ ცერემონიალს, საელჩოში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებას.

ყველა დიპლომატი და, განსაკუთრებით, საოქმო სამსახურის მუშაკი ვალდებულია იცოდეს მასპინძელი ქვეყნის ტრადიციები. მაგალითად, ინდოეთში, სადაც ძროხას თაყვანს სცემენ, მისი ხორცი კერძის მოსამზადებლად არ გამოიყენება. ინდოელთა გარკვეული ნაწილი ვეგეტარიანელია. მიღების მომზადებისას, თუკი მასზე ინდოელი სტუმარიც არის მოწვეული, წინასწარ უნდა იქნეს დადგენილი სტუმართაგან ვინ არ მიირთმევს ხორცეულს. მუსულმანურ ქვეყანაში რელიგიური დღესასწაულის, რამადანის დროს ყვების გარკვეული რეჟიმია (ჭამა შეიძლება მზის ჩასვლის შემდეგ). ამ ქვეყნებში აკრძალულია სპირტიანი სასმელები, რაც მხედველობაშია მისაღები. მუსულმანურ ქვეყნებში ღორის ხორცს არ ჭამენ. ზოგიერთ აღმოსავლურ ქვეყანაში სამგლოვიარო ფერი არის თეთრი და არა შავი.

დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ დიპლომატიური საქმიანობის შეწყვეტა

დიპლომატიური წარმომადგენლობა მთლიანად წყვეტს თავის მოღვაწეობას მასპინძელ ქვეყანაში მაშინ, როდესაც წყდება დიპლომატიური კავშირი ქვეყანასთან ან ორი ქვეყნის გაერთიანების დროს (გფრ-გდრ). დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში წყდება ყველა სახის ურთიერთობა საელჩოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე მასპინძელი ქვეყნის სხვა ორგანიზაციებს შორის. დიპლომატიური მუშაკები მიემგზავრებიან ქვეყნიდან. დიპლომატიური პერსონალის ქვეყნიდან გამგზავრებაში ხელის შეწყობისათვის დახმარების მიზნით საელჩო უკავშირდება მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო სამსახურს. საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო სამსახურის და სხვა ოფიციალური პირის მიერ ელჩის ან საელჩოს თანამშრომლების გაცილება მიღებული არ არის.

დიპლომატიური ოქმი საერთაშორისო ორგანიზაციაში

მსოფლიოში არსებობს 2800-ზე მეტი სამთავრობათაშორისო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია. მათ შორის ყველაზე გამორჩეულია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო).

გაეროს წესდება მიღებულ იქნა 1945 წლის 26 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოში და ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ამ ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა მსოფლიოში მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნება, ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობების ჯანვითარება და სხვა.

გაეროს ძირითადი ორგანოებია:

1. გენერალური ასამბლეა.
2. უშიშროების საბჭო.
3. ეკონომიკური და სოციალური საბჭო.
4. მეურვეობის საბჭო.
5. საერთაშორისო სასამართლო.
6. სამდივნო.

გაერო არ არის ზესახელმწიფო, მას არა აქვს სუვერენიტეტი, ის იმისთვის არ შექმნილა, რომ რომელიმე სახელმწიფოს ინსტრუქცია შეასრულოს. მისი მთავარი მიზანია განახორციელოს გაეროს წევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი.

გაეროს ოფიციალური პირები იცავენ საერთაშორისო დიპლომატიური ოქმით დაწესებულ ნორმებს ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მუდმივ წარმომადგენლობებთან.

გაეროში ახალი წევრის მიღება წარმოებს გენერალური ასამბ-

ლეის მორიგი სესიის დასაწყისში. (საქართველოს რესპუბლიკა 1992 წლის 31 ივლისს მიღებულ იქნა გაეროს 179-ე წევრად). კენჭისყრის შემდეგ გაეროს საოქმო სამსახურის უფროსი ახალი წევრი-სახელმწიფოს წარმომადგენელს აცილებს დარბაზში მისთვის გამოყოფილ ადგილამდე. წევრად გახდომის მეორე დღეს გაეროს შტაბბინის წინ იმართება საზეიმო ცერემონიალი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის სახელმწიფო დროშის აღმართვას გაეროს წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო დროშების გვერდით. ეს დროშები გამოფენილია ანბანის მიხედვით. ცერემონიალში მონაწილეობენ სესიის ოფიციალური პირები, გაეროს გენერალური მდივანი, სესიაზე დამსწრე დელეგაციების ხელმძღვანელები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ქვეყნის მუდმივი წარმომადგენლის დანიშვნა აგრემანს არ საჭიროებს. მას უფლებამოსილებას ანიჭებს საკუთარი ქვეყნის ხელმძღვანელი. ახლადდანიშნული წარმომადგენელი ნიუ-იორკში ჩასვლის შემდეგ გაეროს საოქმო სამსახურის მეშვეობით ათანხმებს რწმუნების სიგელის გადაცემის საკითხს, დანიშნულ დღეს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლის თანხლებით მიდის გაეროს შენობაში. შენობის შესასვლელში წარმომადგენელს ხვდება გაეროს საოქმო სამსახურის თანამშრომელი, რომელიც 38-ე სართულზე სპეციალურ ოთახში, ე. წ. მაღალი რანგის სტუმრების ოთახში მიაცილებს. აქ წარმომადგენელს ხვდება გაეროს საოქმო სამსახურის უფროსი, რომელიც სტუმრის ვიზიტის შესახებ ატყობინებს გაეროს გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი მუდმივ წარმომადგენელს იწვევს თავის კაბინეტში და მას აქვე გადასცემს რწმუნების სიგელს. სიგელის გადაცემის პროცედურას იღებენ ფოტოგრაფები. ამ ცერემონიალის დროს სიტყვები არ წარმოითქმება. ცერემონიალის შემდეგ, რომელიც 2-3 წუთი გრძელდება, გაეროს გენერალურ მდივანსა და მუდმივ წარმომადგენელს შორის იმართება საუბარი, რომელსაც საოქმო სამსახურის უფროსი და წარმომადგენლის თანმხლები პირები ესწრებიან. ამ საუბრის დროს კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხებს არ განიხილავენ. საუბრის შემდეგ საოქმო სამსახურის უფროსი წარმომადგენელს შენობის გასასვლელამდე მიაცილებს. შემდეგ მუდმივი წარმომადგენლის მიერ რწმუნების სიგელის გადაცემის შესახებ გაეროს საოქმო სამსახური მემორანდუმს უგზავნის გაეროს გენერალური მდივნის ყველა მოადგილეს,

მდივნის თანაშემწეებს. თავის მხრივ, მუდმივი წარმომადგენელი რწმუნების სიგელის ჩაბარების თაობაზე პირადი ნოტით ატყობინებს სხვა ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებს. მიღებული პრაქტიკის თანახმად თუ მუდმივი წარმომადგენელი არის უშიშროების საბჭოს წევრი, ქვეყნის წარმომადგენელი ეწვევა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს, საბჭოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეებს, ნიუ-იორკის მერს და ამ შტატის გუბერნატორს.

გაეროს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენელთა შორის საოქმო უფროს-უმცროსობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ამ საკითხს კიდევ უფრო ართულებს გენერალურ ასამბლეაზე ქვეყნების დელეგაციათა რანგირება. საოქმო ცერემონიალის დარღვევამ შეიძლება დიდი გულისწყრომა გამოიწვიოს გაეროს წევრ სახელმწიფოთა მხრიდან.

საოქმო რიგითობა გაეროში ასეთია:

1. გენერალური მდივანი.
2. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.
3. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თავმჯდომარე.
4. მეურვეობის საბჭოს თავმჯდომარე.
5. ამა თუ იმ ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი (ანბანის მიხედვით) გაეროში.
6. გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე (ანბანის მიხედვით).
7. გენერალური მდივნის თანაშემწეები (ანბანის მიხედვით).
8. მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი.
9. ელჩები (არამუდმივი წარმომადგენლები).
10. სრულუფლებიანი მინისტრები (დესპანები)-(D—2).
11. მინისტრები (დესპანები)-(D—1).
12. მრჩევლები — (P—5).
13. პირველი მდივნები — (P—4).
14. მეორე მდივნები — (P—3).
15. მესამე მდივნები — (P—2).
16. ატაშე — (P—1).

1. გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე.
2. გაეროს გენერალური მდივანი.
3. პრემიერ-მინისტრები.
4. გაეროს გენერალური ასამბლეის ვიცე-თავმჯდომარეები (ანბანის მიხედვით).
5. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე.
6. საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარე.
7. პრემიერ-მინისტრის მოადგილე.
8. გენერალური ასამბლეის ექს-თავმჯდომარე.
9. გაეროს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები (ანბანის მიხედვით).
10. ეკონომიკური და სოციალური საბჭოს თავმჯდომარე.
11. მეურვეობის საბჭოს თავმჯდომარე.
12. გენერალური ასამბლეის ვიცე-თავმჯდომარეები (ანბანის მიხედვით).
13. სხვა მინისტრები (ანბანის მიხედვით).
14. საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლეები (ანბანის მიხედვით).
15. გაეროს გენერალური ასამბლეის ძირითადი კომიტეტის თავმჯდომარეები.
16. დელეგაციათა მეთაურები (საგარეო საქმეთა მინისტრების გარდა).
17. საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეები.
18. გაეროს წევრი სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლები (ანბანის მიხედვით).
19. ადმინისტრაციული და საბიუჯეტო საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე, ადმინისტრაციული ტრიბუნალის თავმჯდომარე.
20. სპეციალიზებული დაწესებულებების მეთაურები.
21. გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე, გენერალური მდივნის თანაშემწეები.
22. დელეგაციის წევრები ელჩის დონეზე (პარლამენტის წევრები ანბანის მიხედვით).
23. დელეგაციის წევრთა მოადგილეები ელჩების დონეზე (ანბანის მიხედვით).

24. დელეგაციის წევრები, ვისაც ელჩის რანგი არა აქვთ (ანბანის მიხედვით).

25. P — 2 (ანბანის მიხედვით).

26. P — 1 (ანბანის მიხედვით).

გაეროს წევრი სახელმწიფოების, დელეგაციათა მეთაურების, თანამდებობის პირებისა და სხვათა დიპლომატიური უფროს-უმცროსობის საკითხი განიხილება კენჭისყრით, რომელსაც გენერალური მდივანი ყოველი სესიის დასასრულს ატარებს. ეს წესი მთელი წლის განმავლობაში, მომავალ სესიამდე მოქმედებს. ქვეყანა, რომელზედაც არჩევანი ჩერდება, საოქმო პრიორიტეტს იღებს. ეს ქვეყანა ყველა ღონისძიებაში პირველია.

მაგალითად, გაეროს № 1 ქვეყანა საოქმო თვალსაზრისით არის ინდონეზია. მის შემდეგ ასო „ი"-დან ანბანის ბოლომდე მოდიან სხვა ქვეყნები, მაგალითად, ირანი და ა. შ. ანბანის ბოლომდე; ხოლო შემდეგ თავიდან ანბანით განლაგდებიან დანარჩენი ქვეყნები, მაგალითად, ალბანეთი, ავღანეთი და სხვა.

გაეროს ოქმი ითვალისწინებს დიპლომატიურ რანგს და დაკავებულ თანამდებობას.

უშიშროების საბჭოში საოქმო უფროსობა განსხვავებულია. უფროსია თავმჯდომარე ქვეყანა, დანარჩენნი კი ანბანის მიხედვით განლაგდებიან. უშიშროების საბჭოში უფროსობის საკითხი ყოველთვიურად იცვლება.

ტრადიციულად, გაეროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარის და გაეროს გენერალური მდივნის სახელით ყოველწლიურად იმართება მიღება სესიაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციათა პატივსაცემად. ასეთი მიღება იმართება გაეროს სესიის დაწყების წინ. მასში მიიწვევენ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს, აგრეთვე ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებს, გენერალური მდივნის მოადგილეებს და თანაშემწეებს, გაეროს განყოფილებათა დირექტორებს. სტუმრები უსხდებიან მრგვალ მაგიდებს, რომელთაგან ორია მთავარი: მაგიდა — № 1, სადაც გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე ზის და № 2 — გენერალური მდივნისათვის. ეს ორი მაგიდა დარბაზის საწინააღმდეგო მხარეებზეა მოთავსებული. სადილის დროს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე წარმოთქვამს გენერალური მდივნის სადღეგრძელოს (და პირიქით).

სადილი 20 საათსა და 30 წუთზე იწყება და მასში განსაზღვრუ-

ლი რაოდენობის სტუმარი მონაწილეობს. სადილის დროს დერეფანში გამოფენილია გაეროს წევრი სახელმწიფოების დროშები ინგლისური ანბანის მიხედვით. რაც შეეხება გაეროში ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლობას, იქაც იმართება მიღებები სხვადასხვა დღესასწაულებთან დაკავშირებით.

იმ შემთხვევაში, თუ გაეროს წევრი სახელმწიფოს მეთაური ან მთავრობის თავმჯდომარე ნიუ-იორკში იმ მიზნით ჩადის, რომ გაეროს გენერალურ მდივანს ეწვიოს, მას აეროპორტში ხვდება გაეროს საოქმო სამსახურის უფროსი და გენერალური მდივნის სახელით ესალმება. გენერალური მდივანი არ ხვდება და არ აცილებს საზღვარგარეთის ამა თუ იმ ქვეყნის მეთაურს.

ოფიციალური შეხვედრა იმართება გაეროს შენობაში. გაეროს გენერალური მდივანი სტუმარს ხვდება შენობის შესასვლელში მეუღლის (თუ სტუმარსაც თან ახლავს მეუღლე) და საოქმო სამსახურის უფროსის თანხლებით. სახელმწიფო მეთაურის მისაღებად გაეროს უშიშროების სამსახურის ოფიცრებისაგან ეწყობა საპატიო ყარაული. მოკლე მისალმების შემდეგ ქვეყნის ხელმძღვანელი გენერალურ მდივანთან და საოქმო სამსახურის უფროსთან ერთად ადიან შენობის 38-ე სართულზე გენერალური მდივნის კაბინეტში, სადაც იმართება საუბარი. ყოველი ასეთი საუბრის დროს გენერალური მდივანი განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა ესწრებოდეს საუბარს.

გენერალური მდივანი სტუმრის პატივსაცემად მართავს საუზმეს ან სადილს. თუ საუზმე ან სადილი საუბრის შემდეგ იმართება, მაშინ გენერალური მდივანი საოქმო სამსახურის უფროსის თანხლებით, სტუმართან ერთად მიემართება მისაღები დარბაზისაკენ. დარბაზის შესასვლელში ეწყობა საპატიო ყარაული. მიღების დაწყების წინ საოქმო სამსახურის უფროსი სტუმარს აცნობს მიღებაზე მოწვეულ პირებს, რის შემდეგაც იმართება საუბარი. საუბრის შემდეგ სტუმრებს იწვევენ დარბაზში, სადაც გაწყობილია მაგიდები. მთავარი სტუმარი და გენერალური მდივანი საოქმო სამსახურის უფროსის თანხლებით დარბაზში ბოლოს შედიან. ფოტოკორესპონდენტები დარბაზში რამდენიმე წუთით გამოჩნდებიან, რათა ფირზე აღბეჭდონ მაგიდასთან მსხდომი მთავარი სტუმარი და გენერალური მდივანი. საუზმე გრძელდება საათი და 30 წუთი, სადილი — 2 საათი. ასეთი მიღების დროს წარმოთქვამენ ხუთწუთიან სადღეგრძელოებს. საუზმის შემდეგ მთავარი სტუმარი და

გენერალური მდივანი საოქმო სამსახურის უფროსის თანხლებით მეორე დარბაზში გადიან. მათთან ერთად დარბაზში შედიან დანარჩენი სტუმრები, რომლებიც ემშვიდობებიან მთავარ სტუმარს, რის შემდეგაც გენერალური მდივანი მთავარ სტუმარს შენობის კარამდე აცილებს.

გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლის წინ ქვეყნის მეთაური გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისა და საოქმო სამსახურის უფროსის თანხლებით შედის კულისებს უკანა ოთახში. ამის შემდეგ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე და გაეროს გენერალური მდივანი შედიან დარბაზში და მათთვის განკუთვნილ ადგილებს იკავებენ პრეზიდიუმში. ამ დროისათვის ყველა დელეგაცია უკვე ადგილზეა. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე ხსნის სხდომას და სთხოვს საოქმო სამსახურის უფროსს დარბაზში შემოიყვანოს სტუმარი ქვეყნის მეთაური.

პრეზიდიუმის ახლოს სტუმრისათვის დგამენ სავარძელს. როდესაც გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე სტუმარს სიტყვას მისცემს, ის საოქმო სამსახურის უფროსთან ერთად ტრიბუნისაკენ მიემართება. მაღალი სტუმრისათვის რეგლამენტი არაა დაწესებული. სიტყვის დამთავრების შემდეგ სტუმარი იკავებს თავის ადგილს სავარძელში. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე მადლობას უხდის სტუმარს, რის შემდეგაც ის და გენერალური მდივანი საოქმო სამსახურის უფროსთან ერთად სტუმარს კარებამდე აცილებენ.

ზოგჯერ გაეროს დიდი დარბაზის გვერდით დარბაზში იმართება მაღალი სტუმრისათვის სესიის მონაწილე დელეგაციათა ხელმძღვანელებისა და ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლების გაცნობის ცერემონიალი. ამ მიღების ორგანიზაცია ევალება მაღალი სტუმრის ქვეყნის მუდმივ წარმომადგენლობას გაეროს საოქმო სამსახურთან ერთად. ასეთი გაცნობის მოწყობის ინიციატივა მაღალ სტუმარს ეკუთვნის.

მთავრობის მეთაურის შეხვედრის ცერემონიალიც იგივეა იმ განსხვავებით, რომ შენობის შესასვლელში მას საოქმო სამსახურის უფროსი, ხოლო 38-ე სართულზე, ლიფტთან გენერალური მდივანი ხვდება. პრემიერის ვიზიტის დროს საპატიო ყარაული არ ეწყობა. მისთვის არც სპეციალური სავარძელი იდგმება დარბაზში.

გაეროში სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრა-გაცილების დროს არ სრულდება სახელმწიფო ჰიმნი.

შენობის შესასვლელში გაეროსა და სტუმრის ქვეყნის დროშებს არ აღმართავენ. მათ შენობის ვესტიბიულში გამოკიდებენ.

გაეროს დროშა დამტკიცდა 1947 წლის 20 ოქტომბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 167-ე რეზოლუციით. 1947 წლის 19 დეკემბერს გენერალურმა მდივანმა მიიღო დროშის დებულება. 1952 წლის 11 ნოემბერს ამ დებულებაში დამატებები იქნა შეტანილი. მისი ზომებია 2 : 3 მ.

თუ გაეროს დროშა სხვა ქვეყნის ეროვნულ დროშასთან ერთად გამოეფინება, მისი ზომა ისეთივე უნდა იყოს, როგორისაც არის სხვა ქვეყნის დროშა.

გაეროს დროშა გამოიფინება გაეროს დღესთან, გაეროს ნებისმიერ ოფიციალურ ღონისძიებასთან დაკავშირებით.

გაეროს წევრი სახელმწიფოს მეთაურის გარდაცვალებისას გაეროს დროშა სანახევროდ ჩამოშვებულია.

კონსულები

კონსული არის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელსაც სახელმწიფო გზავნის უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გარკვეულ რაიონში, რათა შეასრულოს მისი წარმგზავნელი სახელმწიფოს მიერ დაკისრებული მოვალეობანი საზღვარგარეთ მცხოვრები თავისი მოქალაქეების მიმართ. კონსულს ევალება დაეხმაროს მათ, რათა უზრუნველყოს სახელმწიფოს მიერ საკუთარ მოქალაქეთა დაცვა და თვალყური ადევნოს შესაბამისად სრულდება თუ არა სავაჭრო, ეკონომიკური და კულტურული, ნაოსნობასთან დაკავშირებული და ა. შ. შეთანხმებები. იგი ასრულებს როგორც ადმინისტრაციული ხასიათის, ასევე მეთვალყურის ფუნქციებს.

ამრიგად, საკონსულო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოვალეობანი განსხვავდება დიპლომატიურ წარმომადგენელთა მოვალეობისაგან. უწინარეს ყოვლისა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ კონსულები არ ასრულებენ თავისი სახელმწიფოს წარმომადგენლობით ფუნქციებს. ეს ფუნქციები მხოლოდ და მხოლოდ საელჩოებს ეკისრებათ.

დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები არიან მათი დამკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენლები უცხო სახელმწიფოში, რომელთა ფუნქციები და უფლებამოსილება ყველგან ერთნაირია. მხოლოდ მათ კომპეტენციაში შედის საკითხები, რომლებიც ორი სახელმწიფოს პოლიტიკურ ურთიერთობას ეხება. კონსულებს, პირიქით, მათ წარმგზავნელ სახელმწიფოთაგან ეკისრებათ სპეციფიკური ფუნქციები თავიანთ მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც საკონსულოს რაიონში ცხოვრობენ ან ტრანზიტით გაივლიან მასზე. თუმცა ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს

თავისი საკონსულო კორპუსის ფუნქციებს, სტატუსსა და უფლებამოსილებას. კონსულს შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელსაც ცნობს ის სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ამიტომ საკონსულოთა უფლებამოსილება შეზღუდულია ორი სახელმწიფოს მიერ ან იმ რეჟიმით, რომელსაც შეთანხმებისამებრ აწესებენ. უფრო მეტიც, თუ კონსულები თავიანთი წმინდა საკონსულო ფუნქციების შესრულებისას უშუალოდ ემორჩილებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს, საერთო ამოცანათა თვალსაზრისით ისინი დიპლომატიურ წარმომადგენლობათა ნაწილს შეადგენენ და მოწოდებულნი არიან ამ ამოცანათა შესრულებისას ერთობლივად იმოქმედონ.

იმ ამოცანათა მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, რომლებიც კონსულებს დროდადრო ეკისრებათ, მათი მნიშვნელობა გაიზარდა. ახალი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდამ, რომლებმაც დამოუკიდებლობას მიაღწიეს, გამოიწვია დაინტერესება კონსულების მოვალეობათა გამარტივებითა და უნიფიკაციით, პირობებით, რომლებშიც მათ თავიანთი მისიის შესრულება შეუძლიათ, აგრეთვე პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც უნდა მიეცეთ მათ, რათა წარმატებით შეასრულონ თავიანთი ფუნქციები.

ასეთი იყო 1963 წლის 24 აპრილის ვენის კონვენციის მიზანი საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, რომელიც შეიმუშავა, გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიამ. კონვენციას ხელი მოაწერა ორმოცთათერთმეტმა სახელმწიფომ. 77-ე მუხლის თანახმად იგი ძალაში შევიდა 1967 წლის 19 მარტს.

ვენის კონვენცია შეიცავს ორ ხელმოსაწერ ოქმს: ერთია უთანხმოებათა იძულებითი რეგულირების შესახებ და მეორე — საკონსულო დაწესებულებათა თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მოქალაქეობის შესახებ იმ ქვეყანაში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

კონსულთა კატეგორიები

ვენის კონვენცია საკონსულო დაწესებულებათა მეთაურებს ოთხ კლასად ყოფს: გენერალურ კონსულებად, კონსულებად, ვიცეკონსულებად და საკონსულოს აგენტებად. გენერალური საკონსუ-

ლო, ჩვეულებრივ, არსდება ხოლმე უფრო მნიშვნელოვან ცენ-ტრში, ვიდრე საკონსულო; ვიცე-საკონსულო იხსნება გენერალუ-რი საკონსულოსა და საკონსულოს რაიონში, რომლის მეთაურიც კონსულს დაქვემდებარებული შტატიანი თანამდებობის პირია, საკონსულოს სააგენტოები ჩვეულებრივი კანცელარიებია, რომ-ლებიც პორტებში იქმნება და რომლებსაც თავიანთი ქვეყნების მოქალაქენი ან უცხოელები მეთაურობენ. მათ კომპეტენციაში შე-დის ვაჭრობისა და ნაოსნობის საკითხები. სააგენტოს თანამშრომ ლებს ნიშნავს კონსული, რომელიც პასუხისმგებელია საკონსულოს რაიონზე.

თუმცა ვენის კონვენციაში გამოყენებული ტერმინოლოგია სა-კონსულოს ურთიერთობის შესახებ სავალდებულოდ ითვლება, პრაქტიკაში გვხვდება ზოგიერთი გადახრა: მაგალითად, ბრიტანე-თის თანამეგობრობის ქვეყნები ერთმანეთს უცვლიან საკონსულოს თანამდებობათა პირებს, რომლებსაც უმაღლესი კომისრების მოად-გილეებს უწოდებენ. ამ უკანასკნელთ ნიშნავენ თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის მიერ გაგზავნილი წერილით იმ სახელმწიფოს შესაბამისი მინისტრისადმი, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ისინი ეგზეკვატურას არ იღებენ და თავიანთი პერსონალითურთ ისეთივე პრივილეგიებით სარგებლობენ, როგორითაც უცხოეთის კონსულები. ამ პრივილეგიებსა და იმუნიტეტებს მათ ანიჭებთ შე-საბამისი სახელმწიფოს — თანამეგობრობის წევრის კანონი.

კონსულის ფუნქციათა ზოგადი ხასიათი

1963 წლის ვენის კონვენციის პირველი მუხლი ადგენს ტექ-ნიკურ ტერმინოლოგიას, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა კატე-გორიის თანამდებობის პირთა და სხვა პერსონალის სახელწოდებე-ბისათვის. მისი მომდევნო პირველი თავი განიხილავს კონსულის ურთიერთობებს. მუხლი მე-2 მიუთითებს, რომ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება ნიშნავს (თუ საწინააღმდეგო რამ არ არის მითითებული) თანხმობას საკონსულო ურთიერთობებზე. ასეთი ურთიერთობების დამყარება ორმხრივ თანხმობას ითვალისწინებს. შემდეგ მითითებულია, რომ დიპლო-მატიურ ურთიერთობათა გაწყვეტა არ იწვევს ipso facto (თვით ფაქტის ძალით) საკონსულო ურთიერთობათა გაწყვეტას.

საკონსულო დაწესებულების გახსნას, მის კლასიფიკაციას, ადგილსამყოფელსა და საკონსულო რაიონს ადგენს წარმგზავნელი სახელმწიფო იმ ქვეყნის თანხმობით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ნებისმიერი ცვლილება უნდა ხდებოდეს მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით. იშვიათია შემთხვევა, როდესაც წარმგზავნელი სახელმწიფო სურვილს გამოთქვამს შეიცვალოს საკონსულო დაწესებულების კლასიფიკაცია ან რაიონი, დააწესოს ვიცე-საკონსულო ან საკონსულო სააგენტო საკონსულო დაწესებულების რაიონში ან გახსნას კანცელარია სადმე სხვა ადგილას.

1963 წლის ვენის კონვენციის მე-5 მუხლი, რომელშიც გათვალისწინებულია საკონსულოს წინაშე მდგომი ამოცანები, შეიცავს კონსულის ფუნქციების ზოგად ჩამონათვალს:

1. დაიცვას იმ სახელმწიფოს ფიზიკური ან მორალური ინტერესები, ვისი წარმომადგენელიც არის. აქედან გამომდინარეობს, კერძოდ, პასპორტებისა და ვიზების გაცემის უფლება, ნოტარიუსის, სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრატორისა და სხვა მსგავსი თანამდებობის პირების მოვალეობათა შესრულება. მოქალაქეთა ინტერესების დაცვა გარდაცვალების შემთხვევაში (mortis causa). არასრულწლოვანთა და არაქმედუნარიან პირთა ინტერესების დაცვა, წარმგზავნელი ქვეყნის მოქალაქეთა წარმომადგენლობა იმ ქვეყნის სასამართლოში, სადაც საკონსულო იმყოფება, სასამართლო ქაღალდების გადაცემა, სასამართლოებთან, მფრინავ აპარატებთან და მათ ეკიპაჟებთან დაკავშირებული ზედამხედველობა და დახმარების გაწევა. მსგავსი და სხვა ნებისმიერი ფუნქციების შესრულებისას, რომლებსაც წარმგზავნელი სახელმწიფო საკონსულოს თანამდებობის პირს აკისრებს (რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება იმ სახელმწიფოს ინტერესებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება), კონსულს შეიძლება დაევალოს ამ სახელმწიფოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება იმ სახელმწიფოს კანონების ფარგლებში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. ჩაატაროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პირობების კანონით დაშვებული გამოკვლევა.

3. ხელი შეუწყოს ეკონომიკური, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირების განვითარებას.

4. შეასრულოს ყველა ფუნქცია, რომელსაც წარმგზავნელი სა-

ხელმწიფო აკისრებს კონსულს იმ სახელმწიფოს მიერ ნებადართულ ფარგლებში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

ეს ფუნქციები ხორციელდება საკონსულო რაიონის ტერიტორიაზე და იმ უფლებების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია საკონსულო დაწესებულების მეთაურის უფლებებით. ამერიკის შეერთებული შტატების საკონსულოს თანამდებობის პირები, კერძოდ, ვალდებულნი არიან მნიშვნელოვანი ფუნქციები შეასრულონ იმ კანონებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ქვეყანაში იმიგრაციასა და მოქალაქეობის, იმიგრაციაზე და პასპორტების გაცემაზე კონტროლს შეეხება.

კონსულის ფუნქციების განხორციელებისათვის საკონსულო რაიონის მიღმა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ან მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, საჭიროა იმ სახელმწიფოს თანხმობა, სადაც წარმომადგენლობაა გახსნილი.

კონსულების დანიშვნა

კონსულების დანიშვნა განსაზღვრულია ვენის 1963 წლის კონვენციის მე-10—15 მუხლებით. ვინაიდან კონსულებს გარკვეული უფლებები აქვთ თავიანთი მოქალაქეების მიმართ, აგრეთვე იმ ქვეყნების მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გარკვეული კავშირები აქვთ წარმგზავნელ სახელმწიფოსთან, კონსულების დანიშვნასა და მათ მიღებას განსაკუთრებული შეთანხმება სჭირდება წარმგზავნელ და მასპინძელ სახელმწიფოებს შორის. ამ პრობლემებს ვენის კონვენციამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

იმისათვის, რომ კონსულმა თავისი მოვალეობის შესრულება შესძლოს, აუცილებელია ორი სახელმწიფო დოკუმენტი. წარმგზავნელი სახელმწიფო მას აძლევს საბუთს, რომელიც ადასტურებს მის დანიშვნას და რომელსაც ხან საკონსულო რწმუნებას, ხან პატენტს უწოდებენ. მასში მითითებულია დანიშნული პირის სტატუსი და იმ ტერიტორიის დაახლოებითი საზღვრები, სადაც მას თავისი ფუნქციების შესრულება მოუწევს. აძლევს რა ეკზეკვატურას,[1] მასპინ-

[1] exseguare (ლათ.) — შესრულება, მოწმობა, რომელსაც უცხო ქვეყნის კონსულს აძლევს ის სახელმწიფო, სადაც ის არის დანიშნული და რომელითაც ის კონსულად არის აღიარებული.

ძელი სახელმწიფო, ნებას რთავს კონსულს თავისუფლად შეასრულოს ადგილობრივი კანონმდებლობითა და საკონსულო კონვენციით გათვალისწინებული თავისი მოვალეობანი.

სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას კონსულის მიღებაზე. უფრო მეტიც, აღნიშნული კონვენციის მე-12 მუხლში არის შენიშვნა, რომ ასეთ შემთხვევაში მასპინძელი სახელმწიფო ვალდებული არ არის წარმგზავნელ ქვეყანას აცნობოს უარის მიზეზი.

ეკზეკვატურის გაცემამდე საკონსულო დაწესებულების მეთაური შეიძლება დროებით ასრულებდეს თავის ფუნქციებს. ასეთ შემთხვევაში იგი უნდა წარადგინოს მისმა წინამორბედმა.

ამრიგად, კონსულის უფლებამოსილება შეზღუდულია ორი ქვეყნის კანონებით. მაშინ, როდესაც დანიშვნისას მას ეკისრება მოვალეობები თავისი ქვეყნის კანონების შესაბამისად, ამ მოვალეობათა შესრულება იზღუდება იმ ქვეყნის კანონებით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მე-18 მუხლი ითვალისწინებს, რომ კონსულს შეუძლია საკონსულო ფუნქციათა შესრულება რამდენიმე სახელმწიფოს დავალებით, თუ იმ სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, საწინააღმდეგო არაფერი აქვს. ვენის კონვენციის მე-15 მუხლი შეიცავს დაწვრილებით წესებს საკონსულოს დროებითი აგენტის დანიშვნასთან დაკავშირებით და პირობებს, რომელთა მიხედვითაც მას შეუძლია ისარგებლოს დაკავებული თანამდებობით მინიჭებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით.

მე-17 მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ საკონსულო დაწესებულების მეთაურმა დიპლომატიური აქტები შეასრულოს და სახელმწიფოში, რომელშიც მისი მთავრობა არ არის წარდგენილი. საქმეთა რწმუნებულის სტატუსი მას არ ანიჭებს დიპლომატიური იმუნიტეტის უფლებას. აღნიშნული მუხლი კონსულებს აძლევს აგრეთვე უფლებას, ნებისმიერ მთავრობათაშორისო ორგანიზაციაში იმოქმედოს როგორც თავიანთი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა და განსაზღვარს იმუნიტეტებს, რომლებითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ.

ტერმინში „საკონსულოს თანამდებობის პირები“ ვენის კონვენცია აერთიანებს ყველა იმ პირს (საკონსულო დაწესებულების მეთაურების ჩათვლით), რომელთაც, როგორც ოფიციალურ პირებს, კონსულის ფუნქციების შესრულება ევალებათ. ამავე ჯგუფში შედიან გენერალური კონსულები, ვიცე-კონსულები და საკონსულოს აგენტები. ძირითადად ყველანი უნდა იყვნენ წარმომადგენლობის ქვეყნის მოქალაქენი. მაგრამ, მიუხედავად იმისა, არიან ისინი წარმომადგენლობის სახელმწიფოს თუ სხვა მესამე ქვეყნის მოქალაქენი, საჭიროა მათი მასპინძელი სახელმწიფოს თანხმობა, რათა დარწმუნებული იყოს, რომ ისინი პერსონა გრატას წარმოადგენენ. კონვენცია ითვალისწინებს ეკზეკვატურის გაცემას იმ თანამდებობის პირებზე, რომლებიც ემორჩილებიან რა საკონსულო დაწესებულების მეთაურს, თავიანთ მოვალეობას ასრულებენ არა საკონსულოს, ვიცე-საკონსულოს ან საკონსულოს კანცელარიის მდებარეობის ადგილზე.

თავის მხრივ წარმგზავნელმა სახელმწიფომ მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლობას უნდა აცნობოს საკონსულოს დაწესებულების თანამდებობის პირთა დანიშვნის, მათი ჩასვლის, ამ სახელმწიფოს საბოლოო დატოვებისა და საერთოდ სტატუსის ნებისმიერი შეცვლის შესახებ. ეს დებულება ვრცელდება მათი ოჯახის წევრებსა და მომსახურე პერსონალზეც, აგრეთვე სამუშაოზე მიღებულ და სამუშაოდან დათხოვნილ პირებზე, რომლებიც იმ სახელმწიფოს მოქალაქენი არიან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება და სარგებლობენ საკონსულო პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, მიუხედავად მათი რანგისა.

როგორც კი საკონსულო დაწესებულების მეთაურს, თუნდაც დროებით თავისი ფუნქციების შესრულების ნება მიეცემა, სახელმწიფო სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს საკონსულო რაიონის ხელისუფლების ორგანოებს, რათა საკონსულო დაწესებულების ახალმა მეთაურმა შეძლოს თავის მოვალეობათა შესრულება თანამდებობის შესაბამისად და კუთვნილი პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით ისარგებლოს.

1963 წლის ვენის კონვენციაში დეტალურად არის დამუშავე-

ბული ის პროცედურა, რომლის დაცვაც აუცილებელია, თუ კონსული ან საკონსულო დაწესებულების ნებისმიერი თანამდებობის პირი (მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი წარმგზავნელი სახელმწიფოს მოქალაქე) არის პერსონა ნონ გრატა სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ეს ავალებს წარმგზავნელ სახელმწიფოს გაიწვიოს იგი ან გაათავისუფლოს თავისი მოვალეობის შესრულებისაგან. იმ პრაქტიკისაგან განსხვავებით, როდესაც ორმხრივ შეთანხმებისას მისდევენ, სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ვალდებული არ არის ახსნას თავისი გადაწყვეტილების მოტივები.

კონსულის ფუნქციების შესრულება დიპლომატიურ წარმომადგენელთა მიერ

დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ყოველთვის აქვთ უფლება საგარეო საქმეთა სამინისტროს წინაშე დასვან საკონსულო ხასიათის საკითხები.

ქვეყნებში, სადაც სახელმწიფოს მოქალაქეთა კოლონია არამრავალრიცხოვანია ან მათი ინტერესები შეზღუდულია და საჭიროება არ მოითხოვს საკონსულოს დაარსებას, მთავრობა საკონსულოს ფუნქციებს ხშირად საელჩოს აკისრებს. ცალკეულ შემთხვევებში საკონსულო დაწესებულებები დედაქალაქში, დიპლომატიური წარმომადგენლობის შენობებში განლაგდება ხოლმე. თუ საელჩომ არ მიიღო სპეციალური ეკზეკვატურა საკონსულო რაიონზე, მას შეუძლია საკონსულო საქმეებს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით აწარმოებდეს. თუ ამას არ გაითვალისწინებს, ადგილობრივი ხელისუფლება საჭირო მოქმედებებს ვერ განახორციელებს მისდამი უშუალოდ მიმართული თხოვნის საპასუხოდ მანამდე, სანამ საგარეო საქმეთა სამინისტროს ნებართვას არ მიიღებს. ასეთ შემთხვევაში პასუხები მხოლოდ სამინისტროს შესაბამისი განყოფილებების მეშვეობით შეიძლება გადაიცეს.

ვენის 1963 წლის კონვენცია ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებს. ვინაიდან დიპლომატიური წარმომადგენლობები ჩვეულებრივ თავიანთი მთავრობებისაგან იღებენ ყველა უფლებამოსილებას, მას შემდეგაც, რაც მათ ცნობს სახელმწიფო, სადაც წარმომადგენ-

ლობა იმყოფება, არ წამოიჭრება ხოლმე ეკზეკვატურის მიღების აუცილებლობა. 70-ე მუხლი მოითხოვს, რომ საკონსულო რაიონში, რომელსაც დიპლომატიური წარმომადგენლობა განაგებს, განსაზღვრული იყოს საკონსულო სექციაში დანიშნული საელჩოს თანამშრომელთა გვარები და ეცნობოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. საელჩოს ამ შემთხვევაში შეუძლია უშუალო კავშირი იქონიოს საკონსულო რაიონის ადგილობრივ ხელისუფლებასთან. დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომლები, რომლებიც საკონსულო საქმეებს განაგებენ, დიპლომატიური იმუნიტეტებით სარგებლობას განაგრძობენ.

თითოეული სახელმწიფოს ადგილობრივი წესები და პრაქტიკა განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომელთა გამოც ადგილობრივი ხელისუფლება უფლებამოსილია უშუალოდ მიმართოს საკონსულოს, და იმ საკითხებსაც, რომლებმაც დიპლომატიური წარმომადგენლობა და საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გაიარონ. ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია დანიშნულ კონსულებს უშუალოდ უპასუხოს კითხვებზე, რომლებიც მისი კოლონიის ცალკეულ წევრებს ეხებათ, მაგალითად, ისეთებზე, როგორიც არის თხოვნა საერთო ხასიათის ინფორმაციის შესახებ, საქმეთა მმართველობის შესახებ, ამ სახელმწიფოში ყოფნის, დასაქმების უზრუნველყოფისა და სხვადასხვა ხასიათის დახმარების შესახებ, აგრეთვე თხოვნა ნათესავთა მონახვის, ნათესავთა შესახებ ინფორმაციის თაობაზე და სხვა.

კონსულთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

როგორც კი ქვეყანა, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ცნობს კონსულთა ოფიციალურ სტატუსს, მან უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი იმუნიტეტებით, რათა გარანტირებული იყოს მათი ფუნქციების წარმატებით შესრულება. იმ დროს, როდესაც დიპლომატები პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოში ერთნაირი იმუნიტეტებით სარგებლობენ, კონსულთა პრეროგატივები და იმუნიტეტები ორმხრივი საკონსულო შეთანხმებებით განისაზღვრება.

უკანასკნელ წლებში ბევრ ქვეყანაში თავი იჩინა დიპლომატიური და საკონსულო სამსახურების შერწყმის აშკარა ტენდენციამ. ამის შედეგად შტატიან კონსულთა იმუნიტეტები გაფართოვდა

და დიპლომატთა იმუნიტეტებს დაემსგავსა. ეს ტენდენცია სულ უფრო ძლიერდება. 1963 წლის ვენის კონვენციით დადგენილმა რეჟიმმა განამტკიცა და ზოგიერთ საკითხებში კი გააფართოვა შტატიანი კონსულების პრივილეგიები და დააწესა განსხვავება შტატიან და საპატიო კონსულებს შორის.

ამავე დროს ვენის კონვენციამ დააწესა პრინციპი, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. ერთი კატეგორიის ყველა საკონსულო დაწესებულებაზე ერთნაირი რეჟიმი ვრცელდება. იგი უშვებს შესაძლებლობას, რომ შემდეგშიაც დაიდოს ორმხრივი შეთანხმებები.

გ ა დ ა ა დ გ ი ლ ე ბ ი ს თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ვენის კონვენცია საკონსულო დაწესებულებათა მეთაურებს აძლევს წარმგზავნელი სახელმწიფოს მოქალაქეებთან თავისუფალი ურთიერთობისა და მათთან თავისუფალი კონტაქტის გარანტიებს. თავის მხრივ ამ უკანასკნელთ უნდა ჰქონდეთ თავიანთ საკონსულოსთან თავისუფალი ურთიერთობის უფლება. მუხლი 36-ე, კერძოდ, ხაზს უსვამს, რომ იმ შემთხვევაში თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე დააკავეს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, კომპეტენტურმა ორგანოებმა, თუ ამას დაკავებული მოითხოვს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ საკონსულო დაწესებულებას. უფრო შეტიც, ცხობები, რომელთა გადაცემაც სურს დაკავებულს თავისი საკონსულოსათვის, ასევე დაუყოვნებლივ უნდა გადასცენ ამ ორგანოებს. ხელისუფლებამ დაკავებულს უნდა განუმარტოს თავისი უფლებები. კონვენცია აღიარებს აგრეთვე კონსულის უფლებას მოინახულოს თავისი წარმგზავნელი ქვეყნის დაკავებული მოქალაქე, ესაუბროს მას, ჰქონდეს მასთან მიმოწერა და მიიღოს ზომები სასამართლოში მის დასაცავად. კონსულებს შეუძლიათ მოინახულონ წარმგზავნელი ქვეყნის ის მოქალაქენიც, რომლებიც საპატიმროში იმყოფებიან. კონვენციაში ხაზგასმულია, რომ იმ სახელმწიფოს კანონები და წესები, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, თუკი შესაძლებელია, ისე უნდა იქნეს გამოყენებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი ზუსტი შესრულება.

საკონსულოს თანამშრომელთა თავისუფალი გადაადგილება იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გარანტირებულია იმდენად, რამდენადაც არ ეწინააღმდეგება კანონებსა და წესებს ზონების შესახებ, რომელთა ტერიტორიაზე შეს-

ვლაც აკრძალულია ან რეგულირდება სახელმწიფო უშიშროების თვალსაზრისით, ასევე გარანტირებულია ურთიერთობათა თავისუფლებაც.

კონვენცია ავალდებულებს ადგილობრივ ხელისუფლებას კონსულებს შეატყობინოს მათი მოქალაქეების სიკვდილი, შემთხვევები, როდესაც საჭიროა მეურვის ან მზრუნველის დანიშვნა. ადგილობრივ წარმგზავნელ სახელმწიფოს კუთვნილი გემების კატასტროფის ყველა შემთხვევა ან სავაჭრო გემებთან დაკავშირებული შემთხვევები, რომლებიც იმ სახელმწიფოს ტერიტორიულ წყლებში მოხდა, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მეორე მხრივ, პასუხობენ რა განსაკუთრებულ რეჟიმს, რომლის უფლებაც მათ ენიჭებათ და იმუნიტეტებს, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, კონსულები პატივს უნდა სცემდნენ იმ ქვეყნის კანონებსა და წესებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ უნდა ჩაერიონ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში და არ გამოიყენონ საკონსულოს შენობა მისი ფუნქციებისათვის შეუფერებელი მიზნებისათვის. კერძოდ, ისინი პატივს უნდა სცემდნენ კანონებსა და წესებს იმ უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის შესახებ, რომლებიც მოხდა მათი კუთვნილი ავტოტრანსპორტის, მოტორიანი ნავების და თვითმფრინავების არასწორი გამოყენების შედეგად.

საკონსულო დაწესებულებებისა და საკონსულოთა პერსონალის პრივილეგიები და იმუნიტეტები

ვენის კონვენცია ერთმანეთისაგან მიჯნავს საკონსულოთა იმუნიტეტებს, რომლებსაც შტატიანი კონსულები ხელმძღვანელობენ და საკონსულოების იმუნიტეტებს, რომლებსაც საპატიო კონსულები მეთაურობენ. 28-ე და 30-ე პარაგრაფების თანახმად იმ ქვეყნის მთავრობამ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ყველა საშუალება უნდა მისცეს საკონსულო დაწესებულებებს, რათა შეასრულონ თავიანთი ფუნქციები და დაეხმაროს მათ შესაბამისი შენობის შეძენაში ან სხვა გზის გამონახვაში. გარდა ამისა, საკონსულოს პერსონალსა და საკონსულოს შენობას ენიჭება სხვადასხვა იმუნიტეტები.

ხ ე ლ შ ე უ ხ ე ბ ლ ო ბ ა. ამ იმუნიტეტს უდიდესი მნიშვნელო-

ბა აქვს კონსულისათვის, რათა მან დაუბრკოლებლად და ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ხელის შეუშლელად შეძლოს თავისი მოვალეობის შესრულება. ყველა საკონსულო კონვენცია იძლევა კონსულების პირადი ხელშეუხებლობის გარანტიას, თუმცა ზოგიერთ მათგანში ნებადართულია მათი დაპატიმრება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ან flagrant délit (დანაშაულის ადგილზე).

მე-40 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, სრული პატივისცემით მოეპყრას საკონსულოს თანამდებობის პირებს და არ დაუშვას მათი პიროვნების, თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა. 41-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ საკონსულოს თანამდებობის პირები არ უნდა ექვემდებარებოდნენ დაპატიმრებას ან დაკავებას სასამართლომდე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ მიერ ჩადენილია მძიმე დანაშაული, და ამ შემთხვევაშიც სანქცია გაიცემა მხოლოდ კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების დადგენილების საფუძველზე. ყველა სხვა შემთხვევაში არ შეიძლება მათი ციხეში ჩასმა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე (მუხლი 41). კონსული ვალდებულია პირადად მოინახულოს ხელისუფლების წარმომადგენლები. მიუხედავად ყოველივე ამისა, საქმის წარმოებისას მას უნდა მოეპყრან მისი ოფიციალური მდგომარეობისათვის შესაფერისი ყურადღებით და რაც შეიძლება ნაკლები დაბრკოლებები შეუქმნან კონსულის მოვალეობის შესრულებისას. იმ შემთხვევაში, როდესაც დაპატიმრებულია საკონსულოს პერსონალის რომელიმე წევრი, ანდა მის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელს; თუ ბრალდება წაყენებული აქვს საკონსულოს მეთაურს, სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წარმგზავნელ სახელმწიფოს დიპლომატიური არხებით.

იმუნიტეტი იურისდიქციისაგან იმ მოქმედებათა მიმართ, რომლებიც ხორციელდება საკონსულო ფუნქციების შესრულებისას, ვრცელდება საკონსულოს ყველა თანამშრომელზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში საკონსულოს მუშაკები მხოლოდ ფედერალური სასამართლოების იურისდიქციას ექვემდებარებიან.

ს ა კ ო ნ ს უ ლ ო ს შ ე ნ ო ბ ა თ ა ხ ე ლ შ ე უ ხ ებ ლ ო ბ ა. 1963 წლის ვენის კონვენციამ დაადასტურა დიდი ხნიდან საყოველთაოდ მიღებული საკონსულოს შენობათა ხელშეუხებლობა. იგი ვრცელდება როგორც საკონსულო დაწესებულების მეთაურის რეზიდენციაზე, ასევე საკონსულოს ადმინისტრაციულ შენობებზე. კონსულებს უფლება აქვთ საკონსულოს კარებზე და თავიანთ რეზიდენციაზე მოათავსონ წარმგზავნელი სახელმწიფოს გერბი და გამოკიდონ ეროვნული დროშა. ოფიციალური მგზავრობის დროს მათ შეუძლიათ აგრეთვე დროშა მიამაგრონ თავიანთ ავტომანქანებზე. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს დროშისა და გერბის პატივისცემა ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან. ამ დებულების შეუსრულებლობას მოსდევს ბოდიშის მოხდის აუცილებლობა და მიყენებული ზარალის ანაზღაურებაც კი. საკონსულოს შენობათა ხელშეუხებლობაზე ლაპარაკია კონვენციის 31-ე მუხლში. მასში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ყველა ზომა უნდა მიიღოს, რათა დაიცვას საკონსულოს შენობები ყოველგვარი შეჭრისაგან და ზიანის მიყენებისაგან, აგრეთვე საკონსულოს სიმშვიდის დარღვევისა და მისი ღირსების შელახვისაგან. ეს ეპოქის ნიშანია. ძალზე ხშირად, შიდაპოლიტიკური გართულებების დროს, უპასუხისმგებლო ელემენტები აქეზებენ ბრბოს, რათა მოაწყონ დემონსტრაციები იმ სახელმწიფოთა საკონსულოების წინ, რომელთა პოლიტიკასაც აკრიტიკებენ, მაშინ, როდესაც პოლიცია გულგრილობას იჩენს და არავითარ ზომას არ იღებს ოფიციალურ წარმომადგენლობათა შენობების დასაცავად.

ხელშეუხებლობა ითვალისწინებს საკონსულოს შენობებისა და კონსულების რეზიდენციების გადასახადებისაგან გათავისუფლებას. იგი ვრცელდება საკონსულოს არქივებსა (ოფიციალური არქივები და დოკუმენტები) და საფოსტო მიმოწერაზეც. საკონსულოთა ურთიერთმოსაკრებლები დაბეგვრას არ ექვემდებარება.

მ ო წ მ ე თ ა ჩ ვ ე ნ ებ ებ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ზ ე. ვენის კონვენციით დაშვებულია კონსულების მოწმეებად გამოძახება სასამართლოში. არის შენიშვნა, რომ ისინი ვალდებულნი არიან ჩვენების ჩამორთმევის დროს პასუხი გასცენ შეკითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია მათი ფუნქციების შესრულებასთან, ან წარადგინონ ოფიციალური კორესპოდენცია და დოკუმენტები. მათ შეუძლიათ აგრეთვე უარი განაცხადონ ექსპერტის როლზე იმ სა-

ხელმწიფოს კანონმდებლობით, რომლის წარმომადგენლებიც არი ნ. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა ხდება იმგვარად, რომ ხელი არ შეუშალოს საკონსულოს მუშაობას, ჩვენების მიცემა შეიძლება სამსახურში ან სახლში და თუკი ეს შესაძლებელია, მისი წერილობითი სახით წარდგენა.

გ ა დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი ს ა დ ა ს ა ბ აჟ ო ე ბ ი ს ა გ ა ნ. გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა. ვენის კონვენციამ დაადასტურა მის მიღებამდე არსებული საკონსულოს შენობის (კონსულის რეზიდენცია და კანცელარია) გადასახადისაგან გათავისუფლება. 49-ე მუხლი საკონსულოს აგენტებსა და მოსამსახურეებს ათავისუფლებს აგრეთვე ხელფასზე დაწესებული გადასახადებისაგან და, მცირე გამონაკლისის გარდა, პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადებისაგან.

კონვენცია აწესებს და აფართოებს საბაჟო შეღავათების რეჟიმის გამოყენებას. მაგალითად, სხვადასხვა საგანთა და მასალათა რაოდენობას, რომლებიც ოფიციალური სარგებლობისათვის არის განკუთვნილი და რომლებიც საბაჟო გადასახადით არ იბეგრებოდა. დებულებას საკონსულოს აგენტის პირადი ბარგისა და მოწყობილობის შესახებ ემატება საკონსულოს თანამდებობის პირთა და მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრთა პირადი სარგებლობისათვის განკუთვნილი ნივთების გონიერ ფარგლებში შეზიდვის დებულება.

საკონსულოს თანამშრომლის სიკვდილის შემთხვევაში სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს განსვენებულის ავეჯისა და ქონების გატანას იმ ქონების გარდა, რომლის გატანაც აკრძალული იყო მის გარდაცვალებამდე.

ს ხ ვ ა პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ე ბ ი. საკონსულოს მუშაკები და მათი ოჯახის წვრები თავისუფლდებიან იმ ფორმალობებისაგან, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უცხოელთა რეგისტრაციასთან, მათთვის ცხოვრებისა და მუშაობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით. საკონსულოს წევრებისა და მომსახურე პერსონალის დაქვემდებარება სპეციალური დაზღვევის სხვადასხვა სისტემებისადმი რეგულირდება დეტალურად დამუშავებული წესებით. საკონსულო დაწესებულებათა მუშაკები თავისუფლდებიან ყველა სახის სამხედრო ბეგარისაგან, მაგალითად ისეთებისაგან, როგორიც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და ჯარის ჩაყენება.

ზემოხსენებული იმუნიტეტები საკონსულოს მუშაკის მიმართ ძალაში შედის იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლისას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება და წყვეტს მოქმედებას მისი დატოვებისთანავე. საკონსულოს მუშაკთა ოჯახის წევრების იმუნიტეტები ისეთივეა, როგორც საკონსულოს მუშაკთა იმუნიტეტები. ისინი არ ვრცელდება იმ პირებზე, ვინც კერძო შემოსავლიან საქმიანობას ეწევა იმ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. განუსაზღვრელი ვადით მოქმედებს იმუნიტეტი იურისდიქციისაგან მხოლოდ იმ მოქმედებათა მიმართ, რომლებიც დაკავშირებულია საკონსულოს აგენტის მიერ თავისი ფუნქციების შესრულებასთან.

მესამე სახელმწიფომ შეიძლება აუცილებელი იმუნიტეტები მიანიჭოს იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც ტრანზიტით გაივლიან მის ტერიტორიაზე. წარმგზავნელმა სახელმწიფომ შეიძლება უარი თქვას იმუნიტეტებსა და პრივილეგიებზე, რომლებიც მითითებულია: 41-ე (პირადი ხელშეუხებლობა), 43-ე (იმუნიტეტი იურისდიქციისაგან) და 44-ე მუხლებში (ჩვენების მიცემის ვალდებულება) და საკონსულო დაწესებულებების მუშაკებს ენიჭებათ. ასეთი უარი ნათლად უნდა იყოს გამოთქმული და წერილობითი სახით გაეგზავნოს იმ სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. საყოველთაოდ მიღებულია, რომ თუ პირი, რომელიც სარგებლობს იმუნიტეტით იურისდიქციისაგან, აღძრავს სარჩელს იქ, სადაც შეუძლია ამ იმუნიტეტით ისარგებლოს, იგი არ იყენებს იმუნიტეტს რომელიმე შემხვედრი სარჩელის მიმართ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული ძირითად სარჩელთან. მაგრამ ეს უარი თვით ამ ფაქტის ძალით არ იწვევს უარს იმ იმუნიტეტებზე, რომლებიც ეხება სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისათვის მიღებულ ზომებს, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული უარი.

ამრიგად, კონსულისა და საკონსულო დაწესებულების სტატუსი მკაცრად გარანტირებულია და მიღებული დებულებები ზოგჯერ ადრე არსებული წესების ფარგლებს სცილდება.

საკონსულოს პერსონალი — იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. საჭიროა განხილულ იქნეს საკონსულოებში მომუშავე იმ სახელმწიფოს მოქალაქეთა სტატუსი, პრივილეგიები და იმუნიტეტები, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. იმუნიტეტი იურისდიქ-

ციისაგან და პირადი ხელშეუხებლობა ენიჭებათ მათ, ვინც განეკუთვნება საკონსულოს თანამდებობის პირების კატეგორიას მხოლოდ ოფიციალური მოქმედებებისა და თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას. მათი დაპატიმრებისა და დაკავების შესახებ უნდა ეცნობოს საკონსულო დაწესებულების მეთაურს, ხოლო მათ წინააღმდეგ სასამართლო საქმის აღძვრისას გამოძიება ისე უნდა წარიმართოს, რომ არ დაირღვეს საკონსულოს მუშაობა.

საკონსულოს სხვა მუშაკები და მათი ოჯახის წევრები არ სარგებლობენ პირადი ხელშეუხებლობით. გადასახადისაგან გათავისუფლება ვრცელდება მხოლოდ ხელფასზე, რომელსაც საკონსულო დაწესებულებებში სამსახურისათვის იღებენ.

საპატიო კონსულებისა და მათი საკონსულო დაწესებულებების პრივილეგიები და იმუნიტეტები. სხვადასხვა ქვეყნებში მიღებულია ისე ეპყრობოდნენ საპატიო კონსულებს, როგორც შტატიანებს. ვენის კონვენციის მთელ რიგ მუხლებში ზუსტად არის განსაზღვრული წესები, რომლებიც ეხება საპატიო კონსულებს, რომელთა რაოდენობის ზრდა, ისევე როგორც შტატიანი კონსულებისა, ამასთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხთა მოწესრიგების აუცილებლობას იწვევდა.

კონვენციაში ჩამოთვლილია დებულებები, რომლებიც ეხება შტატიან საკონსულო დაწესებულებებს და თვით კონსულებსაც. მაგრამ პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებითაც ისინი სარგებლობენ, სხვადასხვაგვარია. საპატიო კონსულები, რომლებიც კომერციულ საქმიანობას არ ეწევიან, თავისუფლდებიან უცხოელებისათვის დაწესებული ვალდებულებებისაგან მოახდინონ თავიანთი ავტომანქანების რეგისტრირება და მიიღონ ამ ქვეყანაში ცხოვრების ნებართვა, ისინი თავისუფლდებიან აგრეთვე პირადი დაბეგვრისაგან. მაგრამ პრივილეგიები და იმუნიტეტები, რომლებითაც საკონსულოს შტატიანი თანამშრომლების ოჯახის წევრები სარგებლობენ, საპატიო კონსულთა ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება. საკონსულოს საპატიო თანამდებობის პირები თავისუფლდებიან დაჯილდოებასა და ხელფასზე დაწესებული ყველა ბაჟისა და გადასახადისაგან, აგრეთვე დაკავებულ შენობაზე გადასახადისაგან, რომელიც წარმგზავნელი სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს ან იჯარით აქვს აღებული. არქივების ხელშეუხებლობა მხოლოდ იმ დოკუმენტებით შემოიფარგლება, რომლებიც დაცულია სხვა დო-

კუმენტებისაგან და განცალკევებულია საპატიო კონსულის პირადი მიმოწერისაგან. საბაჟო გადასახადი არ წესდება საკონსულოს შენობისა და კანცელარიის იმ ნივთებზე, ავეჯსა და მოწყობილობაზე, რომელიც კონსულს წარმგზავნელი სახელმწიფოსაგან აქვს მიღებული.

საკონსულოს სააგენტოები

საკონსულოს სააგენტოების ფუნქციებზე, ამ დაწესებულებათა მუშაკების იმუნიტეტებსა და პრივილეგიებზე ვენის კონვენციაში ნათქვამია, რომ ისინი უნდა განისაზღვროს უშუალოდ ორი სახელმწიფოს მიერ. ამრიგად, ძალაში არის დატოვებული საკონსულოთა არსებული შეთანხმებები.

ვიზიტები ჩასვლის შემდეგ

უცხო ქვეყნების კონსულები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან ეკზეკვატურით ან სხვაგვარად შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქციები და რომლებიც პირველად არიან დანიშნული საკონსულო დაწესებულების მეთაურებად ქვეყანაში, იქ ჩასვლისთანავე დაუყოვნებლივ აცნობებენ საკონსულოს რაიონის ტერიტორიის ხელისუფლებას და ყველა კატეგორიის კონსულებს თავიანთი ჩასვლისა და მოვალეობის შესრულების დაწყების შესახებ.

კონსული ოფიციალური ვიზიტით დაუყოვნებლივ უნდა ეწვიოს იმ ქალაქის ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენელს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება; თავის მხრივ ვიზიტს უბრუნებს ხელისუფლების წარმომადგენელიც. სისწრაფე, როგორითაც საპასუხო ვიზიტი კეთდება, ყოველთვის განიხილება, როგორც პატივისცემის ნიშანი. ამიტომ ვიზიტების გაცვლა, როგორც წესი, მინიმალური შეყოვნებით, ერთი დღეღამის განმავლობაში უნდა მოხდეს. შემდეგ კონსული აკეთებს დანარჩენ ვიზიტებს. საკონსულოს უფროსი თანამდებობის პირმა, ადგილობრივი ხელისუფლების პასუხისმგებელ წარმომადგენელთან წინასწარი შეთანხმებით უნდა მოამზადოს ვიზიტების სია და მათი შესრულების წესი. კონსული ჯერ ეწვევა მასზე რანგით მაღლა მდგომ კონსულებს, ხოლო შემდეგ

ელოდება იმ კონსულების ვიზიტებს, რომლებიც რანგით მასზე დაბალია. იგი ეწვევა აგრეთვე მასზე მაღალი რანგის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, და ელოდება მასზე დაბალი რანგის პირთა ვიზიტებს. ეს ვიზიტები, ხელისუფლებასთან მეგობრული კონტაქტების დასამყარებლად კეთდება თანამდებობის დაკავებიდან სამი დღის განმავლობაში.

კონსულის მეუღლე რაც შეიძლება მალე უნდა ეწვიოს უფროსი ადმინისტრაციული წარმომადგენლის მეუღლეს, შემდეგ კი — თავისი მეუღლის კოლეგების ცოლებს.

საკონსულოს სხვა თანამდებობის პირები, რომლებიც პირველად ჩავიდნენ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ასევე უნდა ეწვიონ ოფიციალურ პირებს. საჭიროა ვიზიტით ეწვიონ უმაღლესი და თანაბარი რანგის მქონე სხვა კონსულებს და კოლეგებს, აგრეთვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებთანაც საქმიანი კონტაქტები უნდა დაამყარონ. არ არის აუცილებელი, რომ საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი თან ახლდეს ახლადჩამოსულ მუშაკს, თუ ეს უკანასკნელი მალე არ აპირებს გამგზავრებას. ასეთ შემთხვევაში იგი წარმოადგენს მუშაკს, რომელმაც დროებითი უნდა შეცვალოს.

ჩვეულებრივ, საკონსულოს მუშაკებს, რომლებსაც სურთ წარმატებას მიაღწიონ მუშაობაში, სასარგებლოდ მიაჩნიათ იტრიალონ იმ ქალაქის ყველაზე გავლენიან წრეებში, სადაც იმყოფებიან. დაკავებული მდგომარეობისადმი პატივისცემა ახლადჩამოსულის წინაშე ყველა კარს გახსნის. დიდ ბრიტანეთში და ყველა სხვა სახელმწიფოებში, სადაც ასეთივე ტრადიციები არსებობს, პირიქით ხდება: საკონსულოს ახლადჩამოსული აგენტი ელოდება, რომ პირველად მას ეწვიონ ვიზიტით და კონტაქტში შედის მასთან შეხვედრის მსურველ პირებთან. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც აღმოსავლურ წესებს მისდევენ, არსებობს გარკვეული შეზღუდვები ოჯახებში უცოლშვილო მამაკაცების სტუმრობასთან დაკავშირებით.

კონსულის არყოფნა

თავისი წინასწარგათვალისწინებული არყოფნის შესახებ კონსულმა უნდა აცნობოს ადგილობრივ ხელისუფლებას, უნდა შეატყობინოს აგრეთვე თავისი არყოფნის ვადა და წარუდგინოს პირი, რომელიც მას შეცვლის.

კონსულის მისიის შეწყვეტა

კონსულის ფუნქციები შეიძლება შეწყდეს სხვადასხვა მიზეზების გამო, ჩვეულებრივ ეს ხდება, საკონსულოს აგენტის გადაყვანასთან ან საგარეო პოლიტიკურ მოვლენასთან დაკავშირებით, აგრეთვე, რაც იშვიათია, თუ კონსული პერსონა ნონ გრანტად გამოცხადდება. ვენის კონვენცია განსაზღვრავს ზოგიერთ დეტალს, რომელიც ეკზეკვატურის ანულირებასთან არის დაკავშირებული.

იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ანულირებულია ეკზეკვატურა ან გაწყვეტილია საკონსულო ურთიერთობები, კონსული დაუყოვნებლივ ტოვებს თავის პოსტს. ამასთან დაცული უნდა იქნას იგივე წესი, რაც მისი ჩასვლისას არის გათვალისწინებული. კერძოდ, იგი ნიშნავს და, თუ ეს შესაძლებელია, ადგილობრივ ხელისუფლებას წარუდგენს პირს, რომელსაც ევალება უხელმძღვანელოს საქმეებს ახალი მეთაურის ჩასვლამდე.

ს ა კ ო ნ ს უ ლ ო უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა თ ა გ ა წ ყ ვ ე ტ ა. ვენის კონვენცია ავალებს იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პატივი სცეს და დაიცვას საკონსულოს შენობები, აგრეთვე საკონსულოს ქონება და არქივი. მათი დაცვა შეიძლება მიენდოს რომელიმე მესამე ქვეყანას, რომელსაც შეუძლია წარმგზავნელი ქვეყნისაგან მიიღოს პასუხისმგებლობა ამ ქვეყნის ინტერესებისა და მისი მოქალაქეების ინტერესების დაცვისათვის.

ვენის კონვენციაში ასევე გათვალისწინებულია, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, საკონსულოს პერსონალს საკმარისი დრო უნდა მისცეს ქვეყნის დასატოვებლად, მისცეს აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც აუცილებელია მათთვის და მათი ქონების გადასაზიდად.

ვენის კონვენცია დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ

სახელმწიფოები, რომლებიც წარმოადგენენ ვენის კონვენციის მხარეებს

აღნიშნავენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ხალხი უძველესი ხანიდან ცნობს დიპლომატიურ სააგენტოთა სტატუსს,

მხედველობაში იღებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებსა და პრინციპებს სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვისა და სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარების შესახებ,

დარწმუნებულნი არიან, რომ საერთაშორისო კონვენციის დადება დიპლომატიურ ურთიერთობათა, პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ, ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის მეგობრულ ურთიერთობათა განვითარებას, მათი სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავების მიუხედავად,

გაცნობიერებული აქვთ რა, რომ ასეთი პრივილეგიები და იმუნიტეტები ენიჭებათ არა ცალკეულ პირთა სარგებლობისათვის, არამედ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა, როგორც სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციების, ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით,

ადასტურებენ რა, რომ ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართლის ნორმები განაგრძობდნენ იმ საკითხების რეგულირებას, რომლებსაც უშუალოდ არ ითვალისწინებს ეს კონვენცია,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მ უ ხ ლ ი 1.

ამ კონვენციაში ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

a) „წარმომადგენლობის მეთაური“ არის პირი, რომელსაც დამკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ დაკისრებული აქვს იმოქმედოს ამ მდგომარეობაში;

b) „წარმომადგენლობის თანამშრომლები“ არიან წარმომადგენლობის მეთაური და წარმომადგენლობის პერსონალის წევრები;

c) „წარმომადგენლობის პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის, ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალისა და მომსახურე პერსონალის წევრები;

d) „დიპლომატიური პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის ის წევრები, რომლებსაც აქვთ დიპლომატიური რანგი;

e) „დიპლომატიური აგენტი“ არის წარმომადგენლობის მეთაური ან წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრი;

f) „ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც ახორციელებენ წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ მომსახურებას;

g) „მომსახურე პერსონალის წევრები“ არიან წარმომადგენლობის პერსონალის წევრები, რომლებიც ასრულებენ წარმომადგენლობის მომსახურების მოვალეობას;

h) „კერძო შინამოსამსახურე“ არის პირი, რომელიც ასრულებს შინამოსამსახურის მოვალეობას წარმომადგენლობის თანამშრომელთან და არ წარმოადგენს დამკრედიტებელი სახელმწიფოს მომსახურეს;

j) „წარმომადგენლობის სადგომი“ ნიშნავს შენობებს ან შენობების ნაწილს, რომლებსაც იყენებენ წარმომადგენლობის მიზნებისათვის (წარმომადგენლობის მეთაურის რეზიდენციის ჩათვლით), ვისაც არ უნდა ჰქონდეს საკუთრების უფლება მათზე, ამ შენობის ან შენობის ნაწილის მომსახურე მიწის ნაკვეთის ჩათვლით.

მ უ ხ ლ ი 2.

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიურ ურთიერთობათა დამყარება და მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობის დაარსება ხორციელდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მ უ ხ ლ ი 3.

1. დიპლომატიური წარმომადგენლობის ფუნქციებში შედის:

a) წარმოადგინოს დამკრედიტებელი სახელმწიფო ,სახელმწიფოში, სადაც იმყოფება;

b) საერთაშორისო სამართლის დაშვებულ ფარგლებში დაიცვას დამკრედიტებელი სახელმწიფოსა და მის მოქალაქეთა ინტერესები სახელმწიფოში, სადაც იმყოფება;

c) აწარმოოს მოლაპარაკება იმ სახელმწიფოს მთავრობასთან, სადაც იმყოფება;

d) ყველა კანონიერი საშუალებით გაარკვიოს ვითარება და მოვლენები სახელმწიფოში, სადაც იმყოფება და აცნობოს ისინი დამკრედიტებელი სახელმწიფოს მთავრობას;

e) ხელი შეუწყოს მეგობრულ ურთიერთობებს დამკრედიტებელ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც იმყოფება, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების დარგში მათი ურთიერთობების განვითარებას.

2. ამ კონვენციის არც ერთი დებულება არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც დაბრკოლება დიპლომატიური წარმომადგენლობის მიერ საკონსულო ფუნქციების შესრულებისას.

მ უ ხ ლ ი 4.

1. დამკრედიტებელი სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გასცა აგრემანი იმ პირზე, რომლის, როგორც წარმომადგენლობის მეთაურის, აკრედიტებაც განზრახული აქვს ამ სახელმწიფოში;

2. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ არის ვალდებული აცნობოს დამკრედიტებელ სახელმწიფოს აგრემანზე უარის მოტივები.

მ უ ხ ლ ი 5.

1. დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია (სათანადო წესით აცნობებს რა შესაბამის ქვეყანას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება) დააკრედიტოს წარმომადგენლობის მეთაური ან ვითარების მიხედვით დანიშნოს დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერი წევრი ერთ ან რამდენიმე სხვა ქვეყანაში, თუ ნებისმიერ ქვეყანას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პროტესტი არ განუცხადებია.

2. თუ დამკრედიტებელი სახელმწიფო წარმომადგენლობის მეთაურს აკრედიტებს ერთ ან რამდენიმე სხვა სახელმწიფოში, მას შეუძლია დააარსოს დიპლომატიური წარმომადგენლობები ყოველ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობის მეთაურს მუდმივი ადგილსამყოფელი არა აქვს და რომლებსაც საქმეთა დროებითი რწმუნებულები უხელმძღვანელებენ.

3. წარმომადგენლობის მეთაურს ან დიპლომატიური პერსონალის ნებისმიერ წევრს შეუძლია იმოქმედოს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში, როგორც დამკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენელმა.

მ უ ხ ლ ი 6.

ორ ან რამდენიმე სახელმწიფოს შეუძლია დააკრედიტოს ერთი და იგივე პირი, როგორც წარმომადგენლობის მეთაური სხვა სახელმწიფოში, თუ ეს სახელმწიფო ამის წინააღმდეგი არ იქნება.

მ უ ხ ლ ი 7.

დამკრედიტებულ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფლად დანიშნოს წარმომადგენლობის პერსონალის წევრები მე-5, მე-8, მე-9 და მე-11 მუხლებში გათვალისწინებული გამონაკლისებით; რაც შეეხება სამხედრო, საზღვაო და საავიაციო ატაშეებს, სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია წინადადება მისცეს დამკრედიტებელ სახელმწიფოს წინასწარ შეატყობინოს მათი სახელები დადებითი აზრის გამოსათქმელად.

მ უ ხ ლ ი 8.

1. წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრები, როგორც წესი, დამკრედიტებელი სახელმწიფოს მოქალაქეები უნდა იყვნენ.

2. დიპლომატიური პერსონალის წარმომადგენლები არ შეიძლება ინიშნებოდნენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეთაგან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, თანაც ეს თანხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს იქნეს ანულირებული.

3. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ასევე შეუძლია შენიშვნის სახით დაიტოვოს იგივე უფლება მესამე სახელმწიფოს მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც იმავდროულად დამკრედიტებელი სახელმწიფოს მოქალაქეებს არ წარმოადგენენ.

მ უ ხ ლ ი 9.

1. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია ნებისმიერ დროს აცნობოს დამკრედიტებელ სახელმწიფოს, რომ წარმომადგენლობის მეთაური ან დიპლომატიური პერსონალის რომელიმე წევრთაგანი არის persona non grata, ანდა წარმომადგენლობის პერსონალის სხვა ნებისმიერი წევრი მისთვის მიუღებელია. იგი ვალდებული არ არის დაასაბუთოს ეს გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში დამკრედიტებელმა სახელმწიფომ შესაბამისად უნდა გაიწვიოს ეს პირი ან შეწყვიტოს მისი ფუნქციები წარმომადგენლობაში. ესა თუ ის პირი შეიძლება გამოცხადებულ იქნეს persona non grata-დ ან მიუღებლად, მის ჩასვლამდე იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. თუ დამკრედიტებელი სახელმწიფო უარს იტყვის შეასრულოს ან რაციონალურ ვადაში არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, რომლებსაც ითვალისწინებს ამ მუხლის 1 პუნქტი, სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია უარი თქვას ცნოს ეს პირი წარმომადგენლობის თანამშრომლად.

მ უ ხ ლ ი 10.

1. იმ სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება და რომლის ძიმართაც არსებობს მოლაპარაკება, უნდა ეცნობოს:

a) წარმომადგენლების დანიშვნა, მათი ჩასვლა ან ქვეყნის საბოლოოდ დატოვება, ან წარმომადგენლობაში მათი ფუნქციების შეწყვეტა;

b) იმ პირის ჩასვლა ან ქვეყნის საბოლოოდ დატოვება, რომელიც წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრს წარმოადგენს და შესაბამის შემთხვევებში ისიც, რომ ესა თუ ის პირი ხდება ან აღარ არის წარმომადგენლობის თანამშრომლის ოჯახის წევრი;

c) იმ კერძო შინამოსამსახურეთა ჩასვლა ან მათ მიერ ქვეყნის საბოლოოდ დატოვება, რომლებიც ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მოხსენიებულ პირებს ემსახურებიან და შესაბამის შემთხვევაში მათ მიერ ასეთ პირებთან სამსახურის დატოვება;

d) იმ პირთა დაქირავება ან დათხოვნა, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, როგორც წარ-

მომადგენლობის თანამშრომლები ან შინამოსამსახურენი, რომელთაც პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება აქვთ.

2. შეძლებისდაგვარად, ასევე წინასწარ უნდა იქნას შეტყობინებული ჩასვლა და ქვეყნის საბოლოოდ დატოვება.

მუხლი 11.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს კონკრეტული შეთანხმება წარმომადგენლობის პერსონალის რიცხობრივობის შესახებ, სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, აქ არსებული მდგომარეობისა და პირობების, აგრეთვე ამ წარმომადგენლობის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შეუძლია შეთავაზება წინადადებისა, რომ წარმომადგენლობის პერსონალის რიცხობრივობა შეინარჩუნებულ იქნეს ფარგლებში, რომლებიც მას რაციონალურად და ნორმალურად მიაჩნია.

2. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუძლია აგრეთვე იმავე მიზეზით და დისკრიმინაციის გარეშე უარი თქვას რომელიმე გარკვეული კატეგორიის თანამდებობის პირთა მიღებაზე.

მუხლი 12.

დამკრედიტებელ სახელმწიფოს არ შეუძლია იმ სახელმწიფოს წინასწარი, კონკრეტულად გამოხატული თანხმობის გარეშე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გახსნას კანცელარიები, რომლებიც დიპლომატიური წარმომადგენლობის ნაწილს შეადგენენ, სხვა დასახლებულ პუნქტებში, გარდა იმ პუქტებისა, სადაც თვით წარმომადგენლობა არსებობს.

მუხლი 13.

1. ითვლება, რომ წარმომადგენლობის მეთაური თავისი ფუნქციების შესრულებას სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეუდგა ამ სახელმწიფოში არსებული პრაქტიკის მიხედვით, რომელიც ერთგვაროვნად უნდა გამოიყენებოდეს, ან თავისი რწმუნებულების სიგელების გადაცემის მომენტიდან, ან თავისი ჩამოსვლის შეტყობინებისა და რწმუნებულების სიგელების დამოწმებული ასლების გადაცემის შემდეგ საგარეო ურთიერთობათა სამინისტროსთვის ან სხვა სამინისტროსთვის, რომელთა შესახებაც არსებობს მოლაპარაკება.

2. რწმუნებულების სიგელების ან მათი დამოწმებული ასლების გადაცემის თანამიმდევრობა განისაზღვრება წარმომადგენლობის მეთაურის ჩასვლის თარიღით და საათით.

მ უ ხ ლ ი 14.

1. წარმომადგენლობათა მეთაურები იყოფიან:

a) სახელმწიფოს მეთაურებიან აკრედიტებული ელჩებისა და ნუნციების და სხვა ექვივალენტური რანგის წარმომადგენლობის მეთაურთა კლასად;

b) სახელმწიფოს მეთაურებთან აკრედიტებული დესპანებისა და ინტერნუნციების კლასად;

c) საგარეო საქმეთა მინისტრებთან აკრედიტებული საქმეთა რწმუნებულების კლასად.

2. წარმომადგენლობის მეთაურთა შორის არ უნდა იყოს არავითარი განსხვავება მათი ამა თუ იმ კლასისადმი კუთვნილების მიხედვით, გარდა უფროს-უმცროსობისა და ეტიკეტისა.

მ უ ხ ლ ი 15.

კლასი, რომელსაც წარმომადგენლობათა მეთაურები უნდა ეკუთვნოდნენ, განისაზღვრება სახელმწიფოთა შორის შეთანხმებით.

მ უ ხ ლ ი 16.

1. შესაბამისი კლასის წარმომადგენლობათა მეთაურების უფროს-უმცროსობა განისაზღვრება იმ თარიღით და საათით, როდესაც ისინი მე-13 მუხლის თანახმად შეუდგნენ თავიანთი ფუნქციების შესრულებას.

2. ცვლილებები წარმომადგენლობის მეთაურთა რწმუნებულების სიგელებში, რომელთაც კლასის შეცვლა არ მოსდევს, არ მოქმედებს მათ უფროს-უმცროსობაზე.

3. ეს მუხლი არ ეხება იმ ქვეყანაში მიღებულ პრაქტიკას, სადაც წარმომადგენლობა არსებობს, ვატიკანის წარმომადგენლის უფროსობასთან დაკავშირებით.

მ უ ხ ლ ი 17.

წარმომადგენლობის დიპლომატიური პერსონალის წევრთა უფროს-უმცროსობა წარმომადგენლობის მეთაურის მიერ ეცნობება

საგარეო საქმეთა სამინისტროს, ან სხვა სამინისტროს, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს.

მ უ ხ ლ ი 18.

სახელმწიფოში წარმომადგენლობათა მეთაურების მიღებისას დაცული უნდა იყოს ყოველი კლასის მიმართ დადგენილი რიგი.

მ უ ხ ლ ი 19.

1. თუ წარმომადგენლობის მეთაურის პოსტი ვაკანტურია ან წარმომადგენლობის მეთაურს არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, წარმომადგენლობის მეთაურის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი არის საქმეთა დროებითი რწმუნებული. საქმეთა დროებითი რწმუნებულის გვარი შეთანხმებისამებრ წარმომადგენლობის მეთაურის მიერ ან, თუ მას ამის გაკეთება არ შეუძლია, დამკრედიტებელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ეცნობება იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც წარმომადგენლობის არც ერთი დიპლომატიური თანამშრომელი არ იმყოფება სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა არსებობს, ამ სახელმწიფოს თანხმობით შეიძლება დამკრედიტებელი სახელმწიფოს მიერ წარმომადგენლობის მიმდინარე ადმინისტრაციულ საქმეებზე პასუხისმგებლად დანიშნულ იქნეს ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრი.

მ უ ხ ლ ი 20.

წარმომადგენლობას და მის მეთაურს უფლება აქვს ისარგებლონ დამკრედიტებელი სახელმწიფოს დროშითა და ემბლემით წარმომადგენლობის შენობებზე, წარმომადგენლობის მეთაურის რეზიდენციისა და მისი გადაადგილების საშუალებათა ჩათვლით.

მ უ ხ ლ ი 21.

1. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ან უნდა დაეხმაროს დამკრედიტებელ სახელმწიფოს მისი წარმომადგენლობისთვის აუცილებელი შენობების შეძენაში თავის ტერიტორიაზე საკუთარი კანონების შესაბამისად, ან დაეხმაროს რაიმე სხვა გზით მიიღოს შენობები.

2. აუცილებლობის შემთხვევაში იგი უნდა დაეხმაროს აგრეთვე

წარმომადგენლობებს, რათა მიიღონ სადგომები მათი თანამშრომლებისათვის.

მ უ ხ ლ ი 22.

1. წარმომადგენლობათა შენობები ხელშეუხებელია. იმ სახელმწიფოს ძეთაურებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ შეუძლიათ იქ შესვლა წარმომადგენლობის ნებართვის გარეშე.

2. სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, სპეციალური მოვალეობა აკისრია ყველა საჭირო ზომა მიიღოს წარმომადგენლობის შენობის დაცვისათვის ყოველგვარი შეჭრისაგან და ზიანის მიყენებისაგან და წარმომადგენლობის სიმშვიდის დარღვევის ან მისი ღირსების შეურაცხყოფის თავიდან აცილების მიზნით.

3. წარმომადგენლობის ავეჯზე, შენობებზე, მათში არსებულ ქონებაზე და აგრეთვე წარმომადგენლობის გადაადგილების საშუალებებზე ვრცელდება ჩხრეკის, რეკვიზიციის, დაპატიმრებისა და აღმასრულებელ მოქმედებათა იმუნიტეტი.

მ უ ხ ლ ი 23.

1. აკრედიტებული სახელმწიფო და წარმომადგენლობის მეთაური თავისუფლდება ყველა სახელმწიფო, რაონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და ბაჟისაგან წარმომადგენლობის საკუთარ და დაქირავებულ შენობებთან დაკავშირებით. გარდა ისეთი გადასახადებისა, მოსაკრებლებისა და ბაჟებისა, რომლებიც კონკრეტული სახის მომსახურების საფასურს წარმოადგენენ.

2. ფისკალური ამოღება, რომელზეც ამ მუხლშია ლაპარაკი, არ ეხება იმ გადასახადებს, მოსაკრებლებსა და ბაჟებს, რომლებიც ეკისრებათ დამკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან წარმომადგენლობის მეთაურთან კონტრაქტების დამდებ პირებს იმ სახელმწიფოს კანონების თანახმად, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მ უ ხ ლ ი 24.

წარმომადგენლობის არქივი და დოკუმენტები ხელშეუხებელია ძათი ადგილსამყოფელის მიუხედავად.

მ უ ხ ლ ი 25.

სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ყოველ-

გვარი საშუალება უნდა მისცეს წარმომადგენლობას თავისი ფუნქციების შესრულებისთვის.

მ უ ხ ლ ი 26.

სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უნდა უზრუნველყოფდეს წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლისთვის გადაადგილების თავისუფლებას თავის ტერიტორიაზე, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება კანონებსა და წესებს ზონების შესახებ, რომლებშიც სახელმწიფო უშიშროების მიზნით აკრძალულია ან რეგულირებულია შესვლა.

მ უ ხ ლ ი 27.

1. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ნებას უნდა რთავდეს და იცავდეს წარმომადგენლობის მიერ ოფიციალური მიზნებით დამყარებულ ყოველგვარ საქმიან ურთიერთობებს. დამკრედიტებელ სახელმწიფოსთან ან მის სხვა წარმომადგენლობებსა და საკონსულოებთან ურთიერთობისას, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, წარმომადგენლობას შეუძლია ისარგებლოს ყველა შესაფერისი საშუალებით, დიპლომატიური კურიერებისა და კოდირებული თუ დაშიფრული დეპეშების ჩათვლით. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობას შეუძლია დადგას რადიოგადამცემი და ექსპლუატაცია გაუწიოს მას მხოლოდ იმ სახელმწიფოს ნებართვით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. წარმომადგენლობის ოფიციალური კორესპონდენცია ხელშეუხებელია, ოფიციალურ კორესპონდენციაში იგულისხმება მთელი კორესპონდენცია, რომელიც ეხება წარმომადგენლობასა და მის ფუნქციებს.

3. დიპლომატიური ფოსტის გახსნა და დაკავება არ შეიძლება.

4. ყველა ადგილს, სადაც დიპლომატიური ფოსტა ინახება, უნდა ჰქონდეს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ მათ ხასიათზე. ისინი მხოლოდ დიპლომატიურ დოკუმენტებსა და ოფიციალური სარგებლობისათვის გამიზნულ საგნებს უნდა შეიცავდნენ.

5. დიპლომატიური კურიერი, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ოფიციალური დოკუმენტებით მისი სტატუსისა და დიპ-

ლომატიური ფოსტის შემადგენელი ადგილების რაოდენობის მითითებით, თავისი მოვალეობის შესრულებისას სარგებლობს იმ სახელმწიფოს დაცვით, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. იგი სარგებლობს პირადი ხელშეუხებლობით და არ შეიძლება ამა თუ იმ ფორმით მისი დაპატიმრება ან დაკავება.

6. დამკრედიტებელ სახელმწიფოს ან წარმომადგენლობას შეუძლია დანიშნოს დიპლომატიური კურიერები ad hoc, ასეთ შემთხვევებში ასევე გამოიყენება ამ მუხლის მე-5 პუნქტის დებულებები იმ გამონაკლისით, რომ მასში მოხსენიებული იმუნიტეტები წყდება იმ მომენტში, როდესაც ასეთი კურიერი დანიშნულებისამებრ მიიტანს ჩაბარებულ დიპლომატიურ ფოსტას.

7. დიპლომატიური ფოსტა შეიძლება ჩაბარდეს სამოქალაქო თვითმფრინავის ეკიპაჟს, რომელიც მიფრინავს აეროპორტისაკენ, სადაც ჩასვლა ნებადართულია. მეთაურს უნდა ჰქონდეს ოფიციალური დოკუმენტი იმ ადგილთა რაოდენობის მითითებით, რომლებიც ფოსტას შეადგენენ, მაგრამ იგი არ ითვლება დიპლომატიურ კურიერად. წარმომადგენლობას შეუძლია გაგზავნოს თავისი ერთ-ერთი თანამშრომელი, რათა უშუალოდ და დაუბრკოლებლად მიიღოს დიპლომატიური ფოსტა თვითმფრინავის მეთაურისაგან.

მ უ ხ ლ ი 28.

ფულადი გასამრჯელოები და მოსაკრებლები, რომლებსაც წარმომადგენლობა თავის ოფიციალურ მოვალეობათა შესრულებისას იღებს, თავისუფლდება ყველა გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და საბაჟოსაგან.

მ უ ხ ლ ი 29.

დიპლომატიური აგენტის პიროვნება ხელშეუხებელია. იგი არ ექვემდებარება დაპატიმრებას ან დაკავებას ნებისმიერი ფორმით. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ვალდებულია საჭირო პატივისცემით ეპყრობოდეს მას და ყველა შესაბამისი ზომა მიიღოს, რათა თავიდან იქნას აცილებული მისი პიროვნების, თავისუფლებისა და ღირსების რაიმე ხელყოფა.

მ უ ხ ლ ი 30.

1. დიპლომატიური აგენტის კერძო რეზიდენცია ისევე ხელშეუხებელი და დაცულია, როგორც წარმომადგენლობის შენობა.

2. მისი ქაღალდები, კორესპონდენცია და ქონება, 31-ე მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული გამონაკლისებით, თანაბრად ხელშეუხებელია.

მ უ ხ ლ ი 31.

1. დიპლომატიური აგენტი სარგებლობს იმუნიტეტით იმ სახელმწიფოს სისხლის სამართლის იურისდიქციისაგან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, იგი სარგებლობს აგრეთვე იმუნიტეტით სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციისაგან, გარდა:

a) ქონებრივი სარჩელებისა, რომლებიც შეეხება იმ სახელმწიფოს კერძო უძრავ ქონებას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, თუ იგი არ ფლობს მათ დამკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის;

b) მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სარჩელებისა, რომელთა მიმართაც დიპლომატიური აგენტი გამოდის ანდერძის შემსრულებლად, სამემკვიდრეო ქონების ზედამხედველად, მემკვიდრედ, როგორც კერძო პირი და არა დამკრედიტებელი სახელმწიფოს წარმომადგენელი.

c) სარჩელებისა, რომლებიც ეხება ნებისმიერ პროფესიულ თუ კომერციულ საქმიანობას, რომელსაც დიპლომატიური აგენტი ახორციელებს თავის ოფიციალურ ფუნქციათა გარდა სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება;

2. დიპლომატიური აგენტი ვალდებული არ არის ჩვენება მისცეს, როგორც მოწმემ.

3. არავითარი აღმასრულებელი ღონისძიებები არ გამოიყენება დიპლომატიური აგენტის მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, რომლებსაც ითვალისწინებს ამ მუხლის „a", „b" და „c" პუნქტები და მხოლოდ იმ პირობით, რომ შესაბამისი ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მისი პიროვნებისა და რეზიდენციის ხელშეუხებლობის დაურღვევლად.

4. დიპლომატიური აგენტის იმუნიტეტი იმ სახელმწიფოს იურისდიქციისაგან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ ათავისუფლებს მას დამკრედიტებელი სახელმწიფოს იურისდიქციისაგან.

მ უ ხ ლ ი 32.

1. დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია უარი თქვას იურისდიქციისაგან დიპლომატიური აგენტებისა და იმ პირების იმუნიტეტ-

ზე, რომლებიც სარგებლობენ იმუნიტეტით 37-ე მუხლის თანახმად.

2. უარი ყოველთვის გარკვევით უნდა იყოს გამოხატული.

3. საქმის აღძვრა დიპლომატიური აგენტის მიერ ან იმ პირის მიერ, ვინც 37-ე მუხლის თანახმად სარგებლობს იმუნიტეტით იურისდიქციისაგან, უფლებას ართმევს მას მიუთითოს იმუნიტეტზე ძირითად სარჩელთან უშუალოდ დაკავშირებული შემხვედრი სარჩელების მიმართ.

4. უარი იმუნიტეტზე იურისდიქციისაგან სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმესთან დაკავშირებით არ ნიშნავს უარს იმუნიტეტზე გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებით, რისთვისაც საჭიროა განსაკუთრებული უარი.

მ უ ხ ლ ი 33.

1. ამ მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების დაცვისას, სოციალური უზრუნველყოფის შესახებ იმ სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებები, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება არ ვრცელდება დიპლომატიურ აგენტზე იმ მომსახურებასთან დაკავშირებით, რომელსაც ის უწევს დამკრედიტებელ სახელმწიფოს.

2. ამ მუხლის 1 პუნქტში გათვალისწინებული დებულება, ვრცელდება აგრეთვე შინამოსამსახურეებზე, რომლებიც მსახურობენ მხოლოდ დიპლომატიურ აგენტებთან იმ პირობით, რომ

a) ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ;

b) მათზე არ ვრცელდება დადგენილებები სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დამკრედიტებელ სახელმწიფოში მოქმედებს.

3. დიპლომატიური აგენტი, რომელიც დაიქირავებს პირებს, რომლებზეც ამ მუხლის მე-2 პუნქტის დებულება არ ვრცელდება, უნდა ასრულებდეს სამუშაოს მიმცემზე სოციალური უზრუნველყოფის შესახებ იმ სახელმწიფოში მოქმედი დადგენილებებით დაკისრებულ მოვალეობებს, სადაც წარმოადგენლობა იმყოფება.

4. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში გათვალისწინებული დებულებები არ ეწინააღმდეგება იმ სახელმწიფოს სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში ნებაყოფლობით მონაწილეობას, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება იმ პირობით, თუ ასეთი მონაწილეობა დაშვებულია ამ სახელმწიფოს მიერ.

ამ მუხლის დებულებები არ ეხება ადრე დადებულ ორმხრივ ან მრავალმხრივ შეთანხმებებს სოციალური უზრუნველყოფის შესახებ და არ ეწინააღმდეგება ასეთ შეთანხმებათა დადებას მომავალში.

მ უ ხ ლ ი 34.

დიპლომატიური აგენტი თავისუფლდება ყველა სახელმწიფო, რაიონული და მუნიციპალური გადასახადისაგან, მოსაკრებლისა და პაჟისაგან, გარდა:

a) ირიბი გადასახადებისა, რომლებიც ჩვეულებრივ შედის საქონლის ან მომსახურების საფასურში;

b) იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე კერძო უძრავ ქონებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, თუ იგი არ ფლობს მათ დამკრედიტებელი სახელმწიფოს სახელით წარმომადგენლობის მიზნებისათვის.

c) სამემკვიდრეო გადასახადისა და სამემკვიდრეო ბაჟისა, რომელსაც იღებს სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, გამონაკლისებით, რომლებიც გათვალისწინებულია 39-ე მუხლის მე-4 პუნქტში;

d) კერძო შემოსავალზე დაწესებული მოსაკრებლებისა და გადასახადებისა, რომელთა წყაროც მდებარეობს სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, და ამ სახელმწიფოში არსებულ კომერციულ დაწესებულებებში კაპიტალდაბანდებებზე დაწესებული გადასახადებისა;

e) მოსაკრებლებისა, რომლებიც გადაიხდება კონკრეტული სახის მომსახურებათა გამო;

f) უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სარეგისტრაციო, სასამართლო და სარეესტრო ბაჟებისა, საიპოთეკო და საგერბო მოსაკრებლებისა, იმ გამონაკლისებით, რომლებსაც 23-ე მუხლი ითვალისწინებს.

მ უ ხ ლ ი 35.

ხახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ვალდებულია ვაათავისუფლოს დიპლომატიური აგენტები ყველა შრომითი და სახელმწიფო ბეგარისაგან, მათი ხასიათისდა მიუხედავად, აგრეთვე ისეთი სამხედრო ბეგარისაგან, როგორიც არის რეკვიზიცია, კონტრიბუცია და ჯარის ჩაყენება.

მ უ ხ ლ ი 36.

1. სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, მის მიერ მიღებული კანონებისა და წესების შესაბამისად, შეზიდვის ნებას რთავს და ათავისუფლებს ყველა სახის ბაჟის, გადასახადისა და მასთან დაკავშირებული მოსაკრებლებისაგან, გარდა სასაწყობო მოსაკრებლებისა, გადაზიდვაზე და სხვა ამგვარ მომსახურებაზე დაწესებული მოსაკრებლებისა;

a) საგნებს, რომლებიც გათვალისწინებულია წარმომადგენლობის ოფიციალური სარგებლობისათვის;

b) საგნებს, რომლებიც გათვალისწინებულია დიპლომატიური აგენტის ან მასთან ერთად მცხოვრები მისი ოჯახის წევრის პირადი სარგებლობისათვის, მათი მოწყობისათვის საჭირო ნივთების ჩათვლით.

2. დიპლომატიური აგენტის პირადი ბარგი თავისუფლდება გასინჯვისაგან, თუ არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმისა, რომ იგი შეიცავს ნივთებს, რომლებზეც არ ვრცელდება ამ მუხლის პირველ პუნქტში მოხსენიებული გამონაკლისები, ან საგნებს, რომელთა შეზიდვა ან გამოზიდვა კანონით აკრძალულია ან რეგულირდება საკარანტინო წესებით სახელმწიფოს მიერ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ასეთი გასინჯვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ დიპლომატიური აგენტის ან მისი უფლებამოსილი რწმუნებულის თანდასწრებით.

მ უ ხ ლ ი 37.

1. დიპლომატიური აგენტის ოჯახის წევრები, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, სარგებლობენ 29-36 მუხლებში აღნიშნული პრივილეგიებით და იმუნიტეტებით, თუ ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

2. წარმომადგენლობის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის წევრები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც მათთან ერთად ცხოვრობენ, სარგებლობენ 29-35 მუხლებში აღნიშნული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, თუ ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, იმ გამონაკლისით, რომ იმუნიტეტი ამ სახელმწიფოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული იურისდიქციის მიმართ, რომელიც მითითებულია 32-ე მუხლის პირველ პუნქტში, არ

ვრცელდება მათ მიერ არასამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისას ჩადენილ მოქმედებებზე. ისინი სარგებლობენ აგრეთვე 36-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პრივილეგიებით მოწყობისათვის აუცილებელ საგნებთან დაკავშირებით.

3. წარმომადგენლობის მომსახურე პერსონალის წევრები, რომლებიც არ არიან იმ სახელმწიფოს მოქალაქენი, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან იქ მუდმივად არ ცხოვრობენ, სარგებლობენ იმუნიტეტით თავიანთ მოვალეობებათა შესრულებისას და თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟებისაგან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის მიღებულ გასამრჯელოზე. მათზე ვრცელდება აგრეთვე 33-ე მუხლში აღნიშნული შეღავათები.

4. წარმომადგენლობის თანამშრომელთა შინამოსამსახურენი, თუ ისინი არ წარმოადგენენ იმ სახელმწიფოს მოქალაქეებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ანდა მუდმივად არ ცხოვრობენ იქ, თავისუფლდებიან გადასახადებისაგან, მოსაკრებლებისა და ბაჟებისაგან თავიანთი სამუშაოს შესრულებისათვის მიღებულ გასამრჯელოზე. სხვა მხრივ ისინი სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს დაშვებულია სახელმწიფოს მიერ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება; მაგრამ სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უნდა განახორციელოს თავისი იურისდიქცია ამ პირების მიმართ ისე, რომ შესაბამისად არ ჩაერიოს წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელებაში.

მ უ ხ ლ ი 38.

1. დამატებითი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების გარდა, რომლებიც შეიძლება მიანიჭოს სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე ან აქ მუდმივად მცხოვრებ დიპლომატიურ აგენტს, იგი სარგებლობს იურისდიქციის მიმართ იმუნიტეტით და ხელშეუხებლობით მხოლოდ თავისი სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ოფიციალური მოქმედებების შესრულებისას.

2. წარმომადგენლობის სხვა წევრები და შინამოსამსახურენი, რომლებიც იმ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან მუდმივად ცხოვრობენ იქ, სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც

ამას უშვებს სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება; მაგრამ ამ სახელმწიფომ, უნდა განახორციელოს იურისდიქცია ასეთი პირების მიმართ ისე, რომ დაუშვებელი წესით არ ჩაერიოს წარმომადგენლობის ფუნქციების განხორციელებაში.

მ უ ხ ლ ი 39

1. ყოველი პირი, რომელსაც პრივილეგიებისა და იმუნიტეტების უფლება აქვს, სარგებლობს ამით იმ მომენტიდან, როდესაც იგი თავისი პოსტის დაკავების მიზნით შედის სახელმწიფო ტერიტორიაზე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან თუ იგი უკვე არის ამ ტერიტორიაზე, იმ მომენტიდან, როდესაც მისი დანიშვნა ეცნობება საგარეო საქმეთა სამინისტროს ან სხვა სამინისტროს, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს.

2. თუ მთავრდება იმ პირის ფუნქციები, რომელიც პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობს, ეს პრივილეგიები და იმუნიტეტები ნორმალურად წყდება იმ მომენტში, როდესაც იგი ტოვებს ქვეყანას ან ამისთვის საჭირო რაციონალური ვადის გასვლის შემდეგ, მაგრამ განაგრძობენ არსებობას შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი. თუ ასეთი პირი, როგორც წარმომადგენლობის თანამშრომელი განაგრძობს თავისი ფუნქციების შესრულებას, იმუნიტეტი განაგრძობს არსებობას მის მოქმედებათა მიმართ.

3. თანამშრომლის სიკვდილის შემთხვევაში მისი ოჯახის წევრები განაგრძობენ სარგებლობას პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლის უფლებებიც აქვთ, რაციონალური ვადის გასვლამდე, რომელიც საჭიროა იმ ქვეყნის დასატოვებლად, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

4. წარმომადგენლობის თანამშრომლის სიკვდილის შემთხვევაში, რომელიც არ იყო იმ სახელმწიფოს მოქალაქე, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან არ ცხოვრობდა იქ მუდმივად, ანდა მისი ოჯახის წევრის სიკვდილის შემთხვევაში, რომელიც მასთან ერთად ცხოვრობდა, სახელმწიფომ სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, უნდა დართოს ნება გარდაცვლილის მოძრავი ქონების გატანაზე, იმ ქონების გარდა, რომელიც შეძენილი იყო ამ ქვეყანაში და რომლის გატანაც აკრძალულია მისი სიკვდილის დროისთვის. სამემკვიდრეო გადასახადი და ბაჟი მემკვიდრეობის მიღებაზე არ გადაიხდება მოძრავ ქონებაზე, რომლის არსებობაც სახელმწიფოში, სადაც წარმომად-

ენლობა იმყოფება განპირობებულია მხოლოდ და მ'ოლოდ გარდაცვლილის, როგორც წარმომადგენლობის თანამშრომლის ან წარმომადგენლის ოჯახის წევრის ამ სახელმწიფოში ყოფნით.

მ უ ხ ლ ი 40.

1. თუ დიპლომატიური აგენტი გაივლის მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომელმაც მას ვიზა მისცა, თუკი ასეთი საჭიროა, ან იმყოფება ამ ტერიტორიაზე თავისი პოსტის დასაკავებლად მგზავრობისას ან დაბრუნებისას ამ პოსტზე ან თავის ქვეყანაში, ეს მესამე სახელმწიფო უზრუნველყოფს მის ხელშეუხებლობას და სხვა ისეთ იმუნიტეტებს, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს მის გასამგზავრებლად ან დასაბრუნებლად. ეს ეხება აგრეთვე მისი ოჯახის ნებისმიერ წევრს, რომელიც სარგებლობს ყველა პრივილეგიითა და იმუნიტეტით და თან ახლავს დიპლომატიურ აგენტს ან მიემგზავრება ცალკე, რათა შეუერთდეს მას ან დაბრუნდეს თავის ქვეყანაში.

2. იმ პირობებში, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის პირველ პუნქტში, მესამე სახელმწიფო არ უნდა აბრკოლებდეს წარმომადგენლობათა ადმინისტრაციულ-ტექნიკური და მომსახურე პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების მგზავრობას.

3. მესამე სახელმწიფო ოფიციალური კორესპონდენციებისა და სხვა ოფიციალური ცნობების ტრანზიტით გადატანისას, კოდირებული და დაშიფრული დეპეშების ჩათვლით, უნდა უზრუნველყოფდეს მას იმავე თავისუფლებითა და დაცვით, რითაც სახელმწიფო სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

4. მესამე სახელმწიფოს მოვალეობანი, რომლებიც გათვალისწინებულია ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში, ვრცელდება აგრეთვე ამ პუნქტებში მოხსენიებულ იმ პირებზე და ოფიციალურ ცნობებსა და დიპლომატიურ ფოსტაზე, რომელთა ყოფნა მესამე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამოწვეულია ფორს-მაჟორული[1] ვითარებით.

მ უ ხ ლ ი 41.

1. ყველა პირი, რომელიც სარგებლობს პრივილეგიებითა და იმუ-

---

[1] force majeure (ფრანგ.) — საგანგებო მდგომარეობა, შემთხვევა, რაც არ შეიძლება გათვალისწინებული ყოფილიყო ან თავიდან აცილებულიყო რაიმე ღონისძიებით.

ნიტეტებით, ვალდებულია ამ პრივილეგიებისა და იმუნიტეტებისათვის ზიანის მიუყენებლად პატივს სცემდეს იმ სახელმწიფოს კანონებსა და დადგენილებებს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება. ისინი ვალდებულნი არიან აგრეთვე არ ჩაერიონ ამ სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

2. ყველა ოფიციალურ საქმეს, რომელსაც დამკრედიტებელი სახელმწიფო ანდობს წარმომადგენლობას, იგი აწარმოებს იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება ან ამ სამინისტროს მეშვეობით, ან სხვა სამინისტროსთან, რომლის შესახებაც შეთანხმება არსებობს, ან სხვა სამინისტროს მეშვეობით.

3. წარმომადგენლობის შენობები არ უნდა გამოიყენებოდეს წარმომადგენლობის იმ ფუნქციებთან შეუთავსებელი მიზნებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კონვენციით ან ზოგადი საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმებით ან რაიმე სპეციალური შეთანხმებით, რომლებიც მოქმედებენ დამკრედიტებელ სახელმწიფოსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მ უ ხ ლ ი 42.

დიპლომატიური აგენტი არ უნდა ეწეოდეს სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პროფესიულ ან კომერციულ საქმიანობას პირადი გამორჩენის მიზნით.

მ უ ხ ლ ი 43.

დიპლომატიური აგენტის ფუნქციები წყდება:

a) მას შემდეგ, რაც დამკრედიტებელი სახელმწიფო აცნობებს სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, რომ დიპლომატიური აგენტის ფუნქციები შეწყვეტილია;

b) მას შემდეგ, რაც დამკრედიტებელი სახელმწიფო აცნობებს სახელმწიფოს, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, რომ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად იგი უარს ამბობს ცნოს დიპლომატიური აგენტი წარმომადგენლობის თანამშრომლად.

მ უ ხ ლ ი 44.

სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც კი საჭირო დახმარება უნდა აღ-

მოუჩინოს პირებს, რომლებიც პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით სარგებლობენ, არ არიან ამ სახელმწიფოს მოქალაქეები და ასეთი პირების ოჯახის წევრებს მოქალაქეობის მიუხედავად, რაც შეიძლება სწრაფი გამგზავრების მიზნით. საჭიროების შემთხვევაში მათ განკარგულებაში უნდა გადასცეს გადასაზიდი საშუალებები მათთვის და მათი ქონებისათვის.

მ უ ხ ლ ი 45.

ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის შემთხვევაში წარმომადგენლობის დროებით ან საბოლოოდ გაწვევისას:

a) სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, პატივს უნდა სცემდეს და იცავდეს წარმომადგენლობის შენობებს მისი ქონებითა და არქივებით, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაშიც ეი;

b) დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი შენობების დაცვა (ქონებისა და არქივების ჩათვლით) ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღებია სახელმწიფოსთვის, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება;

c) დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია თავისი ინტერესებისა და საკუთარ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ანდოს მესამე სახელმწიფოს, რომელიც მისაღებია სახელმწიფოსთვის, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება.

მ უ ხ ლ ი 46.

დამკრედიტებელ სახელმწიფოს შეუძლია მესამე სახელმწიფოს თხოვნით, რომელიც წარდგენილი არ არის სახელმწიფოში, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, და ამ უკანასკნელის წინასწარი თანხმობით, თავის თავზე აიღოს ამ მესამე სახელმწიფოსა და მის მოქალაქეთა ინტერესების დროებითი დაცვა.

მ უ ხ ლ ი 47.

1. ამ კონვენციის დებულებათა გამოყენებისას სახელმწიფომ, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, არ უნდა გაატაროს დისკრიმინაცია სახელმწიფოთა შორის.

2. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება:

a) თუ სახელმწიფო, სადაც წარმომადგენლობა იმყოფება, ამ კონვენციის რომელიმე დებულებას იყენებს შემზღუდველად იმის გამო, რომ ეს დებულება შემზღუდველად არის გამოყენებული მისი წარმომადგენლობის მიმართ დამკრედიტებელ სახელმწიფოში;

b) თუ სახელმწიფოს ჩვეულებათა ან სახელმწიფოთა შორის შეთანხმების თანახმად ისინი ერთმანეთს უფრო კეთილსასურველ რეჟიმს შესთავაზებენ, ვიდრე ამ კონვეციინის დებულებები მოითხოვს.

მ უ ხ ლ ი 48.

ეს კონვენცია ხელმოსაწერად ღიაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ყველა სახელმწიფოსათვის ან სპეციალიზებულ დაწესებულებებისთვის, სახელმწიფოებისთვის, რომლებიც საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის წევრები არიან, აგრეთვე სხვა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელთაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იწვევს გახდნენ კონვენციის მონაწილენი: 1961 წლის 31 ოქტომბრამდე ავსტრიის საგარეო საქმეთა ფედერალურ სამინისტროში, ხოლო შემდეგ, 1962 წლის 31 მარტამდე, — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ნიუიორკში.

მ უ ხ ლ ი 49.

ეს კონვენცია შეიძლება რატიფიცირებულ იქნეს. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მ უ ხ ლ ი 50.

ამ კონვენციას შეიძლება შეუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც განეკუთვნება 48-ე მუხლში ჩამოთვლილ ერთ-ერთ კატეგორიას. აქტები შეერთების შესახებ შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

მ უ ხ ლ ი 51.

1. ეს კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ აქტის გადაცემის ოცდამეათე დღეს.

2. ყოველი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც კონვენციის რა-

ტიფიკაციას ახდენს ან უერთდება მას ოცდამეორე სარატიფიკაციო სიგელის, ან შეერთების შესახებ სიგელის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდივნისთვის შესანახად გადაცემის შემდეგ, კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ აქტის შესანახად გადაცემის ოცდამეათე დღეს.

მ უ ხ ლ ი 52.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს, რომელიც 48-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს განეკუთვნება:

a) ამ კონვენციისა და სარატიფიკაციო სიგელების ან შეერთების შესახებ აქტების ხელმოწერის შესახებ 48-ე, 49, და 50-ე მუხლების შესაბამისად;

b) ამ კონვენციის ძალაში შესვლის შესახებ 51-ე მუხლის შესაბამისად.

მ უ ხ ლ ი 53.

ამ კონვენციის დედანი, რომლის ტექსტები რუსულ, ინგლისურ, ესპანურ, ჩინურ და ფრანგულ ენებზე თანაბრად ავთენტურია, ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც მის დამოწმებულ ასლებს უგზავნის ყველა სახელმწიფოს, რომლის კატეგორიაც 48-ე მუხლში ჩამოთვლილი ოთხი კატეგორიიდან ერთ-ერთს განეკუთვნება, რის დასამტკიცებლადაც ქვემორე ხელის მომწერებმა, რომელნიც შესაბამისი წესით არიან უფლებამოსილნი, ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ვენაში ათას ცხრაას სამოცდაერთი წლის თვრამეტ აპრილს.

თუ ვიზიტად მიდიხართ:

ნუ შეხვალთ სასტუმრო ოთახში პალტოთი.

ნუ შეხვალთ დაუკაკუნებლად.

ნუ შეხვალთ მოკიდებული სიგარეტით.

თუ ქალი თქვენზე მაღალი რანგის ან ასაკისაა, პირველი ნუ გაუწვდით ხელს, ვიდრე ის თვითონ არ გამოგიწვდით.

ნუ იჩქარებთ დაჯდომას, დაელოდეთ ვიდრე ამას არ გთხოვთ მასპინძელი.

სკამზე ნუ იწრიალებთ.

ნუ მიაშტერდებით ავეჯს, ნახატს, სხვა საგნებს.

სტუმრად ან საზოგადოებაში ყოფნის დროს არ გაიწმინდოთ და არ მოიშრათ ფრჩხილები, არ დაივარცხნოთ თმა, არ დაიწყოთ ტანსაცმლის წესრიგში მოყვანა.

არ დაგავიწყდეთ წამოდგომა, როდესაც ოთახში ქალი შემოდის.

ნუ წარუდგენთ ქალს გასაცნობად მამაკაცს, კაცს წარუდგენენ ქალს მიუხედავად რანგისა. ასაკით უმცროსებს წარუდგენენ უფროსი ასაკის ადამიანებს.

ოთახში შესვლისას და გამოსვლისას ნუ გადაუსწრებთ წინ ქალს.

ნუ შეეცდებით ხელის შეხებით გამოიწვიოთ მოსაუბრის ყურადღება. (ყურადღების მიქცევისათვის ხელით ნუ შეეხებით სხვას).

ნუ დაიწყებთ საკუთარ თავსა და საქმეებზე, ან თქვენს ავადმყოფობაზე, წარუმატებლობაზე ლაპარაკს.

ნუ დაიწყებთ ჩურჩულს. თუ ისეთი რამ გინდათ უთხრათ ვინმეს, რომელიც საზოგადოებამ არ უნდა გაიგოს, სჯობს სხვა დრო შეარჩიოთ.

ნუ შეეცდებით მიიპყროთ სხვების ყურადღება და მხოლოდ თქვენ ილაპარაკოთ.

ნუ გაიხუმრებთ ვინმეს მისამართით, ნუ დასცინებთ სხვას.

ნუ შეაწყვეტინებთ სხვას ლაპარაკს.

უმნიშვნელო საკითხზე ნუ დაიწყებთ კამათს.

ნუ მოძებნით ჩხუბის მიზეზს.

ნუ ეცდებით სახუმარო მომენტის შერჩევას.

ნუ დაიწყებთ ძველი ხუმრობის, ანეკდოტისა და ამბის მოყოლას.

ნუ იყოყოჩებთ იმით, რომ კარგად ერკვევით ხელოვნებაში.

ნუ იტყვით უარს დაკვრაზე ან რაიმეს მოყოლაზე, თუკი ეს გეხერხებათ

ნუ იქნებით დაბღვერილი იმის გამო, რომ ყურადღების ცენტრში არა ხართ.

ნუ დაივიწყებთ ყურადღებიანი იყოთ ხანდაზმულთა მიმართ.

ნუ დააგვიანებთ წვეულებაზე.

არ არის აუცილებელი წვეულების ყველა დამსწრესათვის ხელის ჩამორთმევა. ხელს ართმევენ მასპინძელს, დანარჩენებს კი თავს უკრავენ.

როცა ქალი მაგიდისაკენ მიგყავთ, არ გაუწოდოთ მარცხენა ხელი. მამაკაცი ქალს ყოველთვის მარჯვენა ხელს უწვდის.

მაგიდას არ მიუჯდეთ, სანამ ქალები არ დასხდებიან ან ვიდრე დიასახლისი არ მიგიწვევთ.

გაცნობა მაგიდასთან არ უნდა ხდებოდეს.

მაგიდასთან არ კითხულობენ.

სუფრაზე თქვენს მარჯვნივ მჯდომი ქალი განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

მაგიდას გარკვეულ მანძილზე უნდა მიუჯდეთ — არც ძალიან შორს და არც ძალიან ახლოს.

ხელსახოცი მკერდზე არ მიიმაგროთ.

განმეორებით ნუ მოითხოვთ პირველ კერძს — წვნიანს.

თუ ძალიან გსურთ მეორე კერძის განმეორებით მირთმევა, ნუ მოითხოვთ ამას, დაელოდეთ მიმტანს.

ნუ დაიხრებით თეფშზე. მაგიდასთან სწორად უნდა იჯდეთ.

თუ მაგიდიდან რაიმეს აღება გსურთ, ზემოდან ნუ გადაწვდებით ეზობლის თეფშს.

პური ხელით უნდა აიღოთ და არა ჩანგლით.

პურის ნაჭერს ნუ მოკბეჩთ, ის ხელით უნდა მოტეხოთ.

კარაქს პურის ნაჭერს ნუ წაუსვამთ, მოტეხილ ნაწილს წაუსვით კარაქი.

ნუ ჩაყრით პურს წვნიან კერძში.

ნუ მიირთმევთ დანით. საჭმელს დანით ნუ გადაიტანთ ჩანგალზე.

ნუ ჭამთ სწრაფად.

ნუ ჩაიდებთ პირში დიდ ლუკმის.

იდაყვით ნუ დაეყრდნობით მაგიდას. ხელები ტანთან ახლოს უნდა გეჭიროთ.

ნუ აწევთ ჭიქას ძალიან მაღლა.

ნუ გადმოაფურთხებთ ძვლებს თეფშზე. ძვალი პირიდან უნდა დადოთ ჩანგალზე, შემდეგ თეფშზე, ხილის კურკა კი კოვზზე და შემდეგ თეფშზე.

ნუ სთხოვთ მეზობელს რაიმე კერძის მოწოდებას თუ მიმტანი ახლოს არის.

ნუ ათამაშებთ ხელში ჩანგალს, დანას ან კოვზს.

ნუ გაიწმენდთ სახეს ხელსახოცით. ხელსახოცით ტუჩებს იწმენდენ.

თუ სხვასთან გსურთ გადალაპარაკება, მეზობელს ზურგს ნუ შეაქცევთ.

ნუ ისაუბრებთ, როდესაც პირში საჭმელი გაქვთ.

ნუ გადაწვებით სკამზე.

დანა-ჩანგალი თუ დაგივარდათ, ნუ შეგრცხვებათ, სხვა მოითხოვეთ.

მაგიდასთან ჯდომისას ნუ იხმართ კბილების საწმენდს.

ნუ მოითხოვთ მეორე ფინჯან ყავას ან ჩაის, თუ სხვას პირველიც არა აქვს შესმული.

ნუ გააკრიტიკებთ კერძს.

ნუ აარდიებთ თავს კერძს იმ მოტივით, რომ ის თქვენ გაწყენთ ან არ მოგწონთ.

ჩაის მორევის შემდეგ კოვზი დადეთ ლამბაქზე, ნუ დატოვებთ ფინჯანში.

მასპინძელი კერძს პირველი არ უნდა ათავებდეს. დაელოდეთ ვიდრე სხვა სტუმრებიც არ მიირთმევენ.

ჭამის შემდეგ ნუ დაკეცავთ ხელსახოცს, მაგიდაზე დადეთ.

წვეულების დროს თუ ცეკვები გაიმართება, არ დაგავიწყდეთ მასპინძლის მიწვევა საცეკვაოდ.

საცეკვაოდ გაწვევის დროს ქალს მარჯვენა ხელი უნდა გაუწოდოთ.

წამდაუწუმ ნუ დაიწყებთ საათზე ყურებას. თუ სხვებზე ადრე გსურთ წვეულებიდან წასვლა, გააკეთეთ ეს ყურადღების მიუქცევლად; ამის შესახებ წინასწარ შეუთანხმდით მასპინძელს.

ნუ დარჩებით მაგიდასთან მას შემდეგ, რაც ქალები ადგნენ.

თუ გსურთ მაგიდასთან ჯდომა, ეს შეიძლება მას შემდეგ, როცა ქალები ოთახიდან გავლენ.

შეეცადეთ იყოთ მშვიდი.

* * *

თავაზიანი იყავით გამვლელ-გამომვლელის მიმართ. თუ ვინმეს შემთხვევით დაეჯახეთ, არ დაგავიწყდეთ ბოდიშის მოხდა.

ნუ მიანიშნებთ თითით საგნებსა და ადამიანებზე.

ნუ შემობრუნდებით და ნუ გააყოლებთ მზერას გამვლელებს.

სიარულის დროს არ ჭამოთ.

თეატრში ან საკონცერტო დარბაზში ქალზე წინ მამაკაცი შედის.

თეატრში ან დარბაზში რიგებს შორის გავლისას უნდა გაიაროთ ზურგით სცენისკენ.

მანქანაში პირველი ქალი ჯდება, გადმოსვლისას მამაკაცი პირველი გადმოდის და ეხმარება ქალს გადმოსვლაში.

თუ საჭეს უზიხართ, არ დაივიწყოთ, რომ წყლიანი ან ტალახიანი ადგილის სწრაფად გავლისას შეიძლება წყალი შეაშხეფოთ ფეხით მოსიარულეს.

ყოველთვის ყურადღებით იყავით თქვენი ტანსაცმლისა და გარეგნობის მიმართ.

არ ჩაიდოთ კალმისტარი, ფანქარი, სავარცხელი გარეთა ჯიბეში.

ქუჩაში ჭუჭყიანი ფეხსაცმლით არ გახვიდეთ.

პერანგი ყოველთვის გაუთოებული უნდა ჩაიცვათ.

ყურადღება მიაქციეთ თქვენი სიარულის მანერას.

საძინებელი პიჟამოთი ქუჩაში არ გახვიდეთ.

ნუ დაიწყებთ სტვენას ქუჩაში ან საზოგადო ადგილას.

ნუ გაიცინებთ ხმამაღლა.

ნუ მოსწევთ, თუკი ამით სხვებს შეაწუხებთ.

კრებულში გამოყენებულია

ი. რიდანოვას — — — — — ეტიკეტის გაკვეთილები;
ლ. ვოლჩეკის — — — — — ეტიკეტი;
ი. ლიპსიცის — — — — — მოხერხებული ხელმძღვანელის საიდუმლოება;
კ. დუნცოვასა და გ. სტანკოვიჩის — — — — ეტიკეტი მაგიდასთან;
მ. ბეზრუკიხის — — — — — მე და სხვა მე, ან ქცევის წესი ყველასათვის;
გ. ბანძელაძის — — — — — ადამიანის შინაგანი და გარეგანი კულტურა;
დ. ნიკოფოროვის და ა. ბორუნკოვის — — — — დიპლომატიური ოქმი საბჭოთა კავშირში
ფ. მოლოჩკოვის — — — — დიპლომატიური ოქმი და დიპლომატიური პრაქტიკა;
ჯ. ვუდის და ე. სერეს — — — დიპლომატიური ცერემონიალი და ოქმი.